

ԵՄ ՆԱՍԺԱԿՈՒՄՆԵՐ ԵՂՐՈՒՄՆԵՐՆԵՐ

1975 1

1/1975

შინაარსი

პარტული თეატრის აღმ.	2
კობე მარჯანაშვილის სახელობის კამიონის პირველი ლაუ- რებადები	2
ზაპარია ფალიაშვილის სახელობის კამიონის ლაუ- რებადები	3
კამიონები საკათედრო თეატრალური ნაშრომებისათვის	3
საპარტულოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადო- დების V ყრილობა	
ძველ ძეგლთა მემორი სიცოცხლე	4
ნეკო კეცხოველი —	
მეტე სიყვარულია სავირი	6
ოთარ ფირალიშვილი —	
პარტული ფრესკების დაცვის მტკიცეული საკითხები	8
ოთარ სანუბლიძე —	
ჩხვინი საზარუნავი	13
გიორგი ხორგუაშვილი —	
ძეგლთა სიცოცხლე	16
ეთერ გუგუშვილი —	
რუსთაველის თეატრი უნებართვი	18
მერაბ გეგია —	
დინი წარმატება	23
რუსთაველის კულტურის მუშაკები სამხრეთ ოსეთის შრომითი უმჯობესებთან	28
გივი გეგუკორი —	
მელნი სხვებთან	31
ოთარ ლითანიშვილი —	
მხატვარი და ქალაქი	41
ბესარიონ ტლენტი —	
„მარტიოზის აღმასწავლებელი“	
მარინე კერესელიძე —	
ლიტერული მხატვრების ნაშრომებთან გამომცემი თეატრის	54
დიალოგი (ვ. კეცაძე და თ. ჩხეიძე)	56
ნოდარ მაშინაშვილი —	
„ფაშური ნატივობები“	69
ნანა კეცაძე —	
დემოკრატიულ-გამომცემებითი ხელოვნება	72
კიტი მაჩაბელი —	
გზინაშვილის სახელობის ხანის პარტული ოპეროვებულობის ქარა	78
გიორგი ხუციშვილი —	
საშრომობითი გამომცემები პარიზში	80
გიორგი დოლიძე —	
ფილმი სამომავლო ორის გვირგვინი	82
დინსაუნი. თეატრი და მათემატიკა.	
ნათელა ურუშაძე —	
კინ არის შინი მათემატიკა	87
არისტოფანე —	
ფრინველები (კომედი)	95
პროზა	113

საპარტული კულტურის



საპარტულოს სსრ კულტურის სამინისტროს
ქოველეთიური შპრნალი



**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
მორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი —
თამაზ პილამე
სარედაქციო კომიტეტი:
პაპი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
გივი გოგუაძე
(ასტუხინსკიბაბული მლიგანი),
ნოდარ გაბუნია,
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიჟარაძე,
გივი ორჯონიკიძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხვიძე,
ანდონ ფულუკიძე,
ნიკო შამუგაძე,
ნოდარ ჯანაშვილი.



125

ქართული თეატრის 125

125 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ქართული ეროვნული თეატრის აღორძინება, ზრდა და რეალისტური ხელოვნების გზით დიდი ეროვნული კულტურის კერად ჩამოყალიბება. ქართული თეატრის მკვდრებით აღდგენა ითავეს ჩვენმა სასიქადულო მწერლებმა, პოეტებმა, დრამატურგებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ვიორჯი ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რომელთაც არამარტო თეატრის არსებობას ჩაუყარეს საფუძველი, არამედ მისი შემოქმედებითი

მრწამსიც განსაზღვრეს. მათვე შექმნეს ეროვნული რეპერტუარი აღორძინებული ეროვნული თეატრისათვის. მას შემდეგ საქართველო თეატრალური კულტურის მქონე ქვეყნად გადაიქცა და თეატრალური ხელოვნების განვითარება ისეთი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რომ ეროვნულ საზღვრებს გასცდა და დღეს ჩვენს აკადემიურ თეატრებში დადგმულ სპექტაკლებს დიდი თეატრალური ტრადიციების ქვეყნებშიც კი უკრავენ მხურვალე ტაშს.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები



ცნობილი გახლნენ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები. ეს წოდებანი მათ მიენიჭათ ორ უკანასკნელ თეატრალურ სეზონში (1972-1973, 1973-1974 წლები) საუკეთესო თეატრალური და თეორიული ნაშრომებისათვის.

პრემია 1500 მანეთის ოდენობით გაინაწილეს რობერტ რობერტის ძე სტურუამ — რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში სპექტაკლ „ეკარყვარეს“ დამდგემლმა რეჟისორმა და მსახიობმა რამაზ გრიგოლის ძე ჩხეიკიამ რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში სპექტაკლ „ეკარყვარეში“ ეკარყვარეს როლის შესრულებისათვის.

პრემია 1500 მანეთის ოდენობით მიიღო ეთერ ნიკოლოზის ასულმა გუგუშვილმა მონოგრაფიისათვის „კოტე მარჯანიშვილი“.

ამასთანავე, დამატებით 1500 მანეთის პრემიით დაჯილდოვდა ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კოტე მარჯანიშვილის სკოლის გამოჩენილი მსახიობი ვერიკო ივლიანეს ასული ანჯაფარიძე — ქართული საბჭოთა თეატრის წინაშე დიდი დამსახურებისათვის (საქინფორში).



კოტე მარჯანიშვილმა და ალექსანდრე ასმეტელმა დამოუკიდებელი, ორიგინალური გზა გაუკაფეს ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას. მათვე აღზარდეს დღეს უკვე სახელმწივეჭილი რეჟისორებისა და ნიჭიერი მსახიობების მთელი თაობა.

დღეს ჰაბართველოს ყველა მსხვილ ქალაქში არსებობს სახელმწიფო თეატრი და თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში — სახალხო თეატრის თეატრები დიდ საზოგადოებრივ და კულტურულ მოღვაწეობას ეწევიან.

წელს ქართული თეატრის დღე აღინიშნა ახალციხის თეატრის ახალ შენობაში; სადაც გაიმართა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოებისა და პარტიის ახალციხის რაიონის სამეცნიერო სესია. საქართველოს ერთ-ერთმა უძველესმა ქალაქმა და მსხეთის დიდებულმა მხარემ მიიღო თეატრის დიდი, თანამედროვე, კეთილმოწყობილი 600-ადგილიანი შენობა, რაც ქართველმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა თეატრის დღესთან დაკავშირებით. ჩვენს სამშობლოს შეგმატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კულტურის კერა, რომელიც თავის წვლილს შეიტანს ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

ზაპარია ვალიაშვილის

სახელობის

პრემიის ლაურეატები

ცნობილი გახდნენ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ზაპარია ვალიაშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები.

ახალი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის დარგში ეს საპატიო წოდება მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტს კომპოზიტორ სულხან ცინცაძეს. მას პრემია მიენიჭა მერვე სიმებიანი კვარტეტისათვის.

საკონცერტო საქმიანობის დარგში პრემიით დაჯილდოვდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი მევიოლინე მარინე იაშვილი 1973-74 წლის ახალი საკონცერტო პროგრამისათვის.



პ რ ე მ ი ე ზ ი ს ა უ კ ე თ ე ს ო თ ე ა ტ რ ა ლ შ რ ი ნ ა მ უ შ ვ ჰ რ ი ს ა თ ვ ი ს

დამთავრდა კონკურსი, რომელიც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოაცხადა 1973-1974 წლების თეატრალურ სეზონში საბჭოთა თემატიკისადმი მიძღვნილ სპექტაკლებში საუკეთესო რეჟისორული, აქტიორული და მხატვრული ნამუშევრისათვის.

ქოლრის ვადაწყვეტილებით საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის პრემია დაიმსახურა **ა. ტოვსტონოვოვა** — თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში პუესის „ენერგიული ხალხის“ დადგმისათვის.

საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის პრემია მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვ. მეგრელიშვილს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლ „რაიკომის მდივანი“ სიმონ გობარდუაშვილის როლის შესრულებისათვის და მსახიობ **ი. ზადალოვას** — გორის ვ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლ „ეი, შენ, გამარჯობა!“ მამას როლის შესრულებისათვის.

საუკეთესო მხატვრული ვაფორმებისათვის პრემია მიიღო **ვ. მესხიშვილი** — კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში სპექტაკლ „ტაკიმასარის“ ვაფორმებისათვის. (საქიფორმი).

საზოგადოების V ყრილობა

კველ კავლელთა მეორე სისროსელა

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ ძველი კულტურის ძეგლებით მდიდარ რესპუბლიკას. მის ტერიტორიაზე შემორჩენილია ათასზე მეტი ძეგლი—ქართველი ხალხის ისტორიის უტყუი მოწმენი. ჩვენი წინაპრების ხელით აღმართულ უნიკალურ ნაგებობათა უმრავლესობა შედის მსოფლიო არქიტექტურისა და ფერწერის ოქროს ფონდში. ყოველწლიურად ამ ძეგლებს ათვალეირებს ათასობით საბჭოთა და უცხოელი ტურისტი.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ძეგლთა დაცვას. ცამეტი წლის წინათ საქართველოში შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელიც ახლა თავის რიგებში აერთიანებს 600 ათასზე მეტ წევრს. იგი უშვებს ჟურნალს „ძეგლის მეგობარს“, რომელშიც თანამშრომლობენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები.

ამ ბოლო ხანს აღდგენილია საქართველოს მთელი რიგი ძეგლები, ზოგიერთი მათგანისათვის ახალი სიცოცხლე დაიწყო. აქ გაიხსნა მუზეუმები, ეწყობა მუსიკის, დიდი ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილი ზეიმები.


კულტურის ძეგლთა დაცვის, ამ საქმეში საზოგადოების ამოცანების შესახებ იყო ლაპარაკი საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V ყრილობაზე, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში.

ყრილობა გახსნა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური



ქსნის ციხე. XVIII ს.

ქვის ხიდი აკარისწყალზე.



ფოტო ნ. კეტხველიძის

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, კულტურის მინისტრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **მ. თაბატაძეშვილმა**.

ურილობის დელეგატებმა ერთსულევანდ აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურო. სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრძანაძის** მეთაურობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ჩიჩქაძემ** წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წ ყრილობისადმი, რომელსაც დამსწრენი ტრუთ შეხვდნენ.

საანგარიშო მოხსენება კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ გააკეთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ **მ. სანაძემ**. ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ პრაფესორმა **ბ. რეზაქაძემ**.

მოხსენებათა შემდეგ დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ი. მამუბა**, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ბილაშვილი**, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **პ. შუხაძე**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები **ნ. მაცხორაძე** და **შ. ბერიანაშვილი**, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ბ. ბუბაძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მ. შირაღლიშვილი**, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გეგმეკორის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **ბ. მალიაძე**, საქართველოს სსრ სახმუნის თავმჯდომარე **ი. ციციშვილი**, კულტურის ძეგლთა დაცვის კასპის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ხორბუაშვილი**, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მცხეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ზუბაშვილი**, საქართველოს ალყ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **ზ. ლილაშვილი**.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა **შ. ბანიძემ**. ყრილობამ დამატყოფილებული შეფასება მისცა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მუშაობას, რომელსაც ყრილობებს შორის პერიოდშია გაწეული. დამტკიცა სარევიზიო და სამანდატო კომისიათა მოხსენებანი.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, აირჩია საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ნ. ჩიჩქაძეშვილი**.

გამართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც აირჩია პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჩიჩქაძე**, თავმჯდომარის მოადგილებად არჩეული არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ბ. ბერიანაძე**, პრაფესორი **მ. ლორთქიფანიძე** და **მ. სანაძე**.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულა პრაფესორი **ბ. რეზაქაძე**.

(საქინფორმი).

საპარტეზლო

კულტურის ძეგლთა დაცვის

სახოგადოების ორგანიზაცია

სირცხვილად ისიც გვეყოფა, რომ ყინწვისის ტაძრის სახურავი შეუკეთებელია და შენიშნაში წყალი ჩადის. ზიანდება თამარ დედოფლის ფრესკა. მისი პორტრეტი სამ ტაძარშია დაგვრჩა: გელათსა, ბეთანიასა და ყინწვისს. ზიანდება ყინწვისის ანგელოზის უბადლო ფრესკა, რომლის შესახებ იწერება ლექსები, ნოველები, რომანები; იმის დასტურად, რომ წარსულში დიდი მხატვრობა გვექონდა, მართო ყინწვისის ანგელოზიყ კმარა.

ყრილობის წინ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა წერილები იმის შესახებ, რომ ჯერის მონასტერი მოუვლეულია, მის კედლებზე „უკვდავების“ მადიბელთა წარწერებია, გადაქცეულია უმცავად დრებითა ადგილად. ამავე დროს თავი მოგვაქვს ამ შესანიშნავი ძეგლით, სამართლიანად ვამაყობთ და იმის დასტურად, რომ ძველად დიდი კულტურა გვექონდა, უცხოელი სტუმრები მიგვყავს მის სანახავად.

არ შეგვიძლია მოვლა? შეგვიძლია. არ გვაქვს საამისო თანხები? გვაქვს. მაშ რაშია საქმე? რა გვიშლის ხელს? გულგრილობა, უდარდლობა, უპასუხისმგებლობა.

როცა ყინწვისის ტაძრის სახურავზეა ლაპარაკი, მაშინ თავს იჩენს თავისებური წინააღმდეგობა: რომ კარგი გრამიტი არ იშოვება, ძნელია მისი გაკეთება და სხვა, რომ არ გვაქვს ეკლარის ქვა, ვერ ვშოულობთ, ფონდს არ გვაძლევნო და სხვა და სხვა. როგორ, მთელ საუკუნის დასასრულს ეკლარის ქვა არ მოიპოვება, მაშინ, როდესაც მათე-მეთორმეტე საუკუნეში მისგან მთელ ტაძრებსა და სასახლეებს ვაშენებდით? რომელ ჩინოსანს შეუძლია ასეთი დიდი საქმისთვის განზე გადგეს და რიგვარეშე არ მოგვამარჯოს! დიახ, რიგვარეშე. ყოველივე ეს ხომ ერის საგანძურია, მისი სულიერი საუჯრე, რის თვალის ჩინივით მოვლასაც პარტია გვავალებს.

მთავარ ტაძრებზე არსებობდა კარგი ანოტაცია-წარწერები, ზოგან ახლაც არის. დრომ თავიხი წაიღო, თუნუქი დაჟანგდა, წარწერა წაიშალა...

მერე, შეიცვალა? არა. რატომ? თურმე თუნუქი ადვილად არ იშოვება, ხოლო ჩამოსხმა ძნელია. ამგვარი მიზეზის გადალახვა უნდა შეეძლოს იმ დაწესებულებას, რომელსაც ვევალებთ ამის გაკეთება (ძველთა საარესტატორაციო სახელოსნო).

თხუთმეტ წელზე მეტია ვლაპარაკობთ რესტავრატორთა კადრების მომზადებაზე, მაგრამ თითო-ორთა სპეციალისტს ვერ ვხვდებით არ შემატებია, თუ არ აკლდება. განა დრო არ არის უფრო ეფექტურად, ნამდვილად ვიზრუნოთ ამ საკითხზე?

ბევრი ჩვენი ძველი ჯერ სათანადოდ არ არის გამოვლენილი და შესწავლილი. დღესდღეობით ხომ 5000-ზე მეტი კულტურის ძეგლი გვაქვს აღრიცხული. ახლა აღურიცხველი? ესენიც ბევრია,

მეტი

სიყვარულია

საჭირო

ნიკო კეცხოველი

საპარტეზლოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მეთუფ ყრილობაზე რესპუბლიკური საბჭოს ანგარიშს რომ ვუსმენდი, მე, როგორც მოქალაქესა და ქართველს, გული სიხარულით უნდა ამესებოდა, იმდენი კარგია გაკეთებული, იზრდებაო მუხუმი ღია ცის ქვეშ, შეკეთდაო ძეგლები, კიდევ მეტს ვაპირებთო და სხვა. მაგრამ, ხომ ვიცი, ნამდვილად რა გააკეთეთ. გაკეთეთ კი ძალიან ცოტა, მისი შესამედიც არა, რისი ღირსიცა ჩვენი დიდი მემკვიდრეობა.


მაგრამ აქ მინდა აღვნიშნო, რომ ერთი სახეობა ჩვენი ძეგლებისა თითქმის უყურადღებოდაა მიტოვებული. ესენია ჩვენი დიდებული თაღოვანი ხიდები. საქართველოში ფართოდაა ცნობილი ბეს-ლევის ხიდი. იგი მართლაც რომ დიდებულია. ამგვარი თაღოვანი ხიდი გვაქვს საქარაში, თეძამზე — რკონთან, ფოლადაურზე. მაგრამ გამაოცა აჭარის წყლის ხეობამ: აჭარისწყალზე თორმეტი და სხვა მდინარეებზე ხუთი (აქედან ოთხი კონტრინზე) ისეთი ხიდეა, რომლებიც თავიანთი გადაწყვეტით, ნაგებობის სიღამაშით, დღევანდელი იერთით არ ჩამოუვარდებიან მდინარე ბესლეზე ან სხვაგან აგებულ ხიდებს. ამ ხიდებსაც თვალმჩინივით უნდა მოვლა. ზოგან, ამ ხიდების გვერდით, მეოცე საუკუნეში აგებული ხიდი ჩატეხილა და ხალხი ძველ ხიდზე დადის. მართალია, იგი გამძლეა, მაგრამ მეტი სიფაქიზეა საჭირო. ეს ხიდებია: ჩხუტუნეთის, ქოქოლეთის, პირველმისის, დანდალოს, დიკონისის და მრავალი სხვა. მართო ეს ხიდებიც კმაზა იმის დასტურად, თუ მეთე-მეთორმეტე საუკუნეში რა ინტენსიური და სისხლსასხე სიცოცხლე დღუდა აჭარაში თუ შავშეთ-ერსუეთში.

არც ერთი ძეგლი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ, ყველას თავისი პასპორტი უნდა ჰქონდეს. ძირფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ ისეთი გამოსზომები, რასაც ბოლნის-დმანისის რაიონებში ჰქონდა ადგილი — ძველთა შეუგნებელი თუ შეგნებული დაზიანება და განადგურება.

თბილისი თავისთავად კულტურის დიდი ძეგლია, ძეგლი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა. მერედა, რად ვევიდებით ასე უდიერად, რადა ვთსუპნით შენობებს უცნაური ვულგარული ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი თუ სხვა საღებავებით. ლურჯიც კარგია თავისთავად, ცისფერიც, ყვითელიც, მაგრამ ყველას აქვს თავისი, ასე ვთქვათ, გამა. მაგალითად, წითელ ფერში რამდენიმე ასიათას კოლერს ითვლიან და თბილისში კი ამ კოლერთა ყველაზე უსიამოვნო ფერები ჩნდება. რაც გვაქვს, იმას გზმარობთო — არ შეიძლება ამის ასე გამართლება. ყოველ ქალაქს თავისი ძირითადი ფერი აქვს, სამხრეთის ქალაქს უფრო თეთრი ფერი და მისი განშტოებანი შეჭფერის. ყოველ შემოსხვევაში, თბილისისთვის ძირითადი ფერი უნდა დადგინდეს და შემდეგ არც ერთ მთავარ არქიტექტორს თუ მთავარ მხატვარს უფლება არ უნდა ჰქონდეს ნებისმიერად შეცვალოს დადგენილი ფერი.

კიდევ ბევრია სათქმელი და გასაკეთებელი. ამ დიდ საქმეს რომელიმე სამინისტროში არსებული განყოფილება ვერ აუვა და ვერც ასდის. საჭიროა მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნას კომიტეტი, რომელსაც დაევალება მხოლოდ და მხოლოდ კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა, რესტავრაცია, გამოვლინება, პოპულარიზაცია.

ამ საქმეს მეტი სიყვარული საჭიროდება, ვიდრე, სამწუხაროდ, ჩვენ ვიქვით.



ქვის ხიდი აჭარისწყლის ხეობაში.

ყინაურის ტაძარი სხალთის ხეობაში.

ფოტო ნ. ყვაცხოველისა.



დონდალო. XII ს. ხიდი აჭარისწყალზე.





პულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V ყრილობა

V ყრილობაზე სხვა საკითხებთან ერთად, მე გულისტკივილით აღინიშნე, რომ ქართული ფერწერის დიდება — „ყინუვისის ანგლოზი“ დღეს ის აღარ არის, რაც რესტავრაციამდე იყო: ჭუჭყისაგან გაწმინდეს, დაზიანებული, ფერგადაცლილი ადგილები შეავსეს, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ერთგვარად დაზარალეს კიდევ. ამ განცხადებამ დამსწრეთა შემოფოთება გამოიწვია, რამდენადაც საქმე ეხებოდა ქართული ეროვნული გენიის უბრწყინვალეს ძეგლს. მეორე მხრივ, კი ფრესკის რესტავრატორსა და კეთილ მზრუნველებს.

ყინუვისის ანგლოზის ეს სამწესობარო ცვლილება გამოწვეულია საერთოდ ჩვენში სარესტავრაციო საქმის დაბალი დონით. ძეგლთა დაცვის ბიზნისი და მათი დაცვის მეთოდებს შორის დიდი შიუსაბამისობით.

ამ გარემოებამ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიიქცია, როდესაც ჩვენში ღრმად მოხუცებული ხატმწერი და რესტავრატორი ტიულინი მუშაობდა. მაშინ მე პროფ. დ. გორდევთან და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს ყოფილ ინსპექტორთან პ. გრუზინთან ერთად ტიულინის სარესტავრაციო სამუშაოს გამოწვევები და ვილდები. ამიტომაც მიზანშეწონილად მივიჩნიე სამამულო ომის დროს დაზარალებულ ქალაქ ნიგვორთდის ფრესკების აღდგენის ექსპედიციას დაგვეფინანსებოდა, თვითონაც მიმელო მონაწილეობა, ჩაკვირვებოდა იქ მოღვაწე რესტავრატორების ცოდნა-გამოცდილებას და ყოველივე შეძენილი ჩვენშიც შეძლებისდაგვარად დამენერგა. თვითონაც ვცადე რამდენიმე ძეგლის კონსერვაცია, რამაც მიმღები კომისიის მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. შორიდან ვაფასებ გაქურდულ სამუშაოს, გულსტკივილით განვიცდი მაშინდელ თვითდაჯერებულობას. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ არ გამართა გამოცდილების მართლობაზე გაზიარება. ფრესკათა რესტავრაციის საქმე კუსტარულობას ვერ ითმენს, იგი უშუალოდ მეცნიერულ ნიადაგზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ქართული კედლის მხატვრობის ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია. აღრიცხვაზე აყვანილი ასობით ძეგლიდან ამა თუ იმ სახით თითქმის ყველა ითხოვს შევლას.

მართებული კონსერვაცია ძეგლს სიცოცხლეს უზანგრძლივებს, შთამბავლობას უნარჩუნებს განას, რომლის მსგავსიც დროთა განმავლობაში აღარ განმეორდება. მათი შენარჩუნება კი ბევრად უფრო რთული საქმეა, ვიდრე ზოგიერთ ჩვენგანს კგონია.

კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებზე ოფიციალური მსჯელობის დროს ხშირად თვითდამწეოდებით გვარწმუნებენ, თითქმის ქართული მონუმენტური მხატვრობის რესტავრაციის საქმეც იგვარადვე იდგეს მეცნიერულ ნიადაგზე, როგორც ეს ხუროთმოძღვრების სფეროშია, კერძოდ ეს აღინიშნა კულტურის ძეგლთა დაცვის სასოგადოების V ყრილობის სანაგარიშო მოსწენებაში (ო. სანბლიძე). სამწესობაროდ, ეს ასე არ არის.

სარესტავრაციო საქმის მეცნიერულ დონეზე დაფუძნება ხელშეწყობის ისტორიის ცოდნისა და ესთეტიკური მიდგომის ტექნიკა-ტექნოლოგიასთან კოორდინაციას გულისხმობს. ხუროთმოძღვრებაში ეს თითქმის ასეა, რამდენადაც თითოეული ვითარდება, როგორც რეალური სფეროები. ფრესკულ ხელოვნებას, მისი ისტორიის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა აკად. შ. ამირანაშვილის ხანგრძლივ ძიებათა შემოქმედებით, ტექნიკა-ტექნოლოგიის სფერო კი ამ დარგს ჰამოიზრა. რაც

ქართული ვიკიპედიის დაცვის

გეოგრაფიული საკითხები

ოთარ ფირალაშვილი

შეეხება ესთეტიკურ მიდგომას, ეს სათანადო ალოზზე დამოკიდებული.

როგორ შეიძლება ფრესკათა რესტავრაციის მეცნიერული ნიადაგის შესახებ სერიოზული მსჯელობა, როდესაც არც ერთი ძეგლი რესტავრაციის ჩატარებამდე დაზიანებთა მიხედვის, ხასიათის მიხედვით არ მოწმდება! არ ხდება დადგენა იმის სრული სურათისა, თუ ამა თუ იმ ძეგლს სად რა სახის დაზიანება გააჩნია. როგორია თითოეულის მიხედვი და მოსალოდნელი შედეგი, არ მუშავდება თითოეულისადმი მიდგომის მეთოდები. დღემდე კონსერვაცია-რესტავრაციის საქმე ხორციელდება ყოველგვარი მეცნიერული დაკვირვების გარეშე. სამუშაო პერიოდულად არ მოწმდება, არ წარმოებს პროფესიულ-მეცნიერული დაკვირვება, თუ რაოდენ მართებულად იყო მუშაობის მეთოდი, ხომ არ ესაჩივრობა ფრესკის რომელიმე ნაწილს ხელმეორედ მიხედვა, დამატებითი ღონისძიებების მიღების მიზნით და ა. შ.

ფრესკების მიმართ ასეთი თვითდაჯერებულობა გაუმართლებელია. საქმე ის არის, რომ ფრესკულმა ხელოვნებამ განვითარება და არსებობაც ყოველდღურ ფორმაციასთან ერთად შეწყვიტა, ხუროთმოძღვრებამ კი, როგორც მხატვრული აზროვნებისა და მით უფრო საინჟინერო-სამშენებლო მეცნიერებასთან დაკავშირებულმა სფერომ, შემდგომო განვითარება პპოვა. არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციის საქმეს საფუძველად დაედო არა მარტო მისი ისტორიის ცოდნა, რაშიც აკად. გიორგი ჩუბინაშვილს უნდა ვუმალოდეთ, არამედ სამეცნიერლო ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევებიც,

სხვადასხვა ტექნიკური თუ ტექნოლოგიური საშუალებები და ხერხები.

მარამ ძეგლის რესტავრაციის დროს ესთეტიკური მიდგომისა და ხელოვნების თეორიული პრინციპებისადმი ყურადღების შესუსტებაც მიზანშეწონილი არ არის.

ნანგრევთუ პირველად სურთომოდგერულ იღვას იმედნად ინარჩუნებას, რომ თაობებს ძეგლის მთლიანობაში წარმოსახვის საშუალებას აძლევს, მხოლოდ კონსერვაცია ესაჭიროება. მისი სრული, ან ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, ჩვეულებრივ, ნახაპით, ან მაკეტით ხორციელდება. რეალურად აღდგენის ცდა კი, შესაძლოა, ესთეტიკურად გაუმართლებელი აღმოჩნდეს. მაგალითად, საბერძნეთის მშენებება — პართენონი, მსოფლიო ხელოვნებათმცოდნეობაში ყველა ასპექტითაა შესწავლილი, მაგრამ მისი პირვანდელი სახით აღდგენა არავით უცდა, რადგან ამას, შესაძლოა, სერიოზული მხატვრული ზიანი მოჰყოლოდა.

ამ თვალსაზრისით, მაინცდამაინც მართებული არ უნდა იყოს ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის ნანგრევის კონსერვაციის რომ არ დაეკრძალო და ნაშთის, რომელიც შესანიშნავად ინარჩუნებდა მთლიანი არქიტექტურული სახის დიდებულებას, მოხრდილი თეთრი კვლევი წყვამატით. ასლი კვლევის ხისტი, კუთხოვანი ფორმები და მკვეთრი თეთრი ფერი ძეგლის ხატოვან იერთან ილუზიურ კონფლიქტში აღმოჩნდა, რაც მხახვლის სიძველის რომანტიკულ განცდასა და წარმოსახვით თანამეგობარს ხელს უშლის, — ხელოვნების შედგენასა და აღქმულს შორის კონტრასტი, ესთეტიკური ზემოქმედება შესუსტდა.

ფრესკული ხელოვნების რესტავრაცია, არქიტექტურასთან შედარებით, ბევრად მეტი სირთულეების აქვს, რადგან ზუსტ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევებს ვერ ემყარება. ამ თვალსაზრისით იგი დიდხდობით ყაბირ ნიადგაწეა, ახალ მეცნიერებად უნდა ჩამოყალიბდეს, რაშიც თავიანთ სიტყვაა იტყვიან ქიმიკებმა, მასალათმცოდნეები, ბაქტერიოლოგები და უთუოდ მეტეოროლოგებიც კი.

კვლის მხატვრობის ბედი, უპირველეს ყოვლისა, თვით ნაგებობის მდგომარეობაზე დამოკიდებულია: საკმარისია წვიმის ჩამოვარება, რომ მხატვრობას უმაღვე დაზიანება დაემუქურება. ფრესკულ ძეგლთა უმეტესობა სწორედ ამ მიზეზით დაზიანდა ან დაიღუპა. წვიმის ნაქერი იწვევს კვლისაგან კირის ბაჟაქების დაცილებას, რომელიც ნახაპით. მათ შორის ჩნდება ნესტი, ობობის ქსელი, სველდება არა მარტო ბაჟაქში, არამედ ფერადოვანი ზედაპირიც, შრეებში ჩნდება ბაქტერიები, იწყება ნახატის დაშლის პროცესი. დაზიანების ამ ეტაპზე ფრესკა ძნელად რომ რაიმე იხსნას. იგი, არსებითად, განწირულია.

მასასადამე, კვლის მხატვრობის ბედი უმთავრესად შენობის გადახურვაზეა დამოკიდებული. მისი სრულ წესრიგში მოყვანა მხატვრობის გადარჩენის მთავარი პირობაა. ამდენად, კულტურის ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის უპირველეს მოვალეობას, ცხადია, ძეგლთა სახურავების მოწესრიგება წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამის განხორციელება იმ მასშტაბით, როგორცადა დღევანდელი პირას მისული მრავალი ძეგლი ითხოვს, მეტად გაძნელებულია, სათანადო მასალებისა და ხელოსანთა კვალიფიკირებული კადრის სიმცირის გამო. მიუხედავად ამისა, არცერთი ეს პრობლემა ისე გადაულახავი არ არის, რომ განწირულ ძეგლებს მშვიდად უშვებოდეთ. ეს ამოცანა სახელმწიფო საეკემო კომისიის ჩარევითაც გადაიჭრება.

ძეგლის მკვიდრი, გამძლე სახურავით გადახურვის, გარეშე მოხატულობის კონსერვაცია-რესტავრაცია ყოველად დასაშვანია. უფრო მეტიც, ფრესკის დაღუპვა გარდაუვალია, თუკი იგი წვიმის ფონისაგან აბსოლუტურად არ დაცულია.

სარესტავრაციო საქმის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, კირის ბაჟაქს, რომელზეც მხატვრობა შესრულია და რომელიც დროთა განმავლობაში დასცილებია კვლის ზედაპირს, კვლელთან, ჩვეულებრივ, უფრო მეტი ავაგირიზმენ. უფრო სასურველ მასალად უნდა მივიჩნიოთ კირისაგან შედგენილი მასა, მაგრამ რესტავრატორები მის გამოყენებას ერიდებიან, რადგან გვიან შრება და დაკავშირების ნაკვალად, შესაძლებელია, სიმძიმის გამო ბაჟაქში საერთოდ ჩამოვარდნის. თაბაშირა კი, როგორც სწრაფად შრობადი მასალა, უფრო საიმედოდ მიჩნეული. აქ არ შეუვადგებიან აღწერას იმ რთული პრობლემა, რაც კონსერვაციასთან არის დაკავშირებული. დიდი სიხუსტის დაცვის გარეშე, მას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ეს სახელმძღვანელოების საქმეა. აღენიშნავი მხოლოდ, რომ თაბაშირ, სწრაფად შრობის გამო, თუ ხელსაყრელი მასალა, მას აქვს სასიხათო თვისებები: მეიერ ტენიანობასაც ვერ უძლებს. ამიტომ საკმარისია ძეგლი სისველის უზრუნველ უმცირეს წყარო არსებობდეს, რომ თაბაშირმა დაბკარვის სიმაღვე და მოხატულობას ტვირთად დააწვეს. ამიტომ უდიდეს შედეგმად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ძეგლების კონსერვაცია, რომლებიც წვიმისაგან აბსოლუტურად დაცული არ არის.

მავრამ საკითხავია — ძეგლის სახურავის სრულფასოვანი შეკეთება უკვე იძლევა კი მოხატულობის კონსერვაცია-რესტავრაციის უზღუდვას? ვფიქრობთ, არ იძლევა. საქმე ის არის, რომ მრავალი წლის მანძილზე წვიმის თვით უმცირესი ნაქური ნივთი გაჯდენილი კვლევი ტენიანობა დიდხანს ინარჩუნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტენიანობის სრულ ლიკვიდაციამდ თაბაშირის თუ სხვა რაიმე მასალის სამუშაოთა შესრულება სრულიად მიწანშეუწონელია.

არის კი დაცული ეს ელემენტარული პირობები? მაგალითად, ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში, როდესაც მე თვითონ ვმუშაობდი ამ სფეროში, ამ პირობებს არა თუ არავინ თვავლისწინებდა, მსგავსა თადარიგი სარესტავრაციო სქემათა პროგრამაში საერთოდ არ შედიოდა. ამ მოთხოვნას არ იცავენ არც ახლა. ეს ყინ წვიმისის მაგალითი დანაც აჩანს. აქ სახურავის სრული რემონტი მხოლოდ 1974 წლის ბოლოს დამთავრდა, მოხატულობის რესტავრაცია კი რამდენიმე წლის წინათ ჩატარეს. მრავალი წლის მანძილზე წყლის ფონით ყინწვისის ინტერტირის იცვა გაჯდენილი, რომ ნესტი ყოველგვარი ხელსაწყო გამოუყენებულად შეიგრძნობა. ვანა დასაშვები იყო ასეთ არასასურველ პირობებში სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარება, მით უფრო ფრადოვანი ფენის ისეთი საფუძვლიანი ხელშეშება, როგორც ეს ცნობილი ყინწვისის ანგელოზის მონუმტი მოხდა? ართუადრე, დღესაც კი, როდესაც ყინწვისის ეკლესია უკვე საიმედოდ გადახურეს, მისი მხატვრობის ხელის ხლება დაუშვებელია, ვიდრე მრავალწლიანი ნესტი არ ამოშრება და მისი შედგენი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებით არ დაზუსტდება. მით უფრო დაუშვებელი იყო სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოება სახურავის საიმედო გადახურვამდე.

კვლის მხატვრობის დაცვა-გადარჩენის საქმეში ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ რესტავრატორის შრომის ასეულადურების

კასტარული „წყისი“ და ელემენტარული ტექნიკურ სამუშაო-ბათა მოუწესრიგებლობა. შრომის ანაზღაურება წარმოებს შესრულებული სამუშაო ფართობის გამოანგარიშებით. ურთულესი პროცესი, რასაც განსაკუთრებული სიფრთხილე, აუქმარებლობა და სკრუპულოზური მეცნიერული მიდგომა ესაჭიროება, კალატოზის შრომის ანაზღაურების პრინციპამდე დაყვანილი, რაც ნებისთი თუ უნებლიეთ შესრულებულთა ყურადღებას რაოდენობისაკენ ამახვილებს.

ასლა ვიციხობთ, თუ რა პირობებში ტარდება ქართული კედლის მხატვრობის რესტავრაცია? ან თუ არსებობს მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ჩატარებულ სამუშაოს და მის მექანიკურს, ქიმიურსა თუ ბაქტერიოლოგიურ შედეგებს შეამოწ-



ტკობი.

მებს? თვით რესტავრატორი კი სწავლობს თავისი შრომის შედეგს ერთი, ორი ან თუნდაც ხუთი წლის შემდეგ? ეგებ მეტი ფართობის კონსერვაციით დაინტერესებულმა კირისა თუ ფერადოვანი ფენა რომელიმე მონაკვეთზე ისე საიმედოდ ვერ გაამაგრა, რომ დამატებითი საბუჯის გაყვებამ საჭირო? ან ეგებ კედელსა და ბათქაშს შორის ჩასახული ხსნარი გათვალისწინებულ არეს გადასვლა და შველის ნაცვლად ფრესკას ჩამოხრევივით ემუქრება? ან მას შემდეგ სასურავიდან წყალბა გამოჟონა და ფრესკის გამაგრებისათვის გამოყენებული თაბაშირის საბუჯენი ან შრეები დაღობა და სიკეთე ბოროტებად იქცა? ვინ არის ყოველივე ამის პერიოდულად შემოწმებელი ან განმეორებელი? სამწუხაროდ, არა ვინ. არა ვინ, რადგან ფრესკული ხელოვნების რესტავრაცია მეცნიერულ ნიადაგზე არ დგას.

არსებული წესისა თუ უწყისობის გამო, თვით რესტავრატორს დიდი სურვილი რომ ჰქონოდა საკუთარი ნაშრომის შემოწმებისა, ეს განუხორციელებელი ოცნებაა, რადგან ხის ხარაჩოების ხელახლა აგებაზე დამოკიდებული, ხილი თუ ამ ამოცანის გადაწყვეტა ერთხელ უკვე მიხერხდა, მეორედ, შემამოწმებლად ასეთი სირთულეს ვეღარ შეგვიძლება.

სამეცნიერო-ტექნიკური რეკონსტრუქციითა ემოქმად უსიტრული კია ამ აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხების პრიორიტეტულად ქვეყა, მაგრამ ის პირები, რომელთაც აბარიათ მათთვის კედლის მხატვრობის ბედი, ჯეროვნად რომ ითვალისწინებდნენ თუ რაოდენ საჭიროა თითოეული ძველის პერიოდული შემოწმება, სარჩოების „პრობლემაც“ გადაწყვიტოდა: მსუბუქი ლითონის რამდენიმე ტიპისა და ზომის ადვილად დასაშვები და ასაწყობი ხარაჩოების დამზადება მოხერხდებოდა და ეს საქმე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რაიონების სამშენილო კანტორებზე არ იქნებოდა დამოკიდებული.

რატომაც დამკვიდრებულია შეხედულება, რომ რესტავრაცია, განურჩევლად იმისა, ხუროთმოძღვრებას ეჭება თუ მხატვრობას, თითქმის მხოლოდ არქიტექტორთა კომპეტენციას შეადგენდეს. ამ შეხედულებას და ამის გამო მხატვართა იგნორირებას ღირებულებათა ნივლირიება და საერთო საქმისათვის ზიანის მოტანა მოსდევს.

სამბოთა კავშირის დიდი ქალაქების მუზეუმებთან სარესტავრაციო სახელოსნოება გახსნილი, სადაც სწორედ მხატვრები მუშაობენ ფრესკული ხელოვნების შესწავლაზე. სარესტავრაციო განყოფილებები ჩვენც გაგვიჩინა, მაგალითად, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი კედლის მხატვრობის რესტავრაციის პრობლემებს არ იკვლევს.

აღსანიშნავია, რომ სამბოთა კავშირის დიდი ქალაქების შემოსიხებული სარესტავრაციო-საკვლევე სახელოსნოება ძველთა მხოლოდ წინასწარი გამოკვლევებით არ ემყოფილდებიან, პერიოდულად სავანებოდა სწავლობენ ადრე ჩატარებულ სამუშაოებს და საჭიროებისთანავე თითოეული ძველის მიმართ სასწრაფო ზომებს იღებენ. მთელი ეს რთული პროცედურა ანგარიშების სახით იბეჭდება „მოამბეებსა“ და „შრომებში“, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვითკონტროლის, არამედ სტიორიულ-მეცნიერული თვალსაზრისით.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო ფრესკათა რესტავრატორებს პერიოდულად აგზავნის სამბოთა კავშირის სხვადასხვა სარესტავრაციო სახელოსნოში. ეს უდავოდ საჭირო ღონისძიებაა, მაგრამ არც ეს უნდა დაგვიწყდეს, რომ თუ სარესტავრაციო საქმის წინსვლა ჩვენში წამბაძველობას, სხვათა მონაპოვრების ბასიურ განმეორებას ვერ გასცდება, ინტერესობასა და ჩამორჩენილობას თავს ვერ გაართმევს. საქართველო ფრესკული ხელოვნების უმდიდრეს ქვეყანაა და იგი შეუძლებელია დარჩეს ორიოდ, მუდმივ სხვა სამეცნიერო ბაზაზე დამყარებული ოსტატის იმედით. მაგრამ მოკვარი კიდევ ის არის, რომ ერთი საქმე პერიოდული შემოწმება რესტავრატორის კვალიფიკაციისა, მეორე კი თითოეული ძეგლის მხატვრული, მექანიკური, ქიმიური თუ ბაქტერიოლოგიური თვალსაზრისით მცენიერული გამოკვლევა და ამის მიხედვით სარესტავრაციო ამოცანათა სწორი დასახვა.

სათავად აქტით, მიღებული „რესტავრაციის შემდეგ არა ვინ იცის, თუ აღდგენილ ძეგლში დროთა განმავლობაში რა პროცესები წარმოიშვა. გაიცილის დრო და აღმოჩნდება, რომ იგივე ძეგლი ისევ, და ეგებ უფრო მეტად საკვალყო მდგომარეობაშიც კია.



აქედან ნათელია, რომ ქართული ფრესკული ხელოვნების მართებული დაცვა-აღდგენისათვის უპირველესი პირობაა სათანადო საკვლევი ლაბორატორიის და მასწავლებლის, რომელიც თავს მოუყრის არა მარტო რესტავრატორებსა და რესპუბლიკის მაღალკვალიფიკირებულ მხატვრებს, ხელოვნებისმცოდნეებსა და ხელოვნობისმცოდნეებს, არამედ ისეთი დარგების წარმომადგენლებს, როგორცაა ქიმიკა, მასალათმცოდნეობა და ბაქტერიოლოგია, რომლებიც ფრესკული ხელოვნების რესტავრაციის შემსწავლელ მეცნიერებას ჩაუყრის საფუძველს.

ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს თითოეული ძეგლის და უზარალებელ ძეგლის მცვენიერული გამოკვლევა, რესტავრაციის შემდგომ კონტროლული სამუშაოს სისტემატური შემოწმება.

მხატვარი-რესტავრატორი ამ საკვლევ დაწესებულების სრულფასოვანი მეცნიერ-თანამშრომელი უნდა იყოს. მისი უფლება-მოვალეობანი კუბატარულიდან მეცნიერულ ნიადაგზე უნდა დამყვიდნდეს.

მეცნიერების ყურადღებას შევაჩერებ კიდევ ერთ მიმართულებას საკითხზე: მხედველობიდან არ უნდა გამოვარდეს, რომ მხატვრობის ტექნიკა თანადროულ ესთეტიკურ იდეათა გამოთქმის საშუალებაა და რომ იგი დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი იდეალების მიხედვით იცვლებოდა.

ყინწვისის ფრესკებთან დაკავშირებით არც რესტავრატორთა და არც მის მეცნიერ-კონსულტანტებს ეს ისტორიული კანონზომიერება არ ვაუთავალიაწინააღმდეგობა. სწორედ შაბლონურმა მიდობამ გამოიწვია ის, რომ ფრესკას პირიანდელი სახე დავკარგა. მხედველობაში არ ყოფილა მიღებული, რომ ფრესკული ტექნიკა მოსოფლმეგრძენების თვით ოდნავ ცვალებადობასთან ერთად იცვლებოდა.

საქმე ეხება ყინწვისის მონასტრის ისეთ თავისებურებას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის რენესანსული ტენდენციების ანარქული წარმომადგენლს და რის გამოც მხატვრების ეს ძეგლი სტეპისაგან ტექნიკური შესრულებითაც გამოირჩევა.

ყინწვისის მონასტრის ისეთივე ისტორიული იდეალების შესახებ ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში გამოთქმულია სოფიკური მოსაზრება, მაგრამ რენესანსული ტენდენციების გამოვლენების თვალსაზრისით იგი საკანგებოდ არ განხილულია, მის ტექნიკურ თავისებურებაზე კი, მით უფრო, საფუძვლიანი არაფერი დაწვრილა. რესტავრატორს ყინწვისის მონასტრის ისეთივე ისტორიული იდეალების გაცნობიერებაც ეს სათანადოდ არ შეუძლია (იმის გამო, რომ შესასუკუნეების ქართული ხელოვნება რენესანსული მოძრაობის ასპექტში არასოდეს ვააზრებულა), ის მიხედვით ისტორიული, რომ მონასტრის ტექნიკური შესრულების თავისებურება პრაქტიკოს მხატვრის ადგილი გაცნობიერებისა და საგანგებოდ გაფრხილებულიყო.

კარგად გვეხმის, რომ აქ მხატვრული აზროვნების აღიქვატური ტექნიკის ისეთ საკითხს ვხვებით, რომელიც რესტავრაციის მომენტისათვის არა თუ შემეცნებელი, სავარაუდოდ არ იყო. მაგრამ შამამომავლობას ეს ვერ ანუგეშებს.

საქმის არის, რომ ყინწვისის მონასტრის, იმევე პერიოდის ქართული კვლის მონასტრის სოფიკური ძეგლია ერთად, ნამდვილი ფრესკის ტექნიკის ნაცვლად, შერეული ტექნიკითა შესრულე-

ბული, რითაც მხატვარი ახალ იდეათა აღიქვატური ხერხის გამოძებნას ცდილა. ამის ნაყოფი, ამისთვის თვით ფრესკის შესრულების თავისებურებები უნდა გაეხსენებინათ. ფრესკის არსებითი თავისებურება კი სველი ბათქაშის საღებავებით სწრაფად დაფარავი გამოხატებოდა, რათა სისველეს, დიფუზიის კანონის თანახმად, ბათქაშთან საღებავის ორგანო დაკავშირება მოხდენა. ასეთი საიმედო დაკავშირება ქრისტიანული რელიგიის მანადისთვის იდეით იყო ნაკარანსები.¹

ფრესკის შესრულების ტექნიკის მეორე თავისებურება კი სველი საღებავები კირის გარკვეული დონის შერევაში გამოხატებოდა. ამას ორგანო მიმდებარეობა ჰქონდა: კირის შერევის საღებავი კირისვე ბათქაშს ორგანულად უკავშირდებოდა, ამასთანავე, ტონალობას განყენებულ იერს აძლევდა და შორსმდებარე ასოციაციებით იმეყენიერ წარმოდგენებს უღვივებდა.

ეს წესი დაცულია შუასაუკუნეების ქართული კვლის მხატვრობის ძეგლებში. გამონაკლისს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის ქართული კვლის მხატვრობის სოფიკური ქმნილება, მათ შორის ნაოლისმეგობრის ელესია გარეგანი და წმ. ნიკოლოზისა და ღვთისმშობლის ელესიები ყინწვისში. გამონაკლისს რიცხვს უთუოდ გაიზარდა, თუ მათვე თვალსაზრისით მთელ ეპოქას შევისწავლით.

დასახელებულ ძეგლთა მონასტრის ავტორები საღებავებში კირს სოფიკურ არ ურევენ და ამით იმეყენიერ პირობითი ტონების ნაცვლად იმეგრ. შერევის მატერიალურ ტონებს აღწევენ, რომელიც მაყურებელს ამეყენიერ ასოციაციებს უღვივებს. ასეთია, მაგალითად, სუფთად აღებული კობალტისმავალი ცისფერი, რომელიც სხედნ გამოარჩევს ყინწვისის ჯგუფის ძეგლებს ყოველგვარი სხვა ძეგლისაგან.

აღსანიშნავია სხვა სახის გამოხატვის: მაშინ, როდესაც სველ ზედაპირზე შესრულებული ფრესკა, ჩვეულგნობ, საღებავის ერთ ფენას იტეხებს, დასახელებულ ძეგლებში სველ ზედაპირზე ერთ ფენად მხოლოდ კომპოზიციითა ნიშანდობა და ფიგურათა კონტურებია შესრულებული. სხვა დანარჩენი კი ბათქაშის შერევის შემდეგ დეფარავი ტონებით, რაც მხატვრის ერთიმეორეზე რამდენიმე ფერადობანი შრეს დაეყენის საშუალებას აძლევდა. ამ წესის გამოყენებით მხატვრებს ფრესკის სიმქრალე ტონალური სიხასხასით შეუცვლიათ. აქ მოცინდრო ანტიკიტული ტონის ნაცვლად, რეალური ცისფერი, ხასხასა სამხრეთული ცის ფერი. ეს ყინწვისის ჯგუფის ქართული ძეგლების უპირითაფხი ნიშანია და, სხვა არავითარ ნიშანთან ერთად, ქართულ ხელოვნებაში რენესანსული კონცეფციის აშკარა გამოვლინებაზე მიგვითითებს.

ყინწვისის ანგელოზის შემქმნელი რენესანსული მოსოფლმეგრძენის ხელოვნება. იგი ანატიკური მოძრაობის სილამაზის პრობლემა (კონტრასტი) იცა წყვეტს, როგორც კონტრასტული

1 იმევე საკვლისნობა, რომ მხატვრობის დასრულებამდე ბათქაშის სისველეს შენარჩუნებისათვის ქვისაგან წარმოკვლავ წინასწარ ორჯერ მაინც ანგელოზდენ, ავტორის კი — სოფიკური მაინც. ამასთანავე, კირის ბათქაშის მასაში, გამოვლინებისთვის, ცხენის ძუეუკეინადი რაგორც აღმტეხითა მასალა და მის არმტეხის ფუნქციის ავტორებდენ. ამიტომია, რომ იქ, სადაც ყველა ეს წესი ზედმიწევნითა დაცულია, კირისა და საღებავის ფენები იდეით გამოვლინება გამოარჩევიან.

რი აღორძინების კორიფემაბი ორი-სამი საუკუნით გვიან განა-
ხორციელეს. ეს ფაქტი საქართველოში რწეს-ანსული მსოფლ-
შეგრძნების ისეთი წინასწარმავუწყებლობაა, რასაც ჩვენა
კულტურის ისტორიან მართებული გამოქებისათვის უდიდესი
მნიშვნელობა აქვს. ყინწვისის ანგელოზის ავტორი არ არის
ერთადერთი ისტატი, მას ამგვარად მოაზროვნე მხატვრების
მთელი ჯგუფი უდას გვერდით. მათ ერთობლივად, ტრ-
დიციული ფრესკული ტექნიკაც უარუყვი-
ათ და პროგრესული იდეათა ხორცშესხმისა-
თვის ფრესკისა და სკეოს შერეული ტექნი-
კისათვის მიუშარათათ. წინასწარმავუქქ-
ბლური რენესანსული აზროვნების მთლიან
სისტემაში ეს ფაქტიც საგანგებო ყურა-
დღებისა და სათანადო დაფასებია ღირსია.

ზუნებრივი ცის ფერისადმი ტრფილით, შერეული ტექნი-
კითა და მრავალფეროვანი ფერებით ყინწვისისა ჯგუფის მხა-
ტერებმა ამქვეყნიური მშენიერების იდეებს ნიუზღეს წილი,
ხილო უდალატეს დამკვიდრებულ ტრადიციას, რომელიც
მხატვრობის გამძლეობასა და იმქვეყნიური ილუსიების შექ-
მას უპირველეს ამოცანად თვლიდა. შშრალ შედაპირუე კი-
რის შეურველად შესრულებული ტრნივი მეტად ევაშტურია
და, ამასთანავე, მარადისობის სქოლასტიკურ იდეას არ პასუ-
ხობს — კელიდან ადვილად ცვივა. ამით არის გამოწვეული
ყინწვისის მხატვრობაში თამარის, კოორგი III და ლაშას გა-
მისხასულებლთა ფერადოვანი ტენის ძლიერი ჩამოცვენა, ზეა-
ნისა და წმინდა ფრესკული ტექნიკით შესრულებულ მრავალ
სხვა ძეგლთან შედარებით. ამქვეყნიური მშენიერების ტრფი-
ალში ყინწვისის ჯგუფის ისტატები ისეთ ცისფერ ტონს მიმა-
რთავენ, რომელიც გამძლეობას ვერ გამოიჩენს, მაგრამ რეალუ-
რად არსებულს ჰგავს, „ეფფესტიკაინის“ შემქნელი ქვეყნი-
სათვის ეს არც უცნაური და არც უნადიგო მოვლენაა.

რესტავრაციის დროს ყოველივე ამის გათვალისწინება
საჭირო იყო. თვით ყინწვისის ანგელოზთან დაკავშირებით
ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ხასხასა ცისფერი ტონის კონ-
სერვაცია უნდა ყოფილიყო და იგი არც ერთ შემთხვევაში,
სხვა, თუნდაც მონათესავე ტონით არ უნდა ეცოფილიყო, სა-
მსუხაროდ, ანგელოზის რესტავრაცია ამ გზით არ არის წარ-
მართული: ამ დეტალში ხასხასა ცისფერთან თბილი მომწვანე
ტონის სამოისის არტიკულად შესრულებულ ნაოჭთა პირვან-
დელ მოხდენად კონტრასტს განსაკუთრებულ ესთეტიკური
ფუნქცია ვისრულებდა. რესტავრაციის შემდეგ კი, ფერადა-
ცლილი ადგილების არაუსტი ტონებით შევსების შედეგად,
კონტრასტი მინელებულია. რა დაბურუნებს უბრწიწვალს
ქნისლებას ფერთა კონტრასტის იმ თუნდაც ოდნავ უფრო მა-
ღალ რეგისტრს, რაც ასე აღმაშლებდა შთაბეჭდილებას?

2 ძეგლთა დაცვის სათანადო ორგანოები ამ მხრივ ინფორმირე-
ბული რომ ყოფილიყვნენ, ყინწვისისა და მისებრი ტექნიკით შეს-
რულებულ ძეგლებში უთუოდ საგანგებო მოქაიებებს აავებდნენ,
რათა ექსკურსანტები ველუმს არ ეხებოდნენ და ფერადოვანი ფე-
რის ვადრინილი ნაწილებსაც არ ჰაიანებდნენ.

ამრიგად, რესტავრაციის შემდეგ ყინწვისის
ანგელოზს პირვანდელი მხატვრული მნიშვნელობა
ცოცხალი მთელი ძალით ვერ შემორჩა, ცხადოსისა
ამ ძეგლის მხატვრული და ტექნოლოგიური
თავისებურებანი წინასწარ რომ ყოფილიყო
საუფუძელიანად შესწავლილი, ეს არ მოხდებო-
და.

ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობა და სარესტავრაციო საქმე
ჯერ არ ღვას ისეთ დონეზე, რომ ყინწვისის მხატვრობის
ძეგლებს ადვილად ვხეზოდეთ. ქართული ფრესკების
მივლა-პატრონობის საქმე ჯერ არაა თუ აღ-
დგენის უფლებასა და გვამძლევეს, კონსერვაცი-
ის სათანადო დონეზეც არააღიას. იგი რესტავ-
რაციის უფლებას დიდხანს ვერ რიადწევს,
კონსერვაციისას კი მხოლოდ ისეთი ლაბორ-
ატორიის დაარსებისა და ინტენსიური მუ-
ცნიერული კვლევის შემდეგ, როდესაც რეს-
ტავრატორების, ხელოვნებათმცოდნეებისა
და მხატვრების გარდა ამ საქმეში სპეცია-
ლურად ჩაერთვებიან ქიმიკოსები, მიკრობი-
ოლოგები, მასალათმცოდნენი, მეტეოროლო-
გები და როდესაც ყოველი ნამუშევარის სიყ-
ვემე დატური შემოწმების საგანიც ხდება.

ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებას, როგორც სხვა
ყველა მეცნიერების განვითარებას თქმა არ უნდა, დიდი მნი-
შვნელობა აქვს, მაგრამ დრო მივხვედეთ, რომ არანალები და
უფრო მეტი მნიშვნელობაც კი აქვს თვითონ ხელნების ძეგ-
ლი შენარჩუნების მეცნიერების შექმნას, მით უფრო ისეთ
ქვეყანაში, როგორც საქართველო.

ასობით უბრწიწვალესი ძეგლი წვიმებისა და „ტურისტკა-
ბის“ ხელყოფისაგან ჯერ არ დავიცავას, ყინწვისისა და ატენ-
ის ფრესკები კი მეტად არასასურველი კორექტივები შევი-
ტანენ.

ძველი ქართული ხელოვნების ისტორიას, როგორც მეცნიე-
რებას არსებითად, ჩვენს საუკუნეებში ჩაყვანა საუფუძელი.
ასე რომ, ის ჯერ კიდევ საკამოდ ახალია. მომდევნო ეპოქები
ჩვენი თაობების ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევებიდან მხი-
ლოდ ნაწილს შეინარჩუნებენ და აღმათ უფრო მართებულ თე-
ორიებს შექმნიან. ისტორიის ამ დიალექტიკურ პროცესს თუ
არ დავიწყებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავლის ინ-
ფორმებისათვის უშუაბრისა ჩვენი სათუო კონცფიციების გა-
მოდგენებაზე მეტი დრო და ყურადღება უთუოდ მხა-
ტერული დიერე ულებების, — ძეგლების
ცვას მოვანდომოთ. ხელოვნებათმცოდნეო-
ბის განვითარების პარალელურად, სარეს-
ტავრაციო საქმის ქუმმარტიად მეცნიერულ
დონეზე აყვანა პირველხარისხიდან პრობ-
ლემად უნდა იქცეს.

3 ატენის ფრესკებში ერთ-ერთ ანგელოზს რესტავრაციის შედეგად
თავი აქვს მოხატული.



მსუბიმიტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველად ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. ამ ხნის მანძილზე საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია ძეგლთა დაცვისა და მათი მოვლა-პატრონობის მხრივ.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ძეგლთა აღდგენა-გამგრებით სამუშაოებში ჩაბმული იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერ-რესტავრატორები და ამიტომ მრავალი სამუშაო მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული.

დამთავრდა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლის, XI საუკუნის კათედრალური ტაძრის, სვეტიცხოვლის სარესტავრაციო სამუშაოები და მეცნიერული შესწავლა. აღდგენილია სვეტიცხოვლის კარიბჭის პირვანდელი სა-

დმი, ბიჭვინთის ტაძარში მოაწყო გამოფენა. ამჟამად მიმდინარეობს შენობის კაპიტალური რეკონსტრუქცია და შეუდგენილია გაფართოება. გამოფენა კი გადატანილია იქვე მდებარე ყოფილი სკოლის რეკონსტრუირებულ შენობაში.

გაგრძელებულია, VII საუკუნის ძეგლში მოწყობილი გამოფენა რამდენიმე ათასმა კაცმა დაათვალიერა.

რაც შეეხება გრემის ხუროთმოძღვრულ ძეგლს, მისი ციხე-კოშკი და მთავარანგელოზის ეკლესია რამდენჯერმე შეკეთდა, მაგრამ დღეისათვის კვლავ საჭიროებს ნაწილობრივ შეკეთებას. ალვა-ალვა წვიმა ჩამოდის, მოუვლელია ტაძრის მთელი ტერიტორია და აღდგომის ეკლესია, ამის შესახებ ითქვამს კიდევ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყვარლის რაიონულ კონფერენციაზე.

საპარტიზმოს

კულტურის ძეგლთა დაცვის

საზოგადოების ყ მდირობა

ოთარ სანებლიძე

ჩვენი

საზრუნავი

ზე. შესწავლილია აგრეთვე მასთან მიმდებარე სასახლის ნაშთები.

მიღებულმა ღონისძიებებმა არა ერთი მნიშვნელოვანი, მანამდე უცნობი ფურცელი გადაშალა ამ საინტერესო ძეგლების ისტორიისა.

ბეთანიაში ჩატარდა ფართო გამარებითი სამუშაოები რუსთაველის ხანის ამ საინტერესო ძეგლზე, განადგურებას გადაურჩა ამ ძეგლებში დაცულ ნივთებსაც, რომელთაც ქართული ხელოვნების, მისი კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. 1970 წელს მცხეთის რაიონში ძეგლთა დაცვის საზოგადოების სასწრაფო შეკვდა ოცამდე ძეგლი, მათ შორის სოფელ ლაღაში — X-XII საუკუნის ეკლესია მაცხვარიში, სოფ. ინაში — წმინდა კვირიკისა და ივლიტას ეკლესია. აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა მცხეთის სამთავროს ხუროთმოძღვრულ კომპლექსზე, ე. წ. მირიანისეულ მცირე ეკლესიაზე, მოწესრიგდა აღმოსავლეთის კედელი და კომპლექსის ეზო.

ნაწილობრივ შეკეთდა მანგლისის ტაძარი, რომელზეც მუშაობა შემდეგშიც გაგრძელდება.

კულტურის ძეგლებით მდიდარი კერაა ზემო სვანეთი. იგი მუშავდება ღია ცის ქვეშ. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არა მარტო სამხედრო-საფორტიფიკაციო ნაგებობებს, არამედ ამ ძეგლებში დაცულ ნივთებსაც, რომელთაც ქართული ხელოვნების, მისი კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. 1970 წელს მცხეთის რაიონში ძეგლთა დაცვის საზოგადოების სასწრაფო შეკვდა ოცამდე ძეგლი, მათ შორის სოფელ ლაღაში — X-XII საუკუნის ეკლესია მაცხვარიში, სოფ. ინაში — წმინდა კვირიკისა და ივლიტას ეკლესია. აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა მცხეთის სამთავროს ხუროთმოძღვრულ კომპლექსზე, ე. წ. მირიანისეულ მცირე ეკლესიაზე, მოწესრიგდა აღმოსავლეთის კედელი და კომპლექსის ეზო.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა, გაითვალისწინა რა დასაყენებლათა დიდი ინტერესი ქართული მატერიალური კულტურისა და ისტორიისა-

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კასპის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის ინიციატივით, საქართველოს კომპარტიის კასპის რაიონული კომიტეტის აქტიური მხარდაჭერით პირველად ორგანიზაციების შორის მოწვევა შეკრიბა ტერიტორიული კულტურის ძეგლების მოვლა-დაცვაში. სოფ. კავთისხევის საშუალო სკოლის პირველადმა ორგანიზაციამ ითავა ისეთი მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვა, როგორც VI საუკუნის იდუმალ ნათლისმცემლის ეკლესია, ქვათახევის რუსთაველის ეპოქის მონასტერი. მას მხარი დაუჭირეს და კიდევაც გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ლამისყანის, ქვემო ჭალისა და სხვა სოფლების საშუალო სკოლებში. რწმენას გამოეთქვათ, რომ კასპელთა ეს პატრიოტული თაოსნობა კამპანიური სასიათა არ იქნება და რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ძეგლებს არ მოაკლდება მზრუნველი ხელი. ამგვარი ღონისძიებები განასორციელებს სხვა რაიონებმაც.

მიუხედავად აღნიშნულისა, კულტურის ძეგლთა დაცვაში ჯერ კიდევ არის დამოჭირებელი ხარვეზები და ნაკლოვანებანი. ძეგლებისადმი უდიერი დამოკიდებულების ფაქტებს ადგილი ჰქონდა და აქვს თბილისში. ხანგრძლივი შეკადნიერება დასჭირდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის საზოგადოებას და სხვა ორგანიზაციებსაც, რათა ბელოდების ღვთისმშობლის არქიტექტურული კომპლექსიდან გამოგვეყვანა საგუნდო-ქორეოგრაფიული საზოგადოების საამქრო, რომელმაც დიდი ზიანი მიაცენა არა მარტო ეკლესიის ძირითად ნაგებობას, არამედ სამრეკლოსაც. კულტურის სამინისტრომ და ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ უნდა იზრუნონ, რათა აღნიშნულმა ორგანიზაციამ ძეგლს დაუბრუნოს

პირვანდელი სახე. ამჟამად ძველის შეფობა იკისრა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრამ. საგუნდო-ქორეოგრაფიული საამქრო ვალდებულია მინაწილობა მიიღოს მის რესტავრაციაში.

ჩვენი ყურადღება აქვს XVIII-XIX საუკუნეების ნაგებობებს, სასახლეებს, რომელთაც გარკვეული არქიტექტურული, ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ. ვფიქრობთ, სასხინოს დაღინების, ლენინგორის, ქსნის ერისთავებისა და სხვა სასახლეები მეტი ზრუნვის ღირსია, მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა აუცილებელია. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოგონებებით ბიუჯეტი, საზოგადოებრივ საწყისებზე შეფობა ამ ძეგლებს სათანადოდ ვერ დაიცავს. მეტი სიმკაცრე საჭირო იმ ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც ამ ძეგლებს იყენებენ თავიანთი საჭიროებებისათვის. ამგვარი ძეგლები კი ჩვენს რესპუბლიკაში ერთეული როლია.

აქვე გვინდა შევეხოთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ძეგლებსაც. საბჭოთაო არქეოლოგიურმა მეცნიერებამ არაერთი ისტორიული ძეგლი გამოამუშურა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. საყოველთაოდ ცნობილია მცხეთაში, თრიალეთში, ვანში, შულავერსა და სხვაგან მიკველუა ძეგლების მხატვრული ღირებულება.

ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები კარგად არის დაცული. ასევე კარგად მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები და განთავსების დაცვა ნოქალაქეში. მაგრამ, სამწუხაროდ, სანიმუშოდ შესწავლილი და დაცული ძეგლები თითქმის ჩაიშობება. ვერ შევინარჩუნეთ შულავერში აღმოჩენილი საცხერისები, ქარ-წვიმა არღვევს ურბნისის ცნობილ ალბის კომპლექსს. ასეთი ძეგლი ბევრია.

როდესაც ამა თუ იმ ობიექტის არქეოლოგიურ გათხრებს ვიწყებთ, მის მომავალ დაცვაზე უნდა ვიფრუწოთ, დავაფასოთ არქეოლოგთა შრომა, მიკველული ძეგლები სავანეებოდ უნდა დავიცვათ და შევეწახოთ შთამომავლობას.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ დიდი და შრომატევადი მუშაობა გასწავია ქართული კულტურის პირველხარისხოვანი ძეგლების მე-

ხიერული შესწავლისა და აღდგენა-გამაგრიბისთვის. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი თვალსაჩინო ძეგლი მთავრდება სხვის გადაუდებელ დახმარებას. ესენია: სამშვილდე, გუდრუხი, ასკანის ციხე, ჭყონდიდ-მარტვილი, იკორთა, ლარგისი, სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის სამხედრო-საფორტიფიკაციო ნაგებობები, ნასოფლარები, ნაქალაქრები და სხვა.

ამ ძეგლების დაცვა-პატრონობისათვის საჭიროა მეტი ენერჯითი, შემართებით, საქმის ცოდნითა და მონდობებით განშალთ მუშაობა, დაერაზმთ და ავამოქმედოთ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და მისი პრეზიდიუმი დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობისათვის თანამედროვე ისტორიული მეცნიერებისა და ხელოვნებათმცოდნეობის უკანასკნელი მიღწევების ფართოდ გაცნობას, ატარებს ლექციებს, საუბრებს, კონფერენციებს, საუბლილო თარიღებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებს და სხვ.

რესპუბლიკურ გაზეთებში — „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „სოფლის ცხოვრება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“ არა ერთი მნიშვნელოვანი წერილი, ცნობა თუ რეპლიკა დაიბეჭდა ჩვენი დიდი ეროვნული საუბრისა და დაცვისა და მოვლა-პატრონობის გამოცემებზე. რამდენიმე გადაცემა მოაწყო საქართველოს ტელევიზიამ და რადიომ. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და მწერლების მიერ დაყენებული საკითხები, კრიტიკული შენიშვნები უფოდ ყურსდასაღები. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება და სხვა ორგანიზაციები გათვალისწინებენ მათ მოსაზრებებს შემდგომ მუშაობაში.

წერილები, რომლებიც რაიონული გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა, საკითხის დაყენების სიმახვილობა და მისი გადაჭრის გზების ძიებით ხშირ შემთხვევაში სამავალითა.

ძეგლთა პრობაგანდის საუკეთესო საშუალებაა კარგად ორგანიზებული ექსკურსიები. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, ძირეულ ორგანიზაციებთან კონტაქტში, სასხრების გარკვეულ ნაწილს გამოყოფს ექსკურსიებისათვის. ბოლო პერიოდში ასობით ექსკურსია მოეწყო ისტორიული ადგილების გასაცნობად და დასათვალისწინებლად. ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი აწყობს აქტივობათა შორეულ მიზნობრივ მივლინებებსაც. მაგალითად, მიმდინარე წელს ძეგლთა დაცვის მცხეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე და რამდენიმე აქტივისტი გამოცდილების გასაზარებლად მივლინებული იყვნენ ქალაქ-მუხუმ სუზდალში. როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით მცხეთა უნდა იქცეს ქალაქ-მუხუმად.

მიუხედავად აღნიშნულისა, ლემკიური პრობაგანდა და ექსკურსიების მოწყობის ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ დგას მაღალ დონეზე. ბევრი ექსკურსია-ლაშქრობა კვალიფიციურ ლემკორ ექსკურსიამძღოლების გარეშე ტარდება და, ცხადია, სანახევროდ კარგავს მნიშვნელობას.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და მისი პრეზიდიუმი გარკვეულ ყურადღებას უთმობს სავა-

ფოტორეალი.




მომცემლო საქმეს. ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამო-
იცა ნ დასახელების ბუკლეტი რამდენიმე ასეული ათასი ტი-
რაჟით, რომელთა ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები.
გამოიცა ღია ბარათები. მკითხველებმა მიიღეს ჩვენი ცნობი-
ლი მეცნიერების ნაშრომებიც.

ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავ-
ლის, დაცვისა და პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი
წვლილი შეაქვს სასოგადოების კრებულს, „ძეგლის მეგობარი“,
რომელიც ათი წელია სასოგადოებრივ საწყისებზე გამოდის.
კრებულმა ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ პერიოდიკა-
ში და მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობს. მისი
თითოეული ნომერი ნათელყოფს, თუ რა შეუძლია ენთუზი-
აზმს, საქმისადმი სიყვარულსა და მონდომებას. „ძეგლის მე-
გობრის“ კარგად გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვით სა-
ქართველოს კომპარტიის ცკ გამომცემლობის (დირექტორი გ.
გელაშვილი), ფერადი ბეჭდვის სტამბის (დირექტორი გ. გო-
გინაშვილი) მუშაკთა მონდომებულ მუშაობას. ასევე უნდა
აღინიშნოს მხატვრების — ლ. გუდიაშვილის, ელ. ამაშუგე-
ლის, მ. ბერძენიშვილის, დ. დუნდუას, თ. სამონაძის, ლ. შენ-
გელიას, მ. ნადირაძის, ნ. მგალობლოშვილის, ა. ფონჩუასა და
სხვების უანგარო თანამშრომლობა. მარჯვედ მუშაობენ ფო-
ტოსტატებიც — ი. ზენკო, თ. ფურცხვანიძე, ნ. არჩვაძე, ი.
გილგენდორფი, ჯ. ჯიშკარიანი და სხვები.

კულტურის ძეგლთა დაცვის სასოგადოების ძირითადი
ფინანსური წყაროა საწევრო ანარიცხები. ამიტომ ჩვენი ერთ-
ერთი ამოცანაა გავზარდოთ ამ სასოგადოების წევრთა რიცხ-
ვი. სასოგადოების წევრთა ზრდისა და წლიური ფინანსური
გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში თავი გამოიჩინა ქ. თბი-
ლისის თითქმის ყველა რაიონულმა საბჭომ, ასევე ქუთაისის,
ბათუმის, გორის, ბორჯომის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის,
ტყუბულის, ზუგდიდის, თელავის, მცხეთის, მახარაძის, გურ-
ჯაანის, ცხაკაიას, ახალციხის, კასპის, სამტრედიის, წყალტუ-
ბოს, ყვარლისა და სხვა ორგანიზაციებმა. მკვეთრად გააუმ-
ჯობესეს მუშაობა ძეგლთა დაცვის აფხაზეთის, აჭარის, სამ-
ხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციებმა.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვივით მესტიის, სავარჯოს,
ყაზბეგის, დმანისის რაიონებზე, რომლებიც სისტემატურად
ვერ ასრულებენ გეგმებს.

ჩვენს რესპუბლიკაში უამრავი ძეგლია, რომელთაც მზრუნ-
ველი ხელი ესაჭიროება. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს
შეფობას მატერიალური კულტურის ძეგლებზე, მაგრამ არა
კამპანიურად და ფორმალურად, არამედ საქმიანად, მთელა
მონდომებით. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს საქართველოს ალკ
ცენტრალური კომიტეტის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა
დაცვის კომისიის ნაყოფიერი საქმიანობა. ეს კომისია, რომე-
ლიც თავის რიგებში აერთიანებს ცნობილ მეცნიერებს, კომ-
კავშირული და სასოგადოებრივი ორგანიზაციების წარმო-
მადგენლებს, აქტიურად მონაწილეობს ძეგლთა აღრიცხვისა
და შეფობის საქმეში. კომისიის საქმიანობას პირ-
ველი ამოუღა მხარში საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაცია
(თავმჯდომარე ზ. გოგიაშვილი), რომელმაც ითავა შეფობა
გაუწიოს თეორიწყარის რაიონის მნიშვნელოვან ძეგლებს:
სამშვილდის ნაქალაქარს, გუდარეზის ნადარბაზევსა და
სხვებს. ვფიქრობთ, მათ არც სხვა ორგანიზაციები ჩამორჩე-
ვიან.



სტრეტიცა.

ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე კიბერნეტიკის
ინსტიტუტის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაცია
(თავმჯდომარე გ. ავალიანი). ფართო და ვრცელია ამ ორ-
განიზაციის გეგმები და საქმიანობა. იგი შეფობას უწევს მცხე-
თის სამთავროს ტაძარსა და ნაქალაქარ უფლისციხეს, უშუ-
ალოდ მონაწილეობს სარესტავრაციო სამუშაოებში.

მაგრამ ყველა ორგანიზაცია როდღე იჩენს გულმოდგინებას
ძეგლების მიმართ. ჯერ კიდევ მრავალი კულტურის ძეგლი
სხვადასხვა ორგანიზაციის უკავია.

ჩვენს უძველეს კულტურას ურიებში გულშემატივარი
ჰყავს. ამიტომ გულისყურით უნდა მოვიცილოთ ყოველ კრი-
ტიკულ აზრსა თუ წინადადებას, გავითვალისწინოთ ჩვენს
მომავალ საქმიანობაში.

ქველთა სიოოცხლინათი

ქულტურის ძეგლთა დაცვის კასპის რაიონულ სოზოგადოებ ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მოვლა-პატრონობაში. მოსავლელი კი ცოტა როდია. აქ ორასამდე ძეგლს შორის ათეული მაინც რჩეულია. მაგრამ არც მოხვედრია მცირე რიცხოვანი. ძეგლთა დაცვის რაიონულ საზოგადოება 9 ათასამდე კაცს აერთიანებს.

ეს საზოგადოება ბევრ კარგ საქმეს აკეთებს და მოსახლეობაში ავტორიტეტით სარგებლობს. კულტურის ძეგლებთან დაკავშირებულ საჭიროებოტო საკითხებზე პირველ რიგში მის შესყურებს მიაკითხავენ ხოლმე როგორც რაიონულ ცენტრში, ისე თვით სოფლებში — პირველად ორგანიზაციებში.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ სამბჭოს მთავარ დასაყრდენ ძალად სამართლიანად მიაჩნია საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები. პირველ რიგში ესენი არიან სასკოლო ორგანიზაციები, რომლებიც ადრე უფროხილდებოდნენ წინაპართა ნახელავს, მაგრამ ბოლო დროს განსაკუთრებით გამოირჩნეს თავი.

მიზინარე წლის დასაწყისში კავთისხევის გ. შატბერაშვილის სახელობის საშუალო სკოლის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრებმა — მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა — საერთო კრებაზე გაოდებულება აიღეს, რომ სანიშნოდ მოველიან თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ კულტურის ძეგლებს, შეისწავლიან და პოზიანდას გაუწევენ. ამის შესახებ მათ რაიონული განუების მეშვეობით მოწოდებით მიმართეს სხვა სკოლების მოსწავლეებს. ვაიშლა სოცშეკიბრია. გამარჯვებულთათვის საქართველოს კ კასპის რაიკომმა და რიასაბჭოს აღმასკომმა დააწესეს გარდამავალი დროშა, ციმბელები და ფასიანი საჩუქრები.

ქვემო ჭალის საშუალო სკოლის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრები — მოსწავლეები გულმოდგინედ უვლიან სახელგანთქმულ სხვილოს ციხეს, ამილახვრიათ ციხე-კომებს, ღვთისმშობლისა და ჯვარბატონის ეკლესიებს, XVII საუკუნის უნიკალურ აბანოს; სწავლობენ ძეგლებთან დაკავშირებულ მასალებს, აგროვებენ ეთნოგრაფიულ ნივთებს და განზრახული აქვთ

ღვთისმშობლის ეკლესიაში მოაწყონ მუზეუმი/ რომელიც ხელს შეუწყობს სკოლას სასწავლო-მეცნიერული ღმრედლო მუშაობაში.

ამ კეთილშობილურ საქმიანობაში განსაკუთრებით გამოირჩნეს თავი სამთავისი, ახალციხის, ერთაწინდის, წინარხის, კასპის პირველი, ზემო ხანდაკის, სასირეთის, ალაიანის, ხოვლის და სხვა სკოლების ძეგლა დაცვის საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციებმა.

შეფომა თუმცა სხვებმაც იკისრეს, მაგრამ მაინც დამაინც პირნათელნი როდი არიან. რაიონში გვხვდება ძეგლები, რომელთაც მზრუნველი ხელი აკლია. ეს პირველ რიგში ითქმის სოფ. ქვემო ხანდაკის ციხე-კოშკზე, რომელიც დანაგვიანებულია და უსაქმურთა თავშესაყარ ადგილადა გადაქცეული. მოუვლელია სოფ. ჩარუბეთის ეკლესია. ასევე ითქმის იკვის, გუდალეოთისა და კასპის კვირიაცხოვლის ეკლესიაზე.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ სამბჭოს რაიონის ხელმძღვანელობას საჭიროდ მიანჩნია ყურადღება გაამაჩვილოს სასკოლო ორგანიზაციების მუშაობისადმი და უფრო აქტიურად ჩააბას ისინი ძეგლთა მოვლის საქმეში.

წელს, მარტში, ნატხატარ-გორის გზატკეცილის გაფართოების დროს, სოფ. ალაიანთან მუშები წააწყდნენ თიხის სატოფავს, რომელიც ქალის სამარხს გამოდგა. მასში აღმოჩნდა: ოთხი ოქროს ძვირფასივლიანი ბეჭედი (ერთი მათგანი დამიანის გამოსახლებით), ოქროს საყურეები, ოქროს მონეტა და სხვ. ძეგლთა დაცვის საზოგადოების კასპის რიასაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა უთარ ჭონიაშვილმა თეატრული ღონისძიებანი მიიღო, რათა ნივთები არ დაკარგულიყო. აქტივის დახმარებით მან მოსახლეობაში გაბნეული ნივთები შეაგროვა. ჩამოვიდა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფიც პროფ. ო. ლითოთიფანიძის ხელმძღვანელობით. ერთობლივი ღონისძიებებით მოპოვებულ იქნა აჯულა ეს უოიკალურ ნივთი.

წელსვე, აპრილში, სადრენაჟო არხის თხრის დროს, სოფ. უკამის დასავლეთ ნაპირას აღმოჩნდა დიდი აკლდამა ძვირფასი ნივთებით. ნივთების მიკვლევისა და მუზეუმისთვის მის ჩაბარებაში დიდი დახმარება გაგვიწია ოკამის საშუალო სკოლის დირექტორმა, ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარემ გ. თათარაშვილმა. ისტორიის ინსტიტუტმა დაუყოვნებლივ გამოგზავნა არქეოლოგები მეცნიერ-თანამშრომლის ბ. შატბერაშვილის ხელმძღვანელობით. საცდელმა გათხრების შედეგად აღმოჩნდა სხვა სამარხიც, ასევე ძვირფასი ნივთები (ოქროს საყურეები, ძვირფასივლიანი ყელსაბამი და ოქროს მონეტა, რომელიც IV საუკუნით თარიღდება). გათხრებში მონაწილეობა მიიღეს ოკამელმა ახალგაზრდებმა, ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრებმა.

ცოტა ხნის შემდეგ სოფ. რენეში სასილეს ორმის თხრის დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების მდიდარი კოლექცია. იგი დაკარგავს გადარჩინებს რ. ძევისაშვილმა, თ. ქოსაშვილმა და ა. ხანდიაძემ, რომელიც სათითოდ დიდ დაინტერესებულია ამ საქმიანობა და არაერთხელ გადმოუცია შემოსხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრთა რიცხვი სისტემატურად იზრდება. ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით სრულდება საწევრო ანარიცხების გეგმები.

კასპის რაიონში გარკვეულ ყურადღება ეთმობა მემორიალურ სახლებსა და ადგილებს. სოფ. ლუში, ივანე ჯავახიშვილის სახლში ეწყობა ამ დიდი მემორიალისა და მამულიშვილის სახლ-მუზეუმი. დაცულია ცნობილი პირთაველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის სახლი სოფელ ახალქალაქში, კომპოზიტორ ია კარგარეთელისა — სოფელ ერთაწინდამი, ნიკო ცხეველიძისა და გიორგი შატბერაშვილისა — თვალდაში. მაგრამ გასაკეთებელი ამ მხრივაც ბევრი გეგმაც. მაგალითად, დღემდე ვერ მოვახერხეთ მემორიალური დაფების გაკვრა ამ სახლებზე. იმის გამო, რომ თავის დროზე ყურადღება აკლდა, პირვანდელი სახე დაეკარგა სოფელ ახალქალაქის „მარშლიანთა სახალეს“ (თარხან-მოურავების კუთვნილ სახლს), რომელიც ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის განკარგულებაშია. მას აღარ გააჩნია ის იერი და სიმშვენიერე, რითაც ასე ანეცვიფრება მნახველს. ამ საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობას ბევრი ცნობილი პიროვნების სახელი უკავშირდება: აქ ბევრჯერ ყოფილა აკაკი წერეთელი, დიდი მოურავის შთამომავლის — გრიგოლ თარხნიშვილის მეგობარი და სანატრელი სტუმარი, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო ერთი ოთახი, „აკაკის ოთახს“ რომ უწოდებდნენ. აქ სტუმრობდა ხოლმე გიორგი ერისთავი, რომელსაც ცოლად ჰყავდა მართა თარხნიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, რომლის დედა თარხნიშვილის ქალი გახლდათ და ყრმობისას მწერლის ხშირად ჩადიოდა დედულეთში. ამ სახალის გვერდით ახლაც არის ვენახი, რომელსაც „ყაზბეგის ვენახი“ ეძახიან. ამ სახლს უკავშირდება სახელგანთქმული მეცნიერის, ივანე თარხნიშვილისა და ცნობილი მომღერლის, „ლა-სკალას“ საოპერო თეატრის სოლისტის ელენე თარხნიშვილის სახელებიც. „მარშლიანთა სახალეს“ მემორიალური დაფა უნდა გაუკეთდეს. კარგი იქნებოდა, სამხატვრო აკადემიას სასახლის ერთ ნაწილში მოეწყო სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. ექსპონატების ერთი ნაწილი უნდა ახაზავდეს ამ სახალესთან დაკავშირებული ცნობილი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ორბელიანების სასახლე სოფელ ლამისყანაში. იქ, ორ-

ბლონათა საგვარეულოს მდიდარ ბიბლიოთეკაში, უნიკალური წიგნების გარდა, იშვიათი ხელნაწერებიც ინახებოდა. ივანე ჯავახიშვილმა აქ აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ანა დღევანდელი ხელნაწერი. ეს სასახლე კულტურის კერაც იყო, რომელთანაც დაკავშირებულია პოეტ ვახტანგ ორბელიანისა და საზოგადო მოღვაწის მირიამ ორბელიანის, ორბელიანთა სახელობანი სიძეების — ივანე ჯავახიშვილისა და კიტა აბაშიძის სახელები. არქიტექტურული თვალსაზრისითაც საინტერესოა ეს შენობა, რომელიც ახლათა ვისუფალაია. ჩვენნი აზრით, იგი უნდა შევივადეს და აქ მოეწყოს სოფლის ისტორიის მუზეუმი, სადაც ორი დარბაზი მაინც უნდა დაეთმოს დავით გურამიშვილს. საქართველოში არ გაგვარჩია ამ დიდი პოეტის მემორიალი, მაშინ, როცა მოძველებული უკრაინელებმა კარგა ხანია მოაწყეს მისი სახლ-მუზეუმი მიჩრდობით.

ჩვენს რაიონში ბევრი გასაკეთებელი აგრეთვე ძეგლების შესწავლის, პრაგმატიკისა და პოპულარიზაციისათვის. არ გაგვარჩია თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების ამსახველი ღია ბარათები, ფერადი ფოტოები, ბუკლეტები თუ სამკერდე ნიმუშები, არ გვებატონება, რომ გიორგი სააკაძის ძეგლი, რომელიც კასპის ემბოზად იქნა, არ არის აღბეჭდილი სამახსოვრო ფოტოზე ან ბუკლეტზე. გარდა რამდენიმე ბუკლეტად და მუზეუმად მინიატურული სკულპტურისა, რომელიც ძალიან ძვირი ღირს, ამ შესანიშნავი ქმნილების ამსახველი არაფერი მოგვეპოვება.

სამწუხაროდ, ძველთა დაცვის მოვალეობა დასუფთავებით, კარის გაღებითა და თვალყურის დევნებით ამოიწურება, მათმა უზრავლესობამ წერა-კითხვა ძლივს იცის და ვერაფერს გეტყვით ძველს მნიშვნელობასა და ისტორიაზე.

კულტურის სამინისტრომ და ძველთა დაცვის საზოგადოების მსჯელობებმა ბოლო წლებში ჩვენს რაიონის ტერიტორიაზე შეაკეთეს სამთავისის, ქვათახვის, მეტეხის, ერთაწინდის ტაძრები, ახლახან დაამთავრეს რკინის საზონსტრო ანსამბლის რემონტი, მაგრამ კიდევ ბევრი საყურადღებო ძეგლია შესაკეთებელი, მათ შორის იკვასა და ლავრის მონასტერი, ჩაჩუბეთისა და წმინდა სვიმონის ეკლესია, ქვემო ჭალის ციხე-კოშკები.

კულტურის სამინისტროს სამსახურისკენი სახელისონო და მისი ფილიალები საქმეს ვერ აუღიან. საჭირო იქნება ამ დაწყებულებათა კიდევ უფრო გაფართოება, გაძლიერება, სპეციალისტების გამრავლება. ასე რომ, საფიქრლო და სახრუნავი ბევრი გვაქვს ძველთა გულშემატკივრებს. იმედია, თანდათან მოგვარდება საჭიროებოტო საკითხები და ჩვენნი წინაპრების ნახელავს ისე დავიცავთ, როგორც მათ ეკადრებათ.

გიორგი ხორგაშვილი,

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კასპის რიისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



მს იმწ შეიღ წლის წინ მოსკოვის ჟურნალ „ტექნიკური“ ინტერვიუ პრემიერის შემდეგ: ამ წერილში ძალიან მოკლედ იყო მოთხრობილი იმის შესახებ, რომ საქართველოში, მეტა-ლურგების ახალგაზრდა ქალაქ რუსთავეში, გაიხსნა ახალგაზრდული დრამატული თეატრი, რომ თეატრმა უკვე უჩვენა თავისი პირველი სპექტაკლი ე. როსტანის პიესა „სირანო დე ბერჟერაკი“, რომ თეატრს აქვს თავისი შემოქმედებითი გეგმები და პერსპექტივები.

მაშინ, 1967 წელს, ყველაფერი — გეგმებიც, პერსპექტივებიც, საერთოდ თეატრის მომავალიც — პრობლემატური იყო. და მართლაც, შეიძლებოდა თუ არა მთელის დარწმუნებით გვეთქვა, რომ ეს თეატრი იცოცხლებს, გაიზრდება და გაიმარჯვებს? მაშინ სომ არავინ იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ დასაწყისს, რომელი გზით წავიდოდა ახალი შემოქმედებითი კოლექტივი?

ერთი რამ კი იყო ნათელი: თეატრი იბადებოდა მღელვარედ, იბადებოდა ბრძოლებსა და ძიებებში, გამარჯვების მსურველ ემსწრაფებოდა. ისიც ნათელი იყო, რომ რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის გარშემო შემოიკრებილი ეს ახალგაზრდობა „საკუთარ“ თეატრს ქმნიდა, სრულიადაც არ ფიქრობდა გაეღიქვია იგი მოდური ექსპერიმენტების პლაცდრამად. მარჯანიშვილის თეატრის რეალისტურ ტრადიციებზე აღზრდილი, ახალი თეატრალური კოლექტივის დამფუძნებელი ეს ახალგაზრდობა სწორედ ამ ტრადიციებიდან იღებდა სათავეს.

და აი განვლო დრომ. შეიღ წელიწადი არსებობს ეს თეატრი და ეს შეიღ წელიწადი აღსახვა შემოქმედებითი კოლექტივის საინტერესო ძიებებით, მისი მისწრაფებით — დამკვიდროს თეატრის საკუთარი გაგება, არა ყოფითი თეატრისა, არამედ ემოციური, ამაღლებული ხელოვნებისა, რომელსაც შეუძლია განასახიეროს ნათელი, კეთილშობილური გრძნობები და გამოსატოს ისინი მძლავრად, ამაღლებულად და არა ყრულ, მოდუნებულად. არა ცხოვრების ყოფითი წერილმანები, არა რუბი და უფერული „ყოველდღიურობა“, არამედ რომანტიკული იდეა, ნათელი და მშვენიერი იდეალისათვის ბრძოლისა და გმირობის იდეა შთაგონებდა ამ შეიღ წლის მანძილზე რუსთავეის თეატრის კოლექტივს. ასე შეიქმნა მისი საუკეთესო სპექტაკლები: „სირანო დე ბერჟერაკი“, სადაც ეს იდეა განასახიერებელია დახვეწილი ფრანკული გრაციოზულობითა და ცხოველმყოფელი იუმორით; ვადიმ კოროსტილევის რომანტიკული პოემა „ასი წლის შემდეგ“, სადაც ბრძოლისა და გმირობის იდეა ხორცშესხმულია დეკაბრისტების სახეებში, ადამიანებისა, რომლებმაც გააღვიძეს რევოლუციონერთა მომდევნო თაობები და ხელი გაუწოდეს შთამომავლობას; მ. გორკის „ფსევრუე“, მისი რომანტიკული ოცნებით ადამიანზე და მოწოდებით ცხოვრებისაკენ, სინათლისაკენ, მშვენიერებისაკენ დედამიწაზე; „კახაბერის ხმალი“, მისი ბრძნული სიმკაცრით, საზეიმო თეატრალიზით და სიცოცხლის დამამკვიდრებელი ძალით; მერიკული „ბანკ ბანი“, ტრაგიკული „მაესტრო“, მძლავრი „მეფე ლირი“ „კომედის ხელოვნება“, რომელიც აქედრდა, როგორც ხელოვანის შემოქმედების მაღალი პრინციპულობის პიშინი...

ასე იქმნებოდა არასანგრძლივი, მაგრამ მაინც უკვე ისტორია ამ თეატრისა. ამოდ არ ჩაუვლია შეიღ წელიწადი. ბევრი რამ მოხდა ამ წლების მანძილზე, იყო წარმატებები, შეცდომები და ნაკლოვანებანი, გამარჯვებათა სიხარული და იმე-

რუსთავეის თეატრი უნგრეთში

ეთერ გუგუშვილი



დის ვაკურებზე, კამათი, დავა... მაგრამ თეატრი ცხოვრობს. ცხოვრობს და იბრძვის. შემოქმედებით თვითდამტკიცებისას-თვის ბრძოლაში იგი ამტკიცებს თავის არსებობის უფლებას.

და აი ყველაზე ამის შედეგი — წარმოუდგენლად დიდი წარმატება უნგრეთში გასტროლების დროს. რუსთავის თეატრს ესობდა ამ შემოქმედების დიდი პასუხისმგებელი და ემზადებოდა მისთვის. გასტროლების წინ თეატრი შეხვდა თბილისელ მაყურებელს. რუსთავის თეატრმა თითქმის მთელი თვის განმავლობაში ითამაშა თავისი სარეპერტაჟო სპექტაკლები — „სირანო დე ბერვერაკი“, „ასი წლის შემდეგ“, „კახაბერის ხმალი“, „ბანკ ბანკი“, „მეფე ლირი“, „შვიდი შინაბურღა და ერთი მამაკაცი“ და სხვა. ეს იყო თეატრის შემოქმედებითი ანგარიში თბილისელი მაყურებლის წინაშე და ამავე დროს თავისებური „გენერალური რეპეტიცია“ საგასტროლო მოზა-ურობისა.

1 ოქტომბერს თეატრის კოლექტივი მოსკოვიდან ბუდაპეშტს გაფრინდა. მე წილად მხვდა თეატრთან ერთად ყოფილიყავი ამ მოზაურობის დროს. საქართველოში ხომ, ჯერ კიდევ კოტე მარჯანიშვილის დროიდან დადგინდა კარგი ტრადიცია, რომ ქართული თეატრის ყოველ საგასტროლო მოგზაურობაში მონაწილეობა მიეძლი ქართველ კრიტიკოსებს. ჩემთვის ეს მით უფრო საინტერესო და სასიამოვნო იყო, რომ ამ თეატრის მსახიობთა დიდ უმრავლესობას შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები შეადგენენ. ამიტომ ჩვენი ინსტიტუტი დიდი ინტერესით აღვიწყებთ თვალს ამ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას და მისი ყოველ წარმატება — ჩვენიც დიდი სიხარულია. მე განვიცადე უნგრეთში ეს სიხარული და მიწვევ გავეცადე რუსთავის თეატრის ჭეშმარიტი შემოქმედებითი წარმატებისა.

რუსთავის დრამატული თეატრის გასტროლები დაუმთავრა ხელოვნების ფესტივალის კვირეული ბუდაპეშტში. საგასტროლო თეატრმა შეარჩია პოლიტიკურ კავშირის კომედია „კახაბერის ხმალი“, ვადიმ კოროსტაილის „ასი წლის შემდეგ“ და უნგრელი დრამატურგის იოჟეფ კატონას ტრაგედია „ბანკ-ბანკი“.

ბიესლის ამგვარი არჩევანი იმთავითვე თეატრის შესაძლებლობათა მრავალმხრივობისა და მხატვრული მიდრეკილებების გამოსაჩენად იყო გამიზნული. საგასტროლო სპექტაკლები რუსთაველთა შემოქმედებითი კოლექტივის აქტიური და ინდივიდუალური, რეჟისურისა და მხატვრულ გადაწყვეტათა დამახასიათებელ თვისებებს მკვეთრად ამჟღავნებდა.

ბუდაპეშტი მზით და ეკვივებით შეგვგვდა. აეროდ რომ-ზე და მხვდებოდა შორის ქვეყნის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად იყვნენ უნგრეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, მათ რიცხვში იყო საელჩოს პირველი მდივანი თ. ჩიქოვანი. აქვე გახლდათ ბუდაპეშტის თეატრის მთავარი რეჟისორი გაბორ ბერენი — ქართველ აქტიორთა ძველი მეგობარი, რუსთავის თეატრში „ბანკ ბანკის“ დამდგმელი, რომელსაც ჩვენი მსახიობები სუბრიობით „გაბორ ბერენი“ ეძახიან.

უნგრეთში იმ დღეებში ჩავედით, როცა მოსკოვში უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ის-ის იყო დათმავდა. ეს მოლაპარაკება ჩვენი ხალხების მძური მეგობრობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავლებისკენ იყო მიმართული. კულტურულ ურთიერთობათა სფეროში ამ მოლაპარაკების ფონზე რუსთავის თეატრი „პირველი მერცხალი“ აღმოჩნდა.

უნგრელი მეგობრები ჩქარობდნენ, დრო არ უნდოდათ დუ-კარავთ, სურდათ ჩვენი ექ ყოფნა მაქსიმალურად ნაყოფიერად გაეხადათ. სასტუმროში დაინიანება ძლივს მოვასწარით და უკვე გვაქმარებდნენ უნგრეთის თეატრალურ საზოგადოებაში დანიშნულ პრესკონფერენციას, ავდილობრივ და საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან შესახვედრად. აქვე იყვნენ უნგრული თეატრის მოღვაწენიც. პირველი, რაც გაჩვილი დარბაზში შესვლისთანავე გავიგონეთ, ეს იყო ქართული სიტყვა. ჩვენს წინაშე საქართველოს იმითაი მცოდნე და მეგობარი, ქართველოლოგი ლაიონ ტრადი იდგა. მან გახვთ „მადარი ნემუტის“ ახალი ნომერი გამოვიცივოდა, რომელშიც ჩვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებით საგანგებოდ დაწერილი მისივე სტატია „სახიობიდან „ბანკ-ბანკამდე“ იყო დაბეჭდილი. ლ. ტრადი საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნით წერს ქართულ თეატრალურ კულტურაზე, რომლის ფესვები ანტიკურობამდე მიღწეულ შორეულ წარსულშია გადგებული, მიმოიხილავს მომდევნო საუკუნეებსა და პერიოდებს ქართული თეატრის განვითარებისა. სტატია ამ სიტყვებით მთავრდება: „სპექტაკლები რუსთავის თეატრისა, რომელიც ბუდაპეშტში ხელოვნების კვირეულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა, საქართველოს დღევანდელი თეატრალური ხელოვნების, მისი კულტურის გამომსახველი იქნება“.

პრესკონფერენციამ, როგორც იტყვიან, მეგობრულ ვითარებაში ჩააბარა. უნგრელი მეგობრების ყოველ გამოსვლაში იგრძნობოდა უდიდესი დაბტერყნება ქართული თეატრის ზედით, მისი დღევანდელი დღით. შეკითხვა შეკითხვას მოსდევდა. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამასხურებელმა მიღვაწემ ა. ქუთათელაძემ, რუსთავის თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა გ. ლორთქიფანიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა ილაპარაკეს რუსთავის თეატრზე, მის ტრადიციებზე, შემოქმედებით პრინციპზე, ახალგაზრდაობაზე, რომელსაც ძირითადად ეყრდნობა თეატრი, საქართველოს უმაღლესი თეატრალური სასწავლებლის აღმზრდებელს.

დილოდანვე თეატრის კოლექტივი რეპეტიციის საშუაადის შეუდგა. უნგრული თეატრის ყველა მუშაკი ცდილობდა ხელი შეეწყო ჩვენი მსახიობებისთვის უცხოელ სცენურ გარემოსა და დარბაზის ათვისებაში. მთელი ათ დღის განმავლობაში, როგორც ბუდაპეშტში, ისე დებრეცენში ჩვენი მსახიობები ყოველ ნაბიჯზე გრძნობდნენ უნგრელი კოლეგების ასეთ ყურადღებას, მეგობრულ სიბოძს.

სალამის უეჭვნეთ პირველი სპექტაკლი „კახაბერის ხმალი“. სპექტაკლის წინ დიდად ვვლავლიდეთ და ეს სახეობთ გასაკვირვ იყო. როგორ მიიღებენ უნგრელი საქართველოს შორეული წარსლის ამბებს? გაიგებენ თუ არა ბიესის არს? აქ ხომ წარსლის ამბები გააზრებულია როგორც ზოგადსაკაცობრიო მოვლენები, როგორც ცოცხალი, თანამედროვე პრობლემები?

ცნობილია, რომ მრავალი წლის მანძილზე ეს ბიესა არაცხეურ ნაწარმოებად ითვლებოდა და ფაქტობრივად მივიწყებული იყო. ბიესას გასაღები ვერ მოუხაზეს. ამ გასაღებს მიავ-ნო რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ. ძიებამ იგი თეატრალურ ნიღბთან მიიყვანა. ნიღბამ რეჟისორს საშუალება მისცა არაბარტუ გაეპრობოლებინა დრამატურგის ჩანადიერი, არამედ ამოეცნა თავისებური თეატრალური ფორმა, რომლითაც წარმოედგა ქართული ხალხური თეატრის საკუთესო ტრადიციებს დაუკავშირდა, გამოიკვეთა მისი ერთეული სული და, რაც მეტად გასაოცარია, ამავე ხერხმა დაუხალფა იგი თანამედ-



როგობას. ხალხური საწყისებისაკენ შემობრუნებას რევისორი არ მიუყვანია სიძველეებით ეთნოგრაფიკურ ტიპობამდე. თეატრალური ნიღბის გამოყენებამ რევისორის საშუალება მისცა თამაზად და გადატარი მოეძებნა შეფარდება პირობობას და რეალურ შორს. ირონია, რომლითაც განსჭვავალა მთელი წარმოდგენა, აღიქმება როგორც რევისორის კრიტიკული და-მოკიდებულება მოვლენებისადმი, როგორც მანიკერებისა და სიმორთობის ნიღბის ახდის საშუალება. შორეული წარსულის ამბები პიესასა და სპექტაკლში აღიქმება, როგორც თანამედროვეობისათვის უაღრესად ახლობელი მოვლენები.

სპექტაკლს წილად ხვდა უდიდესი წარმატება. დარბაზში იყო მთელი თეატრალური ბუნიადები. სპექტაკლს დაეჭურნენ: უნგრეთის კულტურის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ფერენც მოლნარი, თეატრების სამმართველოს უფროსი დეკუ მოლნარი, მსახიობები, პრესის მუშაკები, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები უნგრეთში. მეორე დღეს უნგრეთის გაზეთი „მადიარ ნემსუტი“ წერდა: „წარმოდგენის დაწყების წინ მაცურებელი ეჭვებით იყო შეპყრობილი. იგი უნდა შესვლდეს უცხოთ თეატრს, რუსთავის დრამატულ თეატრს, უცხოთ ავტორს — კ. კაპაბატეს, რომელიც უცხო ენაზე, ქართულ ენაზე ამეტყველებული წარუდგება მაცურებლის...“ მაგრამ, — განაგრძობს გაზეთი, — „მოქმედების დასაწყისი ჩვენს ეჭვით მოლინად ფანტაჯს. სცენაზე შემოიჭრებოდა მოხეტიალე კომედიანტები და თან მოაკვირის სახმარეული ტექნიკარები, რომელიც ასე ნაცნობია ჩვენთვის. უნებლით წარსული ეპოსის ჩვენს მოხეტიალე თეატრებში გავაგრძელება და რაც აქამდე ჩვენთვის უცხო და უცხოში იყო, ახლა უცერად თბილი, ნათესავი, მშობლიური ხდება.“ გაზეთი აგრძელებს სპექტაკლის აღწერას: „პირველ ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა თვით დიალოგები, კახაბერის ხმლის გარშემო შექმნილი ვითარებანი, არამედ ჩვენი ტკუბების თამაში სტილი, მხატვრული სახის შექმნის მანერა.“ ამ თეატრალურ, მხიარულ ეპოსში (ახლა უკვე ამ გამოთქმის გამოყენება შეგვიძლია), მსახიობები ერთდროულად ქმნიან პერსონაჟების სახეს და ნიშანს: „დიდ საქებათ სიტყვების უძღვინს წყრილის ავტორი კრიტიკოსი ბელა ბეტეც მატრია სპექტაკლის დამადგმელს: „რევისორი გ. ლორთქიფანიძე წრფელი, ხალხური ხმით იწყებს სპექტაკლს და ეს ჯანმრთელი ხმა წარმოდგენის ბოლომდე მიჰყვება. ამ ხმას რევისორი არა მარტო ინარჩუნებს, არამედ სულ უფრო და უფრო ზრდის და ამდიდრებს. უცხად გამოეცემს მას სხვადასხვა იდეებში, იუმორში, მხიარულ განწყობილებაში. იგი უსტადად აყალიბებს მოვლენებს, სცენურ სინამდვილეს, მხატვრულბრძოლას. რევისორი უხვად გავწვდის მხატვრულ ფერებს. თამაზად იყენებს სიჭარბესა და გროტესკს, მაგრამ ზომიერებას ყუველთვის იცავს. იგი პიესის მიზანარის ერთგულია და არსად არ ცდილობს ცრუ ეფექტის მოხდენის გზით მიზანს მაიღწიოს. ამიტომ შეინარსის მსახიობთა თამაშიდან მოქმედს. რევისორისათვის მთავარია ბუნებრივი, გულწრფელი თამაში გამოირვეული სიხარული.“ ვფიქრობ, რომ ამ შეფასებამ უსტადად არის მიგნებული რევისორის პოზიციის არსა, მეტიც, — არსა იმ პოზიციისა, რომელიც დამახასიათებელია არა მარტო ამ სპექტაკლისათვის, არამედ საერთოდ ამ თეატრისათვის.

უნდა ვთქვათ, რომ ამ შეფასება არ იყო გამოკლების. უნგრეთის ყველა გაზეთში იბეჭდებოდა საქებარი რეცენზიები, რომლებშიც მოცემული იყო ღრმა, ზუსტი პროფესიული თეატრმცოდნეობითი ანალიზი საგასტროლო სპექტაკლებისა.

რეცენზენტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ თეატრის რეჟისორს, მსახიობთა კოლექტივის ოსტატობას, მხატვრულ ნაწარმს შეკარს.

ამ როგორ აფასებს, მაგალითად, გაზეთი „მადიარ ნემსუტი“ მსახიობთა თამაში „კახაბერის ხმაში“: „მსახიობების ზეაწული, კომედიური განწყობილება გულწრფელი, მამსადადე, დამაჯერებელია. სპექტაკლის ყველა შემსრულებელი — მიუხედავად იმისა, რომ კომედიის გამოყენებულია ჭარბი ფერები — ადამიანურებით არის შემოფარებული. კარიკატურული დახასიათების დროსაც კი ისინი სიმართლეს ამბობენ თავიანთ გმირზე, აპყვი იგი ტიპურების სიმადლეზე.“ და კვლავ ამ მაღალ და ზუსტ შეფასებაში ჩვენ ვხედავთ თეატრის საერთო შემოქმედებითი პოზიციის აღიარებას, ჩვენ ვლბებულობთ ამ დასკვნებს, როგორც ზუსტ გუმზარიტებას რუსთავის თეატრის სცენური ხეობების შესახებ. იგივე გაზეთი ცდილობს დააზუსტოს თავისი დასკვნები კონკრეტულ მაგალითებზე. მაღალ შეფასებას აძლევს გაზეთი ლეო ანთაქის, წერს, რომ მისი ქოსატყვილა ლიპარიტე „მთელ მოქმედებას ემსაყრდად ატრიალებს“, რომ „ეს საუბეობს მსახიობი ქმნის ფერები (ზოგჯერ ბძძენი) თვალთმაქცი ადამიანის მრავალფეროვან ტიპობრივ სახეს“. კრიტიკოსის ბელა ბეტეც მატრიაის მაღალი შეფასება დამსახურეს სხვა მსახიობებმაც. „აქვე, — წერს კრიტიკოსი, — გაეცნობით ქალების მოტრფივალ ყმაწვილს, რომელსაც ვეებურთვალა ტანი, ხელები და მხრები აქვს. მას მსახიობი სოპო გოგიაჩივილი განასახიერებს. კომიკოსისათვის ტანის ეს ვებებურთვალე საცამარის იქნებოდა მაცურებლის გასაცინებლად. მაგრამ მსახიობი საპირისპიროდ იყენებს თავის თეოზიკურ მონაცემებს. იგი თითის წვერებზე დადის, მისი ვესტი ნაზია, მეტყველია — ზომიერა და დახვეწილი“. შემდეგ ბელა ბეტეც მატრია აგრძელებს: „ასე-თივე დახვეწილი კომედიური საშუალებებით ქმნის ხანის სახეს მოლაპარაკე ხმლების ფონზე ამოუყურებელი იუმორის და მრავალფეროვანი მანერების მქონე ბრწყინვალე მსახიობი თ. მასიურად. მხოლოდ ქებას იმსახურებენ სხვა მსახიობებიც: გ. ბერიაშვილი კეთილი მოლაყების როლიში, ქ. კიენაჟან-ჩხილი დახასხლისი და გაბედული ამაზონილი ქალი, ია ხობუა, გ. სიხარულიძე, მ. გორგოლაძე და სხვები“. კრიტიკოსი დაასკვნის: „წარმოდგენის დადასრულე კმაყოფილი მაცურებელი მისხლბა სტუმრებს დედაქალაქის იუმერტის სცენაზე ახალგაზრდა თეატრმა პირველი წარმოდგენით აღძრა ინტერესი შემდგომი წარმოდგენის მიმართაც.“

და მართლაც, „კახაბერის“ წარმატებამ და პრესის მაღალმა შეფასებამ მსახიობებს ფართო შესახს და მომდევნო სპექტაკლის ბედიც განაპირობა.

მეორე დღეს რუსთავის დამატებული თეატრის კოლექტივის საპატრიცსაცემოდ მარტობის კუნძულის გრანდ ოტელში, კულტურის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა, დოქტორმა ფერენც მოლნარმა მოაწყო მიღება. ესწრებოდა ამა. გ. შეგკინი — უნგრეთში საბჭოთა კავშირის დროებითი რწმუნებუელი, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები, მათ შორის ჩვენი თანამემამულე — თეიმურაზ ჩიქოვანი, უნგრეთის თეატრების წამყვანი მოღვაწეები, საბჭოთა და უნგრული პრესის მუშაკები.

ბანკეტმა გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა. ჩვენმა მსახიობებმა უნგრული მასპინძლები განაცვიფრეს ქართული სიმღერებითა და ცეკვებით. თითქმის სოლიდარობისა და მხარდაჭერისათვის, უნგრელებმა აიტაცეს ქართუ-



ლი ხალხური სიმღერის პანკი და ერთსულვანად ჩაებნენ საერთო ზეიმი. ბანკეტზე ფერხე მოლნარმა და ანსორ ქუთათელაძემ სიტყვებით მიმართეს დასმურთ, რის შემდეგაც ა. ქუთათელაძემ უნგრულ მეგობრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

შემდეგი სპექტაკლი, რომელიც რუსთავის თეატრმა ბუდპეშტის მაცურებელს უწევდა, იყო „ასი წლის შემდეგ“. ვ. გომარტილოვის პიესის ტექსტის აღქმის სირთულისა და გერმანული დიალოგების მიუხედავად, სპექტაკლი მაცურებელმა უდიდესი ყურადღებით ნახა. პრესაში დაიბეჭდა ისევე კენის სტატია: „რეჟისორმა ლორთქიფანიძემ და მსახიობებმა დასმა მონადირა იბივეტურბოხისა და ვენბაბა ლევის სინთეზს მიაღწიეს. მათ მიაკვლიეს გასაღებს თეატრალუროსა და ცხოვრებისეულის ამოხსნენ. იპოვეს შესაფერისი ტონი მოქმედების დრამატული გადმოცემისათვის. გულწრფელობა მათთვის ხედას საყრდენი ცრემლებისათვის, ვენბაბა ლევისათვის... რეჟისორისა და მსახიობების შეერთებული ძალებით შესაძლებელი გახდა ვენბაბა ლევისა და გრანობების უხილავად შეზოტანა თანამედროვე სცენაზე“. ეს რეცენზია მაღალ შეფასებას აძლევს მსახიობების: თამაშს.

გრანდიოზული წარმატება ჰქონდა სპექტაკლ „ბანკ ბანს“. ამ სპექტაკლს უნგრეთის საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ინტერესით ელოდა. და ეს საყვებით გასაგებია. კრიტიკოსმა პეტერ გალ მოლნარმა ყველაზე კარგად გამოხატა ამ ლიდერის არსი: „უმაგალითოს ვერ ვუწოდებთ ასეთ თეატრალურ მოვლენას, — წერდა იგი, — როდესაც უნგრეთში უცხო ენაზე თამაშობენ „ბანკ ბანს“. ჩვენ მოგეფიქრებ, რომ უკვე 1871 წ. ადოლფ ზონენტალმა პუმტური წარმომბობის ბურველმა მსახიობმა, ვარიეტეს თეატრში, გერმანული კოლექტივით წარმოადგინა „ბანკ ბანი“. 1897 წ. კომედის თეატრში დიდი ტიპაზო სალივის ვაჟმა გუსტავო სალივინიმ იტალიურ ენაზე თარგმნილი პიესა დადგა. 1911 წ. ამავე თეატრში დიიტუს თეატრმა მაქს რეინხარდის რეჟისურით წარმოადგინა ეს პიესა. შედგომში იგი ბერლინის რეპერტუარში შეიტანა.

კრიტიკოსი პეტერ გალ მოლნარი თავის წერილში აცხადებს (ვახუთი „ნებაბადაშვაც“), რომ ყველა მაგალითის საპირისპიროდ რუსთავის თეატრის წარმოდგენა გასტროლების გასალამაზებლად და უნგრული მაცურებლის მოსახიბლად არ დაბეჭდებოდა. პირიქით, „გასტროლები იმიტომ შესგდა, რომ საჭირო იყო საქართველოში წარმატებით ჩატარებული პრემიერის, უნგრეთის საზოგადოებრიობისათვისაც განცხობა. კრიტიკოსი ასწენებდა უნგრულ მაცურებელს და მკითხველს, რომ 1971 წ. საბჭოთა კავშირში უნგრული დრამისა და თეატრალური ხელოვნების ფესტივალზე საქართველოს ყველაზე ანაღაზარდა თეატრმა, „რონელე დედაბაჰაქიძემ“ ამ პატარა საჩრწველო კალაქში გადავიდა და დამკვიდრდა“, თავის რეპერტუარში შიკაბა უნგრული ტრადიაცია და გაბორ ბერენის რესპისურით, არაბად ჩანის დეკორაციებითა და წელი ვაგონს სპექტუმებით ფესტივალის ერთ-ერთი პირველი პრემია მიიღო. სპექტაკლ „ბანკ ბანის“ წარმატებამ ყოველგვარ მილოდინა გადააპარბა. „ოქვენ ნამდვილი გიგნობა ჩაიდინეთ „ბანკ ბანის“ დადგმით. „ბანკ ბანი“ თქვენთან უკეთ მიდის, ვიდრე უნგრეთში“ — გვეუბნებოდნენ ყველაგან.

პეტერ გალ მოლნარი წერს თავის ვრცელ წერილში: „ახლა, როცა „ბანკ ბანის“ გამოსვლა ბუდაპეშტის თეატრების თეატრში და დებრეცენის ჩაკონას თეატრში წარმატებით დას-

რულდა, შემიძლია ვაღიარო, რომ მე არცთუ მთლად მშვენივრად ველოდი იმ წარმოდგენას. მე სომ ერთ-ერთი ვიყავი, რომელიც კრიტიკოსთან, რომელიც რუსთავის პრემიერის შემდეგ ადვრთიონებით წერდნენ ქართულ „ბანკ ბანის“ შესახებ.“

პეტერ გალ მოლნარმა არ შეიცვალა თავისი მაზინდელი მაღალი შეფასებები. პირიქით, კრიტიკოსს ახლანდელი სპექტაკლი უფრო მოეწონა ვიდრე მანამ. იგი წერს: „ბანკ ბანს“ როგორც ანდრ, რუსთავში, ბუდაპეშტებში მოახდინა დიდი მშაბეჭდილება. თანაც უფრო დიდი, დახვეწილი, მსატრული, ვიდრე ამ სომ წელიწად-ნახევრის წინათ“. კრიტიკოსი კეთილშინდისიერად არჩევს თითო მსახიობის შესრულებას. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს იგი თორ მეღვინეთუხუცესს — ბანკ ბანის როლის შემსრულებელს. „დავიყთო ექიდან, — წერს იგი, — რომ თ. მეღვინეთუხუცესი ლდისათვის (ამ სპექტაკლში) დასრულებულ ხელოვნად იქცა, რომელმაც უწყის ყველაზე ძნელი რამ სცენაზე: უძრავად დგომიში დღუა მის არსებაში განცდები, უკანა პლანზე დარჩენილი, მნიშვნელოვანდ მძიმე დემილშიც მოღალად და ჩურჩულშიც გამყვიარა შინაგანი ტკავილი. კეთილშინდისიერად დიხვ მსოლიდ სულიერად დაძაბულ პოლიტიკოსს გადმოცემებს მეღვინეთუხუცესი, რომელიც წააგავს ფერხე ბუშენის უკანასკნელ ბანკს. დაწმენილი, ძლიერი და აზრობრივი ქმნილება მისი ბანკ ბანი“. გაუთო „მადიარ ნენუტეკი“ წერდა, რომ „მეღვინეთუხუცესმა შექმნა ამ როლში არა „სახალხო-სახეიში“, არამედ დრამა ადამიანური, თავდაჭერილი, მაღალინტილექტუალური სახე“.

უნგრული პრესა აღტაცებული წერდა აკაკი ვასაძეზე, მას „უდიდესი აქტიორული დიაპაზონის“ შემოქმედად იხსენიებდნენ, და დასძენდნენ: „ის (აკაკი ვასაძე) თავისი ხელოვნებით ადსტრუქტურს, რომ ამ თეატრის კოლექტივსათვის უცხოა აქტიორთა დაყოფა გარეგნული მონაცემების მიხედვით. მთავარია ადამიანის შინაგანი ბუნება...“

დიდი მოღვაწეობით წერს აკაკი ვასაძეზე კრიტიკოსი პეტერ გალ მოლნარი: „ახლა ვაკივნებით მიმოვიწინა მუსხევი ვარსკვლავი ა. ვასაძე-პეტერ ბანი. უფრო მეტი სიწრფელო, მეტა გრანობა, მეტი გულახდილი ვენბა მოგროვდა მის თამაშში, ვიდრე პრემიერაზე. და დღეცაჲ ისეთივე გავლენა მოახდინა ამბოხებულების სცენამ ჩემზე, როგორც მაშინ“. და მართლაც, აკაკი ვასაძის თამაშმა უნგრეთის სცენაზე — ბუდაპეშტსა და დებრეცენში — კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენს წინაშეა დიდოსტატო, პროფესიონალი, დაუცხრომიდო ხელოვანი.

უნგრელმა საზოგადოებრიობამ დღგროვანებით მიიღო გიუხო სინარულიძის თამაში, როგორც „კახაბერის ხმალა“, ისე „ბანკ ბანში“. სცენაში წარდნენ მსახიობზე, რომელმაც უბრალო გლეხკაცის შთამბეჭდავი სახე შექმნა და მაცურებელმა დარბაზში მსურველ რეაქცია გამოიწვია. გაუთო „ქეტფოი პირიქი“ აცხადებდა: „უპირველესად გესურს დავასახელოო დიდი ხელოვანი გ. სინარულიძე (ტიპობის როლში), რომელიც თავისი სტილით ჩვენს მარტონ რიტკაის გვაგონებს. ისეთი წრფელი ტიპორტი, როგორცაჲ ქართველი მსახიობი წარმოგვიდგენს, უნგრულ სცენაზეც იგი იშვიათად ვინმასაქ“.

უნგრული პრესის ფურცლებზე დიდი ქება დამასხაურებს სხვა მსახიობებმაც. თამარ სხირტაძეც და ნათელა მუსხელიშვილც წერდნენ, რომ ისინი ნამდვილ თანამედროვე აქტიორთა არიან, რომ პერტრუდას და მილენდას სახეებს ქმნიან „არა ისტორიულ, არამედ სულიერი ცხოვრების სფერო-



ში“, „თამაშობენ ღრმა დრამატულობით და ყოველგვარი მას-
ლონის გარეშე, შევყავართ თვინათი გმირების შინაგან საპ-
ყაროში“. თამარ სხირტლაძეზე იყო ამბავები, რომ მან შეე-
მნა „ჭკვიანი, მაგრამ ღვარძლიანი პოლიტიკოსი ქალის“ სახე-
ობაზე „ბანკ ბანკი“ განსაკუთრებულად აღნიშნის რუსთა-
ვის თეატრის ორი შესანიშნავი მსახიობი: ნოდარ მაგლობლი-
შვილი და ლეო ფილფანი ოტოს და ბიბოუახის როლებში.
გაზეთი „მადიარ ნემშუტი“ აღნიშნავდა: „საერთოდ ეს ორი
პერსონაჟი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე მხარეა რუსთა-
ვის თეატრის სპექტაკლისა“. „ოტოს სახე, — აგრძელებს გა-
ზეთი, — ისე, როგორც მას ნ. მაგლობლიშვილი თამაშობს, თა-
ვისი შინაგანი ბუნებით, უაღრესად საინტერესოა, თითქმის
აღმოჩენაა ჩვენთვის. მსახიობი წარმოგიადგინს ნერვულად მო-
ქანებული, განადგურებული მამაკაცი, რომელიც მან მეტისმეტად
დაძაბულია, ხანაც ძალიან მოდუნებული. იგი მღვდელად, ინ-
სტიტუტურ სამყაროში ცხოვრობს. ასე იქცევა იგი ლ. ფილფა-
ნის მიერ საოცრად ახლებურად განსახიერებულ ბიბურასის
კონტრასტულ პიროვნებად“.

ასევე აღფრთოვანებით წერდნენ გაზეთები სხვა მსახიო-
ბეზეც. გაზეთი „მადიარ ნემშუტი“ ასეთი ფრაზით ამბავებუ-
და რეცენზიას: „ტოლანტეობით მიდიდარ რუსთავის თეატრის
კოლექტის გაცემა უნგრელი მაცურებელი... უნდა დავასახე-
ლოთ: თ. დაუშვილი — ენდრე მორე, გ. თოლორაია — მიკ-
ხალ ბანი, ლ. გოიზიაშვილი — შიმონ ბანი, მ. მახაბელი,
თ. მისიურაძე, მ. გორგილაძე. ამ გასტროლებმა ბუდაპეშტში
ამბავი ჩამოვიტანა შორს მყოფი, მაგრამ ფეხებით ნათესავი
თეატრალური ხელოვნების შესახებ“. მაცურებლის კარგი შე-
ფასება დაიმსახურეს მსახიობებმა ჯ. მახაიაშვილმა, შ. სხირ-
ტლაძემ, ჯ. გაგნიძემ და სხვებმა.

უნგრეთში ყოფნის დროს ჩვენ არა მარტო ჩვენი ხელოვ-
ნება ვუჩვენეთ, არამედ უნგრელი ხალხის ხელოვნებასაც გავე-
ცანით. დადიოდით თეატრში, ვუყურებდით ახალ კინოფი-
ლმებს, კინოზე საუბრის დროს ხშირად გაისმოდა კინოსტუდია
„ქართული ფილმის“ ქება. ჩვენი რეცენზიების სახელები უნ-
გრეთში ფართოდ არის ცნობილი. ჩვენზე ძლიერი შთაბეჭ-
დილება მოახდინა ნ. გიგოლის „შემოიღოს ჩანაწერებმა“ ბუ-
დაპეშტის კომედის თეატრში ერთი აქტორის ივან დარვაშის
მონაწილეობით.

ბუდაში ვეწვიეთ გელერტის მთას, სადაც ყვაილებით
შვედეთის საბჭოთა მეომრების საფლავი. ყველგან უნგრელი მე-
გობრების მრუხიერობა და ყურადღება თან გვდევდა. ყოვე-
ლი სპექტაკლის შემდეგ მეგობრული შეხვედრები ეწყობოდა,
სადაც ვასტრადილი უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობ-
რობაზე, მის ტრადიციებსა და პერსპექტივებზე. უნგრეთის
კულტურის სამინისტრომ ჩვენს პატივსაცემად გამოარეშა მი-
ლებაზე მიგვიწვია. კულტურის სამინისტროს სახელმწიფო
მდივანა ფ. ზოლანრა თქვა, რომ რუსთავის თეატრის გას-
ტროლები მეგობრობის ტრადიციებს აგრძელებენ და საგან-
გებო მაღლობა გადაუხადა თეატრს მალაიი ხელოვნებისა-
თვის.

დაუწვიყარა ჩვენი მოგზაურობა ქალაქ დებრეცენში. ამ
პატარა უნგრელ ქალაქში, სადაც ერთადერთი თეატრია
(სწორედ ამ თეატრში გამოდიოდა ჩვენი კოლექტივი), ჩვენ
გვაგრძობინეს განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა და
სიბოთ. ბუდაპეშტში გვეცინა, რომ მეტი წარმატების მილ-
წევა უკვე შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ დებრეცენში, ჩვენ
კიდევ უფრო მეტი სიხარული და კმაყოფილება განვიცადეთ.

მაცურებელი დიდხანს არ უშეგება მსახიობებს სცენიდან გა-
დევ და კიდევ მზურვალე თვალებით იწვევდა მათ.

დებრეცენში ყოფნის პირველსავე დღეს ჩვენი დელეგაციის
წარმომადგენლები მიიღო ქალაქის მერის შიადღელი. გაი-
მართა მეგობრული საუბარი. საღამოს კი სპექტაკლს ესწრე-
ბოდნენ: პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი და
სხვა ხელმძღვანელები პირველი სპექტაკლის დაშთაფრების შემ-
დეგ მსახიობებმა მიგვიწვიეს სადებიორე მსახიობთა კლუბ-
ში. აქ შრავალი სადღებეჭულ წარმოითქვა. მსახიობები კით-
ხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ. აკაკი ვასაძემ ბრწყინვა-
ლედ წაიკითხა ათავის მონოლოგი.

ჩვენ ნაღვლიანად ვეთხოვებოდით დებრეცენს. წინ გველო-
და ახალი შეხვედრები ბუდაპეშტში, ახალი სიხარული...

უნგრეთში ყოფნის უკანასკნელ დღეს დელეგაციის ხელ-
მძღვანელი ა. ქუთათელაძე, რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, თე-
ატრის დირექტორი გ. ბრეგაძე და ამ სტრუქტურის ავტორი
მიგელო საბჭოთა კავშირის კლუბმა უნგრეთში გ. ი. პავლეშმა,
ზალრესად გულთადად და შინაარსიანი საუბარი გაიმართა.
ელჩმა სრული კმაყოფილება გამოთქვა რუსთავის თეატრის
გასტროლების გამო უნგრეთში, აღნიშნა დიდი წარმატება მა-
ყურებლებში და დასძინა, რომ მომავალშიც უნდა გაგრძელ-
დეს კავშირუთიერთობა ამ თეატრისა უნგრეთის თეატ-
რთან. მან გამოთქვა სურვილი, რომ ხშირად გაეცალათ შე-
მოქმედებით დელეგაციები ამ თეატრებს შორის (კერძოდ, ეს
ესებოდა რეჟისორ-დამდგმელების გაცვლის და ამგვარ კონ-
ტაქტებს) იმევე დღეს ელჩის რეზიდენციაში გაიმართა მილე-
ბა თეატრის გასტროლების დამთავრებასთან დაკავშირებით.
მიღებას ესწრებოდნენ უნგრეთის სახელმწიფო პარტიული და
წესებულებების წარმომადგენლები, ლიტერატურის, თეატრ-
ის, პრესის მოღვაწენი. ქართულმა ცეკვებმა და სიმღერებმა
კვლავ დაამწვენეს ეს საღამო.

ასე დამთავრა რუსთავის თეატრმა თავისი გასტროლე-
ბი ბუდაპეშტში. ჩვენ გამოვეთხოვეთ უნგრელი მეგობრებს. გან-
საკუთრებით დამამსხვირებელი იყო ჩვენთვის გამოთხოვება
ლაიოშ ტარდისთან, რომელმაც მოკითხვა დაგვპარა თავის
ქართულ მეგობრებთან, მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან,
ყველასთან, ვისაც კი უნებდრია ქართულ მიწა-წყალზე, ჩვენ
წამოშობლოში დაბრუნდით ნათელი გრძნობით გამსჭვალუ-
ლები, თან წამოვიღეთ უნგრელი მაცურებლისა და ჩვენი თეატ-
რალური კოლექტის სიყვარული, სიბოთ, ძვირფასი მოგო-
ნებით. კანონიერი საიამაყს გრძნობა გვაკაბდა და იმ რწმე-
ნით მივდიოდით ჩვენ ქვეყანაში, რომ რუსთავის თეატრის
გასტროლებმა თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა და უნგრე-
ლი ხალხების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის
განმტკიცებაში.

რუსთავის დრამატული თეატრი გასტროლებიდან დაბ-
რუნდა თავისი წარმატებით ფრთაშესხმული და შთაგონებუ-
ლი. იგი აღსასუსვა შემოქმედებითი გეგმებით, ენთუზიაზმით,
მომავლის იმედებით.

წარმატება

მერაბ გვია



„კახაბერის ხმალი“. სპექტაკლის მონაწილენი ბუდაპეშტის თეატრის სცენაზე.

შემთხვევითი მისხედით რუსთავის თეატრს ბუდაპეშტში სამი სპექტაკლი უნდა წარმოედგინა: პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“, ვ. კოროსტილევის „ასი წლის შემდეგ“ და ი. კატონას „ბანკ ბანის“. თეატრი სათანადოდ მოემზადა უნგრულ მაყურებლებთან შესახვედრად. ფესტივალი იწყებოდა 1 ოქტომბერს რუსთავის თეატრის გასტროლებით. დილის 9 საათზე ჩვენი კოლეგები უკვე ბუდაპეშტის აეროდრომზე იყო. აქ გველოდებოდნენ მასპინძლები — უნგრული კულტურის წარმომადგენლები, უნგრეთში საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელი თ. ჩიქოვანი, რუსთავის თეატრის ძველი მეგობარი, სპექტაკლ „ბანკ ბანის“ დამდგმელი რეჟისორი გაბორ ბერენი. ფოტორეპორტიორები და ტელევიზიის ოპერატორები განუწყვეტლივ იღებდნენ შეხვედრის ეპიზოდებს.

ასეთივე შეხვედრა გველოდა სასტუმრო „რიოლიში“. იგი მდებარეობს ბუდაპეშტის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს.

ჩასვლისთანავე მსახიობები დასასვენებლად გაეშურნენ. ჯგუფის ხელმძღვანელობა კი (გიგა ლორთქიფანიძე, ეიერ გუგუშვილი, ანზორ ქუთათელაძე, ვაჟა ბრეგვაძე) მიიწვიეს პრესკონფერენციაზე. უნგრეთის მხრიდან პრესკონფერენციას ესწრებოდნენ თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები — ხელოვნების საქმეთა მმართველი — ფოდორ ლაიოში, კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების გამგე დეჟე მოლონაი, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის გამგე შანდორ პალიტაი და ლაიოშ ტარდი, ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ქართველო-



ლოგი, ღვაწლმოსილი მეცნიერი. ჩვენი ჩასვლის წინ მან გაზეთ „მადრი ნემუზეტი“ განოქვეყნა დიდი წერილი სათაურით — „სახიობიდან ბანკ ბანამდე“, რომელშიც ვრცლად მიმოიხილა ქართული თეატრალური კულტურა. პრესკონფერენციაზე შექმნილმა მღელვარე ატმოსფერომ გვაგრძნობინა, რომ ვასტრელები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფაქტიურად დაიწყო. ეს ამოიციხებოდა უნგრელების ცნობის-მოყვარე თვლებში. აშკარა იყო, ისინი ამზადებდნენ საფუძველს მომავალი დასვენებისათვის. დადლიობის მიუხედავად, გადაწყდა საღამოს თეატრში წავსულიყავით. უნგრელებმა შემოგეთავაზეს, დაესწრებოდით უნგრელ პოპ-მიუზიკს. ჩვენ არ დავაყოფეთ, მით უმეტეს, რომ ყველა ჩვენგანისათვის ცნობილია უნგრეთის მუსიკალური თეატრების მაღალი რეპუტაცია. ავსტრო-უნგრეთი წარსულშიც საყოველთაოდ ცნობილი ოპერების ქვეყანა იყო. საქმარისა და ვასახელით რანდენიმე უნგრელი კომპოზიტორი — კალმანი, ლეგარი, კოდაი. გარდა ამისა, უნგრეთი ხომ ფარეფ ლისტის და ბელა ბარტოკის სამშობლოა.

იმას, რაც იმ დღეს თეატრში ენახეთ, ცოტა რამ აქვს საერთო ოპერების თანთან. ეს იყო წინანდელი წყლის თანამედროვე მიუზიკლი. პირობითი მუსიკალური პანორამით, მკვეთრი ინტონაციურობით, მუსიკალური თემის პროგრამული გახანის ტენდენციით. მოგვიბანა სპექტაკლის მაღალმხატვრულმა დონემ. უნგრეთის ოპერეტას, მის თანამედროვე მუსიკალურ სპექტაკლს ვერ გავყვანიტ, რადგან ჩვენი გასტროლები სწორედ ოპერეტის თეატრის შენობაში იმართებოდა.

დადგა პირველი სპექტაკლი ჩვენების დღე. 2 ოქტომბერი. ბილეთები წინასწარ უკვე გაყიდული იყო. „კახაბერის ხმლის“ რეპეტიცია აღმავლობით ჩატარდა. ამ ხელკატის რეჟისორი, ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიგა ლორთქიფანიძე ცდილობდა დაემშვიდებინა მასობები მისთვის ჩვეული იუმორით. ანელო სათქმელია, თვითონ კი იყო მშვიდად? თუქცა მღელვარება გარეგნულად არ დასტყობია, მაგრამ სპექტაკლი დაიწყო თუ არა, დარბაზიდან გავიდა და დამთავრებამდე არც გამოჩენილა (ასევე იქცევა ხოლომე იგი თავისი ყველა სპექტაკლის დროსაც).

„კახაბერის ხმლის“ დასაწყისში თავიდანვე მოხიბლა მაყურებელი. ბერიკაობის ტემპორიტმა, თეატრალიზმ და ხალხურობამ შთაბეჭდილება მოახდინა. საჯარძლებში დინჯად მჯდარი უნგრელები გამოიცხადდნენ. მთარგმნელის პულტს უნგრული ენის ქართული სპეციალისტი მანანა სალაძე უჯდა.

მასობებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა სრულად წარმოეჩინათ სპექტაკლის ღირსებები. მათ კიდევ უფრო მაფიო გახადეს როლების პლასტიკური ნახაზი, გაამრავალდგოვინეს ინ-

ტონაციები. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სპექტაკლის წარმატებას. თეატრალური მოახდინა ფინალმა — ურეზე შემდგარი გულქანა — ქეირი კინანძე, ხსლითა და თასით ხელში (ასოციაცია „ქართლის დედის“ მონუმენტთან), ეს გარემო შემოკრბილი თეატრის ამაღლა მაღლობის უძღვის მაყურებელს გულისხმიერებისათვის.

უნგრეთის თეატრალურმა წრებმა და პრესამ მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლს. აი, რას წერდა უნგრული კრიტიკის ბელა ბეტვე მატრაი (გაზ. „მადარი ნემუზეტი“) „...რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე უსუსტად აყალიბებს მივლენათა რიგს, სცენურ სინამდვილეში შექმნილ ვითარებას, განუწყვეტლივ გვაწვდის მხატვრულ ფერებს, თამამად იყენებს გროტესკს, მაგრამ ამასთან ერთად ყოველთვის იცავს ზომიერებას. იგი პიუეს შინაარსს ერთგულია და არსად არ ციოლობს ცრუ ეფექტის მოხდენის მიზნით მარტინოს მიზანს. ამიტომ რეჟისორისათვის მთავარია მსახიობთა ბუნებრივი, გულწრფელი თამაშით გამორევეული სინარული. მის მიერ შექმნილ სპექტაკლს დამოუკიდებელი სცენური კანონები და ცხოვრება აქვს“...

„მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის ყველა შემსრულებელი ჭარბ კომედიურ ფერებს იყენებს, ადამიანურობით, ბუნებრიობით ხასიათდება. სახეს კარგატურული გამოსახვის დროსაც კი სინარულეს ამბობენ თავიანთი გმირის შესახებ და ტიპიურობის სინამდღემდე აყავათ იგი“.

ლუო ანთაძის, სოსო გოგინაიშვილის, თენგიზ მისტიკაძის, გვი ბერიკაშვილის, ქეთინო კინანძის, ა ხობუას, გიოზ სისარულიძის, მალხაზ გორგილაძის გვერდით სპექტაკლის წარმატებაში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნახაობებმა: ჯემლა გაგინძემ, თენგიზ დაუშვილმა, ჯემლა მახაშვილმა, ლერი მიშველიძემ, ოთარ სეთურიძემ, ლუო ფილფანმა, ოთარ ქუთათელაძემ, ნუგზარ ხიდურელმა, ირაკლი ბალიაშვილმა და სხვებმა. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მამია მალაზონიას მხატვრულმა ჩანაფიქრმა, შოთა მლორავას მუსიკამ.

სპექტაკლის შემდეგ ოპერეტის თეატრის მსახიობებმა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებმა დიდ სარეპეტიციო დარბაზში შეხვედრა მოუწყვეს მონაწილეებს, მთელ დასს. მრავალი თბილი სიტყვა ითქვა პირველი დღის გამო. აშკარა იყო, პირველმა სპექტაკლმა უნგრელები დააინტერესა.

მეორე დღეს რუსთავის თეატრის მთელი კოლექტივი სადარბაზოდ მიიპატივა უნგრეთის კულტურის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა, დოქტორმა ფერენც მოლნარმა. დარბაზობა შეუადლისსა უნდა შემდგარიყო. ჩვენ ვისარგებლეთ თავისუფალი დროით და კოლექტიურად



გაგწართვეთ ბუდაპეშტის ღირსშესანიშნავ-
ბათა დელეგაციის წევრად.

უნგრეთის დელეგატი ბუდაპეშტში სამი
მილიონი მცხოვრებია, რაც მთელი მოსახლეო-
ბის 35 პროცენტს შეადგენს. აქ თავმოყრილია
უნგრეთის მნიშვნელოვანი საწარმოო ქსელი.

ბუდაპეშტი, განსაკუთრებით ბუდას რაიონი,
განთქმულია თავისი არქიტექტურული ნაგებო-
ბებით. აქ გასული ეპოქიდან შემორჩენილია ბა-
რბაზის, მესაილის, ბენეფეის არაჩვეულებრი-
ვი არქიტექტურული ქმნილებანი. ფართო მიე-
დნებზე აღმართულია მონუმენტები, ძეგლები,
ანსამბლები. ცისფერ ღუნაიზე გაწოლიან ბუ-

მართა რუსთავეს თეატრის კოლექტივი და სუვე-
ნირი გადასცა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩვე-
ნი ჯგუფის ხელმძღვანელმა, კულტურის სამი-
ნისტროს თეატრების განყოფილების გამგემ,
რეჟისორმა ანზორ ქუთათიძემ.

სალამოს მიწვევლი ვიყავით ატილა იოფე-
ფის სახელობის თეატრში. ენახეთ პასკანდის
ტრაგიკომედია „მანჩინის მონიე“, რომლის
რეჟისურა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟი-
სორს გაბორ ბერენს. სპექტაკლის დაწყებამდე
მან შეგვიპატივა თავის ოთახში და გავგანო
პიესის სიუჟეტი. სპექტაკლი ერთსაგულ პლანში
იყო გადაწყვეტილი. მოქმედების ტრაგიკომიკური
ეფექტი არაჩვეულებრივ სიტუაციაზე იყო აგებუ-
ლი. პირობითობის, სცენის გახვიადებული პლას-
ტიური ნახაზით გადაწყვეტის მომენტზე იგრძნობა
როგორც მთლიანად სპექტაკლის, ასევე ეპიზო-
დების და თვით დეტალების გამოსახავი.
უნებლიეთ ვადარებდით ამ სპექტაკლს ქართუ-
ლი თეატრების სპექტაკლებს და დიდ სხვათ-
ბასთან ერთად საერთოსაც ვპოულობდით (იგი-
ვე დავინახეთ მადარის თეატრში შექსპირის
„ოტელოს“ ხილვისას, ივანე დარგაშის ხილი-
სას სპექტაკლში „შემოღობის ჩანაწერები“).

მომდევნო დღეს, 4 ოქტომბერს, უნგრელ-
თათვის უნდა წარმოედგინა „ასი წლის შემ-
დეგ“. ამ სპექტაკლმა რამდენიმე წლის წინ და-
აგვირგვინა რუსთავეის თეატრის წარმატება მოს-
კოვში გასტროლების დროს. „კახაბერის ხმლის“
წარმატებამ თუმცა ნაწილობრივ დაამშვიდა თე-
ატრი, მაგრამ იგი მეორე სპექტაკლის წარმატე-
ბის საწინდრად არ გამოდგებოდა. გასათვალის-
წინებელი იყო ჯანრული სხვაობა, სპექტაკლის
ფილოსოფიური სიმძიმე. პიესა „ასი წლის შემ-
დეგ“ იდეათა დრამაა (ანუ დრამა-კონცეფცია).
ეს ურთულესი თეატრალური ფორმა და ძნელია
იგი დაიყვანო ენის არმცოდნის შემეცნებამდე.

სპექტაკლის დასაწყისი ძალზე ბერეს
გვიპირდებოდა. მამია მაღალხონიას მიერ გემო-
ნებით, ლაკონურად გალორმებულმა დადგამა,
კოსტიუმებმა, რომანტიკულმა ატმოსფერომ ეფექ-
ტი მოახდინა. უნგრელებმა სცენაზე გათამაშე-
ბული სპექტაკლის ფილოსოფიური არსი შეიქ-
ნეს და ეს წარმოდგენა ერთ-ერთი საუკეთესო
გახდა მათ მიერ ნახს სპექტაკლებს შორის.
ისინი მოიხიბლნენ მსახიობების თამაშის სტი-
ლით, ჩასწვდნენ რეჟისურის სიფაქიზეს. პრესამ
უმაღლესი შეფასება მისცა სპექტაკლს. აი,
ამონაწერი ბუდაპეშტის პრესიდან: ბუდა ბატემ
მატრია („მადიარ ნემუტეტი“): „რეჟისორმა გ.
ლორთქიფანიძემ და მსახიობებმა მომხდარის
ობიექტურობისა და ენებათაღვლელის სინთეზს
მიაკეთეს. მიაკეთეს გასახეხს თეატრალური-
სა და ცხოვრებისეულის ამისხსნელად. იპოვეს
შესაფერავი ტონი მოქმედების დრამატული
გადმოცემისათვის. გულწრფელობა მათი ენემა-
თა ლელვის საყრდენია.



რეჟისორი
გიგა ლორთქიფანიძე.

დაპეშტის ვეებრთვლა ხილები. აქ მანქანების
მომარბა არასოდეს არ წყდება. ქუჩების სი-
სუფთავე შერწყმულია არაჩვეულებრივ წესრიგ-
თან, სწრაფად ზარბოლი მანქანების ტემპთან.

მთელ უნგრეთში ამჟამად ვაჭრობის დაახლო-
ებით 40 000 მაღაზიაა. ამათგან უმეტესობა ბუ-
დაპეშტში, უკრა სწორად, პეშტის რაიონშია
ნითაესებული. ამ მაღაზიებს კონტად მორაული
ვიტრინები ამწვენებს. წიგნის მაღაზიების ვიტ-
რინებში შეხედებით მსოფლიოს ყველა კუთხის
გამოცემებს. მათ გვერდით უნგრეთის სახელგან-
თქმული ლიტერატურის წარმომადგენლებია
პეტეფი, ადი, იოჟეფი, ილუმი, დიადმი, გაბორი
და სხვ.

გვირგვინებით შევამკეთ სამამულო ომში და-
ღუპულთა ობელისკი, შემდგომ ფერდობზე და-
ვეშეთ და გავემართეთ მარგიტის კუნძულისა-
კენ, გრანდ ოტელში, სადაც გველოდებოდა დო-
ქტორი მოლნარი. მის გარდა დაბაზობის ეს-
წრებოდნენ სხვა ოფიციალური სახელმწიფო პი-
რებიც. ესწრებოდა აგრეთვე უნგრეთში საბჭოთა
კავშირის დროებითი რწმუნებული გ. შვეკინი.

დოქტორმა ფერენც მოლნარმა სიტყვით მი-



სათქმელად ადვილია, განსახორციელებლად კი ძნელი, რადგან გულახდილობა სცენაზე მხატვრული უნდა იყოს. ძნელია განცდების გადმოცემისას „ზომიერების დაცვა“.

სცენური გულახდილობა, ხელოვნების გულახდილობა, მსახიობის „ლაბორატორიაში“ ხანგრძლივი ცდების შედეგად მიიღწევა. ასეთა, ასე წლის წინანდელი გულწრფელობა ასე წლის შემდგომაც მისაღები იქნება სცენური შემოქმედებისათვის, რადგან ასეთია თეატრის სპეციფიკა. რეჟისორისა და მსახიობების შეერთებული ძალით რუსთავის თეატრმა შეძლო გზებითა დღეობისა და გრძნობების უხილავი შემოტანა თანამედროვე სცენაზე. ასე ძერწავენ ადამიანს ამ ქართულ თეატრალურ კოლექტივში“.

მსახიობების ნამუშევარი ასე იყო შეფასებული: (მოგვყავს შემოკლებით, მ. გ.) „გრანდიოზული ქმნილებაა ო. მედინეიუხუტისის ნიკოლოზ პირველი. მრავალმხრივ სულეერ განწყობას, ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათს აერთიანებს იგი ამ როლში...“

„მსახიობი გ. გაბუნია არ მალავს გრძნობებს, გზას აძლევს ცრემლებს, რადგან გმირი ქალის ბედი სიყვარულის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას...“

„ამოხებული დეკაბრისტის როლის შემსრულებელი მსახიობი ო. სეთურისე ვულკანურ ემოციებს უთმობს ადვილს, რადგან როლი სწორედ პათოსს, გმირულ ვესტებსა და თავდაჭერას მოიხიფებს...“

„მეფის ჭკვიან პოლიტიკოსს ბრწყინვალედ ასახაიერებს გ. სიხარულიძე“.

გოლისამაჩუყებლად თბილ, გულუბრყვივად ამბობებულსა და შეყვარებულ ახალგაზრდის სახეს ქმნის მ. გორგილაძე“.

„სცენის რომელი მხარისაც არ უნდა გაიხედო, ყველგან გამოცდილი მსახიობები დგანან, ნათელი ქმნილებები გვხვდებიან. ამ ისტორიულ დრამაში ნამდვილ თეატრალურ პორტრეტებს ქმნიან თანამედროვე მსახიობები. ნ. მაგალიძლიძე, ზ. ლებანიძე, ს. ლიგინაიშვილი“.

„ამ სპექტაკლის მოძრაი, გამომასხველი, მოქმედებასთან შერწყმული დეკორაციებისა და გოსტიუმების მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ მაშია მაღალხინას. დრამატული ტონის მუსიკა შერჩეულია ი. ბობოხიძის მიერ“.

სპექტაკლის „ასე წლის შემდეგ“ მნიშვნელობა უნგრელებისათვის ამით არ ამოწურულა. მან შემოქმედებითი პირობების ასალი ნაკადი წარმოშვა. ჩემი აზრით, ეს არის ყველა გასტროლის უპირველესი: დანიშნულება.

უნგრელების წინაშე სპექტაკლმა ასლებურად დააყენა სცენისა და მსეველების ურთიერთობის, პერსონაჟის გამოსახვის პრობლემა. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს კრიტიკოსის ბელა ბატეგ მატრისის წერილი გაზეთ „მადიარ ნემ-ზეტში“:

„მსახიობი სინამდვილეს, ცხოვრებას მაშინ იგი ხედავს, რომ თანამედროვე ადამიანი კრწველს მხრივ ცდილობს თავისი გრძნობების გარშემო ჯებირები ააგოს. ამსვე ცდილობს მსახიობიც სცენაზე, მაგრამ ვერ შეუძენია გრძნობათა გადმოცემის ამ სიძუნწეს. ზომიერება ყველგან და ყველგანვერში, ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის მიჩქმლების სინონიმი ხდება. ზომიერება არავის არ ინდობს, ცხადია, დრამას არაფერს „ველოსი“, რადგან დრამა სრულადაც არ არის ლაგამომოდელი გრძნობების განარი. არც მასურებებს ინდობს, რადგან სცენის უპირველესი დანიშნულებაა, ემოციურად გაამიღდროს მასურებელი. მსახიობის მიმართ კი მართლაც სასტიკია, რადგან გამოუხატავი გრძნობები, სულ უფრო და უფრო ამიმიგენ მის შემოქმედებას.

გზებითა დღევას სინიშედი კი არ უნდა დეუპირისპირო, არამედ გულწრფელობა. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ადამიანი გრძნობიერი არსებაა, ემოციური და ენებანი? თანამედროვე არა ის, რაც დღევას მალავს, არამედ ის, რაც თავისთავად მოიცავს სუბიექტურ აფექტებს — გულწრფელობას, უკიდურესობას, სვეთქებას.

მივესალმებით იმ მსახიობს გულახდილობას, როლში ჩაყარვას, ვარდასუხვას, რომლის მოწმენიც გავხვდით, როცა სამჭოთა დრამატურგის, კორსტილიევის ასე წლის წინანდელი, დეკაბრისტების ეპოქის ამსახველ პიუეს კუვერუბედიოი“. სწორედ ეს არის რუსთავის თეატრის გასტროლების გამარჯვების დამადასტურებელი.

ჩვენ საშუალება მოგვცა კიდევ უფრო ახლოს გავცნობოთ უნგრულ თეატრს. სამშობლოდან წამოსვლისას უნგრული თეატრის შესახებ ინფორმაცია მოვიპარაგეთ. ჩვენ ვიცოდით, რომ ბუდაპეშტში 25 თეატრია; რომ ამათგან საუკეთესოდ ითვლებიან: მადაჩი, კატლას სახელობის, ვიგრინაპაუ, ნემუტერი, ტალიას ახალგაზრდული თეატრ-სტუდია, იოჟევის სახელობის თეატრი. ბევრი რამ გვეჩინდა წაითხოვდით და გაგონილი მსახიობები: მიკლოშ გაბორის, ივანე დარვაშის, ირენ ჰშოტას, იმრე ნიკოვიჩის, ლაიოშ ბატიის, მაგდა კოშუტის, ევა რუტკაის და სხვათა შესახებ. ეს ცოდნა კიდევ უფრო აღვივებდა ჩვენს ცნობისმოყვარეობას.

მეორე დღეს, 5 ოქტომბერს დავესწარით მადაჩის თეატრის სპექტაკლ „ოტელოს“. აქ ჩვენ სიურპრაზი გველოდა. გაგავიყა პიუის ასლებურად გააზრებამ. სპექტაკლი ავებულია არა ოტელოს, არამედ იაგოს ტრაგედიაზე. „ოტელოს“ ასეთი ინტერპრეტაცია ჩვენთვის გამოლოდნელი იყო. ეს იაგო სრულიადაც არ გამოეყურებოდა ოტელოს მტარად. არც ბოროტ არსებად იგი ტრაგიკული კოლონიის ისეთსავე მსხვერპლად მოიხნდა, როგორმეც არიან ოტელო და დედმუდრისა. იაგომ ჩვენში აღძრა არა სიბრალული, არამედ დაკვარწმუნა თავის სი-



მართლმე. სწორედ ამან მოახდინა მნიშვნელოვანი თეატრალური ეფექტი.

საოცარია, შექსპირის გენიამ თეატრს ასეთი ინტერპრეტაციის საშუალება მისცა და ეს იმდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რომ თვით აგოს სახელგანთქმულმა შემსრულებელმა აკაცი გასაქემ, განცვიფრება და აღტაცება ვერ დამალა.

კლასიკური მემკვიდრეობის ასეთ მოულოდნელ ინტერპრეტაციასთან შედარებით სპექტაკლი „ბანკ ბანის“, რომელიც 7 ოქტომბერს უნდა გვეჩვენებინა, აშკარად ტრადიციულად გამოიყურებოდა. მაგრამ მას გააჩნდა თავისი უპირატესობაც. მას სხვა ერთგუნების მსახიობები ასრულებდნენ. ეს უკვე თავისთავად მოულოდნელობა იყო უნგრელებისათვის.

სპექტაკლის წინ მაყურებელთა ცნობისმოყვარეობა უკიდურესად დაიჭიმა. დღეაღდენ მსახიობები. არანაკლებ დღეაღდენ წაპანძმლებიც.

წარმოდგენამ დაწვევისთანავე მოახდინა შთაბეჭდილება. ყოველი მსახიობის გამოჩენა ახალ მძლავრ ნაკადად იღვრებოდა სპექტაკლში. ხოლო ბანკ ბანის გამოჩენამ კი საბოლოოდ დაიპყრო უნგრელი მაყურებელი. დამთავრდა გიჟო სიხარულით ტიბორტის მონოლოგი. მას ერთსულლოვანი ტაში მოჰყვა. აქედან მიყოლებული ტაში ამ სპექტაკლის თანამგზავრი გახდა.

ორიოდ სიგყვა უნგრელი მაყურებლის შესახებ. ერთი შეხედვით, უნგრელი მაყურებელი მიუკარებელი ჩანს, არ ჰყვება სხვების რეაქციას, ძუნწად რეაგირებს სპექტაკლზე. გრჩებათ შთაბეჭდილება, თითქოს იგი საკუთარ თავშია ჩაყვტილი და გონების თვალით აანალიზებს სცენაზე წარმოდგენილს. მაგრამ სპექტაკლმა „ბანკ ბანის“ იგი სრულიად გამოცვალა. აქ მაყურებელი დაინტერესდა კიდევ იმითაც, რომ ეს პიესა მათი ერთგული ხელოვნების სიბაყუა და ასახავს პაპსბურგების დინასტიის ბატონობას უნგრეთში. ამიტომ მაყურებლები მშვიდად ვერ დარჩებოდნენ სპექტაკლის მიმართ. მაგრამ საკამარისი იყო ჩვენ ჯეროვან სიმაღლეზე არ აღმოჩენილიყავით, ყველაფერი ეს ჩვენს წინააღმდეგ შეტრიალდებოდა.

ბუდაპეშტის თეატრებში ტაშს სპექტაკლის მსვლელობის დროს იშვიათად გაიკრებთ. „ბანკ ბანის“ წარმოდგენის დროს კი ხშირად გაისმოდა.

თუ პრესაც მალე შეფასებას მისცემდა სპექტაკლს, ბუდაპეშტის ფესტივალის უკეთეს ფინალს ვერც ვინატრებდნენ. ჩვენი იმედები გაართლდა. პრესაში გამოქვეყნდა აღფრთოვანებული რეცენზიები. აი, რას წერდა კრიტიკოსი პეტერ გალ მოლნარი (გაზ. „ნებაზადაშაგ“).

„ქართულმა წარმოდგენამ მიაგნო მგზნებარებას, რაც ყოველთვის აკლდა ჩვენთან „ბანკ ბანის“ წარმოდგენებს. პიესის თითქოსდა უმნიშვნელო პერსონაჟებს ჩვენთან დამხმარე ან უნი-

ტო მსახიობები ანსახიერებენ. შეთქმულების მიძიე და ძნელად გადასაწყვეტი სცენისათვის კი სწორედ ნიჭიერი მსახიობია საჭირო, რათა მოვლენების ის სიმაღლე მიცეთ, რომელიც ჩვენ რუსთავის თეატრის სპექტაკლის თეატრში ვიხილეთ. მათმა „ბანკ ბანის“ ბუდაპეშტში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“.

ძალზე ბევრი რამ ითქვა ჩვენი მსახიობების შესახებ.

„კეთილშობილ, დიწკ, მხოლოდ შინაგანად, სულიერად დაძაბულ პოლიტიკოსს გადმოგვეცხმ შეღვინეთუბუცესი... მისი ბანკი ჰგავს ფურცელ ბეშენის უკანასკნელ ბანკს“ (მოლნარი), „მომეწონა მოხუცი ვარსკვლავი ა. ვასაპ-პეტურ ბანის“ (მელონარი). „ადიდი დაიპაზონის ხელოვანი თამაშობს პეტურ ბანს“ (მატრაი). „გ. სიხარულით შედაღადებს უნგრელი გლების ტიბორტის ჩივისს. ამ შესანიშნავმა მსახიობმა იცის, როგორია ჩაგრულის ხმა“ (მატრაი). თითქმის აღმოჩენად შეიძლება ჩავთვალოთ ნ. მგალობლიშვილის მიერ შექმნილი ოტოს სახე (მატრაი). ეს ორი პერსონაჟი (იგულისხმება ოტო და ბიბურახი — მ. გ.) ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე მხარეა რუსთავის თეატრის სპექტაკლისა“ (მატრაი). „ჰებრტურება როლის შესწრულეშეული თ. სხირიშვილი ისტორიული სტილისკენ არ ისწრაფვის. იგი თანამედროვე ხელოვანია და პერტრუდას ფიგურას თავის სულის სიღრმეში აგებს“ (მატრაი). „მელინდას როლის განმსახიერებელი ახალაზრდა, ლამაზი მსახიობი ქალი ნ. მუხლიშვილი ისეთი შინაგანი ცეცხლით ურტყამს მუშტს თავისი ქმრის ძლიერ მხრებს, რომ რწუნდები, ბოტკელი მელინდას“ (მოლნარი).

ამით დასრულდა ჩვენი გასტროლები ბუდაპეშტში.

7 ოქტომბერს ქალაქ დებრეცენში გავემგზავრეთ „ბანკ ბანისა“ და „კახაბერის ხმლის“ წარმოსადგენად ეტყობოდა, ბუდაპეშტის გახუტებმა გამოქვეყნებულმა რეცენზიებმა წინასწარ შეამზა იგი. სპექტაკლები აქაც დიდი წარმატებით წყვიდა.

10 ოქტომბერს დაებრუნდით ბუდაპეშტში. რუსთავის თეატრის გასტროლები დამთავრდა. საბჭოთა კავშირის ვლჩმა უნგრეთში, გ. პავლოვმა, საეღწროში მივიწვივა და მადლობა გამოვიცხადა მადლ დონეზე ჩატარებული გასტროლებსათვის.

11 ოქტომბერს კი სამშობლოსაკენ გამოემგზავრეთ.



„სმლოვნება ხალხს კმუთნისა“ — ასეთი დევიზით ჩატარდა სამხრეთ ოსეთის მშრომელებთან მწერლებისა და ხელოვნების ოსტატთა შეხვედრა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა.

ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო ღონისძიება, რომელიც ფართო მასშტაბით განხორციელდა. მან სამხრეთ ოსეთის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს პირისპირ წარუდგინა შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები — თბილისელი, ქუთაისელი, სოხუმელი, ბათუმელი მოღვაწეები, ცნობილი მწერლები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები. დელეგაციას უზღმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. გაბუნია. შეხვედრის პირველ დღეს — გასული წლის 29 ნოემბერს — მწერალთა და ხელოვნების ოსტატთა დელეგაციამ, ცხინვალის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი. ასევე მიიტანეს გვირგვინები ოსური ლიტერატურის ფუძემდებლის კოსტა ხეთაგუროვის ძეგლთან.

იმვე დღეს გაიმართა საქართველოს მწერლებისა და ხელოვნების ოსტატთა შეხვედრა ოლქის მშრომელებთან. საზეიმო შერევა გახსნა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოვმა. იგი მხურვალედ მიესალმა მეგობრობის დღეების მონაწილეებს და, სხვათა შორის, თქვა: „ქართველი და ოსი ხალხების ძმური მეგობრობის ფესვები შორეულ საუკუნეებში გადაეწვნა ერთმანეთს. ისტორიულ ქარტახილებში მათ არაერთხელ გაუერთიანებიათ ძალები მტერთან საბრძოლველად. ისტორიული ბედის შემობრუნება იყო საქართველოს ნებაყოფლობით შეგავიწყდა დიდ რუსეთთან. მიმე კვონამიურ ყოფაში ჩავარდნილი ოსეთის მშრომელები თავიანთ ხსნას ქართველ დარუს ხალხთან კავშირში ხელადაწენ. ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის ცეცხლში ერთად იღვწოდნენ ქართველები და ოსები. რევოლუციის გრივალში კიდევ უფრო შეგავიწყდნენ ჩვენი ხალხები...“

სამხრეთ ოსეთის მშრომელები, — აღნიშნა შემდეგ ფ. სანაკოვმა, — ყოველთვის გრძნობდნენ მოძმე ქართველების გულთბილ. იმედთან მხარდაჭერას, ქართველი ხალხის დახმარებით გაიფურჩქნა და აყვავდა ოსი ხალხის კულტურა და ხელოვნება. მოპოვებულია დიდი წარმატებები სახალხო მუერნების, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღმავლობის საქმეში.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ქართველი ხალხის სახელოვან, გმირულ ისტორიას, მის მდიდარ კულტურას. ღრმა და ნაყოფიერია ჩვენი ხალხების დიდებული მოღვაწეობის სულიერი კავშირიც...

აღსანიშნავია ისიც, რომ ოსი მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, მხატვრების მთელი პოლად აღიზარდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებში. დღეს ისინი ქართული კულტურის პროპაგანდისტები არიან.

ოსი მწერლები მიჰყვებიან დიდი კოსტა ხეთაგუროვის ტრადიციებს — დიდად აფასებენ და პატივს სცემენ ქართველ თანამოკალმებს. ნათელი გზით მიდის მათი ძმობა ასალი მწვერვალებისაკენ...“

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებს მიესალმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. გაბუნია. მან დელეგაციის სახელით მიმართა ოსეთის

მშრომელებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, უსურვა მათ შემოქმედებითი წარმატებები ძმური კავშირების განმტკიცებისა და გაღრმავების, ხალხთა მეგობრობის დიდი ლენინური იდეების დამკვიდრების გზაზე.

ტრენინგზე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი თ. ბუაჩიძე: „ქვირფასო მეგობრებო და ძმებო! ქართველი მწერლები მხურვალედ მოგესალმებიან შემოდგომის ამ მოზან დღეს, რომელმაც კიდევ უფრო ხალისიანი განწყობილება შეგიქმნა.“

ჩვენი ვალაია, — ამბობს თ. ბუაჩიძე, — კიდევ უფრო გააღრმავოს ჩვენი ძმობა და კულტურული ურთიერთობა. ჩვენ

ჩვენი ხალხის

კულტურის მუშაკები

სამხრეთ ოსეთის

მეგობრებთან

— ქართველებსა და ოსებს, გასაყოფი არასოდეს არაფერი გექნია. დღეს, ერთმანეთს ერთხელ კიდევ უნდა გადავუშალოთ ჩვენი გულები, ვიზრუნოთ ზგალინდელ დღეზე, ჩვენს ჩვენი მომხილველი საქმიანობაზე. ჩვენ ერთნი ვართ. ჩვენი მომხილველი არ არის სტუმრის ჩამოსვლა, ისევე როგორც თქვენ სტუმრად არა გრძნობთ თავს თბილისში. ნება მომეცით კიდევ ერთხელ მოგესალმოთ, რათა კვლავაც ერთად ვიართ ნათელი მომავლისაკენ“.

სიტყვა ეძლევა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანს პოეტ ი. ქოხაძეს: „ქვირფასო ქართველო მეგობრებო! გვახარებს თქვენი ჩამოსვლა. თქვენთან — ქართველი ხალხის თვალსაჩინო მოღვაწეებთან ჩვენ ნამდვილი შემოქმედებითი ურთიერთობა გვაკავშირებს. ვიზრდებით რა კოსტა ხეთაგუროვის



ტრადიციებზე, გამტკიცებთ კავშირს ქართულ ლიტერატურასთან. ეს კავშირი ძველისძველია. ჩვენი მიზანია მაღალ ავწიოთ მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის დიდი დროშა“.

ტრიუნფაზეა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე და ა ლ ე კ ს ი ძ ე : „ათი დღის წინ ვმონაწილეობდი მოსკოვის მცირე თეატრის იუბილეში. იქ, საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლმა დიდებულად, მაღალსტატუსურად შეასრულა ოსური ხალხური ცეკვა „სიმღი“ . ეს იყო შეუდარებელი სანახაობა. ვუყურებდი, ვტკბებოდი და მებაზუბოდა, ამ ცეკვაში ვგრძნობდი ოსი ხალხის კეთილშობილებას, მომხიბვლელობას. ამის გარდაც, ქართველ და ოს თეატ-

ცხინვალში ერთ ჰურტვეშ ნაყოფიერად მოღვაწეობს ოსური და ქართული დასი. ეს ჩვენი მოძამ ხალხების მეგობრობის ბის ნათელი მაგალითია.

უშევლია, ჩვენი შეხვედრები კეთილ ნაყოფს გამოიღებს, განამტკიცებს ოსი და ქართველი ხალხების საუკუნოვან ძმობას“.

სტუმრებს მიესალმა ცხინვალის ელექტროფირაციული მანქანების ქარხნის მუშა მ. ბ ბ ი ლ ო ვ ი : „ჩვენი ხალხების ბედი ერთად იჭედებოდა მტერთან ბრძოლაში. ახლა კი ქართველი და ოსი მუშები ვიზრძოთ ერთი მიზნისთვის — ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერებისთვის. ჩვენი სურვილია, რომ ეს მეგობრობა, მუშის კეთილშობილი სახე მაღალმხატვრულად აისახოს ქართულსა და ოსურ ლიტერატურაში“.

დამსწრე საზოგადოება მხურვალედ შეეგება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საპატიო თავმჯდომარეს ა. ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე ს. „მეგობრებო! მუსიკა ხალხთა და კავშირების მძლავრი საშუალებაა, — თქვა მან, — ქართველი და ოსი კომპოზიტორების მეგობრობა დიდ ზემოქმედებას ახდენს ჩვენი ხალხების კულტურული დონის ამაღლებაზე. მუსიკას არ სჭირდება თარგმანი, ამიტომაც სრულად უნდა გამოვიყენოთ მისი ძალა, მთელ მსოფლიოს უნდა გავაცნოთ ჩვენი ხალხების თვითმყოფადი მუსიკალური კულტურა“.

ტრიუნფაზეა ოსი პოეტი გ. ბ ე ს თ ა უ თ ი : „ქართველი ხალხის სიბორო და ამავე არაერთხელ განმეცლიდა — ადგილზე ჩართულ სკოლაში, შემდეგ კი გასწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — შენეიერების ამ ჩაუქრობელ კერაში“. შემდეგ კი გ. ბესთაუთომა წაიკითხა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის საკუთარი თარგმანი. მისასაღმებელი სიტყვა წარმოთქვა სოხუმელმა მწერალმა ა. გ ო გ უ ა მ, საკუთარი ლექსები წაიკითხეს ბათუმელმა ჯ. ჯ ა ყ ე ლ მ ა, ქუთაისელმა ზ. კ უ ხ ა ნ ი ძ ე მ, გურნალ „ციცერის“ რედაქტორმა ჯ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ მ ა, პოეტმა ქალმა ნ. გ ო ლ ო ვ ა ნ ო ვ ა მ, პოეტმა რ. ა ს ა ვ ე მ ა.

დამსწრე საზოგადოებამ ინტერესით მოუსმინა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარეს ს. დ ო ლ ი ძ ე ს : „ძვირფასო მეგობრებო! მე ოს ხალხთან დიდი შემოქმედებითი მეგობრობა მაკავშირებს. თავის დროზე მღელგერებით მოვიკიდე ხელი საპატიო საქმეს, დიდი კოსტა ხეთაგუროვის უკვდავი პოემის „ფატიმას“ კინოს ენაზე ამტყვევებულას. ამ საქმეში მხარში ამომიდგნენ ოსი აზნაანები — ოპერატორი ვ. ვალიშვილი და კომპოზიტორი ბ. გალიევი რომელმაც კომპოზიტორ ა. კერსელიძისთან ერთად დაწერა მუსიკა „ფატიმასთვის“. თუ როგორი წარმატება მოჰყვა მეგობრული შრომის შდეგს, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთში ფილმი „ფატიმა“ ნახა 350 ათასზე მეტმა მაყურებელმა, ე. ი. ერთ ადამიანს 3-4-ჯერ უნახავს იგი.

ჩვენ უნდა შეგვმნათ კინოფილმები ოსეთის მშრომელთა ცხოვრებაზე, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენს მეგობრობას“.

პოეტმა ი. ნ ო ნ ე შ ვ ი ლ მ ა დამსწრეთ წაუკითხა საკუთარი ლექსები.

მისასაღმებელი სიტყვით გამოვიდა ცხინვალში მცხოვრები მწერალი მ. ე ლ ი ო შ ი ვ ი ლ ი : „დღეს ორმაგად გზუნიშობ, როგორც სტუმარიც და როგორც მასპინძელი. შთაბეჭენებს ოსი და ქართველი ხალხების ალაღმარაალი, ურყევი მეგობრობა. ოსეთს ნიჭიერი ახალგაზრდობა ჰყავს, ძარღვიანი ლიტერატურა აქვს. ამის დასტურად გიორგი ბესთაუთის

სალომეაბა
ხალხს
აქაოთხის

რალურ მოღვაწეთა მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს გადმეული.

მოგესალმებით საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით და ვისურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებებს, ამ საქმეში ყოველთვის გაგიწვით დახმარებას. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მეგობრული ზრუნვის კიდევ ერთი გამოსატყულება ის, რომ გადაწყდა შეიქმნას საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამხრეთ ოსეთის განყოფილება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენს დაახლოებას, თქვენი შემოქმედებითი ძალების წინსვლას.

ადგილობრივი თეატრის ბაზაზე მოგზაურობა მაღალკვალიფიციურ კადრებს, რომლის აღზრდას თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი უხელმძღვანელებს.

შე მოქმედება და „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანიც კმა-
რება. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ჩვენი სალხების მეგობ-
რობაში.

მაღე კ. ხეთავროვის სახელობის თეატრი 100 წლის-
თავს იწივებს. ამ დღისთვის ვფერ პიუსას, რომლის სიუვე-
ტი ისეთის ცხოვრებიდან არის აღებული“.

სტუმრებს სამხრეთ სოხეთის მოსწავლე ახალგაზრდობის
სახეული მისალმა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის
სტუდენტები. ბ. გ. თ. ე. ვ. კ. კოლმურენათა სახელი — ზნა-
ურის რაიონის ანგევის კოლმურენობის თავმჯდომარე გ. მ. ა.
ი. ს. უ. ა. დ. ე. და ცხინვალის მონაწირები.

შედეგ ზეიმა გადაინაცვალა კ. ხეთავროვის სახელო-
ბის ცხინვალის დრამატული თეატრის შენობაში, სადაც გაი-
მართა დიდი კონცერტი ცხინვალის მუსიკალური სასწავლებ-
ლებს პედაგოგებისა და მოსწავლეების, სამხრეთ სოხეთის
ხალხური ცეკვის ანსამბლ „სიმღის“, ვოკალურ ანსამბლ
„ბონგარონისა“ და სხვათა მონაწილეობით.

30 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავში-
რის გამგეობის სამდინგოს გაფართოებული გამსვლელო სხდო-
მა, რომელიც მიეძღვნა თანამედროვე სსური ლიტერატურის
საკითხებს. სხდომა გახსნა მწერალთა კავშირის პირველმა
მდივანმა თ. ბაჩიბაძემ. საქართველოს მწერალთა კავშირის
სამხრეთ სოხეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა
ი. ქოხავაძემ ილაპარაკა ოსური ლიტერატურის განვითარ-
ების გზებზე, ჟურნალ „ფიდიუაგისა“ და გამოცემლობა
„ირისონის“ მუშაობაზე, ლიტერატურულ-მსატერული კრი-
ტიკის, სახამეო ლიტერატურისა და დრამატურგიის ნაკლო-
ვან მხარებზე, ორატორმა ხასკასმით აღნიშნა, რომ ძალიან
ცოტაა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც ჩვენი სინამდვი-
ლეა ასახული. ოსური ლიტერატურა ჯერ კიდევ ვერ პასუ-
ხობს თანამედროვეობის მოთხოვნებებს.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრ-
ლური კომიტეტის კულტურის განყოფილების ვაგე ნ. ჩ. ვ. რ-
ქე ზ. ი. შ. ვ. ი. ლი, მან ილაპარაკა მწერალთა ორგანიზაციის
როლზე მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში.

ოსური ლიტერატურის ამოცანებზე, საქართველოს მწე-
რალთა კავშირის სამხრეთ სოხეთის განყოფილების პარტიული
ორგანიზაციის მუშაობაზე, მწერალთა მაღალ მოქალაქეობრივ
მოვალეობაზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ
სოხეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკო-
ვამა.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის
მდივანები ბ. ჟ. დ. ე. ტ. ი. ნ. თ. ნ. ე. შ. ვ. ი. ლი, ნ. დ. უ. მ. ბ. ა. ძ. ე.
კრიტიკოსი გ. ჯ. ა. ტ. ი. ე. ვ. კ. პოეტები ხ. ა. ლ. ბ. ო. ო. ვ. ი. და
გ. ბ. ე. ს. თ. ა. უ. თ. ი, ჟურნალ „ფიდიუაგის“ რედაქტორი
გ. გ. ა. გ. ლ. ო. ვ. ი. ე. ვ. ი. გამომცემლობა „მერანის“ დირექტორი
კ. კ. ა. ლ. ა. ძ. ე. ვ. ი. გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი
ა. ს. უ. ლ. ა. კ. ა. კ. ა. უ. რი, ჟურნალ „ციკპირის“ რედაქტორი ჯ. ჩ. ა-
რ. კ. ვ. ი. ა. ნ. და სხვები.

ქართველი მწერლები და ხელოვნების ოსტატები ესტუმრ-
ნენ ოლქის მთავარ სამრეწველო საწარმოებს, კულტურულ-
საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ცხინვალის პედაგო-
გიურ ინსტიტუტს, სადაც სასუიშო შეხვედრა გახსნა ინსტი-
ტუტის პრორექტორმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდი-
დატმა ი. გ. ა. გ. ლ. ო. ვ. ე. მ. ა. სიტყვით გამოვიდა ფილოსოფიურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. გ. ა. ბ. ა. რ. ე. ი. მან
სხვათა შორის, აღნიშნა: „ქართველი მეგობრების მხარდა-

მხარე, მათი დიდი მხარდაჭერითა და დახმარებით დაკარ-
სით ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის პირვე-
ლი პედაგოგები იყვნენ ქართველი პროფესორ-მასწავლებლები
ლუბი. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსი მწერლების, პოეტების,
მსახიობების, კომპოზიტორების მთელი ჰბოვდა საქართვე-
ლოს უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდა. ჩვენ არასდღის
არ დაგვიკვლია ქართველ მოღვაწეთა ყურადღება და მზრუნ-
ველობა“.

კინოთეატრ „ჩერმენში“ გაიმართა ახალი ქართული მსა-
ტერული ფილმის „მშვიდობიანი დღეების“ პრემიერა. ცხინ-
ვალელ მაყურებელთა წინაშე წარსდგა თბილისის მინიატურ-
ების თეატრი. იმავე დღეს ჯავის კულტურის სახლში ჩა-
ტარდა ანსამბლ „სალხინოს“ კონცერტი.

ლენინგრის მშრომელები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის
სახალხო არტისტებს ა. ბ. ა. ლ. ა. ნ. ჩ. ი. ვ. ა. ძ. ე. ვ. ა.
ს. ა. ძ. ე. ვ. ი. საქართველოს სსრ თეატრალური სასოფალეობის
თავმჯდომარეს და ა. ლ. ე. ქ. ს. ი. ძ. ე. ს. რესპუბლიკის დამსახუ-
რებულ არტისტს ბ. კ. ო. ბ. ა. ხ. ი. ძ. ე. ს. პოეტ ლ. ს. უ. ლ. ა. ბ. ე.
რ. ი. ძ. ე. ს. და კომპოზიტორ ვ. ა. ზ. ა. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ს. სტუმრებს
მისვალმა პარტიის ლენინგრის რაიკომის პირველი მდივა-
ნი ნ. ო. დ. ი. შ. ვ. ი. ლ. სიტყვებით გამოვიდნენ რაიონის
მშრომელები.

მღელვარედ ჩატარდა შეხვედრები ზნაურში და ცხინვა-
ლის რაიონის სოფელ ქურთაშიც, სადაც მშრომელების, მოს-
წავლე-ახალგაზრდობის წინაშე წარსდგნენ კრიტიკოსი
ბ. ჟ. დ. ე. ტ. ი. პოეტები კ. კ. ა. ლ. ა. ძ. ე. ვ. ი. ლ. ს. უ. ლ. ა. კ. ა.
უ. რ. ი, პროფესორი ს. ც. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.

გულბოილსა და შინაარსიან ატმოსფეროში მიმდინარე-
ობდა საუბრები სამხრეთ სოხეთის მშრომელებთან. შეხვედრის
მონაწილენი მსჯელობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურ-
რის, მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხებზე, ობიექტურ-
რად აფასებდნენ წარმატებებსა და ნაკლოვანებებს, საუბ-
რობდნენ აქტუალურ იდეურ-უსთეტიკურ პრობლემებზე.

ამ გულბოილსა და საქმინამა შეხვედრებმა თვალსაჩინოდ
გამოხატეს ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის მა-
ღალი ჰუმანური სულისკვეთება, პარტიულობის, იდეურო-
ბისა და ხალხურობის პრინციპები.

გივი გეგეჭკორი

„ტომ სწიპირის თავგადასავალი“ მრავალ თაობას წაუკითხავს. ეს წიგნი ძვირფასია ჩემი თაობისათვისაც. განსაკუთრებით ძვირფასია ის გამოცემა, რომელიც ჩვენს ბავშვობას დაემთხვა და რომელსაც ჩვენ ვკითხულობდით. ეს არის 1935 წელს საბლიტგამის მიერ გამოცემული წიგნი.

ამ ოცდაათიოდე წლის წინ ჩვენი გულუბრყვილო ბავშვური მწერა პირველად შეჩერდა მარცტკენის ამ წიგნის ფურცლებზე. ამერიკის ყველაზე დიდი მდინარის — მისისიპის ნაპირებთან გაზრდილი ბიჭის ტომ სოიერის ფათურაკიანი თავგადასავლით, ცალკე ამერიკელმა მწერალმა და ცალკე ამ გამოცემის ქართველმა მხატვარმა, იმ მშვენიერ დღეს ჩემს წინ იდუმალი, რომანტიკული სამყაროს ფარდა გადახსნეს. წიგნის მხატვარი ელენე ახვლედიანი იყო.

ედგარ დეგაზე დაწერილ წერილში პოლ ვალერი გადმოგვცემს, რომ სახელგანთქმული მხატვარი თავის ნახატს თურმე ადვილად ვერ იცილებდა. ყოფილა შემთხვევა, როცა მეგობრისთვის ნაჩუქარი თავისი ნახატი ისევ სახელოსნოში წამოვლია და უკან აღარ დაუბრუნებია. დეგას ნახატი არასოდეს არ იყო დამთავრებული და სურათზე მუშაობის გაგრძელებას მუდამ აპირებდა. ამიტომ ადვილად ვერ იცილებდა და თუ სადმე წააწყდებოდა, ცდილობდა, როგორმე უკან დაებრუნებინა.


რა თქმა უნდა, იმ ნამუშევრის გვერდიდან მოცილება, რომელსაც ასე რუღუნებით ხატავდით დიდხანს, ეტყობა, მინცდამაინც სასიამოვნო არ

უნდა იყოს. და ნახატს მაინც ის მხატვარი უნდა ელვოდეს შედარებით ადვილად, ვისთვისაც წარმოუდგენელია, რომ დიდი ხნის წინათ დამთავრებულ ნახატს კვლავ სამუშაოდ დაუბრუნდეს.

ელენე ახვლედიანი თავის ნამუშევრებს გულუხვად არიგებს. ამის მიზეზიც მხატვრის მეტი-მეტი გულკეთილობა უნდა იყოს. მისი სურათები გაფანტულია თბილისის ოჯახებში. იგი გულუხვად სჩუქნის ნაცნობ-მეგობრებს, თბილისში ჩამოსულ სტუმრებს. ვიცოდი, მევერ სურათი, რომელთა ნახვაც ასე მსურდა, არ დამიხვდებოდა. მაგრამ მასთან უსათუოდ უნდა მივსულიყავი, რადგან თვითონ მხატვარი უსათუოდ უნდა მენახა.

ოთახის კართან დიდ ქოთანში ველის ყვითელი ყვავილები დავინახე, რაც იმის მომასწავებლად მივიჩნიე, რომ მალე ფერების სამყაროში უნდა მოვხვედრილიყავი. გამოღებულ კარებში მოჩანდა მხატვარი ქალი, რომელიც მაგდალსთან იჯდა და რაღაცას შექცევდა. როგორც ხდება ხოლმე, იგრძნო ან შეამჩნია, რომ კართან ვიღაც იდგა, მოვიდა, დარბაზში შემიძღვა და თვითონ კი იმ ოთახში, რომელიც ალბათ სამწარველო იყო, ისევ მაგდალს მიუბრუნდა. ქართული დარბაზის დედაბოძთან შეჩერდი და მიმოივხედე, თითქოს ოთახს და სურათებს ვათვალიერებდი, მაგრამ თვალი მხატვრისაკენ გამიბრბოდა.

იმ ოთახს, სადაც ჩვენ ვისხედით, ანტრესოლი ჰქონდა. მხატვარი სწორედ ამ ანტრესოლის ქვეშ იჯდა წულგამართული. ბოძზე ეკიდა ზაფრანის ყვავილის აცმა, ნივრის გალა, ხოლო თავზე-



ელენე ახვლედიანი.

ზე — მე-12 საუკუნის სვანური ჭალი, რომელზედაც ოდესღაც ალბათ რამდენიმე კვარს ამაგრებდნენ.

წამოღდა და დარბაზისაკენ გამიძღვა. მიხურული დარბაზები გააღო და ელექტროგანათება ჩართო, სურათებისთვის რომ უკეთ შემეხედა. მომეჩვენა, რომ იგი მხოლოდ ასე ეფერებოდა და ელოლიავებოდა თავის სურათებს. ეს ოთახი მისი კუნძული იყო, რომელსაც სამუდამოდ შეაფარა თავი. ზურგი შემაქცია, იდაყვებით როიალს დაეყრდნო და გარეთ დაიწყო ყურება. იქ იყო მისი თბილისი, მტკვარი, არსენალი, კუკიის სასაფლაო, ფრანგების ეკლესია... ვინ იცის, რამდენჯერ მოქცეულა ასე. არ უნდოდა დაენახა, სხვისი ცნობისმოყვარე ან გულგრილი თვალები როგორ უყურებდნენ იმას, რასაც მან მთელი თავისი ცხოვრება შესწირა.

როცა საუბრის გაბმა დავაპირე, დაღლილი ვარო, მიიხზრა, სასაუბროდ ზეგ მობრძანდით.

ალბათ მართლაც დაღლილობა იყო საუბრის შემწყვეტის მიზეზი. როგორ უნდა მიმხვდარიყო, თუ რა მოკრძალებით შევდგი ფეხი მის ჭერქვეშ,

რა კეთილშოქილური განზრახვა მამოძრავებდა და რას ვაპირებდი? ან ქალღღუღე რა უნდა გადამეტანა? ან სიმშვიდეს რატომ ვურღვევდი? ვაითუ, ის დამსახურებული და დუმიტსახურებელი ქებადიდება მეთქვა, რომელსაც ასე ესწრაფვიან ბევრნი და რომელსაც ასე გაურბოდა იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე? იგი ხომ მუდამ შორს იყო იმ შემოქმედთაგან, რომელთა პატივმოყვარეობასაც დროდადრო პარიკმახერის მსასაყები სჭირდება...

საპარადო შესასვლელისაკენ გამიძღვა. კარზე მიყუდებული რამდენიმე ცარიელი ტილო გადადგა (მინდოდა, მივხმარებოდი, მაგრამ სივიწროვის გამო ვერ მოვახერხე), ჯაჭვი ააჩხარუნა და კარი გააღო.

მოვლილი და თვალწინ შედგა, გამომშვიდობებისას როგორ შემომხედა და მიიხზრა: რაღა მაინცდამაინც ჩემზე გადაწყვიტეთ წერილის დაწერაო.

მატკვართა შემოქმედების მიხედვით გვექმნება წარმოადგენები იმ ადამიანებზე, რომლებიც არასოდეს გვინახავს და, აი, შეხვედრისას ისინი

ან გვიხარებენ ან გვიდასტურებენ ან წარმოდგენენ. მათთან შეხვედრა კიდევ და კიდევ გვარწმუნებს, რომ ჩვენს წარმოდგენებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვენდოთ.

მეუბრებას ყოველი ნამდვილი შემოქმედი უფროსი ხდება.

ელენე ასვლედიათან მესამე დღეს მივედი, მაგრამ კარებიდან გამომაბრუნა („პანაშვიდზე მივდივარ. ტელეფონის ნომერი დამიტოვე, მე დავიკრეკავ, ეგვი ჩაწერე, რომ ბატყუარა ვარ“)...

ტელეფონის ზარის ხმას დიდხანს ველოდი. ბოლოს ისევ მასთან აღმოჩნდი. იგი დარბაზში იჯდა, იმ ტახტზე, სადაც ყოველ საღამოს ლოგინს შლიდა და იძინებდა. ყველგან მისი სურათები იყო. იგი ალბათ ვერაფრით ვერ შეგეუბრება იმას, რომ მისი ბინა მხოლოდ ბინა ყოფილიყო, ეს ბინაც არის და სასულონის: მხატვარი თავისი სურათების ახლოს ცხოვრობს.

ამ კედლებში მას აღვიტებს მოწყალე და მკაცრი ბატონი — თავისი სამუშაო. იგი აიძულებს, წმიდათაწმიდა ოცნების დევნიტ გატაცებული, იყოს მშვენიერი და ამავე დღეს, მუდამ დაუკმაყოფილებელი. მხატვარი ცხოვრობს ფერების საფეხში. აქ გამოფენილია მისი ფერადი სიხშირები. ხელოვანის ცხოვრება უხილავი ძაღვით დაკავშირებულია ჩემთან. მისი თავგანწირული ცხოვრების მაგალითი ამართლებს ჩემს არჩევანს. ამ სურათების ნახვა საკმარისია, რომ გაუბედაობის ტყვეობას გავექცე.

ეს არის ფერადი სახლი, რომელიც კალატროზი ქალის ხელმა ააგო. ამ სახლში ცხოვრობენ მისი ბავშვები, რომლებსაც იგი დიდხანს ზრდიდა და რომლებსაც დარბაზში შემოტრიალი სინათლის ხელით დილა ფერად ტანისამოსს აცემეს.

იგი ტახტზე იჯდა და გამოიმდებდა მიყურებდა. იგრძნობოდა, რომ გულს ასე ადვილად არავის გადაუსხნიდა. ერთის შესხედით, იქნებ არც მოსწონებოდი, იქნებ როგორმე შენი თავიდან მოშორებაც ეცადა, იქნებ უკმეხი სიტყვაც ეთქვა, მაგრამ ვიცოდი, ამ მოჩვენებითი მიუკარებლობის მიღმა კეთილი გული იმალებოდა.

იგი ტახტზე იჯდა და თავის ნაჯახსა და დაცარულ ხელს, ამჟამად თვინვარსა და თითქოს დაღლილ ხელს, ისე დასტკეროდა, თითქოს ეს ხელები ერთმანეთში ბირველად დღეს გადაიხლართა.

წარსულიდან ისმის დედის ტკბილი სიმღერა („დიდაჩემი კარგად მღეროდა“). დედის გარშემო ბავშვები სხედან („მუსიკას ვსწავლობდით და კონცერტებშიც ვმონაწილეობდით. სანამ დედა არ მოვიდოდა, არ დავუკრავდით და არ ვიმღერებდით. ერთი ათჯერ მაინც გავიტყვიდი ხოლმე მის დასასახებლად“), მათი ხმები მიღამოს ეფინება.

სახლის ზღურბლთან მამის ნათელი ლანდი ეცემა. მამა სამხედრო ექიმი. თელავში ცხოვრობენ, სამხედრო ყაზარტებში, კურდღელაურისავე მიმავალ გზაზე („როცა ავადმყოფი მოჰყავდათ და მამა ავადმყოფს სინჯავდა, მე და ჩემი უფროსი ძმა იმ ცხენთან ურეს დაჯაქროლებდით, რომლითაც ავადმყოფს მოიყვანდნენ ხოლმე“). დედა წიგნებს უკითხავდათ — „ნაკადულს“, „ჯეჯილს“, „ვილემი ტელს“... („უმცროს ძმას, გოგის თავზე ბოთლი დავავედი. უფროსმა ძმამ, საშამ ნამდვილი რევოლვერი მიაბარა და კიდევ კარგი, ტყევა ბოთლს მოხვდა. ბავშვები სარდაფში ჩაგვამწყვდიეს. იქ იმდენი მურაბა ვჭამეთ, მუცლები ავტკვივდა“).

ბავშვობის შთაბეჭდილებებით და მოგონებებით არის ნაკარნახევი პარიზში შექმნილი სურათი „თელავი“ (1927 წ.), პარიზში გახსენებულია ქალაქის ერთი უბანი. აიენიან სახლები. თეთრი სვეტები. რიკულები. ვიწრო შუკაში მიმავალი კაცი და ჩისტკოპიანი დედაკაცი. საკვამურიდან კვამლი ამოდის. ზევით ეკლესია, ეკლესიის იქით ბორცვები...

როგორი იყო მისი ბავშვობისდროინდელი სოფელი ზამთარში? იმავე პარიზის პერიოდს ეკუთვნის სურათი „კახეთი. ზამთარი“ („ჩემს სურათებში ყველაზე ძალიან ეს სურათი მიყვარს“). შიშველი ხეები. ბავშვები გუნდაობენ. გამოშვებული ურემი. კოკააკიდებული სოფლელი ქალი. ორნი თონისთან ტრიალებენ. ერთს თონის შამფურით პური ამოკვს. თუშვა ამ სურათში ბრეიგელის გავლენა იგრძნობა, მაგრამ იგი ისე ახლოა ილია ჭავჭავაძის სამყაროსთან, რომ სოფლური იდილიის მოხუხდავად, ასე მგონია, სადღაც შორს, შვილის საფლავზე ოთარანთ ქვრივი უნდა იყოს მეთქი დამზობილი...

ასვლედიაწინ თელავში ერეკლეს სასახლესთან ცხოვრობენ და ქართველიშვილების ოჯახთან მეგობრობენ. მათი შვილი შალვა იურიდიულზე სწავლობს და კარგად ხატავს. მადლია. როცა არ დადებებზე ჩამოდის, ტბილეულით და ნამცხვრით ხვდებათ. იგი გოგონას უხატავს მეგზობებს („ჩემს ფანჯარასთან დაკვიდე და ჩემი ძმა ქვევს ესროდა“). ბავშვი შალვას დაჰყვება თელავის გარეუბნებში, ალაზნის ველზე. მას უკავშირდება ხატვით გატაცება („მანამდე არ ვიცი, რომელი უფრო მიყვარდა, მუსიკა თუ ხატვა“). გოგონას ასსოვს მამინდელი წინანდალი, ჭავჭავაძეების სახლი, სამრევლო, რომელიც ახლა თანდათან ინგრევა. შუამთა, ალავეჯი, ყვარელი. ასსოვს ქისტაურიშვილთა ყრუნი (ყოფილები, რომელიც არ მიყვარდა. არც ახლა მიყვარს“).

თბილისში ჩამოსულმა ელენე ასვლედია მამა ხატვა გინაზის მე-1 კლასიდან დიწყო. ასვლედ-

პარიზი.
ილუსტრაცია «ტომ სოფერისათვის».
პარიზის ერთ-ერთი ქუჩა.





დაიწყო კლარა მცხეთის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, 77-ე ნომერში, ცესკო საბავშვო. ახვე შენობაში ჰქონდა კერძო კლასი სკლიფსოსების, რომელმაც ელენეს მშობლებს ურჩია გოგონას სატივისათვის სერიოზულად მოეკად სელი. სკლიფსოსეკა სასიამოვნო გარეგნობისა იყო, მაღალი, ჩახსენული, კობტა წვერ-ღუვავში და კეთილი თვალები ჰქონდა („ქება არ იცოდა, თავშეკავებული იყო, მაგრამ მაინც ვხვდებოდი, მისწონდა თუ არა ნახატი“). ელენე ახლედინანს კარგად ახსოვს სკლიფსოსებისთან მისული ზიგა ვალიშესეკი, რომელიც მაშინ ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა. სკლიფსოსეკი თავის მოწავეებს ნატურმორტს ან ნატურას ახატებინებდა. ხშირად ამუშავებდა ღია ცის ქვეშ, უმოთაურესად, ძველ თბილისში. შემდეგ-სი პედაგოგთა კურსებზე გახსნა, სადაც ელენე ახლედინაიც დადიოდა. ელენემ პედაგოგის წოდებაც მიიღო, მაგრამ მასწავლებლობა არ იზიდავდა.

1922 წელს თბილისის აკადემიისთვის სამხატვრო აკადემიაში რადენიემ თვეს გიგო გაბაშვილის კლასში დადიოდა. („გაბაშვილი მეჩხუბებოდა: აი, ასე, ამ ფერებში უნდა დახატო. მაგრამ რა მექნა, ნატურას მე იმ ფერში ვერ ვხედავდი, რა ფერშიაც გაბაშვილი ხედავდა. მაინც ვუყვარდი. შეიძლება ითქვას, მასწავლებელი არა მყოლია. არც სადრანგეთში მყავდა. ჩემი მასწავლებელი იყო მრავალი მუსუკე და გამოფენა. ახლა კი კვალფიფიციის ახლედინა უკვე გვიანია“). აკადემიიდან, როგორც სტიპენდიანტი, ელენე ახლედინაი მიემგზავრება იტალიაში, ხოლო 1924 წლიდან პარიზში იმყოფება.

კყოფილვართ თუ არ კყოფილვართ, ჩვენ ყველას გეციხორია პარიზში. მე შემობოლა წარმოდებინო ელენე ახლედინაი სენ-ლავარის სადგურში, რომელსაც ასე კარგად ხატავდა მონე; ბურუსიან ტუილის ბაღში, რომელსაც ასე კარგად ხატავდა კამილ პისარო; სენის სანაპიროზე დალუკთან, რომელსაც ძმები ლიმბურჯები ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დასაწყისში ჟანნის ფურცლებზე ხატავდნენ; გრენელის ხიდზე, რომელსაც ასე კარგად ხატავდა მონარი; თოვლიან ახალხიდზე, რომელსაც ასე კარგად ხატავდა მარკე; სენის სანაპიროზე, სადაც ბუენისტები ფარდულებს აღებდნენ და სახეებზე ძველისძველი ტომების იისფერ-ყავისფერი ანარეკლი ფენათ („იქ ვიციდებ მოდილიანის ალბომი...“); ან პარიზის გარეუბანში („ავტობუსით სოფელ სოში დადიოდი...“), რომელსაც ასე კარგად ხატავდა პოლ სინიაკი („პოლ სინიაკმა დამოუკიდებელთა სალონი ჩემი „ძველი თბილისის კუხე შეიძინა“); და ბოლოს, მონმარტრზე, რომელიც სენ-რუსტიკის ან მონ-სენის ქუჩაზე, რომელსაც ასე თავდავიწყებით ხატავდა უტრილო.

ელენე ახლედინაი პარიზში მონპარნასზე

ცხოვრობდა, ვაგენის ქუჩაზე, იქნებ ეს სასტუმრო, იმ სასტუმროს ახვავდა, რომელსაც აგვიწერს გიგო: „თბილისში იმ აპოლინერი ლექსში „მონპარნასი“: სასტუმროს ხის კარი მწვანავა, მაგრამ არახოფდა აყვავებდა...“ ელენე ახლედინას დასახტული აქვს პარიზის ქუჩა, მანსარდებიანი სახლი, მაგრამ ის სასტუმრო არ მოჩანს. იგი შესამე საბრთულე ცხოვრობდა. ერთი ფანჯარა ქუჩას გადასცქეროდა, ხოლო მეორე — ეზოს და სხვა შენობის კედელს უყურებდა. როცა იღვიძებდა, პირველად იმ კედელს ხედავდა. თავაუღებლად მუშობდა („არსად ისე ნაყოფიერად არ მიმუშავია, როგორც სასტუმროს იმ ნომერში“). კალიტოსის აკადემიაში ყოველდღე დადიოდა. სელმძღვანელი არ მოიხსურვა, რაიმე მიმართულებაში რომ არ ჩაეთრია. აკადემიაში გარკვეულ საფასურს იხდიდა ნატურაზე სამუშაოდ, ახვე დროს, მუზეუმებშიც დადიოდა. აკადემიაში მისვლა შეიძლებოდა დღის რომელ ნახევარშიაც სურდა. ის და ქეთევან მაღალაშვილი მონპარნასზე, მუშების სასალონი დადიოდნენ („პურზე და ბანანზე, ან პურზე და სოსისზე ვადავიდიოდი. ვაყოლებდით იაფფასიან ღვინოს. ხშირად მშვიტებაც ვიყავით“).

პარიზის ქუჩებშიც ხატავდა, არავინ ხელს არ უშლიდა. თუ საყურებლად შეჩერდებოდნენ, მოუბოდიშებდნენ და თანაც უსათუოდ ქედს მოიხსილდნენ. სურათები გამოფინა დამოუკიდებელ სალონიში. თუ სურათები გარკვეულ დონეზე იღვა, მხატვარის უაზროს არ ეუნებოდნენ მის გამოფენაზე სალონიში. მოაწყო მცირე ინდივიდუალური გამოფენაც. გამოფენის მომწყობი კომისია მანქანას გზავნიდა და ტილოები მიჰქონდათ. ვაგენის ქუჩა ახლო იყო გრანდ-შომიერის აკადემიასთან და სახელგანთქმულ კავე „როტონდასთან“. ელენე ახლედინათან არჩვეულებრივ ფოტოსურათს ვნახე: ამ კავეტთან დგანან ელენე ახლედინაი, დავით კაკაბაძე და ლალო გუდაიშვილი — ახალგაზრდები, ხალისიანები, მომაკლის რწმენითა და იმედით საესენი...

იმ დღიდან, რაც გაქვეული ბიზონები და ირმები გამოქვაბულის კედლებზე დახატა, ადამიანი ხილულის საშუალებით უზიკავის გადმოქვიმას ცდილობს. მას სურს, თანაც გამებედლობა ჰყოფინს, ტილოზე ან ქალაღზე გადაიტანოს, წარმავლომას როგორმე გამოსტაცოს უეცრად გაელევებული წამი, გონებას და მხედღელობას სურს დაიბრუნოს ის, რაც ერთხელ იყო, ან შეინარჩუნოს ის, რაც ახლა არის და შთამომავლობას დაუტოვოს ერთხელ დანახული და ძვირფასი წამი. მას სურს, თავი დააღწიოს ჩვეულებრივ მოგმარებობას და იგრინოს განსხვავებულ, როცა იგი თავის თავს ადარს ეკუთვნის, როდესაც შთავინების ტყვე და ყველაფერი მას ემორჩილება.

ამის დადასტურება მთელი მსოფლიოს მუზეუმებში, ეკლესიებში, მონასტრებში, ლაზარე-



ზამთარი კახეთში.

პეიზაჟი.


მაილანი.

თემში, რატუმებში, კერძო კოლექციებში თავმოყრილი ქანდაკებების, ფრესკებისა და ტილოების უსასრულო რიცხვი. დიდი მხატვრების ღიღებით თავბრუდასხვეული, სიახლის წყურვილით და უკეთესის ძიებით გატაცებული ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი ძიებების შემოწმებას, ეტეების გაფანტვას, თვითმყოფადობის შენარჩუნებას ესწრაფვის და ესთეტიკური ტკბობის გარდა ხელოვნების შედევრს ამ თვალთ შუსტკერის.

მე შემიძლია წარმოვიდგინო ლუერში ან პარიზის რომელიმე სხვა მუზეუმში სკამზე ჩამომჯდარი ოცდასამი წლის ქალიშვილი, რომელსაც სიძველით ოდნავ დაზარულ ტილოსგან გამოსხივებული სიმშვიდე ეუფლება. სიმშვიდე თუ... რწმენა.

ასევე შემიძლია წარმოვიდგინო კატრ-შენის გალერეაში ელენე ახვლედიანის გამოფენაზე შემოსული პატარა ტანის, შავგვრემანი და ჩასკვნილი პიკასო. მას მოუსვენარი, ღრმა და შავი თვალები, მოუქნელი ჭესტები და ქალის ხელები აქვს.

მაგრამ ახლა ისე ცუდად და დაუდევრად არ არის ჩაცმული, როგორც ფერნანდა ოლივიეს მოგონებებშია აღწერილი. ახლა იგი არ არის ის პიკასო, რომელიც სიჭაბუკეში ღარიბულ სუფრაზე ვალენსაურ იზოტოს მიირთმევდა და ფანდანოს ცეკვავდა. მას აღარ აცვია დაგრესილი თოკით ამობლანდული, გაცვეთილი ფესხაცმელი და მარშებს ბაზარზე ნაყიდი თეთრკობლებიანი წითელი პერანგი. პიკასო უკვე სახელგანთქმული მხატვარია. კოსტიუმი აცვია. ქუჩაში მიდიოდა. გამოფენას წააწყდა და დასათვალიერებლად შემოვიდა („საგანგებოდ ჩემს გამოფენაზე არ მოვიდოდა“). უცნობი ახალგაზრდა მხატვრის სურათებს პროფესიული ინტერესით ათვალიერებს. შემდეგ ელენე ახვლედიანს უახლოვდება და იმ ტილოებზე, რომლებზედაც ძველი თბილისია აღბეჭდილი, ეუბნება: თუ გინდა კარგი მხატვარი იყო, ესენი ხატეთ. მერე გადაღული საქაღალდეს უწვდის და შიგ ჩაწყობილ ფურცლებზე ეუბნება: გამოიცანი, დაბეჭდილია თუ ორიგინალიაო. ქალიშვილს უჭირს გამოცნობა („ბევრი ვათვალიერე, მაგრამ



ვერ მივხვდი“). პიკასო იღიშება: ვერც მე ვხვდები, თუ ნიშანი არ დაგუგავიო. შემდეგ უცნობი ქალის პატარა პორტრეტს აწერს: „სახსოვრად ელენე ახვლედიანს, კატრ-შმენიას გალერეა“. და უწვდის...

ახლა ის სურათი ელენე ახვლედიანს ოთახში უკიდია, აივანზე გამავალ კართან.

რა ფერისაა მისი ოთახის კედლები? თეთრი? არ ვიცი, არ მახსოვს. იქ არ არის კედლები. იქ მარტო სურათებია. ამ სურათებით იშლება უკველებო სივრცე და ამ სივრცეში მოჩანს ცაში ასული სიღნაღი. ეს ნამდვილად სიღნაღია, შუასაუკუნეების ქალაქი, ხელოსნების ქალაქი და, ამავე დროს, იგი არ არის ის სიღნაღი, რომელიც ჩვენ გვინახავს და გვახსოვს. ის სხვა სიღნაღია, ელენე ახვლედიანის მიერ შექმნილი, რომელიც ჰგავს კიდევ არსებულ სიღნაღს და არც ჰგავს. გეოგრაფიულად არსებული სიღნაღის გარდა, არსებობს ელენე ახვლედიანის სიღნაღი. ყოველ სურათში იგი ქმნის თავის სამყაროს, რომელიც

არ არის ასლი არსებულისა: იგი მისი ქვეყანაა, რომელიც რეალურად არსებული ქვეყნის სურათს უახლოვდება, მაგრამ მის სუბიექტურ მზერაში ტყდება.

ელენე ახვლედიანს განსაკვიფრებელი მესხიერება აქვს. ესკიზს არასოდეს აკეთებს. მისი ესკიზი დამოუკიდებელი ნახატია. უბრალო ჩანახატში ინიშნავს ტონებს (ობრა, კარმინი, კინოვარი...), რომ ერთი და იგივე მოტივი ფერთა სხვადასხვა გამოთვლით გადმოსცეს. იმასსოფრებს კოლორიტს. მისთვის სურათის წერა ხილულის აღდგენაა, ხოლო ხილული — საკუთარის გადმოსაცემად არსებული მასალა. („თუ ჩემ ნახატში მე არა ვარ, მაშინ კაპიკია მისი ფასი“).

თუ სათქმელი ერთ სურათში არ თავსდება, მაშინ იქმნება მთელი ციკლი (მაგალითად, ბაზარი თათრის მოედანზე). ახალ ციკლს და საერთოდ მუშაობის დაწყებას წინ უძღვის ძიების პროცესი, შინაგანი მღვლავარება, როცა არაფერი არ მოსწონს, როცა წინა დღით დახატულს მეორე დღეს განადგურება ელის. ეს ის პერიოდია,



ე. ახვლედიანი, ლ. გულიაშვილი და დ. კაკაბაძე პარიზში

როცა რაღაც ვერ არ არის მიგნებული, მაგრამ უკვე მწიფდება („ამ ბოლო დროს დავინტერესდები ბათ სიბერის ბრალია“).

იგი ძლიერი ნებისყოფის ადამიანია და ეს უპირველეს ყოვლისა, მუშაობაში შედევნდება. ამავე დროს, პრინციპულია და პირდაპირი. ცნობილია, რომ მან დავით კაკაბაძის პანაშვილიდან გააძევა ის ადამიანი, რომელიც ამ პანაშვილზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისულიყო და მივიდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ცვლებადი ხასიათი აქვს, რადგან განწყობილებას ემორჩილება და განწყობილების შესაბამისად იქცევა.

დღის რომელ ნახევარში მუშაობს?

რა თქმა უნდა, დილით.

მისი სახლის კარი მუდამ ღიაა და არასოდეს იკეტება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ყველას შეუძლია შევიდეს ღია კარებში და მოღბერტთან მჯდომ მხატვარს თავზე დაადგეს. სულ ასე ყოფილა, მასთან მუდამ ხალხმრავლობა იყო. ახლა ისე არა, როგორც მაშინ, როცა ვერაზე ბაზარში მიმსვლელი ნათესავი და ნაცნობი, ბაზარამდე ან ბაზრის შემდეგ ელენე ახვლედიანის სტუმარი გახლდათ. ამიტომ მუშაობაში უნებურად ყველა ხელს უშლიდა. მას არ შეეძლო დაეწეებინა, ამა და ამ საათიდან არავინ მოსულიყო, რათა ემუშავა. სულ ერთია, აქედან მაინც არაფერი გამოვიდოდა. ამიტომ, რა ხანია წყსად აქვს დილის 5 საათზე დგება. მუშაობის დროს ჩართული აქვს მუსიკა. ძალიან მახლობელი უნდა იყოს ადამიანი (ასეთი ერთი-ორი თუ იქნება), რომ მისი თანდასწრებით მუშაობა განაგრძოს. ჩვეულებრივად, სტუმართან მუშაობას თავს ანებებს და ტახტზე ჩამომჯდარი მოთმინებით იცდის... როდის დაუბრუნდება მოღებრტს.

ელენე ახვლედიანი რომანტიკოსია. ბუნების ამა თუ იმ მდგომარეობის გადმოცემისას ერთი ფერწერული მოტივით არ იზღუდება. ამის დამადასტურებელია რამდენიმე სამთარი (გაიხსენეთ თოვლი ძველი თბილისის უბნებში ან სოფლად, როცა ღამის ბინდში დათოვლილი სოფლის სინათლეები მგლის თვალეებით გიზგიზებს), შემოდგომის სურათები (გვიანი შემოდგომის სოფელი და სახლებიდან ამოსული კვამლი...).

ფიროსმანთან ის აახლოებს, რომ რასაც ხატავს, მისთვის მშობლიურია („ყოველთვის ის მხატვარია საინტერესო, ვისაც თავისი ქვეყნის დაიწაის“). ჩვენ ვგრძნობთ მის სისარულს იმის გამო, რომ ეს ყველაფერი არსებობს. გვინდა შევიდეთ იმ სახლებში და შევიხედოთ ფანჯრებში, რომლებსაც ელენე ახვლედიანი ხატავს. გვინდა ვნახოთ ის ხალხი. ვინ არიან? რას აკეთებენ? მისი პეიზაჟები მნახველს პორტრეტებით აღვლევებს. იგი გაბედული მხატვარია. რასაც ის გაბედავს, სხვამ შეიძლება ვერ გაბედოს. როგორც



მსატკარს, მას ასახიათებს ის თავისებურებანი და ის დამოკიდებულება, რაც სხვეებისთვის შეიძლება მიუწვდომელი იყოს; ასახიათებს უდიდესი ოსტატობა ამოცანის გადაწყვეტისა, ვთქვათ, სიგრცია გადამოცემისა. ფორმას არასოდეს აწვალებს, მუდამ უბრალოდ გადმოსცემს და ეფუძვს ოსტატობით აღწევს. მაძიებელი მსატკარია და ყოველი მისი ქმნილება მდიდარი კოლორიტით გამოირჩევა; საკუთარი ისამყარო შექმნა და ბოლომდე ამ სამყაროს ერთგული დარჩა. მის სურათზე მოჩანს ის სიამაყე, რომელსაც იგი ეგრსოდეს შეეღუევა. ეს სიამაყე და საწყაროს მიმზიდველი პარმონია მიღწეულია შთაგინებული და მძიმე შრომით.

აქ უნდა გავისწინოთ დევას ნათქვამი: „ეს რომ ასე მომქანცველი არ იყოს, მაშინ ასე მიმზიდველი არ იქნება“.

მთელი ცხოვრების მანძილზე ელენე ახვლედიანი ცდილობდა მშობლიური ქალაქის ფერწერული გვიგაღწევი გადმოეცა. „ჩველა ქალაქი თავისი პოემა აქვს, რომელიც გამოხატავს მის არსსა და თავისებურებას“. — ამბობდა ბალსაკი. ელენე ახვლედიანი თავისი ქალაქის პოემას წერდა. მას სურდა მტკვრის პირას გაშენებული ქალაქი განუწყვეტლივ აღმოეჩინა და გამოეცნო მისი ქუჩების რიტმი და დროის მავრისემა, რომელიც სწრაფად იცვლებოდა.

ელენე ახვლედიანის ერთ ტილოზე გამოსახულია ის სამი კიბე, რომელიც ლესელიძის ქუჩაზე აფთიაქთან უნდა ჩაიბარო. როცა ეს სურათი დაიწერა (1927 წ.), იქ მაშინაც აფთიაქი ყოფილა. აივანიანი სახლები კი ახლაც აღარ დგას. ამ სურათზე ისინი მაიდანს, თათარის მოედანს გადააყურებენ. აქ ოდესღაც აქლემები ზანზალაკების ქლარეებით ნელა მიირწოდნენ და ქევის ბორცვების ცხელი სუნთქვა მოჰქონდათ. ბამბის რივიდან მტკვრისკენ რკინის პატარა ხიდი მიემართებოდა. უნდ ბრავა-ბრუვით გადიოდა აბლაღლებული და ბირკიანი ცხვარი და მუდამ ეყარა თივა და ცხვრის დრეშა. მეორე ხიდი კი ლურჯად მოჭიკული შეჩეთიდან აბოს ნიშანი მიედგოდა. შეჩეთის აივნიდან თითქოს მუეძინი უნდა გადმომდგარიყო და თბილისის გამჭვირვალ კაიერი შეშარავი კივილით დაეგვეთა. ამ შეჩეთის დაბალი სარკმლიდან დამინახავს, თუ ძველი ქარვასლის კედლიდან მიმწყვედებული მორი როგორ ტრიალებდა აქაფებულ წყალში, ხოლო ხიდქვეშ მტკვარი მუხლებში მოქცეული თოხლოვით ბღაოდ.

ღვინის აღმართზე ხასიანი კლდე მწვანე, უსინათლო თვალებით ტიროდა. ელენე ახვლედიანის ტილოზე „ღვინის აღმართი“ (1928 წ.) მარჯვნივ ამაყად იმზირება დარჯვანის სახსლები, ხოლო მარცხნივ ის ქარვასლის შენობაა, რომელიც ახლახან რიყესთან ერთად დანაგრევის და აღარ ასრებ იას. მხოლოდ ზევით, სადაც სირა-

ჯებს სარდალვები ქონდათ და დილით კარნაწყაღს წყაღს მარტყედნენ ხოლმე, რომ ელელი მანდარნის ლოსნებს ხანარდიანი კაბები აეწიათ და წვიქნი გამოეჩინათ, ჯერ კიდევ დგანან ელენე ახვლედიანის მიერ დახატული სახლები.

ამ ვიწრო ქუჩეში, სადაც ოდესღაც დადიონენ ჟან შარდნი და ტურნეფორი, გიულდენშტედტი და პიეტრო დელა-ვალე, ახლაც ყვირან მემაწევეები და მხერხავეები. სოლოლაკიდან, ისინიდან, ლღვთახვევიდან და ხარფუსიდან გამოსული ყოველი ქუჩა კისრისტებით მიზნის ქვევით, რომ მტკვარს დახედოს და მერე ისევ ზევით გაიქცეს. ისინი იმ ჩიხებისაკენ მიუწყებებიან, საიდანაც ყოველთვის არის გამოსავალი.

ელენე ახვლედიანის სურათებისათვის დამასხიათებელია მშვიდი ბოეზია და არა სვდა იმის გამო, რომ ეს ყოველივე იკარგება და ქრება... ჩვენ ვხედავთ პოეტის თვალთა დანახული შიანი ქუჩების ლაბირინთს, სინათლის ზაფანს. ქუჩა მიემუხრება ზევით, სულ ზევით, ლღვთახვევისკენ, სადაც ოდესღაც მდინარეზე დასრული ქალბის სარეცეს რეცხავდნენ. აქ მუხუე შრება ნარიყალის ხავსიანი კედლები...

ზოგისგან გამიგონია, ელენე ახვლედიანი უტრილოს ჩამოტავსო. შესაძლოა მას ამ მსატკართან მართლაც აქვს საერთო, განსაკუთრებით პირველი პერიოდის სურათებში (სანამ დეკორატიულობა თავის კვალს დატოვებდა). მსავსებამხოლოდ იმით არ ახსნება, რომ აქაც და იქაც ქალაქის თემა და ქალაქის ქუჩები და უბნებია ასახული. თუქცა, რა თქმა უნდა, ამასაც აქვს მნიშვნელობა. ორივე თავისი ქალაქის აპოლოგეტია. მათ აღმოაჩინეს წარსულში მიმავალი ვიწრო ქუჩების სიღამაზე. მაგრამ ამ სურათების მსატკარული ხორცმესხმისა და განწყობილების თვალსაზრისით მათ შორის განსხვავებაა. ელენე ახვლედიანისათვის უცხოა მარტრობისა და შემოვითების ის განცდა, რაც უტრილოს და სხვა ფრანვ მსატკარებს ასახიათებთ. მისი სახლები ისე პირქუშად არ იმზირებნან, როგორც უტრილოს სურათებზე. უტრილო კომპოზიციას ისე ირჩევს, რომ ცას მხოლოდ უმეჩრები ნაწილი ვთმობა, რაც პეისუას ნაღვლიანობის ერთგვარ ელფერს ანიჭებს. ელენე ახვლედიანის სურათებზე ცა არის „წყალობის მითოველი“, აღერსიანი. თბილისი მსატკარს ბაზრის ყაყანიით მარჯებს, იხშობს, რომ ჩაიბრისო, თავისი ბედის მონაწილეად აქცეოს, ჭირვარამი გაუზიაროს. ქალაქი ცდილობს მისი გული მოინადიროს, აჯადოებს, ხიბლავს და გულუშვად სთავაზობს, წინ უშვობს და სწუქის ყველაფერს, რაც კი აბადია.

როდესაც ელენე ახვლედიანს ასხენებენ, თვალწინ წარმოიძგება ხოლმე ქართული დარბაზის დედაბოთან მდგარი სამოცდაცამეტე წლის ამაყი ქალი, რომელსაც კვლავინდებურად შენარჩუნებული აქვს ახალგაზრდული გამბედაობა და

ნათელი გონება („ახლა უფრო კარგად ვხედავ“) თავდავიწყებული მუშაობით დაღლილი იგი ამ ოთახებში დაფუსფუსებს და ჩემს მესხიერებას ძველი დანგრეული ქუჩების ესკიზებით აფორიაქებს. კედლებზე სურათების განლაგება არავითარ სისტემას არ ემორჩილება. აქ ერთმანეთში არეულია ძველი და ახალი — ახალგაზრდობის პერიოდისა და ბოლოდროინდელი მთიანფრო-ნო-ლურჯო პერიოდის სურათები („ისფერი მუღამ მიყვარდა“). თიანის რომელიღაც კუნჭულში შენახულია ახალგაზრდობის დროინდელი იტალიური ჩანახატები და ესკიზები (პორტალები, კო-

ლონადები, კიბეები, კვადრიგები, ბერსალოტირის მამლის ფრთები, არკადები, რომის ვიწრო ქუჩები და კოლინეუმი, ვენეციის რიო სანტის-მარია მარჯორე ან რიო კარმინი...), რომელთა ნახვაც ჩემი მორიდებულობის გამო ვერ მოვახერხე („რა გიცი, რომელიღაც ჩემოდანში ვაქვს შენახული...“). ქართულ დედაბოზე ჰკიდა პარიზული პეიზაჟები — მანსარდებიანი სახლები („ახლებს ჩემი ძველი სურათები შირჩვევია...“) ტახტის ზემოთ, რაზეც იძინებდა ხალხი, დედის სურათი. აქ არის ყველაფერი, რასაც იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აგროვებდა: ძველი თბილისის რომელიმე ქარვასლამი მდგომი ვაჭრის ვერცხლის ქამარი, დაირა, სპილენძის ჩაშრა, ვერცხლის სურა, თუმური ჩითები, ბროწეულის ტოტი, ოლარი, ტრელი ფარდაკები, ქაშანურის ჯამები, ლიტრები, ჩაფები, სპილენძის ძველებური დაბინდული ქვაბები, ხახალი, დაწული კალათები... ზევით კი ნაირნაირ ჩარჩოში ცოცხლობს, სუნთქავს, იმზირება, ციმციმებს და ჩარჩოდან თავის დაღწევას ცდილობს მრავალი ფერი. ფანჯარასთან დგას მოღბერტი. ტილოზე ყავისფერი საღებავით ესკიზია მოხაზული. ზევით — მთები, ქვევით — მთების წინაშე მუხლებზე დაცემული ქალაქი. რა მართალია რილკე, რომელიც ამბობს: საცოდავია სიტყვა, როცა ფერწერაზე საუბარი სურს და მხოლოდ იმის აღწერით გაყოფილდება, რაც ტილოზეა დახატული.

ვხედავ, როგორ ჯდება მაგიდასთან სამოცდაცამეტი წლის ამაყი ქალი. ვხედავ, როგორ ცდილობს ჩემს თევზზე წაქცეული ტორტის ნაჭრის წამოყენებას („არ გინდა? თუ არ გინდა, ნუ შექამ“). შემდეგ დგება და მთელი ოთახიდან ხსატაბაკით ვაშლი და ატამი შემოაქვს („არც ხილი გინდა? აბა, რა მოგიტანო?“).


ხანდაზმულობაში ყველა როდი ინარჩუნებს ღირსებას და სიამაყეს.

კაცმა მუდამ უნდა იმუშაოს, — ამბობდა როდენი. ეს ამაყი ქალი სულ მუდამ მუშაობდა და მუშაობით ინარჩუნებდა სულიერ სიმშვიდესა და წონასწორობას, მუშაობით ებრძოდა გულგრილობასა და განურჩევლობას. ჰისი სურათებით შეგვიძლია მივხედეთ, როდის იყო ბედნიერი და როგორ მოიტანა დღემდე სპეტაკი და შურყყველი სული.

შემოქმედებას ხანდაზმულობით არ დაედება ზოფარი.

რილკე ერთჯან იხსენებს სოკუსაქს სიტყვებს: „ფრინველების, თევზების, მცენარეების ჭეშმარიტი ფორმა და ბუნება მხოლოდ სამოცდაცამეტი წლის ასაკში შეიცვანია...“

ქარისის ერთ-ერთი კუთხე





მხატვრის თვალს ჩვენი ცხოვრების ყველა დარგი საჭიროებს. ესთეტიკური პრობლემებიც და წყვეტის გარეშე დღეს წარმოუდგენელია სახალხო მუშურნობის შემდგომი წინსვლა, თუნდაც ისეთ სფეროებში, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს შორს დგანან ესთეტიკისაგან. მხატვრისა და ქალაქის ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებს დიდი არქიტექტურული ორგანიზმის — ქალაქის მხატვრულ-ესთეტიკური სახის ჩამოყალიბებას. ეს კი თავისთავად მრავალ სფეროს მოიცავს. ქალაქის მწვანე სამოსელის ფორმირება, თვალსაჩინო ატიკაციის საშუალებათა და დღისა თუ ღამის დინამიკური რეკლამების სისტემათა შექმნა, მცირე არქიტექტურული ფორმების გამოყენება, სათანადო ქანდაკებების და მონუმენტების დისლოკაცია, ფსადების კოლერების, ვიტრინების გაფორმება, წყლის სარკეებისა და შადრვენების კეთილმოწყობა და სხვა მრავალი საკითხი მხატვრის უშუალო მონაწილეობას საჭიროებს.

მხატვარი და ქალაქი

ოთარ ლითანიშვილი

ჩვენი ქალაქის კოლორიტი, მისი ლანდშაფტური თავისებურება გვიკარანახებს უფრო გულმოდგინედ ვიზრუნოთ ხალხის ყოფაცხოვრების ესთეტიკური გარემოს ამაღლებაზე.

თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ქალაქს სკვერებსა და ბაღებში თბილისელები ნაკლებად იყრიან თავს. რა არის მიზეზი იმისა, რომ სამუშაოდან თავისუფალი დროის დიდ ნაწილს დახურულ სათავსოებში ვატარებთ და არა საზოგადოებრივ ინტერიერებში, ქალაქის პარკებში, ბაღებში, სკვერებსა თუ მოედნებზე?

ეს იმიტომ, რომ ადამიანებმა თავიანთ ოჯახებში გაცილებით სასიამოვნო გარემო შეიქმნეს, ხშირ შემთხვევაში უფრო სასიამოვნო, ვიდრე ქალაქის პარკებსა და სკვერებში, ქუჩებში, საერთო უსრუმებში და თუნდაც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებშია. ჩვენ დღემდე ვერ შევძელით ღია ცის ქვეშ თუ საერთო სარგებლობის ობიექტებში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ადამიანები სუფთა პაურზე ჭეშმარიტად დაისვენებენ.

იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ინტერიერები მიზიდველი გახადოთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ფერისა თუ მუსიკის ელემენტები, რეკლამა, შუქჩრდილი თუ წყლის სახეობა. ყოველივე ეს აამაღლებს ჩვენი ქალაქების დეკორირების ესთეტიკურ მხარეს.

როგორც ცნობილია, ქალაქის პირობებში, ადამიანის თვალს უწინარეს ყოვლისა იზიდავს შენობათა პირველი სართულები — ვიტრინები, ქუჩის პანელი, მწვანე დეკორი, ტროტუარზე განლაგებული მცირე არქიტექტურული ფორმები, შუქველაპა და სხვა. ამიტომ მათი მაღალმატვრულ დონეზე გადაწყვეტა პირველსართვისიანი ამოცანაა.

ამ მხრივ ჩვენს ქალაქში გარკვეული სამუშაოები ტარდება. უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესდა გაფორმებათა იდეური და ესთეტიკური მხარე.

მისწამნტარში ხელოვნების ფართო ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მუდამ განუყოფელ კავშირშია ჩვენი ცხოვრების სოციალისტურ გარდაქმნებთან, ქალაქებისა და სოფლების მომავალთან. მის სინთეზურ ხასიათში გამოხატულებას პოულობს ჩვენი საზოგადოების იდეალები.

მონუმენტური პროპაგანდის ლენინური მოწოდება კვლავაც დიდ და პრობლემატურ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე და მოვალენი ვართ თანამედროვეობის შესაფერისად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე, მხატვრულ-მეცნიერული სიღრმით მივუდგეთ მის განხორციელებას.

მხატვარი ერთ-ერთი ძირითადი, წამყვანი ძალაა ამ რთულ ამოცანათა განხორციელების გზაზე.

მსრულებულ სამუშაოთა ხარისხი, დაინერგა ღირსშესანიშნავი ობიექტებისა და ძეგლების მხატვრული განათების პრაქტიკა, გაკეთდა ახალი შუქრეკლამები და სხვ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ესთეტიკური სახის გაუმჯობესების ღონისძიებები არ ატარებს ორგანიზებულ და სისტემატურ სახით. სამისოდ კი საჭიროა ქალაქის აღმასკომთან ჩამოყალიბდეს სპეციალური განყოფილება.

გამწვანება საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. ვაკეგზობა მისი დიდი როლი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნასა და ქალაქის მხატვრულ-ესთეტიკური სახის ჩამოყალიბებაში. სამწესაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი, რომელიც ერთ დროს მთელ კავშირში ყველაზე მწვანე ქალაქად იყო მიჩნეული, ამჟამად რესპუბლიკების დედაქალაქის შირის ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა. ეს იმიტ უნდა აიხსნას, რომ თბილისის მოსახლეობა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე თითქმის ერთიორად გაიზარდა, ხოლო მწვანე ნარგავთა ფართობის გადღებვისთვის, როგორც ჩანს, არაფერი გაკეთებულა. ზოგ შემთხვევაში კი, მშენებლობათა გამო, განადგურდა კიდევ: ბაღ-პარკების, ქუჩების, სკვერებისა და გასონების გამწვანება ჩვენს დედაქალაქში დღეს უკვე ვეღარ პასუხობს მწვანე არქიტექტურის თანამედროვე პრინციპებს და ამიტომ საჭირო ეფექტსაც ვერ იძლევა.

არ მოგვიქმენება არც სპეციალისტები, რომლებიც შესძლებდნენ ქალაქის მწვანე მასივების დეკორის მაღალ პროფესიულ გადაწყვეტას. ჩვენში დაიკარგა ეს კულტურა. ქალაქის გამწვანების დარგის მუშაკები ცდილობენ გასონებში, ბაღებსა და პარკებში დაახვავონ რაც შეიძლება შეტი ხე და ბუჩქი, ხოლო გასონი აუცილებლად შემოფარგლონ ცოცხალი ნარგავების ღობით. ბევრგან შეხვდებით ცოცხებივით გამომვლებულ ბუჩქებსა და უგემოვნოდ გადაწყვეტილ ყვავილანარებს.

მწვანე დეკორის სტრუქტურაში საჭიროა ნაირგვარი ფორმების, ფერების, წყლისა და სინათლის შეტანა, რაც მას უფრო სახოვანსა და დასამახსოვრებელს გახდის. ამისთვის კი აუცილებელია მხატვრებისა და დეკორატორების ერთობლივი მუშაობა.

კომუნალური სახლების კვარტალური და შიდა ეზოები არათუ ძველ, არამედ ახალ უბნებშიც ბევრგან არის გადაღობილი. ყოველა სახლის ცალკეული მოზინადრე თავის ნება-სურვილზე იყენებს მას ბაღნა-მოსტენებად და დამხმარე ნაგებობათა, ან ვარაგების ასაშენებლად. რაიადმასკომებმა ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატარონ კვარტალური ეზოების გამსხვილებისა და კეთილმოწყობისათვის.

ჩვენს ქალაქში დიდი ხანია დგას ვერტიკალური გამწვანების საკითხი. დეკორირების კარგი საშუალება იქნებოდა მხვიარა მცენარეების ფართოდ

გამოყენება. ბევრ საყრდენსა და ყრუ კედლებს მთლიანად შეუცვლიდა იერს ვაზი, სურნალობისა მხვიარა მწვანე სამოსელი. სახლების ფსადსა მნიშვნელოვან გაალამაზება აიწესებს ყვავილებითა და მცენარეებით გაწყობის სხვადასხვა საშუალება. ამ მხრივ გამწვანების ტრენდისა და მისი რაიონური კანტორების მუშაობის არავითარ მუშაობას არ ეწევიან. მათდამი დაქვემდებარებული საყვავილო მალაჩებში არ იყიდება საჭირო ასორტიმენტის მასალა, მოსახლეობაში არ ტარდება პროპაგანდა მწვანე დეკორაციული ფართობების გასაზრდელად; არ მიმართავენ აგიტაციის ისეთ ფართო საშუალებებს, როგორცაა ტელევიზია და ქალაქის პრესა, რომელთა მეშვეობითაც ქალაქის მოსახლეობას დავემხმარებოდით აიწესება და კვლავზე ვერტიკალური გამწვანების მოწყობაში. გამწვანების მუშაკები და საპროექტორგანიზაციები პროექტების შედგენისას არ ცდილობენ მიიზიდონ და მუშაობაში ჩააბან ქართული სახეობის ხელოვნების ოსტატები, რომელთა პროფესიული ხედა და თვლი ესოდენ ჭირდება ჩვენი ქალაქის მწვანე სამოსელის მხატვრულ ჩამოყალიბებას.

ბევრ ქალაქში შადრენებისა და წყლის სარკეების მთელი სისტემები არსებობს, რითაც ჩვენ, სამწესაროდ, ვერ დავიკავებთ. არ ვაკავანია ხელოვნებისა თუ შუქტექნიკის თვალსაზრისით ღირებული ადრენით შადრენები.

შენობათა პირველ სართლებზე ვიტრინებისა და წარწერების გაფორმება, დღისა და ღამის რეკლამა, ფირნიშები, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი, მცირე არქიტექტურული ფორმები მრავალთაგან ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ქალაქის გარეგანი სახისა და მისი მხატვრულ-ესთეტიკური იერის შექმნაში. ცენტრალურ ქუჩებსა და პრისაპექტებზე, პირველი სართულის დარაბების, საავტორო სათავსოთა შიდა და გარე მოპირკეთებისა და ვიტრინების მოსაწყობისთვის უნდა ბევრი რამ გაკეთდეს, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდია.

მაგალითად, ბევრ ფართობინან ვიტრინაში საქონელი ულასათოდაა გამოფენილი, უსისტემოდაა დასავაგებელი და წლიდან წლიმდე არ იცვლება. ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ ვიტრინებში საქონელი თივე მხრიდან — როგორც ქუჩიდან, ასევე მალაზის ინტერიერიდანაც, კარგად ჩანდეს, ამავე დროს ხელს არ უნდა უშლიდეს მალაზიებში დღის სინათლის შესვლას. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს ვლექტროენერჯის უმიზონ ხარჯვას დღის განმავლობაში. მალაზის ვიტრინების გაფორმებაში არ იგრძნობა მხატვრულ-დეკორატორის ხელი, რის გამოც არქიტექტურად თუნდაც კარგად გადაწყვეტილი მალაზის ფსადი უსამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ მარჯანიშვილის ქუჩაზე ცენტრალური უბნის მხრიდან დარუსთაველის პრისაპექტზე ბროლის მალაზის ვი-



ტრინების გაფორმება. აბრეშუ ქართული წარწერების შრიფტს სწორად დაკარგული აქვს ქართული ასოებისათვის დამახასიათებელი ფორმა და სილამაზე, ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ძველი ტიპის აბრეშის სიმახინჯეზე კი ლაპარაკიც შედგებოდა. საჭიროა მათი შეცვლა ახალი მაღალმატრული ნიმუშებით. სასურველად გაგრძელდეს პროსექტებისა და მაგისტრატულზე არსებული, ერთმანეთთან მომიჯნავე სავაჭრო დარბევების გაერთიანება. ზოგიერთი დარბაზი, მათ შორის ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, დღემდე დაკავებული აქვს დაწყებულიებებსა და საცხოვრებელ ფონდს, რაც სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია ჩვენი ქალაქისთვის. ყოველი დონე უნდა ვიხმაროთ, რათა უახლოეს მომავალში ეს დარბევები გადავიცეს სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწყებულებებს. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ეს შექმნის მრავალფეროვნებას, როგორც მხატვრული, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით. დამთი კი ვიტრინების უწყვეტი მწკრივის სინათლე სრულიად საკანონიერო იქნება ტრეტურების ნორმალური განათებისათვის, რაც, მხატვრობასთან ერთად, ძალზე ეკონომიურიცაა.

ვიტრინების გაფორმებაზე ვლაპარაკობთ და დასახლებანი კი მხატვრულ მოთხოვნათა მიღმა გვრჩება. ვვარგავთ ძვირფას არქიტექტურულ ტრადიციებს, აღარ ვაგვივსევთ თბილისურად: არც ქუჩას, არ ნაგებობას, არც მალაჩას, არც ბაზარს. არ გავაჩინა სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნებული ერთიანი გააზრებულ გეგმას. ასლახან „თბილხიების“ ინსტიტუტმა დაასრულა მუშაობა ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისა და სავაჭრო ქსელების დისლოკაციის განვითარების პროექტზე, რომელსაც შეიდი წელი დასჭირდა (ქალაქის საბჭოს დაკვეთა). პროექტის მთავარი ხარვეზია ის, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ვაჭრობის ისეთი ეფექტური და თბილისისათვის ტრადიციული საშუალებანი, როგორიცაა გარეთ გამოტანის ვაჭრობა. ნისია—თბილისისთვის საუკუნეების მანძილზე დამახასიათებელი ფორმა ვაჭრობისა— დღეს სრულიად აღკვეთილია (ცენტრალიზებულად, ახალი ნორმების საფუძველზე იგი აღდგენილია განვადების ფორმით, ისევე მხოლოდ სამარეწველო საქონელზე). რძის ნაწარმი, მწვანელი, ბოსტნეული, ხილი რატომ არ უნდა იყიდებოდეს სახლში მიტანით? ამა კვითსოთ ვაჭრობის საინისტრის, რამდენი მოტოროლოგი დგას უკმაღრეს მის სისტემაში. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს ფორმა, ვფიქრობ. აუცილებლად საჭიროა და ვაჭრობის მუშაკთა და მხატვრის უმჯველ ჩარევას მოითხოვს. ესოებას თუ ვვარტალებში ქვეს დასვლებისა და ფანატიკების მოწყობა, მოტოროლოგების მიდგომისაგან, ჩაცმულობისა თუ სავაჭრო რეკვიზიტის შექმნა და სხვ

მხატვრის ფანტაზიას უნდა მივანდით. ახლებური ფორმით უნდა აღდგეს თბილისური ვაჭრობისათვის სათვის ჩვეული რიტუალი.

თბილისური ვაჭრობის აღდგენისა და მისი ახალი ცენტრის შექმნის თვალსაზრისით კარგ საშუალებას იძლევა ძველი სახლებისაგან განთავისუფლებული რიყის ტერიტორია, რომელიც ქალაქის შუაგულში წდგარაბოზს. ამ ადგილის ასათვისებლად ისეთი ფუნქციის ობიექტები უნდა დაიგეგმოს, რომლებიც დაამშვენებენ უბანს. ეს ტერიტორია შეიძლება გამოიყენებოდეს იქნას საერთაშორისო ბაზრობებისა და გამოფენების მოსაწყობად ადგილადაც, რამდენადაც თავისი ლანდშაფტითა და მხატვრობით სავაჭრო საცაოფენო კომპლექსის შექმნის კარგ საშუალებას იძლევა. სავაჭრო და საგამოფენო პავილიონები შეიძლება მოიწყოს ბართათშვილის აღმართის ქვეშ კლდის გამოწარვეთი. უკან კლდედა და საყრდენი კედლის ზემო ნიშნულზე შეიძლება შეიქმნას მოცულობითი და დინამიური რეკლამები. მოწყობის გასართობი ატრაქციონები და მწვანე ტერიტორიები, გაშენდეს სპორტული მოედნები.

გოგირდის წყლებზე საჩენებელი ევზოტიკური აბანოს მოწყობა (გარე აუზებით) ამ მიდამოს გადააქვევდა თბილისის ერთ-ერთ სუბამაზე და ხალხმრავალ ადგილად, რადგან უპირველ აქედან აღიქმება ქალაქის განუყოფელი კოლორიტი — მიწის მეტეხი, ნარაფალა, ხარფუხი, მამადანეთი, ფუნქციონირის პლატო, მტკვრის სუბო და საერთოდ ახალი და ძველი თბილისის შერწყმული პანორამა. უნდა გამოიყენებოდეს ღვინის აღმართზე არსებული ძველი გალანის კედლები. მის ბაქენება და ტერასებზე, დარეჯანის სასახლემდე, შეიძლება სხვადასხვა ენოგრაფიული სავაჭროსა და სამჭროს მოწყობა. ამავე უბანში უკვე განსაზღვრულია სავაჭრო პლატოს აღმონსტრაციული ფონების აგება. იგი კარგად შეერწყმის მთელი კომპლექსის მხატვრულ-არქიტექტურულ და ფუნქციურ გადაწყვეტას. ამ კომპლექსის ათვისებაში შეიძლება კოოპერირებულ იქნას დანიტრესებული ორგანიზაციები: ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის სამინისტროები, სავაჭრო პლატო, სპორტსაზოგადოებათა კომიტეტი, ინტურისტები, სამხატვრო ფონდი, რაც მის შექმნას უახლოესი დროის რეალობად აქვევდა. სურთომოდვრებისა და მხატვარ-მონუმენტალისტების ერთობლივი თანამშრომლობით ეს კომპლექსი დიდი შემოქმედებითი სინთეზის თვალსაჩინო ნიმუშად მოგვევლინებოდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქალაქში შეიქმნა არა ერთი არქიტექტურული ნაგებობა, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული მხატვარ-მონუმენტალისტების, მოქანდაკეებისა და გამოყენებითი ხელოვნების ისტაქტების მაღალი-ნიჭიერი შემოქმედება. ამის თვალსაჩინო მაგალი-



თბილისის სასტუმრო „ივერია“, ქორწინების სახლი, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, ენციკლოპედიის შენობა, თბილისის შეტროპოლიტენის რიგი სადგურებისა, რეკტორნები, თეატრები და სხვა. ეს ნაგებობანი მოწოდებენ, რომ კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს მსატკარავი და არქიტექტორთა თანამშრომლობა, ამაღლდეს მსატკარავი როლი არქიტექტურული კომპლექსების შექმნაში.

სამუსეაროდ, ამას ვერ ვიტყვით თბილისში ახალი საცხოვრებელი მანდობის მშენებლობაზე, მშენებლობათა მასშტაბები დღითა დღე იზრდება, ხოლო მისი მსატკარავი იერი შემამრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ახლანაგებობათა მოცულობითი მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ქალაქმა თითქმის დაკარგა თავისი თვითმყოფადობა და ახალბედა ქალაქებს ემსგავსება.

არქიტექტურებისა და მსატკარავის გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, პირველ რიგში იზრუნონ დამკვეთი შეცდომების შექმნისდაგვარ გამოსწორებაზე, რაც უნდა გამოიხატოს მკერე არქიტექტურული ფორმების, ქანდაკებების, მონუმენტური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების მოშველიებაში. უნდა შეიქმნას ახალ დასახლებათა მსატკარავი გაფორმების კომპლექსური პროექტები, რის განხორციელებაც ახლი მომავლის საქმედ უნდა იქცეს. ჩვენი მსატკარავი საზოგადოება ამ პრობლემას უთუოდ გადაჭრის. ნიჭიერი ხელოვანი ბევრი გვაყვას, მათმა შემოქმედებამ თბილისის შესძინა ისეთი მაღალმსატკარავი ქმნილებები, როგორცაა დაგით გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ვახტანგ გორგასალის მონუმენტური სახეები, ხელოვნების ალფორია „მუსუა“, მოზაიკები და ფრესკები, ვიტრაჟები და ჭედურობანი, მაგრამ მილოთინიანი ქალაქისთვის, სადაც მრავალრიცხოვანი ნიჭიერი შემოქმედი მოღვაწეობს, ეს ძალზე ცოტაა.

ჯერჯერობით ქალაქში ნაკლებად არის გამოყენებული მონუმენტური ხელოვნების ისეთი სახეობანი, როგორცაა კედლის მსატკარავი, ბარელიეფი ან პორელიეფი, მოზაიკა, ფრესკა და ვიტრაჟები, საპარკო ქანდაკებები და მოცულობები.

თბილისის რელიეფის თავისებურების გამო, საყრდენი კედლებისა და კლდეთა შიშველი ზედაპირები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მასალითა და მსატკარავი ხერხით შესრულებული თემატური ნაწარმოებების შესაქმნელად. კონკურსები უფრო სზირად უნდა ცხადდებოდეს მონუმენტურ ქანდაკებებზე, როგორც კონკრეტულ, ასევე თავისუფალ თემებზე.

გალერეისა და მუზეუმების ფონდებში, კულტურის სამინისტროსა და სამსატკარავო ფონდის საცავებში არსებულა მაღალმხატვრული ქანდაკებები მასალაში უნდა გადავიტანოთ და ჩვენი ბაღ-პარკებისა და სკვერების მშენებელ ვაქცი-

ოთ. ამის საშუალებას მოგვცემს ქანდაკების ბრინჯაოში ჩამოსახის მშენებარე საამქრო, რეკონსტრუქციამ წლის ბოლისთვის საჩქაროდ მიიღებენ ქართველი მსატკარავი. ქანდაკებების პლენერზე გამოტანა ხელს შეუწყობს როგორც ქალაქის მსატკარავი სახის ამაღლებას, ისე მსატკარავთა ნამუშევრების პოპულარიზაციას.

არ გუფრთხილდებით კარგ ტრადიციებს. რატომღაც დაიკარგა კარგი წამოწყებები: ყვაილები და ღლესასწული მსატკარავ-დეკორატივთა კონკურსებითა და რაიონების ფეხბირთ ყვაილენარების მოწყობაში; სიმღერისა და ცეცვის ზეიმი, პოეზიის საღამოები და თემატური კარნავალები ღია ცის ქვეშ, რაც დღე საზოგადოებრივ ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე და მინუფელვან როლის ასრულებდა მრასახლებობის იდეურ-პოლიტიკური დინის ამაღლებაში, ამასთან ერთად თავისებურ ეროვნულ კოლორიტს უშკვიდრებდა ჩვენს ქალაქს.

ერთ დროს კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ქალაქის ტრანსპორტის მარშრუტების მიხედვით გადაღება. გარდა გარეგნული ესთეტიკური მხარისა, ამას გარკვეული ფუნქციური მნიშვნელობაც ჰქონდა. დღეს კი, რატომღაც, ეს საქმე უკვაკვადოთ.

ღლესდღობით შემოგვრნა მანკიერი ტრადიციები — კერძოდ, ეს ვება დაკრძალვის პროცესებს. სასაფლაოებზე იდგმება ძვირადღირებული და უგემოვნო ნაგებობები, მონუმენტები. დროა ვიფიქროთ თბილისში კრემატორიუმის მშენებლობაზე, რადგან ქალაქის უძვირფასესი ადგილების დიდი ნაწილი სასაფლაოებად არის ქვეული. ჩვენმა ინტელექციანებმა მხარი უნდა დაუჭიროს ამ ქალაქის დადაწყვეტილ, დაჩაგრარს მის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

ქალაქში ჯერ კიდევ ბევრია ქუჩა და მაგისტრალი, რომელიც დაუყოვნებლივ საჭიროებს შეკეთებას, მაგრამ არა ისე, როგორც დღეს ხდება. გზის სარემონტო სამუშაოები ძველისძველი კუსტარული მეთოდით წარმოებს. ამის გამო საზოგადოებრივი და ტროტუარები ასფალტის ნაჭრებისაგანაა შეკოწიწებული.

ისეთი კლიმატისა და რელიეფის ქალაქი, როგორც თბილისია, საინჟინრო საქმეთა გადაწყვეტისას მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას. მთიანი შემოგარენის გასწვრივ უნდა გავკოხდეს ნიაღვარმიწობები არხები, რათა უხვი წვიმის დროს ქუჩები ქვა-ღორღით არ დაიხერგოს და მთის კალთებზე მეწყერი არ წარმოიშავს.

თბილისის ქუჩების სავალი ნაწილისა და ტროტუარების მოსაპირკეთებლად რატომღაც მხოლოდ ასფალტია მიჩნეული, მაშინ, როდესაც სამხრეთის ქალაქისა და დიდი ქანობების მქონე ქუჩებისათვის ასფალტი არა მხოლოდ ტექნიკურად მიზანშეუწონელია, არამედ, როგორც ამას სპეციალისტები ამტკიცებენ, მოსახლეობის ჯანმრთელობის-

თვისაც საზიანოა. სხვადასხვა ფერის ქვის გრაფიკული წყობით მოკირწყლული ქუჩების ზედაპირი დიდ მხატვრულობას მიანიჭებდა ჩვენს ქალაქს. ამ საკმის მეტევერნი შესაძლოა შემოგვედარივ, რამდენადაც ქუჩების ასფალტით მოპირკეთების სამუშაოები შექანიზებული წესით ხორციელდება, ხოლო ქვის ფილები ხელით უნდა დაიგოს. თუკი რესპუბლიკაში არსებული მდიდარი კარიერების ბაზაზე ორგანიზებული იქნება სხვადასხვა ზომისა და ფერის ქვების ქარხნული წესით დახსრება და მასობრივი გამოშვება, მაშინ ეფიქრობთ, ამ ფილების დაგების პროცესა დიდ სირთულედ აღარ მოგვეჩვენება.

ქალაქში საკმაოდ არის თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებები, გაფორმებითი სამუშაოების მოცულობა სისტემატურად მიგრდება, ადგილი აქვს უგემოვნობას. თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი, რეკლამა მუდმივ შეცვლა-განახლებას მოითხოვს დროის, მიზანდასახულობის და, თუ გნებავთ, მიდის შესაბამისად. რეკლამა მალე ძველდება. რაც არ უნდა კარგი იყოს, თვალს დღის და შეცვლას ითხოვს. ამიტომ საჭიროა ეს საქმე ერთმა მხატვრულმა ორგანიზაციამ წარმართოს. დღეს კი, აი, რა ხდება: რომელიმე უწყება სარემონტო ხარჯებით აკეთებს რეკლამებს, თანაც არა ნეთანხმებული პროექტით, არამედ ისე, როგორც საკუთარი ვიბე უკარნახებს.

აღინშული სამუშაოებისათვის გაღებული ხარჯები გაფანტულია მრავალ უწყებას შორის, არ ხდება ამ სამუშაოთა კონცენტრაცია და კოორდინირება, გაფორმებითი სამუშაოების, ესკიზებისა თუ პროექტების შეთანხმება სათანადო დაწესებულებასთან და არსებული მხატვრული სარეკლამო ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის სისტემატური კონტროლი, ნორმალური ექსპლუატაცია. ქალაქის მონუმენტურ-მხატვრული გაფორმების გენერალური სქემა არ მუშავდება ქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, რის გამოც ქალაქის გარე თუ საწარმო გაფორმებითი სამუშაოები გეგმასომიერ კომპლექსურ ხასიათს არ ატარებს და ვერ პასუხობს თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ქალაქის გაფორმებითი სამუშაოების განხორციელებაში დღემდე არ არის მიღწეული მხატვართა, არქიტექტორთა და ლანდშაფტური გამწვანების მუშაკთა შემოქმედების ერთობლიობა და მის საფუძველზე ტექნიკური და ფინანსური საშუალებების გამოძენა.

ზემოთ აღნიშნული არსებითი ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ქალაქს არ გააჩნია ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც განახორციელებდა სამხატვრო-საგამფორმებლო სამუშაოთა დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლიატაციისა და თვით

ობიექტების მხატვრულ-ესთეტიკური, ტექნიკური მდგომარეობის სისტემატურ კონტროლს.

ამ მიმართებით უკვე გადაიდა ქმედითი ნაბიჯები. ქალაქის საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღმასკომის სისტემაში შეიქმნას ქალაქის გარე გაფორმებისა და ესთეტიკის დამოუკიდებელი საწარმოო სამმართველო.

მისი შემებისა და მომავალი საქმიანობის სათანადოდ წარმართვისათვის საჭიროდ მიგაჩნია ქალაქის ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებსა და გაერთიანებებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ავტონომოთ სამხატვრო-საგამფორმებლო სამუშაოთა განხორციელება აღინშულ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე.

მხატვარი დღით დღე იტრება ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. დღეს წარმოუდგენელია საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხსა და ავეარგინაბაზე, ეფექტურ რეალიზაციაზე ლაპარაკი, თუ მის შემქნაში მონაწილეობას არ იღებს მხატვარი-დინამიკური. ეს საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ პრობლემატურია.

ცალკეულ სამინისტროსთან არსებობს სამხატვრო საბჭოები, რომლებიც ამტკიცებენ უწყებრივი საქონლისა თუ პროდუქციის მხატვრულ ეტლონებს. ეს საბჭოები უმეტესად არაკომპეტენტური სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. ის ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებული არიან სამხატვრო-საგამფორმებლო სამუშაოთა წარმოებისათვის, პრაქტიკულად მხოლოდ უწყებრივად დაქვემდებარებული არიან (მაგალითად, საქართველოს სამხატვრო ფონდის საწარმოო კომინატი, საწარმოო ესთეტიკის საკავშირო ინსტიტუტის ფილიალი, სარეკლამო გაერთიანება „ივერია“, ოფსეტური ბეჭდვის სტამბა, ქალაქაფორმების კომინატი და სხვ.). მათი მოღვაწეობა შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი სამხატვრო საბჭოების კონტროლით. ურთიერთდამოუკიდებელი და შეუთანხმებელი საქმიანობა განაპირობებს რესპუბლიკაში საგამფორმებლო ხასხარების უნეტროლო ხარჯვას, წარმოებათა სამუშაო გეგმების არასწორ შედგენასა და კონტროლს.

მოუგვარებელია თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის, მათი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში გამოყენების საკითხები.

ყველა ამ საკითხის გადასწვევად საჭიროა შეიქმნას მაკოორდინებელი ორგანო, მსგავსად რესპუბლიკის „საქმშენისა“, რომელიც აერთიანებს ყველა უწყებრივი დაქვემდებარების საპროექტო ორგანიზაციას.



მასმის ახალ დრამატულ ნაწარმოებს „ფიროსმანი, ფიროსმანი, ფიროსმანი... ვაღიმ კოროსტილემა პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი სიტყვებით „ადამიანის ცხოვრების წარმოდგენა“ უწოდა. პიესის პროლოგის დასაწყისშივე გვამცნობენ: „ეს ადამიანის ცხოვრების წარმოდგენაა, ცხოვრების, რომელიც ბოლოს წარმოდგენად უნდა გადაქცეულიყო, რადრომ ბევრი, ძალიან ბევრი თვალი დაინახა ამ ცხოვრების ნახვას“. აქ ლაბარაკია გენიალური ქართული მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების შესახებ, იმ დიდი, განუყოფრებად თემიყოფი ხელოვანის შესახებ, რომელიც ბნელ და მრისხანე სოციალურ გარემოცვაში აუწერელი ტანჯვისა და მწუხარებისათვის, შიმშილისა და სილატაკისათვის, შუურაცხოფისა და დამცირებისათვის განწირული, ახლა დიდებისა და მარადიული უკვდავების შარავანდედით შემოვიდა ჩვენს ნათელ ეპოქაში და ჩვენი დიდი ბედნიერება და სიამაყვა, რომ თავს ვგრძნობთ მის თანამედროვეებად, მის მიმდევრებად და მკვლევარებად, მის აღტაცებულ მაყურებლებად და თაყვანისცემლებად.

ჩვენი ეროვნული კულტურის მთელი მრავალსაკუნოვანი ისტორია აღსავსეა ხალხის შემოქმედებითი გენიის უპირველეს გამომხატვლელთა პირადი ხეფდრის უკუღმართობის შემზარავი მაგალითებით. უკვდავი რუსთაველით დაწყებული, ვაჟა-ფშაველათი, ალექსანდრე ყაზბეგით, ეგნატე ნინოშვილით დამთავრებული ქართული საზოგადოებრივი აზრისა და მხატვრული შემოქმედების კრიზისები — ყველამ, „გამოუკლებლივ, თავისი პირქუში დროების მიერ გამაზადებელი მოწამებრივი ცხოვრებით იცხოვრა და დალია სული. მაგრამ ნიკო ფიროსმანის კონფლიქტა და მღვლავარ შუერიგებლობა თავისი დროების ბოროტ სულთან, მისი პირადი ბიოგრაფიის, სულიერი ცხოვრების, აზროვნებისა და შემოქმედების დრამა სახვებით განსაკუთრებული იყო თავისი სიმწვავეით, სემიფრით, ნამდვილი საბედისწერო ტრაგედიკულით. ამიტომაც ახლა, როცა მისი სახვებით უნიკალური დიზებულების განსაცვიფრებელი შემოქმედებითი მეკვიდრებობა ყოველდღიურად მზარდ რეზონანსს იხვევს მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში, როგორც ვ. კოროსტილევის პიესაშია ნათქვამი, უთვალავად ბევრი თვალი დახარბდა მისი ცხოვრების წარმოდგენის ნახვას, მის უსაზღვროდ მდიდარ და ღრმა სულიერ სამყაროში წვდომას, მისი ლეგენდარული პიროვნების საიდუმლოების ამოხსნისა და გამოცნობის სიასრულს. ასეთმა ბუნებრივმა საყოველთაო მისწრაფებამ უკვე პოევა ატარებო ბრწყინვალე გამოვლენა თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. საკმარისია დავასახელოთ გიორგი ლენინისა და ლადო ასათიანის შთაბრძნული პოეტური ქმნილებანი, ლადო გუდიაშვილის ბრწყინვალე ფერწერული ტილოები, არჩილ ჩიჩხაძის იშვიათი მელოდულირობით აბუტვლები „სიმღერა ფიროსმანზე“. არც ქართულა თეატრი და დრამატურგია დარჩენია ვალში ამ ძვირფას და შთამაგონებელ თემას. წლების განმავლობაში დიდის წარმატებით იდგებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე გიორგი ნახუცრიშვილის პიესა „ფიროსმანი“, რომელშიც მთავარ როლს გენიალური მხატვრის ცხოვრების დრამის ღრმა გააზრებით, ფართო სოციალური განზოგადებითა და მაღალი პროფესიული ოსტატობით ასრულებდა ჩვენი დროის დიდი მსახიობი სერგო ზაქარიაძე. ამ სპექტაკლით გამოწვეული დრამა შთაბეჭდილება დღემდე არ შეწყვეტილა და კიდევ დიდხანს არ შეწყვეტება ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

მაგრამ განვლო წლებმა და აი, გამოჩენილა რუსმა დრამატურგმა ვაღიმ კოროსტილემა დასწერა პიესა ფიროსმანისა ადამიანური და შემოქმედებითი ცხოვრების თემაზე, რუსთავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა განახორციელა ეს პიესა თავის სცენაზე და კიდევ ერთხელ მთელის სიხსებით დადასტურდა ის ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ხელოვნებაში არ არსებობს თემის სათლიოდ და ამოწურავად გადაწყვეტის სახლვარი, რომ არ არსებობს ცხოვრებისეული მასალის მხატვრულად ათვისებისა და წარმოსახვის ერთადერთი ასპექტი, ერთადერთი საყოველთაოდ მისალევი კანონზოვნიერება.

„ეპიტოპიონი

დღესასწაული“

რუსთავეის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სეპატაკლი

ბესარიონ ჟენტი

დიდი ქართველი მხატვრის ადამიანური და შემოქმედებითი ცხოვრების დრამას ვ. კოროსტილემა მოუნახა სახვებით თავისებური, ორიგინალური გასაღები. იგი არ გაყვა თავისი გმირის ბიოგრაფიის ყოფითი მასალის მხატვრული ილუსტრაციის გზას, ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის დრამატულს მწერლობისათვის დამახასიათებელ ჩვეულ გამოცდილებასა და ტრადიციას. მან ფიროსმანის ცხოვრების და შემოქმედების „გარეგანი“ ისტორია კი არ მოგვითხრო, არამედ მისი ბოთოქარი სულიერი სამყარო დავვისხატა, მისი უკიდურესად გამაფრებელი აზრებისა და გრძნობების, განცდიებისა და განწყობილებათა მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვნება დავგანახვა. პიესის მსუღელობის მთელს მანძილზე ჩვენს თვალწინ დგას ღვთაებრივი ნიჭითა და ზეადამიანური შთაგონებით მომადლებული ხელოვანი, რომელიც განუწყვეტელი ცხოვრობს დამაბული, მაღალი, სააზროვნო ცხოვრებით, უადრესად საკუთარი და ღრმადა გააზრებული თავისებური შესხედლებებით ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველგვარ მოვლენაზე, უადრესად ნათელი კუმანური, კაცობიყვარული იდეალებით, სპექტაკი ზნეობრივი მისწრაფებებით

ბით, მუსრვალე გულით, ამაღლებული, მძლავრი და მშვენიერი სულით. ეს ადამიანი შეურიგებელ კონფლიქტშია თავისი თანამედროვეობის მთელ გარემოცვასთან — სოციალურ წყობასთან, გაბატონებულ მორალურ ნორმებთან და ესთეტიკურ კოდექსებთან. მას საკუთარი, ღრმად თავისებური შემოქმედებითი მრწამსი აცოცხლებს, მისი თვალსაზრისი ხელოვნების ბუნებაზე, მხატვრული შემოქმედების არსზე, ხელოვნების ბუნებრივად დასაბუთებულობაზე სინამდვილესთან, მხატვრული სიმართლის ურთიერთობაზე ყოფის სიმართლესთან მძაფრად წინააღმდეგება სავალდებულოდ მიჩნეულ ტრადიციულ ნორმებს და რუტინად ქცეულ დოგმებს. ამიტომ მისი ცხოვ-

ლოვნების ლიტერატურული ფორმა, არამედ გვირის აღმარებლობის მინოლოგს, მისი შინაგანი სამყაროს უშუალოდ გადმოცემის სიტყვის ხელოვნებას. ამ პიესაში თითქოს არც კი არსებობს მოქმედება, ფაბულა, დრამატული სიუჟეტი, ამ ცნებათა ტრადიციული გაგებით. ამ თვალსაზრისით ვ. კოროსტილევის ნაწარმოები, ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის კატეგორიებით რომ ვიმსჯელოთ, არც კი წარმოადგენს საკუთრივ პიესას, დრამატული ჟანრის ნაწარმოებს. არისტოტელეს კლასიკური ტრაქტატიდან მოყოლებული ჩვენს დღემამდე პოეტიკის თეორიისა და ისტორიის ყველა კურსში, ყველა სახელმძღვანე-



ფიროსმანი — ოთარ მეღვინეთუხუცესა.

რება უღმრთელი ორთაბრძოლა მახინჯ და მანკიერ საზოგადოებრივ სინამდვილესთან. ამ ორთაბრძოლაში ფიროსმანის მგრძობიარე გულმა არაერთხელ იწვნია მწვავე წყლული და განუკურნებელი ტკივილები. მისმა ცხოვრებამ უკიდურეს სიღარიბეში, მარტობაში, დამცირებასა და შეურაცხყოფაში განვილი, მაგრამ დიდი ხელოვანი ბოლომდე დარჩა ამაყი, ქედუხრელი და უკომპრომისო. მას ერთი ნაბიჯით უკან არ დაუხვია თავისი მრწამსისაგან, საკუთარი ოცნებისა და იდელებისაგან და უკანასკნელი ამოსუნთქვის წუთებშიც ადამიანის ბედნიერებაზე, სიკეთეზე, მშვენიერებაზე, ხალხის კეთილდღეობაზე ამაღლებული ოცნებით ძვერდა მისი დიდი გული. ასეთი ადამიანის სულიერი პორტრეტი, ამგვარი სულიერი ცხოვრების რთული მოძრაობის სურათი დაგვიხატა ვ. კოროსტილევა თავის პიესაში და ამგვარი ხასიათის გამოძერწვისათვის მან მიმართა არა დრამატურული ჟანრის მწერლობისათვის ტრადიციულად დამახასიათებელ ფაბულურ ხლართებზე დამყარებულ სიუჟეტურ სტრუქტურას, არა იმ სპეციფიკურ კომპოზიციურ ხერხებს, რომლებსაც ჩვეულებრივ გულისხმობს დრამა — როგორც მოქმედებითი ხე-

ლოშიც კი დრამისათვის სავალდებულოდ მიიჩნევენ მოქმედებაში გაშლილ სიუჟეტს, ამბავს, ფაბულას, ანტაგონისტური ტიპებისა თუ ხასიათების დაპირისპირებას. არამარტო ისეთი დრამისათვის, რომელიც თეატრში უნდა განსახიერდეს, არამედ ე. წ. „საკითხავი“ დრამისათვისაც, რომელსაც გერმანელები desedrama-ს უწოდებენ. ვ. კოროსტილევა თავის ნაწარმოებს „მონოლოგები“ უწოდა. რომ დაეაზუსტოთ და უფრო მართებული გაგხადოთ ავტორის ეს განსაზღვრა, ამ პიესას „მონოლოგები“ კი არა, „მონოლოგი“ უნდა ეუწოდოთ. მთელი ნაწარმოები ვითარდება, როგორც ერთი ადამიანის, პიესის მთავარი გვირის, არსებითად მისი ერთადერთი რეალური გვირის მთლიანი მონოლოგი. მართალია, ზოგჯერ ამ მონოლოგში დიალოგური პასუხებიც შემოიჭრება ხოლმე, პიესის რომელიმე პერსონაჟთან ფიროსმანის საუბრის თუ პაქრობის ეპიზოდები, მაგრამ თვით ეს პერსონაჟები რეალური ადამიანები როდი არიან, ისინი ფიროსმანის გენიის მიერ შეთხზული მხატვრული სახეებია, მისი სურათების პერსონაჟები. მაშასადამე, ჩაიბ ბუნებაც, მეტყველება, მთელი მათი არსებაც მხატვრის შემოქმედების განუ-



ლობაში მე არ შეგულებავ გვირის მთელი სულიერი ცხოვრების, მისი შინაგანი სამყაროს ერთიან მონოლოგში მთლიანი და სრული გამომცემის პრეცედენტი. რამდენად კონსონანტური და გამართლებული დრამატული ქანრის ლიტერატურისათვის სავალდებულო ნორმებისაგან ასეთი კატეგორიული გადახვევა და დამოშვება? ამ საკითხზე ყველაზე მართებულ პასუხს ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ამ პიესის ნიადაგზე შეიქმნა უაღრესად მკაფიო, საინტერესო, ამაღლებული სპექტაკლი, რომელსაც არ შეიძლება გულგრილად და დამშვიდებულად უყურო. სპექტაკლის მსვლელობის მთელს მანძილზე მაყურებელი დაბაბული ყურადღებით, ემოციური გზებით უსმენს პიესის გვირს და განუწყვეტლივ იმყოფება მისი სულიერი ცხოვრების მიმდრობისათვის ცხოველყოფილი კონტაქტისა და თანაზიარობის ვითარებაში.

ვიდრე საკუთრივ სპექტაკლზე, თეატრის ნამუშევარზე, წარმოდგენის რეჟისურაზე, აქტიურულ ხელოვნებაზე და სცენური სანახაობის სხვა კომპონენტებზე ვილაპარაკებდე, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო პიესის მთარგმნელის, ჩვენი ცნობილი და ნიჭიერი პოეტის მიხეილ ქელიძის თვალსაჩინო წვლილზე ამ სპექტაკლის წარმატებაში. ზემოთა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული თარგმანის სახის ყველგვარი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის და, მით უმეტეს, დრამატული ქმნილებისათვის. მაგრამ სახეებით განსაკუთრებულია მთარგმნელის ოსტატობის ხვედრითი წონა ისეთი პიესის წარმატებაში, როგორც ვ. კოროსტილევის ეს პიესა, სადაც არა მიმზიდველი და დამანეტრესებელი ფაბულური ხლართები და მოულოდნელ პერიპეტეზებზე დამყარებული სიუჟეტური კომპოზიცია მთავარი, არამედ სიტყვა, მხატვრული მეტყველება, სცენური მონოლოგი.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ქელიძის ნამდვილი პოეტური გზებით და მაღალი პროფესიული ოსტატობით უთარგმნია ვ. კოროსტილევის პიესა. ყოველი სცენური ფრაზა სპექტაკლში ქვერს ლაღად, ბუნებრივად, როგორც ქართული ენის წაიღიდან აღმოცენებული ნამდვილად ქართული სიტყვიერი მუსიკა. მე პირადად ამ თარგმანმა გამაძინა ვალერიან გაფინანაშვილის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი „ურიელ აკოსტა“, დავით გაჩეჩილაძის მიერ მაღალ პოეტურ დინეზე შესრულებული თარგმანი „თილიბოს მეფისა“ და სხვა რამდენიმე ანალოგიური იშვიათ შემთხვევა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

ვ. კოროსტილევის პიესა ურთულეს სიმწვევებს შეიცავს მისი სცენური განსახიერების თვალსაზრისით. მისი სტილის, მხატვრული სტრუქტურის ის თავისებურებანი, რომელთა შესახებაც ზემოთ გვერდა დასაბამი, უჩვეულოდ ძნელად განსახორციელებელ ამოცანებს აყენებს თეატრის კოლექტივისა და, პირველ ყოვლისა, პიესის დამდგმელის, რეჟისორის წინაშე. როგორ დაინტერესოს თეატრმა მაყურებელი, იყოლის იგი დაბაბული ემოციური ყურადღების ვითარებაში, როგორ აიცილდნოს თავიდან მაყურებლის დაღლის, მოწყენის, სცენურ საშუალებათა ერთფეროვნებისა და ტაქტოლოგიის საშიშროება ისეთი პიესის განსახიერებისას, სადაც არავითარი მოქმედება, ამბავის განვითარება არ მიმდინარეობს, არ არსებობს სასათათა დაპირისპირება. არსებითად დრამატური ჩანაფიქრის მთელი ტვირთი ერთ დადამიანურ სახეზე დაკისრებული, და ეს უკვე თავიდანვე სასუბიექტო ჩამოყალიბებულ დასრულებულ ინდივიდუალობას წარმოადგენს იმგავ-

ყოფელი ნაწილია. ამდენადვე პიესაში ყველაფერი, რასაც ეს მოქმედი პირები ლაპარაკობენ თუ სწადიან, პირმოთა ფირსმანის ფანჯარისა, მისი შემოქმედებითი გენიისა, ორგანული ნაწილია იმ დიდი მონოლოგისა, რომელიც პიესის მთელ შინაარსს განსაზღვრავს.

პიესის გვირის აზრები და შეხედულებანი ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე, სასოციალურებზე სინამდვილეზე, მისი „ოთხთანალიზი“, საკუთარი ხედვისა და პიროვნების საკუთარივე დახასიათება, მისი დავა და პაექრობა თავისი სურათების პერსონაჟებთან — ეს არის პიესის მთავარი და ძირითადი შინაარსი, რომელიც გადმოცემულია ღრმა სიბრძნით, მგზნებარე ტემპერამენტით, წრფელი მღვდლებით აღბეჭდილ მის მეტყველებაში. ეს მეტყველება უაღრესად მხატვრულია, სასურათოვანი, ზოგჯერ მეტაფორულიც, გონებაზიხელოური, ასოციაციური და ყოველივე ამასთან ერთად — საოცრად ბუნებრივი, ადამიანური, უშუალო და გულში ჩამწვდომი. გვირის მონოლოგის ასეთ მაღალ პოეტურ დინეზე დამუშავება, სადაც გამოირიცხულია რაიმე ხელოვნობისა და მანერულობის ნახაზიც კი, წარმოადგენს პიესის ავტორის უპირველეს მხატვრულ მიღწევას და წარმატებას. დრამატულ მწერ-

რად, რომ სპექტაკლში ხასიათის განვითარების, მისი წრთობის და ჩამოყალიბების არავითარ პროცესზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამას ემატება ის დიდი სიმწელება, რომ პიესაში წარმოსახული სინამდვილე უკიდურესად პირობითის ფარგლებშია წარმოდგენილი. პიესის მოქმედი პირები, როგორც ვუკვ აღინშნული გვექონდა, ფიროსმანის სურათების პერსონაჟებია — არა რეალური ადამიანები, არამედ მხატვრის ფანტაზიით შეთხზული თუ ნიღბები. ისინი, ეს პერსონაჟები, გარდა ზვით ფიროსმანისა, ხან სურათების ჩარჩოებში, სტატკავრ მდომარეობაში დაჩინებული ვსახურებიან თავიანთ კონკრეტულ მხატვრულ ფუნქციას წარმოდგენაში, ხან გადმოსიან სიმ ჩარჩოებიდან, „გაცოცხლებიან“, მიწიერ ადამიანურ სისხლსორცს იძენენ, რამდენიმე წუთით მონაწილეობენ სპექტაკლის მსვლელობაში და შემდეგ ისევ ბურუნდებიან პირვანდელ სტატკავრ, უძრავ და უსიტყუო მდგომარეობას. როგორ უნდა გაერთიანა თავი თეატრს პიესისმიერი ასეთი სინქლეებისათვის! როგორ უნდა ექცია მას „სცენურ რეალობად“ მთელი ეს უკიდურეს პირობითობაზე დამყარებული მხატვრული სამყარო? მაგალითად, როგორ უნდა შევქმნა თეატრს მაცურებლისათვის ისეთი ილუზია, რომ სპექტაკლის მოქმედი პირები ცოცხალი ადამიანებიც არიან, როცა ისინი სცენაზე დგანან ფიროსმანთან პაქრობაში ჩაბმულნი და ამავე დროს ფიროსმანის სურათებიდან გადმოსული, მხატვრის ფანტაზიით შეთხზული სახეებიც?

მრავალი ასეთი ძნელად გადასატრევი პროფესიული საკითხი იდგა ამ პიესის დამდგმელს, რეჟისორ გიორგი ლორთქიფანიძესა და თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე. რეჟისორის იშვიათ შემოქმედებითის გამბედაობას, შემართებას და ეკვაკობას უნდა მიუწეოდა, რომ იგი არ შეუშინდა ამ სინქლეებს და თამამად წავიდა გარკვეულ რისკზე. დაძლია თუ ვერა მან ამ პიესის დადგმასთან დაკავშირებული ყველა სიმწელება, წარმატებით გადაწყვიტა თუ ვერა მან ის პროფესიული პრობლემები, რომელთა შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ?

თუ ამ პიესას და სპექტაკლს ანალიზის სისრულისათვის შევჩინებთ და ვშლით, დავანაწერებთ ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად, შემდეგ ყოველ მათგანს განვიზილავთ დრამატურებისა და სასცენო ხელოვნების ჩვეულებრივი ტრადიციული ნორმებისა და კანონების მიხედვით, წარმოდგენასაც და მის ლიტერატურულ საფუძველსაც უკვეველად აღმოაჩნდება ბევრი რამ სადისკუსიო და საკამათო, გარკვეული ხარვეზები, ნაკლოვანებანი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სპექტაკლი მთლიანად ჩვენი თეატრის უკვეველად დიდი შემოქმედებითი წარმატებაა, იგი ღრმა აზრით შთაგონებული, ჯანსაღი სოციალური ქდერადობის მაღალი ესთეტიკური ღირსების ქმნილებაა, რომელიც ნათელი, კეთილშობილური გრძობებით აღვლეებს ჩვენს გონებასა და გულს, ცხოველ გამოძახილს პოულობს ჩვენს სულიერ სამყაროში, დაუვიწყარ ესთეტიკურ და ინტელექტურ კმაყოფილებას გვრის მაცურებელს. სპექტაკლი მიმდინარეობს მაცურებელთან შეუნულებელი ემოციური კონტაქტის ვითარებაში, მრავალრიცხოვანი აუდიტორია აღტაცებით და კეთილშობილური მღელვარებით განიცდის ყველაფერს, რაც მან სცენაზე ნახა თუ სცენიდან მოისმინა. ეს კი თეატრის შემოქმედებითი გამარჯვების უპირველესი კრიტერიუმი. ხოლო როგორც ძველთაძველი სიბრძნე გვასწავლის, „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“. სპექტაკლში ყველაფერი მტკიცე შინაგანი ლოგიკითაა გააზ-

რებული და მხატვრულად დასაბუთებული. რეჟისორი ყველა გულად მიჰყვება დრამატურების იდეურ-მხატვრულ ფიქრს და ისწრავის სწორად ამოხსნას, ხორცშესხმულად წარმოგიდგინოს პიესაში წარმოსახული აზრებისა და გრძობების დიდი სამყარო. გ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი პოზიციის ამ მხარეს განსაკუთრებული პრინციპული მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა ქართულ თეატრში გამოჩნდნენ რეჟისორები, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწყვენ სპეისის იდეურ მიზანდასახულობას, მხატვრულ-სტილობრივ ბუნებას და ისე ფანილარულად ეპყრობიან დასადგმელად წარჩეულ დრამატურგიულ ნაწარმოებს, თითქოს მისი ავტორები თუ არა, თანაჯტორები მაინც იყვნენ. რეალისტური თეატრისა და დრამატურების მთელს ისტორიაში უპრეცედენტო ასეთ თვინებობას რეჟისორებისას, სამწუხაროდ, წინ არ ედობება სასოფადობრივი აზრის შესაფერი წინააღმდეგობა. უყურებ ხომლეკ ასეთი უნებური „მეთოდით“ დამუშავებულ სპექტაკლებს და ვერ ხვდები ვის ნაწარმოებს განასა-





მასალა ექვს მსახიობს აქვს განაწილებული. ასეთი ცვალებული ცვლილებები არავითარ გაგონებას არ ახდენს იდეურ-მხატვრულ ბუნებაზე და არავითარ ზიანსაც არ აყენებს მას. ამგვარ შემთხვევებში რეჟისორის გარკვეული უწყობა და თავისუფლება დაკანონებულია მსოფლიოს საუკეთესო თეატრებისა და, კერძოდ, ჩეხინ საუკუნის უდიდესი რეჟისორების შემოქმედებითი გამოცდილებით.

გ. ლორთქიფანიძემ შექმნა მკვნიზარე სპექტაკლი, აღსავსე მუსიკით, ლირიზმით, პოეტური ზემოაონებით. პიესის ავტორისა და რეჟისორის სრული ერთსულოვნებით ყველაფერი ამ სპექტაკლში — მხატვრობაც, მუსიკაც, მსახიობთა ანსამბლის შემოქმედებაც ერთ ფუკუსშია თავმოყრილი, ერთი მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად არის მიზილზობული. ეს არის პიესის მთავარი — უფრო სწორად კი ერთადერთი გმირის ნიკო ფიროსმანაშვილის სახის, მისი სულიერი პორტრეტის, მისი შინაგანი სამყაროს მთელი სიღრმის სიმდიდრის რაც შეიძლება მეტი სისრულითა და შთამავრუნებელი ძალით გამოცემა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს „ზემოცანა“ სპექტაკლში ისეთი მაღალი ოსტატობითა და აღმაფრთოვანებული, გულის სიღრმეში შემძებრივი და დამატყვევებელი ძალით არის შესრულებული, რომ შეუძლებელიც იყო დღევანდელი ქართული თეატრის ვითარებაში ამ მხრივ უკეთესი რამ გენეატრა და მოგვედგომებია.

ფარდის ახდის პირველივე წუთიდან სპექტაკლის უკანასკნელ აკორდამდე წარმოდგენის ცენტრში დგას ფიროსმანის როლის შემსრულებელი ოთარ მეღვიინეთუხუცესი და სწორედ მისი მაღალი აქტიორული ხელოვნება, იშვიათად მძლავრი ნიჭიერება, მომზიბვლელი, დამაყრობი, მე ვიტყვი, ნამდვილად მომავადობელი ოსტატობა არის ამ წარმოდგენის წარმატების უპირველესი საფუძველი.

იწყება სპექტაკლი ძველი თბილისის გარეუბნის რომელიღაც სახლის კიბის ქვეშ, წყვედილით მოცულ პირქუშ სარდაფში, სადაც სიცოცხლის მიწურულში ცხოვრობდა და გარდაიცვალა დიდი მხატვარი, სარდაფში, რომელსაც არც კარები აქვს, არც ფანჯრები, არც არავითარი ავეჯი და მოწყობილობა. იატაკზე წევს ფიროსმანი. უკვე ამ შემხარავ სიჩუმეში, სიბნელებაში, სიმარტოვეში პირველი გამოჩენისთანავე ო. მეღვიინეთუხუცესი მთელის ძალით გვაგრძნობინებს უკუღმართი ცხოვრების მიმდებარეობით დაღლილი, მწვავე გულსტიკვილით შეჯახობილი გენიალური შემოქმედის სულიერ დრამას. ამას გამოსატავს მისი მეტყველებების ნაღველიანი ინტონაციაც, სახის ნაკვეთების უხალისო მოძრაობაც, თვალების სკედიანი ელვარებაც, სხეულის მოღუნებული, უსიციოცხოლო მდგომარეობაც — მსახიობი „თამაშობს“ თავისი გმირის სულიერი და ფიზიკური დეპრესიის სურათს. მისი ხელები დაღლილა ცარიელ ჯიბეებში უკანასკნელი შურისძიების ამო ტებნით, მასი თვალები მოქანცულა ბაღში თავისუფალი მერხის ძიებით, რათა ზედ გაიშლართოს და ოდნავ მანკი დაიხვეწოს. მხოლოდ საღებავების შეზავება არ დიდობს და მის თვლებსა და ხელებს, მხოლოდ მშვენიერების თავყანისმეგობრობა არ ქანცავდა მის სულსა და სხეულს. მაგრამ დაღლილი გენის ბუნებაში ცოცხლობს სიამავე, რომელსაც მშობლიური ბუნების მტყვევია, სამშობლოს დოღათიანობა, ხალხის შეუდრეკელი სულიერი ძალ-ღონე ასაზრდოებს და ასულდამგებლებს. „მე ურძნის მტყვევი ვარ — ამბობს ფიროსმანი, — დაეიბაღე ექ, სადაც მიწისა და მზის გზები შეიყარნენ — კახეთში, ერთი სიტყვით, მზე მაშა ჩემი და ჩა-

ხიერებენ სცენაზე — რომელიმე სახელოვანი კლასიკოსის ან თანამედროვე დრამატურის პიესას, თუ ამა თუ იმ რეჟისორის „კალმის ნაემშაკარს“?


როცა დრამატურული მასალისადმი თეატრის ერთგულებაზე ვლაპარაკობთ, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქმის თეატრი ვაღდებულ იყოს პედანტურად მიმოწყვედეს პიესის ყოველი დეტალის, სცენური დილოგის, ყოველი ფრაზის, ყოველი რეჟისორის ტყვეობაში. სპექტაკლი, მარტოობის დღესასწაული — სამაგალითი ნიმუშია რეჟისორის აქტიური შემოქმედებითი დამოკიდებულებისა დრამატურული ტექსტისადმი. დამდგმელს შეეჭვს კორექტივები პიესის ტექსტში, როცა ამას თეატრის შესაძლებლობათა ვარაუდი ან რაიმე კონკრეტული მხატვრული მოსაზრება კანონობს. მაგალითად, პიესის ზოგიერთი მოქმედი პირი სრულიად არ მოქმედებს სპექტაკლში (ქართული ქალი თარით ხელში, ყურძნის მკრფავი გულში) ან კიდევ თუ პიესის მიხედვით პროლოგის მთელ ტექსტს ერთი მსახიობი წარმოქვავს, სპექტაკლში ეს

ლისფერი მოხვედრით სხივების ოქროს თივას მაკმკეს... მიწა — დედა ჩემი და ნოყიერი წიაღის წვეს მასმებს... მე ფრქვინ ვარ!... ეს სიამაყე, ქვეყნისა და ბუნების განუსაზღვრელ სიდიადესთან თანაზიარობის რწმენა თან ახლავს ფიროსმანის დადღობისა და ნაღვლიანი მსოფლმეგრანების განცდას. ასეთი სურათი თავისი გმირის რთული სულიერი სამყაროსი, ასეთი „სულის დიალექტიკა“ დაგვიხატავს მსახიობმა სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე და პიესის შემდგომს მსგეულობაში თანდათანობით ღრმავდება და ფართოვდება. ასეთი უნიკალური ბუნების ასეთი მხატვრული გააზრება. აქი პიესის იმ პასაჟებშიც, სადაც მხატვრის უკიდრის სიღარიბე და დუხჭირი ცხოვრება გამოხატული, ფიროსმანი ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი ყველაზე მდიდარი კაცია ქვეყნად, რომ მისი სიღარიბე არსებითად ნამდვილი სიმდიდრეა, რომ იგი პატრონი და მფლობელია სამყაროსი, რომელსაც ის ხატავს, ჩიტებისაც, ცხოველებისაც, ბაღებისაც, რომ მას შეუძლია თავისი სიღარიბე დაავიროს უთვალავ თანხებზე, რომ იგი მეფეა და მასთან დაუკითხავად შემოსვლის ნება არავის აქვს.

ესაღია, მხატვარს ასეთ შემთხვევაში სიმდიდრისა და სიღარიბის ყოფაცხოვრებითი გაგება როდი აქვს მხედველობაში. მისი სიტყვების ქვეტექსტში ხელოვანის სულიერი სიმდიდრე — მის აზრთა და გრძობათა ლაღი თავისუფლება იგულისხმება, რაც მას განასხვავებს იმ მდიდარი ობიექტულებისაგან, რომლებიც არსებითად მოწევი არიან მათს მფლობელობაში და გაროვილი მატერიალური სიმდიდრეებისა. ო. მეღვინეთუხუცესის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მისი შეტყვევების ასეთი ქვეტექსტური, ხშირად ორაზროვანი, ხშირად გადატანითი მანერა არასოდეს არ ბადებს ეჭვს გმირის აზრთა და გრძობათა სიმართლეში, უშუალოებაში.

თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული, თავისი რწმენით შთაგონებული, აღგზნებული დღას ნიკო ფიროსმანი მის წინააღმდეგ აჯანყებული, მის მიერვე დახატული სამყაროს პირისპირ. მსახიობი გადმოგვცემს გმირის ამ სულიერ ძალას და შეუდრეკელობას მისი ფიზიკური მოტეხილობისა და დაუძღრების მიუხედავად. როგორ ახერხებს ო. მეღვინეთუხუცესი განასახიეროს ასეთი კონტრასტი გმირის სულიერი და სხეულებრივ ვითარებას შორის? ეს უკვე მისი მხატვრული ნიჭიერების ის საიდუმლოებაა, რომელიც არ ქვემდებარება ლოკაურ ენაზე ამოსხნასა და განმარტებას. აი, „ენა აიდგა“ ფიროსმანის სურათის „მედიდარი გლეხის პორტრეტის“ გვირგვინი. იგი საყვედურობს და დასცინის მხატვარს, რომ თითქმის სამოცი წლისაგვის მიუღწევია და კაცი კი ვერ გამხდარა, ქონება ვერ შეუქმნია, თანაც სიმართლით ხატვა ვერ უსწავლია, დამახინჯებულად, გაყალბებულად დაუხატავს ისიც და მისი ბალიც, რომ ამგვარი მხატვრობა არავის არგია და არავის ესაჭიროება. აქ კი ფიროსმანი თავგამოდებით გამოეკომავება თავის მხატვრულ სიმართლეს, სინამდვილის თავისებური ხედვის უფლებას, მის მიერ დახატული სახლისოდენა ალუბლის მარცვლის აზრსა და მნიშვნელობას. მსახიობის ხმა ამ პაექრობაში რაღაც შეუვალ ძალას, ფოლადისებურ სიმტკიცეს იძებს, შეტყვევების ინტონაცია თანაც საბრძოლო შემართებას გადმოგვცემს და თანაც იმ შინაგან სიმშვიდეს, რომელსაც მაღალი რწმენა წარმოშობს და ამ რწმენითაა შთაგონებული მსახიობის მთელი არსება — მისი გამომეტყველების, მოძრაობის, მიმიკის, ჟესტიკის ყოველი ნიუანსი. ასეთსავე სულიერი და ფიზიკური მდგო-

მარობაში წარმართავს მსახიობი სიტყვიერ ორთაბრძოლს მეოთხეხსიან, რომელიც უსაყვედურებს მხატვარს, რომელიც წითელ პერანგში გამოწყობილი დაუხატავს, რაც მეოთხეხსიანია, უხეშად არღვევს სიმართლესაც და მებაღურის პროფესიის წესსაც. მაგრამ უკვე სხვაგვარია მსახიობის ხმის ვლდრა, მისი გარეგანი იერიც, როცა გადმოგვცემს ფიროსმანის დიალექტის მსახიობ ქალთან — მარგარიტასთან. აქ უკვე მსახიობის მეტყველებაშიც და ქვეყანაშიც ნათლად იგრძნობა კვალი იმ შრომელი, მაგრამ განუკურნებელი წყლულისა, რომელიც მიუყენებია მისი კეთილშობილური გულისათვის უარყოფილ ტრფალებს მეზნებარე გრძობის. სრულიად სხვაგვარია კილო, მთელი ატმოსფერო თავისი სურათის „სამი თავადის“ პერსონაჟებთან მხატვრის საუბრის ეპიზოდში. აქ ყველაფერი აღბეჭდილია და გამსჭვალული ანტაგონიზმის მძაფრი განცდით, რომელიც მოიცავს არა მარტო სოციალურ, არამედ ადამიანურ, მორალურ თვისებათა სფეროებს, ხასიათთა წყობას. ასე მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მსახიობის გამომსახველობით საშუალებათა არსენალი. რამდენი





ლიც თანაგრძნობით ყოფილიყო განწყობილი ამ გენიალური შემოქმედისადმი! რასაკვირველია, ეს არ შეესაბამება უმთავრესად გამოსწორებულა. როგორც ცნობილია, მხატვრული გადაჭარბება, საღებავების განზრახ გამუქება როდი ეწინააღმდეგება მაღალი რეალიზმის ესთეტიკურ პრინციპებს. ზოგჯერ ასეთი გზით უფრო მისაღწევი ხდება ხოლმე მხატვრული სიმართლე, რომელიც კონკრეტულ ყოფით სიმართლეს უფრო მართალია, უფრო ნამდვილი. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამ სპექტაკლში, სადაც თეატრის და, კერძოდ, ფიროსმანის როლის შემსრულებელი მსახიობის მთავარი ამოცანა ის იყო, რომ ღრმად ეგრძნობებინა და განეცდებინებინა ჩვენთვის დიდი ხელოვანის მარტოობის ის მწვავე დრამა, რომელმაც ცხოვრება მოუშაბა ფიროსმანს, მაგრამ სულიერად ვერ დაამარცხა და ვერ დააძაბუნა იგი.

სპექტაკლის მთელ მსვლელობაში ო. მეღვინეთუხუცესი მხატვრული გამომსახველობის უმდიდრესი მრავალფეროვნებით ძერწავს პიესის მთავარი გმირის სახეს. ამიტომაც წარმოდგენაში აბსოლუტურად დამძლეულია მონოტონურობისა და მხატვრული ტაქტილოგიის საშიშროება. მაყურებელი შეუნღებელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს გმირის ცხოვრებას სცენაზე, რომელიც არ იცვლება, და არ ვითარდება ჩვენს თვალწინ, მაგრამ თანამიმდევრულად ღრმავდება, ფართოვდება, სულ უფრო დასრულებული და ყოველმხრივი ხდება. პიესაში არაფერია საგანგებოდ ნათქვამი ფიროსმანის პროგრესული სოციალური მსოფლმხედველობის შესახებ, მისი პატიოტიზმის შესახებ, მაგრამ ყოველივე ეს მაყურებლისათვის საესტეტი ნათელი ხდება რამოდენიმე მკაფიო შტრიხის მეშვეობით. გავიხსენოთ თუნდაც ის გარემოება, როდესაც მეზოფე ცდილობს ბალიდან გააძეოს მერხზე დასასვენებლად წაწოწილილი ფიროსმანი მეზოფე დარწმუნებულია, რომ მხატვარი სიზმარში ხედავს და თანაგრძნობის თილინის ქუჩებში გამართულ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციას. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ის პორტრეტი და მძულარება, რომელსაც აღძრავს ფიროსმანის გულში დოგმატიკოს ხელოვნებთმცოდნეთა უაზრო და უსულგულო ლაყბობა, მათი მთელი გამოფიქტული, მანკნური გარეგანი და შინაგანი ბუნება, მათი აღმფოთება „წითელი ცხენის“ გამო და გაცოფებული მოთხოვნა, რომ სურათი გადაიღებოს რუხი ფერით, „რუხით, რუხით, რუხით“. როგორც მშობლიური სიყვარულის გრძნობით იღვიძებს ფიროსმანის ცნობიერებაში უზომოდ ძვირფას თავის პატარა სოფელ მირზანაში გატარებული ბავშვობის შვიურ დღეთა მოგონებანი. ო. მეღვინეთუხუცესს მთელი ეს დიდი როლი, დიდი მიცულობითაც და აზრობრივ-მხატვრული დატვირვითაც, — თანაბრად მაღალ, მე ვიტყვი, სრულყოფილ პროფესიულ დონეზე აქვს დამუშავებული. თუ საგანგებოდ მოვიხილავთ გამოხატვის რომელიმე განსაკუთრებულად რამაფრთხიანებელ ეპიზოდში ამ როლის მთლიანობაში — ეს იქნება ალბათ ის სცენა, როცა ფიროსმანი თითქოს უმასპინძლებდა მასთან სტუმრად მისულ რუს მხატვარს, თითქოს დალიეს ნიკაოს დედის მიერ გამოგზავნილი შეუღლებული ღვინო, დაივიწყებდა კიდეც, გამხიარლებული ფიროსმანი ოდნავ აცეკვდა, ყოველგვარი სვედა და სიმძიმე გატარებულა და უკუდებოდა. ამ სცენაში მსახიობი აქტიურად გარდასახვის ნამდვილი შედეგის სიმადლეს აღწევს. იგივე შეიძლება ითქვას სპექტაკლის ფინალური ეპიზოდის შესახებ, სადაც ფიროსმ-



სიტობი და სინაზება, უბრალოება და უშუალოება მხატვრის ურთიერთობაში პატარა და კეთილი ისთან და რუს მხატვარს თან?! ია, რომელიც ფიროსმანს არასოდეს დაუხატავს, ერთადერთი აღმოჩნდა ბუნების მთელს უკიდევანო სამყაროში, ალერსით, თანაგრძნობითა და სიყვარულით რომ ეპყრობა გენიალურ ხელოვანს, ხოლო რუსი მხატვარი ფიროსმანის თანამედროვეთა შორის მისი ერთადერთი თანამოზიარე, მისი ესთეტიკური მრწამსის თანამოზიარეა. ასეთი ვითარება პიესაში. რაგანდ შეუსწავლელიც არ უნდა იყოს ფიროსმანის ბიოგრაფია, არ შეიძლება გავიზიაროთ პიესაში გამოხატული ასეთი კონცეფცია. ნუთუ რველუციამდელ საპქართველოში არ ცხოვრობდა არც ერთი ადამიანი, რომე-



ნი, რომლის მატარებელიც „უკანასკნელ გაჩერებას უახლოვდება“, ასეთი სიტყვებით ემშვიდობება სიცოცხლეს: „მე ვხატავ ადამიანის სახეს; სხეულს; მაგრამ ჩემთვის მთავარი ეს არაა. მთავარი სიხარულია! ეს მე ვარ — საქორწილო ღვინო, რომ გარდაეჭმნი ადამიანებს და დაე ათას წელს იხარონ ადამიანებმა! გაგიმარჯოთ ყველას!“

მსახიობის მიერ იშვიათი სახეიმო მავრით აქლერებული ეს სიტყვებით, ამ სიტყვების წარმოთქმის წუთებში მისი გამომეტყველება, მისი სხეულის, სახის, ხელების, ხოლო განსაკუთრებით თვალების გამომსახველობითი რესურსების ერთ ფოკუსში ჯადოსნურად თავმოყრილი ძალა ბრწყინვალე განსახიერებაა ჩვენი ოპტიმისტური ფილოსოფიისა, სიცოცხლის დამამკვიდრებელი, ცხოვრების სიყვარულის მსოფლშეგრძნებისა. აღლევებული, გახარებული გამოვდივართ მაყურებელთა დარბაზიდან და ერთსულოვნად ვფიქრობთ: რა ბედნიერებაა, რომ დღევანდელ ქართულ თეატრს ჰყავს ასეთი დიდი მსახიობი, რაოდენ ნამდვილ ესთეტიკურ სიხარულს უშხადებს და პირდება იგი ჩვენს ქვეყანას?!

რა უნდა ვთქვათ სპექტაკლის სხვა მოსწილეების შესახებ. მათ შორის არიან ისეთი მსახიობები, რომლებსაც სხვა სპექტაკლებში არაერთხელ დაუნასურებიათ მაყურებელთა ყურადღება და მოწონებაც. მაგრამ ამ შემთხვევაში არც ერთ მათგანს არ აქვს დაკისრებული რაიმე ისეთი განსაკუთრებული მხატვრული ფუნქცია, რომ თავისებური საღებავებით ამდიდრებდეს წარმოდგენას, მალხაზ გორგილაძე (მხატვარი), გიზო სიხარულიძე (შემღებელი გლეხი), გურანდა გაბუნია (მსახიობი მარგარიტა), ოთარ სეთურიძე (მეფევე), ირაკლი ბალიაშვილი (მეფევე), ლეო ფილფანი (პრევილი თავადი), ჯემალ მახიაშვილი (მეორე თავადი), ოთარ ქუთათელაძე (მესამე თავადი), როგორც იტყვიან, „ხელს უწყო-

ბენ“ სპექტაკლის წარმატებას, არსად და არაფრით არ არღვევენ მის საერთო მხატვრულ ატმოსფეროს. დასანანია, რომ ნათელა მუხლიშვილი სისასხით ვერ იყენებს იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც იას როლის შემსრულებელს უქმნის ვ. კოროსტილევის პიესა.

მოწონებს იმსახურებს სპექტაკლის მხატვრის აივენგო ჭელიძის ნიჭიერი ნამუშევარი. მან შესძლო რეალურ, ხელშესახებ მხატვრულ სინამდვილედ ექცია დრამატურგის ისეთი განყენებული და უაღრესად პირობითი რემარკა, როგორცაა: „სცენაზე ჩარიგებულ უზარმაზარ ფიცრის კედლებს შორის დარჩენილ ღრიტოებში წყვედილი იშვრება. დროდადრო ამ „ფანჯრებში“ ფიროსმანის სურათები განათდება სოლმე“. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სარეცენზიო სპექტაკლი აღსავსეა მუსიკით, ლირიკით, პოეზიით. ამაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვაწლი კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძეს მიუძღვის. მუსიკა ამ სპექტაკლში ჰარმონიულად ეთანახმოვანება მთავარი გმირის სულიერი ცხოვრების მოძრაობას და აქედან მომდინარეობს მისი დინამიკური, ცვალებადი ბუნება — ხან ნაღვლიანი და უხალისო, ხან აღვზნებული და შემართებული, ხან ეგზალტირებული და სიციქლის მოყვარებით გამსჭვალული ქღერადობა. კომპოზიტორი უხვად იყენებს ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების საგანძურს — კახური ხალხური სიმღერების თუ თბილისური ფოლკლორის მოტივებს.

რუსთავის დრამატული თეატრის ეს პრემიერა ქართული სასცენო ხელოვნების დიდი შემოქმედებით მიღწევება და არამარტო ერთი თეატრალური სესონის მასშტაბით. იგი უშუალოდ თვალსაჩინო ადგილს დაიჭირს საერთოდ ქართული სამკოთხა თეატრის მიერ შექმნილ საუკეთესო სპექტაკლებს შორის.



შამოყვანა ციკლის—„ახლთა მეგობრობის“ მიზანია მოძვე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედების ურთიერთგაცნობა. სწორედ ამ მიხედვით უწევინ თბილისს ლიტველი ფერმწერები, რომელთა ნამუშევრების ექსპოზიცია საქართველოს სურათების გალერეაში სანტერესს მოვლენად იქცა ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყვნენ როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახალგაზრდა თაობის მხატვრები, რომლებმაც ქართველ მოვლენების მოყვარულთა სამსჯავროზე გამოიტანეს თავიანთი უახლესი ნაწარმოებები.

ლიტვის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის აუტუტიინას საეიკასის შემოქმედებაში იგრძნობა მისწრაფება სიუვეტურ-თემატიკური ტილოს სიმბოლურ-ფილოსოფიური გადაწყვეტისაკენ ისტორიული მოვლენების ამასხველი და მორალურ-ეთიკური პრობლემების შექცეული ნაწარმოებები აღსაქვს შინაგანი დაძბულობით ნაყოფიერად მუშაობს ფერმწერი პორტრეტულ და პეიზაჟურ ჟანრშიც გამოფენაზე ყურადღება მიქცია ლირიკული ციკლის პეიზაჟებმა და „რამიუტკის პორტრეტმა“, რომელიც აღბუქდილია ნატიფი ლირიზმითა და ღრმა ფსიქოლოგიზმით.

მრავალმხრივ ნიჭიერებას ამჟღავნებს მხატვარი ქალი სვეტიცევიტი. იგი წარმატებით მუშაობს როგორც მონუმენტურ, ისე დაზურ ფერწერაში. მისი შემოქმედების წამყვან ჟანრს პორტრეტი წარმოადგენს. სანტერესს, ორიგინალურად არის შესრულებული „მხატვარ ა. საეიკასის პორტრეტი“, რომელშიც ს. ვეიერიტე მიმართავს XVI-XVII საუკუნეების ოსტატთა ფერწერულ ხერხებს. ეს ელინდება ნაწარმოების როგორც კომპოზიციურ, ისე სავით კოლორისტულ გადაწყვეტაში. დეტალებში შეინიშნება სტილიზაცია რენესანსული და ბაროკული პორტრეტების მიბაქვით (წარწერა მუქ ფონზე და მასში ჩაწერილი ოქროს ჩარჩო). უტირრებულია გამოსახულების ფორმები: მკვეთრად ხაზანსული, მსხვილი ნაოქები შუბლზე, დიდრონი თვალები, ცივი, გამსჭვალავი მზერით. ყოველივე ეს ემსახურება ძლიერი, შინაგანი ენერჯით აღსაქვს აღმიანის სახის შექმნის ამოქანას.

განწყობილებით საგვე ლირიკული პეიზაჟების ავტორია ალ. პეტრულისი. იგი იმ მხატვრებს მიეკუთვნება, რომლებმაც შემოქმედებითად აითვისეს იმპრესიონისტთა და პოსტიმპრესიონისტთა მემკვიდრეობა და წერის თავებური, ინდივიდუალური მანერა შეიმუშავეს. ალ. პეტრულისის პეიზაჟები—„ხეები“, „ახალი ბოსელი“ სიწყნარე, სიმშვიდე გამეფებული. ამ ტილოების კოლორისტული პარმიონია აკებულია მწვანე ტონების შეხამებაზე ოდნავ დაბნულ, ყრუ ჟღერადობის ცისფერთან.

ლიტველი მხატვრების

ნამუშევართა გამოფენა თბილისში

ლიტველ ფერწერაში დეკორატიული ტენდენცია ძირითადად დაკავშირებულია ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებასთან, მაგრამ არიან ენთუზიასტები უფროსი თაობის ოსტატთა შორისაც. ერთ-ერთი მათგანია ლ. კატიინასი, რომელმაც მკვეთრად იბრუნა პირი მისთვის დანახასიათებელი აკადემისტური მანერისაგან გამოფენაზე ექს-



ა. შვეტა.
ბ. იუსონისი.

მკედარი ნატურა
იონა.

ი. შვ ა ქ ა ს ი. მისი შემოქმედება, სოციალურად მნიშვნელოვანი და ღრმად ფსიქოლოგიური, ნამდვილად დენადმე ილუსტრაციული ხასიათის თემატიკით კომპოზიციებით დაიწყო. ნი-იანი წლებიდან მხატვარი ბევრს მუშაობს პეიზაჟურ ჟანრში. ექსპონიციასში წარმოდგენილი ნაწარმოებები — „კარიერი დამით“, „ვილინიუსის ელექტროქარხანა“, „გემთმშენებელი ქარხანა“ ინდუსტრიულ პეიზაჟს მიეკუთვნება. ამ ტილოების კოლორისტული გაპატიბილი (მოწითალო-აგურისფერი) და ცივი (ლურჯი, ცისფერი) ტონების დაძაბულ კონტრასტზეა აგებული.

**მეგობრების
სალონება**

ლიტვის პეიზაჟურ ფერწერაში მკაფიოდ გამოიკვეთა ა ს ტ ა ს ი უ ლ ე ვ ი ჩ უ ს ის შემოქმედებითი ხელწერა. ამ ჟანრში მომუშავე მხატვართა დეკორატიულ ტენდენციებში იგი თავისებურ, ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას ამტკიცებს. კერძოდ, მის ნამუშევრებში დიდ მნიშვნელობას იძენს ხაზობრივ-ვეომეტრიული რიტმები. მწვანე, წითელი, თეთრი, შავი საზღვრები და მოყვანისფრო სამკუთხედების, კვადრატების, წრეებისა და ნახევარწრეების რიტმი განმსაზღვრელია „ძველი ვილინიუსის“ ფერწერულ გადაწყვეტაში. ამ ქალაქის ძველი და თანამედროვე არქიტექტურა, სილუეტი ნახატების შემოქმედების მთავარი თემაა.

მარინე კერესელიძე

პონინებული ტილოები — „სვდის პირას“, „ნატურჩორტი“, „თეატრის გასსენება“, აგებული დიდი ფერითი სიბრტყეების ურთიერთდაპირისპირებაზე, მოწმობდა მხატვრის მკაფიოდ გამოვლენილ მიდრეკილებას დეკორატიულობისაკენ. ლიტვის პეიზაჟურ ფერწერაში დეკორატიული მიმართულებას წამყვან ოსტატად გვევლინება

ინტენსიური ლურჯი, მწვანე, ცივიტელი და წითელი ტონების ურთიერთშეფარდებია ნიშნადობლივი ს ი უ ს ო ნ ი ს ი ა კოლორისტული ხელწერისათვის. პასტოზურად არის დაწერილი მისი ტილოები: „ირენა“, „კლუდი“, „ბიჭის პორტრეტი“. ფორმა აგებულია ფერადი ჩრდილებისა და სხვადასხვა მიმართულებით თავისუფლად დადებული მსხვილი მონახმის საშუალებით.

მძლავრი ექსპრესიის, დეკორატიულობის ძიება წამყვანია ლიტველ ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში.

შავი კონტრით გარშემოვლებული მკვეთრი ლოკალური ფერადოვანი სიბრტყეებით აგებს მხატვარი ა კ ი ს ა რ ა უ ს კ ა ს ი თავის ნაწარმოებებს. სურათებში: „ვილინიუსი შემოდგომით“, „ნატურჩორტი“, „თეატრალური პეიზაჟი“, „აუშრა“ დაზგური ფერწერა უახლოვდება ვიტრაჟის ხელოვნებას და მასსიმალურ დეკორატიულობას აღწევს.

ფორმის დეკორატიული გადაწყვეტის გზით წარმართავს თავის შემოქმედებას ახალგაზრდა მხატვარი ა. შ ვ ე გ ე ჯ დ ა ც. ლოკალური ფერის ინტენსივობა მის ტილოებზე („ცეკვა“, „ავტოპორტრეტი“, „ნატურჩორტი“) ეფარდება მტკიცე, უსუსტი ნახატის გამომსახველობას.

დ ე რ ე მ კ ი ა ვ ი ჩ უ ს ის, ჯ ი ა უ ს კ ა ს ი ა, კ უ რ ა ს ი ს ა და ბ ი ჩ უ ნ ა ს ი ს ნაწარმოებებში, რომლებშიც გამოვლინდა ამ ოსტატთა ინტერესების წრე, გარკვეული შთაბეჭდილება შევიქმნა მათ მხატვრულ აზროვნებასა და ხელწერაზე





მეგაღვინა — ზ. ბოკიაძე, ბერნარდა ალბა — ს. ყინჩილო, მარტორი — ვ. ჯანაშია („ბერნარდა ალბას სახლი“).

3. კინამა — უსლოვარი დროიდან მოყოლებული, მრავალი საუკუნის მანძილზე თეატრი, ფაქტიურად, ერთადერთი სანახაობა იყო. სპორტი და რელიგიური რიტუალებიც კი იმდენად თეატრალიზებულ სახაათს ატარებდა, რომ არსებითად ისიც თეატრალურ სანახაობათა განმტობას წარმოადგენდა. გავიდა დიდი დრო, განდა კინო, შემდეგ ტელევიზია. წარმოიშვა მხატვრული, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის ახალი ფორმები. შეიქმნა მრავალგვარი მუსიკალური სანახაობანი. ახლა უკვე უსაზღვროა ინფორმაციის ტალღა. ზოგიერთი ქვეყანა დღემდე ერთ ფილმს უშვებს. წელს მარტო ექვს თვეში მოსკოვის კინოფორუმზე 120 ფილმი უჩვენეს. მსოფლიოს ტელევიზორებზე ყოველწლიურად ათასობით „ტელესპექტაკლებს“ დგამენ. მილიონების თეატრი“ სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება ხალხის ყოფაში. გამრავლდა სპორტული სანახაობანიც. ახლა მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას აღარ იკითხავენ? საქართველოში ყოველდღიურად ორი-სამი წიგნი მაინც გამოდის. ამას ემატება ჟურნალები, გაზეთები, რადიოგადამცემები... ერთი სიტყვით, მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა უძველესი ხელოვნება — თეატრი.

და აი, ამგვარი „შემოტევის“ მიუხედავად, მსოფლიოში არასოდეს არ ყოფილა იმდენი თეატრი, რამდენიც დღეს არის. არც ამდენი მაყურებელი მყოლია მას ოდესმე მარტო საბჭოთა კავშირში თეატრს 120 მილიონ კაცზე მეტი ესწრება ყოველწლიურად.

როგორც რეჟისორი, რითი ხსნით თეატრის ასეთ სიციცბოლისუნარიანობას? ალბათ მას აქვს ის, რაც არ გააჩნია ხელოვნების სხვა დარგებს.

თ. ჩხეიძე — მიზეზი ბევრია. თუნდაც ის ფაქტი, რომ თეატრი არის ისეთი ხელოვნება, რომელიც იბადება მაყურებელთა თვალწინ, საჯაროდ, მაყურებლის თანამონაწილეობით.

3. კინამა — თეატრალური ხელოვნების არსში არის რაღაც ტრაგიკული, ბედისწერასავით თანდაყოლილი, გარდევალი. იგი ცოცხლობს მხოლოდ თავისი დროისათვის. კვდება ნაახიბით და მასთან ერთად კვდება მისი ხელოვნებაც.

თუმცა, ამაშიაც არის რაღაც თავისებური სიღამაზე. სცენაზე, შენს თვალწინ დგას შენივე მსგავსი ადამიანი. თითქოს არაფრით რომ არ განსხვავდება შენგან. და აი, იწყება ამ ადამიანის სხვადასხვა პროცესი. თქვენ მოწოდებებით ადამიანი ახალი ადამიანის დაბადებისა. მოწოდებ კი არა, უნებური მონაწილეც ხართ მისი.

უმჯობა ფარდა და მირაჟით ქრება ყოველივე. არაფერი არ რჩება ნივთიერი, ხელშესახები. დგება მგორე დღე, ისწნება ფარდა და კვლავ იწყება იგივე პროცესი. იგივე, მაგრამ ამასთანავე ახალი, თავიდან დაწყებული. სპექტაკლის კარდიოგრაფი

თ. ჩხიშიძე — რაც შეეხება მსახიობის როლის შეუფასებლობას, მე მგონი, არც ერთი ნორმალურად მოაზროვნე სორი არ დაამცირებს მსახიობს. რეპეტიციებზე ყველა მას ეყრდნობა, იქ არც იგრძნობა ის საფრთხე, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ.

მ. კინწანაძე — მე მგონი, ეს იმით ხდება, რომ სარეპეტიციო დარბაზში რეჟისორი მსახიობის პირისპირ დგას. ისინი ჯერ კიდევ მარტო არიან. შემდეგ, საქეტაკლის მორთვა-მიკაზმა რომ დაიწყება, მაშინ ხდება უფრო ნათელი, თუ რა ადგილს იკავებს მსახიობი. ამას წინათ რამდენიმე მსახიობის ინტერვიუ წავიკითხე „საბჭოთა ხელოვნებაში“. უმრავლესობამ თქვა, რომ თეატრში ახლა მთავარია რეჟისორი. თქვენ გეონიათ, ეს რეჟისორებთან დანაკვეთრებული სიყვარულის გამო მოსდით? — არავითარ შემთხვევაში. არსებობდა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებათა, სხვაზე რომ დასყვირო ვიქვით. მსახიობები სულ უფრო და უფრო ჰკარგავენ ინიციატივას, თვითშეფიქვადობას. თანდათან შვირდება ტალანტების რიცხვი, მაგრამ მატულობს უტემპერამენტო, საშუალო პროფესიული კულტურის მსახიობთა ნაკადი. თანამედროვე ქართული თეატრის აქტიურული დონე — უფრო მეტად კი მისი პერსპექტივები, სერიოზული დაფიქრებას ეოიხოვფ.

თ. ჩხიშიძე — მე გეონია, რომ მეტი მოთმინება საჭირო. ახლა ყველაგან ისმის ახალგაზრდა მსახიობთა კრიტიკა. რასაკვირველია, ახალგაზრდებს სიმართლე უნდა ვუხრათ, მაგრამ მოსავალს მაინც მოცდა უნდა. ახალგაზრდებს მეტი დახმარება და ხელშეწყობა სჭირდებათ.

მ. კინწანაძე — ხდება ისიც, როცა გვიან მვლანდება ახალგაზრდის არტისტული მონაცემები, ახალგაზრდის ინდივიდუალობის, მისი შესაძლებლობის ამოხსნაზე ზრუნვა რეჟისურისა და საერთო თეატრის ხელმძღვანელობის უპირველესი ვალია. ამ მხრივ ზოგი რამ კეთდება კიდევ.

თ. ჩხიშიძე — მე არ გავუბიძგარ ახალგაზრდებს. ჩემთვის ნელ მასალაზე მუშაობა უფრო საინტერესოა. შედეგზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მათთან მუშაობა კი ნამდვილად მიყვარს.

მ. კინწანაძე — რაკი თქვენ მსახიობის საკითხი ახალგაზრდობის პრობლემით შემოზღუდეთ, კარგი, ამაზე ვითაპარაკოთ. ნიჭიერ ახალგაზრდებს მართლაც სჭირდება მეტი დახმარება. მათთვის პიესებიც უნდა შეირჩეს. ძველ ქართულ თეატრში მსახიობები (მხედველობაში მაქვს ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი და სხვა) თითონ ირჩევდნენ პიესებს. ამ ფაქტმა მცირე როლი როდღ შეასრულა მათ დასტატემაში. კ. მარჯანიშვილი და ს. ასმეტელი რეპერტუარს მსახიობთა შესაძლებლობის, მათი ზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით ადევნიდნენ. ცხადია, კოლექტიური ხელოვნებაში ეს დიდად სარისკო საქმეა, და მხოლოდ ერთადერთი გზაც არაა, მაგრამ ფაქტია, რომ მას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენში დუბლიორთა პრობლემა რომ მოგვარებული იყოს, მაშინ ახალგაზრდობის „დატვირთვის“ საქმეც უკეთ იქნებოდა. ჩვენში თეატრში კი დუბლიორი საკინებელი სიტყვასავითაა, იგი თითქოს საფრთხიხობლუა. ყოფილა შემთხვევა, როცა მსახიობი თეატრში წასულითაც კი დამუშრებია ხელმძღვანელობას, თუ მაკანან და მკანანს დუბლიორად დაინიშნებოდა. ამას ამბობდნენ ნიჭიერი მსახიობები. ნაკლებად ნიჭიერები კი, ჩასაფრებულნი, მიუღუდუნელ შემთხვევებს უცდინდნენ, რათა „მოსხნისაგან გადაერჩინათ“ წარბოდეგნა. თეატრის ეს „მხსნელები“



მარია ხოსიტუა — მ. ჩახავა („ვერნარდა ალასი სახლი“).

მის გადაღება რომ შეიძლებოდას, ნათლად დაგინახავდით, რომ მისი არც ერთი დღე არ გავს ერთმანეთს. საქეტაკლის შინაგან ფსიქოლოგიურ დინებაში მომხდარი ფარული პროცესები გვიჩვენებენ ახალ-ახალ ხაზებს, ახალ ტალღებს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად თითქოს არაფერი არ შეცვლილა. ეს არის დაუსრულებელი, უწყვეტი შემოქმედებითი პროცესი.

იგი მიჰყავს მსახიობს, მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს, თუ გვინდა, რომ თეატრი ძლიერი იყოს!

თ. ჩხიშიძე — მეც ასე ვფიქრობ. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ პრაქტიკულადაც დაიცვა იგი.

მ. კინწანაძე — სხვათა შორის, არც ერთი რეჟისორი არ იტყვის საწინააღმდეგოს ვაკეთებთ, მაგრამ თეატრის პრაქტიკა სხვას გვიჩვენებს. ახლა ყველამ ისწავლა მიზანსცენების ნორმალური განლაგება. ასე წარმოიდგინეთ, პლასტიკური ხატის შექმნაც ისწავლეს, სინათლის ეფექტური გამოყენებაც თითქოს ყველაფერი კარგადაა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი საშუალო პროფესიულ დონეზეა შესრულებული. მაგრამ, სწორედ ეს, საშუალოა, ყველაზე დიდი მტერი ხელოვნებისა. ასეთი „ხელოვნება“, რაოდენ ისტატიკურც არ უნდა იყოს, მაინც სათბურ-რეზი გაზოყვანილ ხილსა ჰგავს. თითქოს ყველაფერი ნორმალურია, მაგრამ მას აკლია რაღაც. ეს „რაღაც“ არის მზის სხივი. სწორედ მისგან წარმოიქმნება ნამდვილი, ბუნებრივი. ეს სხივი უნდა კიაფობდეს ნაწარმოებში. უემისოდ არაფერს არ აქვს გემო.



ბერნარდა ალბა — ს. ყანჩელი.

მადლობის ღირსნი ხდებიან კონკრეტული შემთხვევის გამო, მაგრამ მაყურებელმა რა დააშავა? იგი სურვილს იღებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თეატრმა თავის დროზე ვერ მოაშუსდა დუბლიორი.

ამგვარი ფაქტები ყოველ თეატრში ხდება. რატომ გაურბიან ნიჭიერი დუბლიორის ხედვებს? იმიტომ, რომ მათ კარგად იციან როლის ფასი. ძირითადი შემსრულებელი 70-80 რეპერტიციას ანდომებს როლის მოშაადებას, დუბლიორს კი იგივე საქმისათვის ხუთი თუ ათი რეპერტიცია აქვს მიცემული. შემოქმედებითი შეჯიბრი უხდებათ არათანაბარ პირობებში. შედეგად წინასწარ გარკვეულია. ჩვენს თეატრში დუბლიორი ყოველწოდებულსა გაეს. თუ რაიმე შეთხვევა გადაარჩენს, თორემ ყველა მონაცემის მიხედვით იგი განწირულია. სხვათა შორის, მაყურებელმაც კარგად იცის დუბლიორის ხედვრი და იგი უზაღისოდ ესურება ამგვარ წარმოდგენებს.

II. ჩხმიმ — ძირითადად ასეა, მაგრამ გამონაკლისიც უხიარად ხდება. ლორკას „ბერნარდა ალბას სასულე“ მუშაობისას ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარე. ექსპერიმენტი-მეთქი იმიტომ ვაგამობ, რომ ჩემთვის ეს პირველად მიხდა (ვეუბნებოდალ ვიზნობათ, არც სხვაგან გამოვიდა ასეთი რამ). ყველა როლზე — ბერნარდადან დაწყებული, ორსიტყვიანი ეპიზოდით დამთავრებული — ორ-ორი მსახიობი დაფიქრე ვინაიდან მეორე შემსრულებლები, როგორც თქვენ ბრძანებ, გარკვეულად შეუღლებულნი და „დაჩაგრულები“ არიან, გადაწყვიტე მთელი მონდომებით ჩამეტარებინა მათთან მუშაობა. ამისთვის პრემიერის შემდეგ 2 თვის მანძილზე ვატარებდი რეპერტიცი-

ებს. 53 რეპერტიცია ჩაუტარადა მეორე შემადგენლობას. აქველვს 70 ჰქონდა. ალბათ დამოთანხმებით, ეს არც იქნა შეცვლილად ხდება. მე არ მინდა ვინმეს საწყენად დარჩეს. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, მეორე შემადგენლობა პირველზე სუსტი იყო. გველისხმობ ანსამბლს. უფრო მეტიც — სულ სხვა სპექტაკლი გამოვიდა. მე ერთ საკითხზე მინდა გაავსახვილო ყურადღება. როდესაც რეჟისორი მსახიობს ამა თუ იმ როლზე ნიშნავს, უამრავ მის თვისებას (ასევე როლისას), ითვისისწინებს. ეს პერსონაჟი მას სწორედ ასე წარმოუდგენია და არა სხვაგვარად. ერთად მუშაობის დროს მათი ერთიანობა (ჩანაფიქრის და მსახიობის) უფრო მთლიანია ხდება. მუშაობისას დგება მომენტი, როდესაც სხვა მსახიობი ვერც წარმოუდგენია კონკრეტულ როლში (შეგთანხმდეთ, რომ კარგ მსახიობებზე ვლაპარაკობთ), თუ აქტივობაა, რომ როლზე მუშაობის დროს, რეჟისორი მსახიობში უნდა მოკედეს, მაშინ წარმოუდგენელია ერთსა და იმავე როლში რამდენიმე მსახიობი „საკვილილი“.

მ. კინსამ — კარგად ვიცნობ თეატრის პრაქტიკას, მის შინაგან ცხოვრებას და ამიტომ მიმაჩნია, რომ ამჟამინდელ პირობებში (განსაკუთრებით რაიონის თეატრში) ძირველი გარდაცვლის შეტანა დუბლიორთა სისტემაში თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება კი მანც სასებითი რეალურად შეგვიძლება. მე მხედველობაში მაქვს მთავარი როლების შესრულება. მაგალითად, დუბლიორთა სისტემის ნამდვილი გამარჯვება იყო „ოიდიპოს მეფე“ რუსთაველის თეატრში. როცა ს. ზაქარაიძე დაინიშნა ოიდიპოს მეფის როლზე, მას დევოარცია დაუდგეს დიდ სარეპერტიციო დარბაზში და დიდხანს გადინდა რეპერტიციები. დალექსიძე დღე და ღამე მუშაობდა ოიდიპოსის სამივე დუბლიორთან (როგორც ცნობილია, მას თთხი შემსრულებელი ჰყავდა). როცა მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადანე ნახეს ერთ სპექტაკლში აზდენი ოიდიპოსისა და იოკასტე, ცნობილმა მეცნიერმა მაკულსკიმ სპექტაკლს უპრეცედენტო მოვლენა უწოდა საბჭოთა თეატრის ისტორიაში. თთხივე შემსრულებელს (ა. ხორავა, ა. ვასაძე, ე. მანჯაგალაძე, ს. ზაქარაიძე) ჰყავდა თავისი მაყურებელი, თავისი დამფასებელი.

III. ჩხმიმ — მე გმონია, თანამედროვე თეატრის დონე ერთი რომელიმე ნაწილის მიღწეული ან ნაკლოვანებით არ განიხანსულებდა. არც მსახიობის ხელოვნებაშია ერთი რომელიმე მომენტი გადაწყვეტი. ავიცა და კარგიც კომპლექსური ხასიათისა.

მ. კინსამ — ხელოვნება საერთოდ და თეატრი კერძოდ, მსხვერპლს ანუ თავმჯდომარეს მოითხოვს. ხელოვანის სხვადასხვადასხვა მისი გარდაქმნის პროცესი უაღრესად მტანჯველი პროცესია, მაგრამ იცოა უღიფესი სისხარულის წყაროც. ვისაც თავანაწირვის უნარი არა აქვს, ისე არცაა ნამდვილი შემოქმედი. ხელოვნებაში იოლად არავფერი არ მოიძის. ადვილად ვერაფერს მიაღწევ. საშუალოდ, დღეს ჩვენ თეატრში იშვიათი ხილი გახდა თეატრალური ფანტაზიში (ეს სიტყვა თეატრს კარგად უხდება) თეატრს კი „უფანატისკოსოდ“ არუბობა არ შეუძლია. ასეთ ადამიანებს ახლაც შეხვდებით, განსაკუთრებით რაიონის თეატრებში. რას არ უძლებენ ისინი. ზოგჯერ ფიზიკური ენერჯია აღარ ჰყოფენთ, იქანცვიან, ეფეტებიან, მაგრამ მაინც ასე ურჩენიათ.

სამუშაოთ, სულ უფრო და უფრო მცირდება ამგვარი

ამელია — რ. კინაძე, მარტირაო — მ. ჯანაშია
(„ბერნარდა ალბას სახლი“).



მარტირაო — მ. ჯანაშია, მაგდალენა — ზ. ბოცვაძე
(„ბერნარდა ალბას სახლი“).



ადამიანების რიცხვი. ზოგჯერ როცა სპექტაკლს ვუყურებ, ვგრძნობ, რომ იგი უგულოდ არის გაკეთებული. თავშეუწუხებლად, ტანჯვისა და წვის გარეშე, ძლიერი ენებათა ლელვის, დიდი სულიერი ძაბვის სპექტაკლების სიმცირეც ალბათ ამის შედეგია. მახსოვს, ამ თხუთმეტი წლის წინათ, ქუთაისში, რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს, ს. შაქარაძემ ერთ-ერთ კრებაზე მსახიობთა ჯგუფს ასე უთხრა: ზოგიერთი ჩვენი სპექტაკლი ახლა კინოლენტივითაა. დაატრიალე რამდენჯერაც გინდა. სულ ერთია, მსახიობებს მაინც არაფერი დაეცობათ. არ დაიღლებიან, თეატრში ასე არ შეიძლება. მე როცა წარმოდგენას ვთამაშობ, ასე მგონია, სიცოცხლეს ეტოვებ სცენაზეო. მართლაც, მისთვის ყოველი დღე, ყოველი სპექტაკლი დიდი ომის მოგებას ნიშნავდა. მან იცოდა თავგანწირული თამაში. ხალხმაც ამიტომ შეიყვარა. როგორი მაყურებელიც არ უნდა იყოს, მას უყვარს, როცა სცენაზე მსახიობი მისთვის იტანჯება, მისთვის იღლება, მისთვის ხარჯავს ამდენ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას...

მ. ჩხიძემ — გეთანხმებით. სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება. მაგრამ მინდა დაფიქტო იმას, რაც თქვენ აღნიშნეთ. ე. წ. „უწყინარი“ სპექტაკლები ზოგჯერ გარკვეული ხასიათის ძიებათა შედეგია. არის შემთხვევები, როცა რეჟისორი და მსახიობები ეძებენ ახალ საშუალებებს. ზოგჯერ ძიებანი წმინდა სტილისტიკური ხასიათისაა, ზერეულეცაა, მაგრამ მასში არის განახლების წყურვილი და ეს ჯეროვნად უნდა შეფასდეს ზოლმე.

მ. ჰიშნაძემ — რასაკვირველია, დიდი სიფრთხილვა სა-

ჭირი, რომ ახლის მადიებელს ხალისი არ დაეკარგოს. თეატრი არსებობას შეწყვეტს, მუდმივ განახლებას რომ არ განიცდიდეს. თვით ცხოვრება იცვლება და თეატრის განახლების აუცილებლობას ის კარნახობს. თეატრის ყოველ ახალ თაობას ბევრი რამის თავიდან დაწყება უხდება. თეატრში ყოველი ახალი თაობის მოღვაწეობის დასაწყისი, როგორც, ბავშვის ბედს მაგონებს. ყოველი ბავშვიც ხომ თავიდან იწყებს ყველაფერს და გაივლის იმავე სასიცოცხლო პროცესებს, რაც მის შშობლებს გაუვლიათ. თეატრშიც ხდება რაღაც ამგვარი რამ. აქ ტრადიცია სულ სხვა ფორმით იჩენს თავს, ვიდრე ეს, ვთქვათ, ლიტერატურას ან ხელოვნების სხვა დარგებში ხდება. იქ ტრადიციის შედეგი ხელშეშასხებად, ნივთიერი სახით არის ისტორიის მიერ შემონახული. ამდენად, ახალი თაობის

კონტაქტი მასთან ანუ წარსულთან პირდაპირია, უშუალო, უწყვეტია. თეატრში კი ასე არ არის. დღევანდელ ახალგაზრდადობას, რომელსაც არ უნახავს არც ე. მესხიშვილი და არც ვ. აბაშიძე (მაგალითი ნებისმიერია), როცა ბუნებაში უშუალო სახით აღარ არსებობს მათი შემოქმედება, როგორ შეითვისოს ტრადიცია? რა გზებით და: მყარს წარსულთან კონტაქტი? ნუთუ ეს შესაძლებელია მათზე დაწერილი წიგნებით, სტატიებით?

მ. ჩხიმიძე — თეატრი ამ მხრივაც საოცარი, თითქოს და, საიდუმლოებით მოცული ხელოვნებაა. იგივე ტრადიციის საკითხი, — მისი შერწყმა ახალთან, მისი განვითარება ბევრ სპეციფიკურ სიტუაციაში არის დაკავშირებული.

მ. კიწნაძე — და მაინც ხომ არსებობს თეატრალური ტრადიციები. არსებობს რუსთაველის თეატრის ტრადიციაც. სად იჩენს თავს იგი? მართალია, თეატრში მემკვიდრეობა უშუალო, ნივთიერი სახით არ რჩება, მაგრამ იგი, ასე ვთქვათ — გემბივით ცოცხლობს. გადადის თაობიდან თაობაში. დაე, გაირკვეს ვისია იგი — მამის, ბაბუის თუ უფრო შორეული წინაპრის. მთავარია, რომ იგი არსებობს.

მინდა გავითხოთ: რა მიჯანაათ თანამედროვე თეატრისათვის აუცილებელ პირობად?

მ. ჩხიმიძე — პრობლემატურობა.

დღეს ბევრ სპექტაკლს ვაპატიებთ ხოლმე პროფესიულ ნაკლს, თუკი მასში არის მტკივნეული პრობლემა. სპექტაკლის შემდეგ არ უნდა დაიბადოს აზრი: რისი თქმა სურდა სპექტაკლს? „რა უნდოდა ეთქვა ავტორს?“ თეატრს არა აქვს უფლება იყოს ნეიტრალური. რაიმეს ან უნდა იცავდეს, ანდა ებრძოდეს. არსებობდა ორნარი თეატრი — ბერძნული კლასიკური და მორე (პირობითად) თეატრი გამართობი, „ბალაგანი“. კლასიკური თეატრი ზრდიდა, განათლებას აძლევდა

სვენა სპექტაკლიდან „უცხო კაცი“.



ა. ჩეშკოვი — გ. ხარაბაძე,
ნინა — ი. გიგოშვილი
(„უცხო კაცი“).

და თაობებს. „ბალაგანი“ კი ართობდა. საუკუნეებს გაუქლო ორივემ. ე. ო. ორივე საჭიროა, ორივე გამძლე აღმოჩნდა. მე მგონია, ერთიც უნდა არსებობდეს და მეორეც. ოღონდ არ უნდა დაგვარწყვდეს, რომ მათი არღვევა საშიშრელია.

პირადე მე, პირველის მომხრე ვარ. თეატრი მქადაგებელი — ასეთია ჩემი იდეალი. მაყურებელმა სპექტაკლიდან არტად სერიოზული აზრი უნდა წაიღოს“ შინ. გართობის თეატრიდან კი მაყურებელი დამშვიდებული ბუნდება. ჩვენი გოლა საყარლოს სიმშვიდიდან გამოიყვანეთ მაყურებელი. საატრბრუევეში თეატრის გასტროლებს დრის, კოლეგებმა გვითხრეს, რომ მათაც აწუხებთ მაყურებლის პრობლემებს.

მ. მინამძ — სპექტაკლი პრობლემატური უნდა იყოს და არა ჭკუნსდამირიგებელი. ეს უკანასკნელი აღიზიანებს მაყურებელს.

თ. ჩხიძე — თავისთავად, დიდაქტიკა სტატურობას გულისხმობს, იგი ქმედებასა მოღლებული. ეს კი არსებითად წინააღმდეგება თეატრის ბუნებას.

მ. მინამძ — რას მოითხოვთ მსახიობისაგან?

თ. ჩხიძე — გასაგებია, რომ თეატრი სხვისი ცხოვრების წარმოდგენაა. მსახიობი ყოველ საღამოს სხვადასხვა როლს თამაშობს. მაგრამ მან ერთდროულად უნდა ილაპარაკოს სხვის (როლის) ტკივილებზე და თავის თავზეც. მან უნდა შესძლოს დამაჯერებელი იყოს ამ თავის ორბუნებოვნებაში. დადგა დრო, რათა მსახიობმა მაყურებელს ელაპარაკოს სიმართლე არა სხვისი დაწერილი ტექსტით, არამედ სხვისი ტექსტით უთხრას თავისი სათქმელი. ვიცი, რომ ეს გარკვეული თვალსაზრისით, სარისკოვანა, რამდენადმე უკან სწევს გარდასახვის მომენტს (ეს ჩემს სპექტაკლებშიც შემიმჩნევია), მაგრამ დღეს მართლი მსახიობი ყველაფერს ნიშნავს.

მ. მინამძ — იმის სურვილმა, რომ მსახიობი მართალი და ცხოვრებისეული იყოს, ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა გარდასახვის საკითხში. სურვილი კარგია და მისი რეალისაცია აუცილებელია ხელოვნებაში. მაგრამ, როცა გარდასახვის ნაცვლად სცენაზე მხოლოდ სიტუაციების ცვლილებას ვხედავთ — ეს უკვე მეთად სახიფათოა. მე ვგულისხმობ იმ მდგომარეობას, როცა მსახიობში ყველაფერი იგივე რჩება, იცვლება მხოლოდ პიესების სიუჟეტები. როგორცადაც არ უნდა შეიცვალოს შესრულების სტილისტიკა, თუნდაც მოხდეს მოდერნიზაცია მთელი ზამწესულებები არსებიალას, მე მგონია, თეატრალური ხელოვნების არსი ერთი ადამიანის (მსახიობი) სხვაქცევებაში ძვეს. უამისოდ გარდგენაში შტამს — ნიველირება, ერთფეროვნება. როგორ გინდათ მადლწიით უპარავი სახის ინდივიდუალიზაციას ერთ პიროვნებაში, თუ გარდასახვის საქმე მოგვარებული არ არის?

თ. ჩხიძე — გეთანხმებით, მაგრამ კიდევ რაღაც სხვაც ხდება. მაგალითად, ჩემი პრაქტიკიდან გეტყვით. მსახიობი როცა გამოდის სცენაზე, მე უნდა დავინახო მისი სულის ანატომია. უნდა შევიგრძნო. უნდა მოხდეს თავის ქალის „ტრეპანაცია“. (ნუ გაიკვირებთ ამ სიტყვას!). უფრო გარკვევით ვიტყვი: „გუმინდელნიშო“, ე. ლოლაშვილი თამაშობს გრენოლს. იგივე ლოლაშვილი „რომოე და ჯულიეტაში“ ასრულებს მერკუციოს. პირველ შემთხვევაში ლოლაშვილის თავისი ადამიანური ბუნებით არაფერო საერთო არა აქვს გრენოლთან, მაგრამ მას აქვს აგრესიული მასხათი ისეთი ტიპების მიმართ, როგორც გრენოლშია. აი ეს იძლევა იმ შედეგს,

რომ მას უკვე აქვს პოზიცია. ის მძაფრად, მკვეთრი საღებავებით ქმნის სახეს. ვანგაწყობს მის წინააღმდეგ.

ე. ლოლაშვილი არამზადას არ თამაშობს, პირიქით, მომხიბლელიცაა, მაგრამ, საბოლოო ჯამში არამზადას კი წარმოვიდგენს. აქ ხდება ფსიქიკის გარდასახვა. თუმცა ვარგუნულად ლოლაშვილი სცენაზე ისეთივეა, როგორც ცხოვრებაში.

მ. მინამძ — ერთ-ერთ წერილში ა. წერეთელი ჩიოდა: მაყურებელი მსახიობის პიროვნებასთან აიგივებს მისი როლის უარყოფით მხასათს და მსახიობებიც ნაკლები ხალისით ეტანებიან ამგვარ როლებსო. ასე ხდებოდა არა მარტო ქართულ თეატრებში, სხვაგანაც.

მაგრამ დღევანდელმა თეატრმა არსებითად შეცვალა ამგვარი წარმოდგენა უარყოფით გმირზე. მეტი სიღრმე მიეცა მას.

თ. ჩხიძე — მე ვახსენე ე. ლოლაშვილის წერკუციო აქაც იგივე ლოლაშვილია, მხოლოდ სხვა ეპოქაა. სხვა დროა. ხსნდება აქ? მსახიობი გვიჩვენებს სიყვარულისთვის დაბადებულ ბიჭს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოწოდებით შეყვარებულს“. გრენოლით სიძულვილს აძიქვას, მერკუციო კი სიბრალეში. ორივე შემთხვევაში მარცხ ლოლაშვილის ვხედავთ, იგი ცხოვრებისეულია და მართალი. ეს ორივე სახე ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების გამოხატავს. ეს აშკარად ჩანს. იგი არაფერს არ იგონებს, გულწრფელაა საკუთარი თავისა და საკუთარი მოსოფლმხედველობის წინაშე.

თვით მსახიობის პლასტიკაშიც ანალოგიური რამ იკითხება. მაგალითად, გრენოლის და მერკუციოს სიბრალე თითქმის ერთნაირია, მაგრამ მარცხ სხვადასხვაა. შეიძლება ზოგმა უსაყვარელის კიდევ ასეთი მსგავსება, მაგრამ მე იგი ხელს არ მიშლის, რადგან განსხვავება უფრო ღრმად, გმირის ფსიქიკაში ძვეს. ვახსენებ ე. ხარაბაძის ჩემკვიცი. ეს ხარაბაძის პოზიციაა. მისი ცხოვრებისეული შეხედულება ემთხვევა ჩემკვიციას. აქ მთლიანობაა. მსახიობს საშუალება ეძლევა პირდაპირ თქვას თავისი სათქმელი.

მ. მინამძ — თანამედროვე თეატრში არის გარდასახვის საუკეთესო მაგალითები. აი თუნდაც გ. გვეგვიკორის ნოკლონი, რ. ჩხიკვაძის ყვარყვარე, ი. მელდინეაშვილსკის ბიკოლონი მეროე, არის სხვა მაგალითებიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ჩვენს თეატრს მოკლე დიდი არტისტიკა. თეატრის სინამდვილე და სინამდვილე ცხოვრებისა სხვადასხვაა. მათ შორის განსხვავების მოშლის, ნიველირების ტენდენცია განსაკუთრებულ დაფიქრებას საჭიროებს. სწორად უფრო „სიმართლეს“ თამაშა, მისი იმიტაცია, ვიდრე მხატვრული სიმართლე. გულახდილად უნდა გითხრას, რომ შეიძლება ეს „ანტითეატრალიზა“ უფრო საშიში მტერი აღმოჩნდეს თეატრისათვის, ვიდრე ის, რასაც იგი ებრძვის...

თ. ჩხიძე — ახლა ბევრს ლაპარაკობენ, კარგი მსახიობების რაოდენობა იკლო. რა თქმა უნდა, დიდი დანაკარგია ქართული სცენისათვის ისეთი ბუნებრივი მსახიობები, როგორც აკაკი ხორავა ან სერგო ზაქარაძეა. მათ ადგილს ვერავინ შეავსებს. ცხადია, ვერც თეატრიდან ნაადრევად წაუსულ სესილია თყაიშვილს ვერავინ გაეტოლება მის მიერ ნათამაშები როლების უბადლო შესრულებაში. მაგრამ, მოდით, ასე დავაყენოთ საკითხი: ვანს საჭიროა, რომ მათი ადგილი ვინმემ დაიკავოს, ზუსტად ის ფუნქცია ვინმემ იტვირთოს?



ფაცია — ნ. ფაჩუაშვილი, ადიკო — გ. გოგავა.
(„გუშინდელი“).

ჩენს ბავშვობაში, მასსოქს, დიდი კამათი იყო ფრესკაში სახებ, თუ ხორავის შემდეგ ოტელოს ვინ ითამაშებდა. ოტელოს როლის ლეგენდარული შემსრულებლის შემცვლელი არ ჩანდა. სხვანაირად თამაში კი ვერავის წარმოედგინა. ოტელოს საქართველოში კარგა ხანს ვერავინ ითამაშებს, მაგრამ, როცა ითამაშებს, რადიკალურად საწინააღმდეგო გზა უნდა აირჩიოს, თორემ აუცილებლად დამარცხდება.

დარწმუნებული ვარ, რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ ასევე სინანულით იტყვიან, რომ აღარ არიან პლატონ სამანიშვილის (გოგი გეგეჭკორი) ან სირანო დე ბერჟერაკის (ოთარ მეღვინეთუხუცესი) როლების შემსრულებლებით. მუკი მგონია — იქნებთან, მაგრამ ზუსტად ისე ვერ ითამაშებენ ზემოხსენებულ როლებს, როგორც მათი წინამორბედნი და არც უნდა ითამაშონ!

არ ვიცი, რამდენად გასაკვებად გამოეთქვი ჩემი აზრი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დღეს ჩვენში იმდენი კარგი მსახიობია, რომ ჩამოთვლა მიჭირს, მეშინია არავინ გამომჩეს! 15-20 წლის შემდეგ ოხვრით გაიხსენებენ ამ დროს და იტყვიან — ერთი ისეთი მსახიობები მოგვცაო.

მ. კინსამ — მართალი ბრძანდებით. არც ერთმა თაობამ არ უნდა გაიმეოროს ის, რასაც აკეთებდა მისი წინაპარი. ვის ჭირდება ერთხელ შექმნილის გამეორება? მიბაძვა ზოგჯერ ტრადიციის ნიღბით იმოსება. აი ეს არის ნამდვილი მტერი ახლისა. ისიც ვიცი, რომ დიდი მსახიობები ყოველწლიურად არ იბადებიან. მაგრამ მე სხვა რამის თქმა მინდა: მგერა, რომ არსებული ძალებითაც მეტის გაკეთება შეიძ-

თავადი კოწია — კ. კავსაძე („გუშინდელი“).



ლება, მათი ნიჭი და ენერჯია მარტო თეატრს რომ ხმარდებოდეს. იგი იფანტება, ნაწილდება.

მ. ჩხიშიძე — თქვენი აზრით, წესის როგორი ნაკადი მოვიდა თეატრალურ ინსტიტუტში?

მ. ჩხიშიძე — მათზე, ვინც ინსტიტუტში ჩაირიცხა, ვინც უკვე სტუდენტია, ჯერ ნადრევიცა ლაპარაკი. არ მიმჩნია სწორად პირველკურსელების „დახარისხება“ ნიჭიერებად და უნიჭოებად. წინ დიდი დროა. მოულოდნელობებით აღსავსე დრო.

საერთოდ კი კონკურსი ძალიან დიდი იყო. ჩემთვის ერთი რამ ნათელი გახდა. ჰუმანიტარული განათლების დონე ერთობ დაბალია ჩვენ სკოლებში. სხვა ასხნა არა აქვს იმას, რასაც მისაღებ გამოცდებზე ვხვდებოდით. საშუალო სკოლა-დამთავრებულმა ახალგაზრდამ როგორ არ უნდა იცოდეს, ვინ იყო გრიბოედოვი, ან ვისი დაწერილია „დონ კიხოტი“? სხვა დამაფრთხილებელი ფაქტებიც ბევრი იყო. უცნაურია, რომ ინსტიტუტს ეძალებიან თეატრისათვის ყოველმხრივ გამოუსადეგარი ახალგაზრდები. ეს, როგორც ჩანს, საერთო მოვლენაა, ამის შესახებ ლაპარაკობენ მოსკოვში, კიევში, ვარშავაში და სხვაგან. ისინი კი, ვინც ხელოვნებისათვის არიან დაბადებულნი — მიდიან სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მაგრამ მე მაინც იმედით ვუყურებ მომავალს. გარკვეული ძეგრები შეიძლება მოხდეს ამ სფეროშიც.

მ. ჩხიშიძე — კონკრეტულად რას გულისხმობთ?

მ. ჩხიშიძე — მე გმონია, ბოლოს და ბოლოს, თბილისში მანერბი შეიქმნება სპეციალიზებული თეატრალური საშუალო

სკოლა, რომელიც შეიძლება რეჟერების „სამჭედლოდ“ ცეცეს!

მ. ჩხიშიძე — სადაც არ უნდა იყოს რეჟერები, პირველ ყოვლისა, რეჟისურამ უნდა ითავოს ამ პრობლემის მოწესრიგება. ყოველ შემთხვევაში, მას შეუძლია უდიდესი როლის შესრულება ამ საქმეში.

მ. ჩხიშიძე — დიას, ასეა. ოციან წლებში დიდ რეჟისორებთან ერთად დიდი აქტიურული ხელოვნებაც გაჩნდა. დიდი სამსახიობო ხელოვნება კი დიდ პრობლემებთან ჭიდილში წარმოიქმნა. მთელი ოცი წლის მანძილზე მტკიცეული პრობლემების მიჩქმალვის ცდებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ სცენიდან პრობლემები საერთოდ გაქრა. ასობით პიესა დაიწერა, შეიქმნა სპექტაკლები იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცუდია, პარტიურის მდივანი კი კარგი. პირველს მოხსნიან, მეორეს დანიშნავენ მის ადგილას. ან კიდევ, მაღაზრის თუ საწყობის გამგე იპარაჯს საქონელს, რევიზია გამოამედაუნებს მას და დასჯიან. როცა დრამატურგი არ ხსნის მოვლენის სოციალურ თუ მორალურ საფუძველს, როცა ფაქტ არა აქვს მხატვრული გადაწყვეტა, მაშინ ფაქტი შიშველ ფაქტად რჩება და ხშირად იგი პირველ რეაქციასაც იწვევს მაყურებელში. წერა შეიძლება ყველაფერზე, თუკი სათქმელი გაქვს, მაგრამ, როცა თეატრში წერილმანზე იხარჯება მსახიობთა და რეჟისორთა დრო და ენერჯია, როცა მთავარი საფიქრალი და სატკივარი ხალხისა გადატანალია მეორე პლანზე — აღარ უნდა გაგვივიკრიდეს, თუ მაყურებელი ვეღარ მიუხვდა „გუშინდელის“ ჩანაფიქრს!



სცენები სპექტაკლიდან „გუშინდელი“. მახრის ფურთაძე — ე. ლოლაშვილი, მ. ჩანაშია.



კენინა ჩიტენია — მ. ჩახავა, გენერალი ბერდოსანი — გ. ჰიჭინაძე, ჯეზე ჭოლორდავა — ტ. ცეცელიძე.

01. ჩხიძემ — გუთანხმებით. პირველი სიტყვა დრამატურ-გებმა უნდა იქნება. ისინი კი მართლაც ბევრ დროს ხარჯავენ წერილმანებზე.

3. ქიანამ — მართკ დრამატურგებმა? რატომ? აქ არ-სებითი როლი უნდა შეასრულოს რეჟისორმა. იყო დრო, სხვა დრამატურგი ასრულებდა რეჟისორის ფუნქციასაც. მა-შინ სხვა ხასიათის წინააღმდეგობანი იყო რეჟისორსა და მწერლის შორის. ახლა კიდევ უფრო გართულდა მდგომარეო-ბა. ერთი კი უდავოა. რეჟისორს უდიდეს გავლენას ახდენს დრამატურგის განვითარებაზე. იქ, სადაც ძლიერი რეჟისუ-რისა, ასე წარმოიდგინეთ, კარგი იქნებოდა მეტა (მხედველო-ბაში მაქვს ახალი, ორიგინალური ნაწარმოებები). ასე რომ, ქართული დრამატურგიის ბედ-იზღაბი რეჟისორის ხელშია. სააღსრულოდ მავალითები რამდენიც გნებავთ, იმდენია, კარგია და ცუდიც. პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“ ოც-წლის მანძილზე არასცნობი ნაწარმოებად ითვლებოდა. მო-ვიდა რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე და პიესა ხელახლა დაი-ბადა. დაიბადა თეატრისათვის.

01. ჩხიძემ — მართალს ბრძანებთ, მაგრამ ჩვენი დრამა-ტურგია მაინც ძალიან სუსტია. მიუხედავად ქართული ორი-გინალური დრამატურგიის ჩამორჩენილობისა, თითქმის ყო-ველი ქართული პიესა იდგება.

3. ქიანამ — აბა, როგორ უნდა ეთქვას ჩვენი დრამა-ტურგია ძლიერია-შეთქი, მაგრამ არც მკონია, ცოტას მაინც აჭარბებთ, არა მართკ თქვენ, რამეცად საერთოდ ყველა რე-ჟისორებზე, კრიტიკოსებზე... საკითხი დიფერენცირებულად უნდა განვიხილოთ. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ჟან-რის სპეციფიკა. უნდა გაირკვეს, თუ რატომ არის, რომ თითქ-მი ყოველ დროში უკმაყოფილო იყვნენ დრამატურგების მდგო-მარეობით. ნუთუ მართლა არც ერთ ეპოქაში არ იყო ძლიერ-ი დრამატურგია? სინამდვილე ხომ სულ სხვას გვიჩვენებს? მაშასადამე, არსებობს რაღაც ისეთი მუდმივმოქმედი ფაქტო-რი, რომ გამოვ დრამატურგია მუდამ ვალშია თეატრის წინა-შე, ხოლო თეატრი — მაყურებლისა და საერთოდ ხალხის წინაშე. თეატრი. ყოველწლიურად სჭირდება ათობით პიესა. რა დრამატურგია გაუძლებს მას? ერთი წუთით წარმოვიდ-გინოთ, რომ იგივე სხედბოდეს პროზაში, პოეზიაში. ერთ წელს გამოქვეყნებული პროზაული ნაწარმოებები, ლექსები, რომ მეთორ წლისათვის განვლილი ეტაპი იყოს, გუშინდელი დღის მანრანდე, „შეგვიტელებულ“ კერძად ითვლებოდეს (როგორც ეს თეატრში) მა მორალური ატმოსფერო შეიქმნებოდა ჩვენი პროზაიკოსებისა და პოეტებისათვის? ვიცი, არა ერთი კარგი რომანი და მოთხრობა იბეჭდება, დიდი საიმედოებოთაც კვით-ხულბო მათ, მაგრამ ამა ეყვად და იგი გადაიტანებ სცენა-ზე? თეატრი რინგენივით აშუქებს ბევლაფერი. ბუნებისკი ტყუილად როდი უწოდებდა დრამატურგიას პოეზიის გვირ-გვინს, ყველაზე რთულ ჟანრს. პოედა, როცა ვიცით ამ ჟან-რის სპეციფიკა, მისი ასეთი სირთულე, მუტადაც უნდა ვაფა-სებდეთ იმას, რაც იქმნება და იმათ, ვინც მას ქმნის. ჩვენში კი რა ხდება? დრამატურგია თითქმის კანონგარეშეა გამო-ცხადებული. მართკ ერთ ფაქტს დავასახელებ მრავალთა შო-რის. დ. კლდიაშვილის პიესები ცალკე არ დაბეჭდობა თითქ-მის 30 წელია. თქვენ ვერ დამისახელებთ ასეთივე დონის ვერც ერთ მოთხრობას, ლექსს, რომ ამ წნას მანძილზე ორ-სამჯერ მაინც არ გამოცემულიყოს. ზოგიერთი სხვა დრამა-ტურგის ალიარებული ნაწარმოებები თითქმის ნახევარი სა-

უკუნეა არ დაბეჭდილა. გადახედეთ ჩვენ სასკოლო სასწაუ-რულანოლებს. ყველა მწერლის თქვეს შეხედებით, უნდა ვთქვათ, ეს არა. რატომ? რაც შეეგებათ თეატრ, რეჟისორებს, განა იგივე „კახაბერის ხმალი“, „გუშინდელის“ და „ყვარყვარე თუთაბერის“ დამდამ არ ცხადვყო, რომ სწორედ რეჟისორის არსულზე დამოკიდებული ბევრი პიესის ცხოველყოფილობა? ხელახლა უნდა წაიკითხა ყველაფერს. თუ რეჟისორის მართლ-აქვს რაიმე სათქმელი, იგი ჩვენს პიესებშიც იპოვნის. განა დანთავად ვაჯა-ფშაველას ნაწარმოებთა სცენური სიტუ-რია? დ. კლდიაშვილის? შ. დადიანის ყველა პიესა დაიდგა? პ. კაკაბაძის? არა! იქნებ ძველი დრამატურგის გარკვეული მოღერისხაცაიც შეიძლება? (ნუ გვეშინია ამისა).

01. ჩხიძემ — ბოლო წლებში რაღაც ძვირები ჩვენს დრამა-ტურგისშიც შეინიშნება. ამის უარყოფა არ შეიძლება.

3. ქიანამ — „რადაც“ კი არა, საკმაოდ სოლიდური ძვირებიც მოხდა. მთელ კავშირში იდგება ქართული დრა-მატურგების პიესები. ასეთი რამ არასოდეს არ მოხმდარა. (მე არ მაგიწადება მ. ბარათაშვილის „ჭრიჭინას“ უდიდესი წარმატება წარსულში, მაგრამ ეს ერთდელი იყო). ამასთანა-ვე, განა დიდად დასაფასებელი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენ-მა დრამატურგებმა ხმა აღიმალა იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც ჩვენს რესპუბლიკაში სხედბოდა? განა ჩვენ-თებულისა ის ფაქტი, რომ კ. ბუაჩიძის კომედიები ასე იშვია-თად იდგება ჩვენს თეატრებში? ერთი სიტყვით, თანამედ-როვე ქართული დრამატურგია ვუსლაც არ არის ხელწამოსა-კარგი და მას ჯეროდე უნდა ვაფასებდეთ. საერთოდ დრამა-ტურგის იმ დონეზე ამალდება, რომ იგი სასკეპით აკმაყოფი-ლებდეს თანამედროვეთა მოთხოვნილებას, ეს მართკ დრამა-ტურგიაზე როდის დამოკიდებული.

ახალი სკოლის გახსნასთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრის დირექტორს ა. ბაქრაძეს ერთმა კორესპონდენტმა ასე უთხრა: „დედგანდელ ქართულ პოეზიასა და პროზას ჰყავს მართლაც ნიჭიერი ოსტატები. ყოველ შემთხვევაში მათგან ათიოდე კაცს მაინც რომ დაეწერა წელიწადში ერთი პიესა ჩვენი თეატრისათვის, მეტი არც იქნებოდა საჭირო. შეუძლებელია ნიჭიერმა პროზაიკოსმა მაინც, საშუალოზე მა-ღალი დონის პიესა ვერ დაწეროს“. მეტისმეტად გულუბრყვი-ლო აზრია. ნიჭიერ მწერლებს კი არა, გენისის პოეტებს და პროზაიკოსებსაც კი დაუწერიათ უსტკი პიესები. მავალითე-ბით საგსვა მსოფლიოს კლასიკური ლიტერატურა.

მწერალთა კავშირის სისას დაფხედ და თითქმის ვერ აღ-მოგვანინე ისეთი ნიჭიერი მწერალი, პიესა რომ არ დაეწეროს, ან არ ეცადოს მისი დაწერა. რა თქმა უნდა, არანა იწინებები, წლითით რომ აწუხებთ პიესის დაწერის ფინი, მაგრამ ვერ ბე-დავენ. რატომ? ლექსებისა და მოთხრობების წერას ხომ ბე-დავენ?

პიესის წერას „ღვთისმომადლებულ ნიჭს გარდა“ (რო-გორც ილია ამბობდა) სხვაც ბევრი რამე უნდა. იგივე ილია ბრძანებდა, რომ დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი, თუნდ ნიჭიერიც — ვერ პედავს ხელი შეპმართოს.

ერთსელ (შეიან არა ერთსელ!) კულტურის სამინისტროს თეატრთან შეთანხმებით, მწერალთა კავშირის რეკომენ-დაციით ერთბაშად 30 პოეტს და პროზაიკოსს მაინც დაუდ-ხელშეკრულება პიესის დასაწერად. ზოგმა დაწერა კიდევ,

მაგრამ იმ ოცდაათიდან დღევანდელ თვატრს ერთიც არ არ-
გია.

ათმა პროზაიკოსმაო — ამბობს კორესპონდენტი. ათიც
წერს და მეტიც. მათ ყველა იცნობს. იდგება კიდევ აქ ცნო-
ბილი პროზაიკოსების პიესები. ზოგი წარმატებით, ზოგიც
წარუმატებლად. მაგრამ იგი მაინც არ ჰყოფნის თვატრს.

მ. ჩხიშიძე — მაინც რას მიიჩნევთ ჩვენი დრამატურგის
ნაკლებად?

3. ქიქნაძე — როგორც უკვე ვთქვი, თანამედროვე ქარ-
თულ დრამატურგიაში არა ერთი ნიჭიერი პროზაიკოსი მუ-
შაობს. კიდევ უფრო მეტს აქვს სურვილი პიესის დაწერისა.
მაგრამ მათ წარმატებას სხვა მიზეზებს შორის ხელს უშლის
თვატრის სპეციფიკის არსებობა. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ
თითქმის ყველა კლასიკოსი დრამატურგი თვატრის ხელმძ-
ღანელი, რეჟისორი, მსახიობი ან თვატრის უახლოესი მეგო-
ბარი იყო. შესანიშნავად იცნობდნენ თვატრს. ისინი კი, რომ-
ლებიც ასე ახლოს არ იყვნენ (გამონაკლისები) თვატრთან.
კულმოდინედ სწავლობდნენ მის სპეციფიკას.

მ. ჩხიშიძე — თქვენ მრავალი წელი მუშაობდით რუსთა-
ველის თვატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ, თქვენს
პრაქტიკაში თუ შეხვედრილობათ თვატრის სპეციფიკით საგან-
გებოდ დანიტერესებულ მწერალს?

3. ქიქნაძე — დიან, იყო ასეთი შემთხვევა. ერთმა პო-
ეტმა თვატრში შესასვლელი მუდმივი საშვი ითხოვა. მიეცე-
ოთ. თითქმის ყოველდღე დადიოდა თვატრში. გულმოდგი-
ნედ აკვირდებოდა ყველაფერს. როცა მისი პირველი პიესა
დაიდგა, მანამდე მას უკვე სამი-ოთხი პიესა ჰქონდა დაწე-
რილი. მე მზიობლავა მისი გატაცება თვატრით.

ამგავად ჩვენი დრამატურგის წინაშე კიდევ უფრო რთუ-
ლი ამოცანა დგას. ღრმად უნდა ჩასწვდნენ რუსპოლიტიკის
ცხოვრებაში მომხდარ პროცესებს. საკმარისი არ არის მარ-
ტა წარსულის ნაკატორი მოვლენების მხილება. საჭიროა
გაბოხანის ის ანგებითი ტენდენციები, რომლებიც ახალ
პერსპექტივებს უსახავენ ადამიანებს. უნდა შეიქმნას ისეთი
პირობები, რომ საესებით გამოირჩივხის ძველი ყაიდის ან
ახალი ფორმის მანკიერებათა წარმოქმნის შესაძლებლობა-
ნი. ჩვენს დრამატურგებს კი ჯერჯერობით თავისი სათქმე-
ლი არ უთქვამს. ჯერ არც ის პიესები გვიანახავს სცენაზე, რო-
მლებიც იმ ბოლო ხანებში დაიწერა. მხედველობაში მაქვს
კონკურსში გამარჯვებული პიესები. რეჟისორის ხელი აკ-
ლია მათ. ამ პიესებითაც შეიძლება სათქმელი თითქმის. დიდი
სიზნდერე ქართულ თქმულებებსა და ლეგენდებში. ჩვენი
ზღაპრები ხომ ამოუწურავ მასალას იძლევა საბავშვო ნაწარ-
მოების შესაქმნელად. გადავხედავ ჩვენს ისტორიასაც.
რამდენი რამ არის მასში ისეთი, რაც თანამედროვე ადამიან-
ისათვის იქნებოდა საინტერესო. თემები და სახეები პირდა-
პირ მზად არის, დაწერა და დავგმა უნდა მხოლოდ.

მ. ჩხიშიძე — და თამაში!

3. ქიქნაძე — რა თქმა უნდა. თქვენ ალბათ წაიცითხეთ
ვ. ჭელიძის წიგნი „ქართლის ცხოვრების ქრონიკა“.

მ. ჩხიშიძე — ძალიან მომეწონა.

3. ქიქნაძე — ამ უაღრესად საჭირო და სასარგებლო
წიგნში პირდაპირ გამოფენილია პიესების სიუჟეტები, თემე-
ბი თავისი კონფლიქტებით. ახალგაზრდობა თანამედროვეო-
ბასთან ერთად, თავისი ხალხის ისტორიასაც უნდა გაეცნოს.
დიანახოს, თუ რა ზიანი მოქონდა ეროვნულ შულს და პარ-

ტიკულიარიზმს, როგორ ცლიდნენ სისხლოდ შინაფრი
და გარეშე მტრები. ეს რომ ეცოდნებოდა, უფრო მეტად განუ-
სურთხილდებოდა თავის დღევანდელობას, მეტ-დაც შეიწვე-
რებს მას.

მ. ჩხიშიძე — ისტორიის შეგრძენება, სამწუხაროდ, მა-
ატრში ხშირად ძალიან ზერელება ხოლმე. ზოგიერთს კი სა-
ქართველო საყვარული ისე ესმის, პირდაპირ გული მოგი-
კვდება.

3. ქიქნაძე — მართალია. პატრიოტული თემა განსაკუთ-
რებით სათუთად, მოკრძალებით უნდა მივიტანოთ მაყურებ-
ლამდე. განსაკუთრებით ახალგაზრდობამდე. ზნეობრივი გმი-
რობისა და ვაკაცობის მაგალითები მუდამ დიდ ზემოქმედ-
ებას ახდენდა მაყურებელზე. ჩვენს ისტორიაში არა ერთი ასე-
თი გმირია. საჭიროა მათი ჩვენება. საერთოდ გმირის საძე
თითქმის დიკაირა ჩვენს სცენაზე.

მ. ჩხიშიძე — ასე კატეგორიული მტკიცება ძნელია, მაგ-
რამ გმირობის ცნება რომ შეიცვალა, მე გმირია, უდავოა.
ამასთანავე, გმირში თუ ტრაგიკული ბედი არ არის ჩაქსოვი-
ლი, ისე საინტერესო არდა. ციტნე დადინი, ცნა ძმა ხერ-
ხულიძეები, ქუყუყა დედოფალი რატომ გვიყვარს? იმიტომ,
რომ ისინი განასახიერებენ ყველაზე მაღალ იდეალებს, მაიო
სიკვდილი ულამაზესი სიკვდილი იყო. მათი ტრაგიკული ბედი
მუდამ ააღვლევს ადამიანებს. ან კიდევ გმირობა გასტელო-
სი, ოლეკო სოჭოვის, შოთა გამყემლობის, კაპიტან ბუხაიძის
და სხვების.

3. ქიქნაძე — ცხადია, რაკი ომი არ არის, არც გმირობის
ის ფორმები დარჩა. მაგრამ ხომ შეიძლება ახლა სხვა წი-
ნაღმდებობათა საფუძველზე წარმოიშვას გმირობა? რა თქმა
უნდა, შეიძლება. მაგრამ მინდა ბოლომდე გულახდლი იყო.
ჩვენ ხშირად ისეთ გმირებს ესატავთ, თავი რომ არ წამოს-
ტკივებოთ. შეიძლება ამიტომაც არ ეტანება ჩვენს სპექტა-
ლეს მაყურებელი...

მ. ჩხიშიძე — დიან, ჩემს სპექტაკლებს ყოველთვის ცოტა
მაყურებელი ჰყავს.

3. ქიქნაძე — ამ ერთი წლის წინათ მოსკოვიდან სტუმ-
რი მეწევა, მსახიობი. დიდი სურვილი მქონდა ენახა „გუმირი-
დელინი“. სტუმარი სპექტაკლი ძალიან ოფენია. ლიუბიმო-
ვის სპექტაკლებს შეადარა. მაგრამ გაოცებული იყო იმ ფაქ-
ტით, რომ დარბაზი თითქმის ცარიელი დახვდა.

გულახდლად რომ ვთქვა, უკანასკნელ წლებში ორი სპექ-
ტაკლის ბეჭმა ამაღლევა ყველაზე მეტად. რუსთავის თე-
ატრის წარმოდგენამ „ასი წლის შემდეგ“ (გ. ლორთქიფანი-
ძე) და „გუმირდელინი“. ამ სპექტაკლებზე ბილეთები ერთი
თვით ადრე მაინც უნდა იყიდებოდეს, ჩვენ რომ კარგი მაყუ-
რებელი გვყავდეს.

...სულ სხვადასხვა რეჟისორული ხელწერის სპექტაკლებია.
სხვადასხვა პიესების თემატკა, მოქმედების ადგილი.
დრო, მსახიობები. აქტიორული შესრულების დონეც განსხვავე-
ბულია, არის ბევრი სხვა მსახიობი მეტ-ნაკლებობა, მაგრამ
ერთია მათი იდეალი, მათი მიზანი. აქ მაყურებლის სულის
შეჭდვისა და გამოფხიზლების სურვილი ჩაფიქრებულია დიდი
მოქალაქეობრივი პოზიციებიდან. უღრმესი გულსტკივილი
ეხება იგი ჩვენს გრძობებს, კაცურ-კაცობას, ღირსებას, თავ-
მოყვარეობას...

მე ჩვენს საუბარში (სხვა დროსაც) რამდენჯერმე შევხვე
ჩვენი თვატრის ნაკლოვანებებს, მაგრამ მას კარგიც ხომ აქვს?

განა თუნდაც ეს ორი სპექტაკლი ცოტას ნიშნავს? ამის გარდა კარგი წარმოდგენები სხვაგვარ ხომ გვაქვს. მაგრამ ამ კარგის მაინც რატომ არ ყავს უფრო მეტი მასურებელი, ვიდრე თუნდაც ზოგიერთ უგემოვნო სპექტაკლს? საინტერესოა, რომელი პროფესიის ადამიანებს აქვთ ამგვარდ ფულთა ზემოიდან უცქეროდნენ თეატრს იმ მოტივით, რომ უნდა არა ამაყოფილებს იგი? ვის? პუბლიკებს? ექიმებს? ინჟინრებს? აგრონომებს? ვატრობის მუშაკებს? თუ ვის? ნუთუ მართლა მიადევნის ისეთ დონებს (გამომავალს არ ვგულისხმობთ) რომ ჩვენს სპექტაკლებზე აღარ დაეფიქრებოთ? დემონტაჟს ქნას, რომ ეს ასე იყოს! მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ ხდება, რომ საეჭვო გემოვნების სპექტაკლებზე და კინოფილმებზე მათი რიგი დგას? ასე უნდა ნებისა? ჩვენ ხომ ვიცით, ვინ არააინ ეს მასურებლები? იქნებ მასურებელმა დაკარგა ორიენტაცია?

მ. ჩხიმიძე — რას გულისხმობთ?

მ. მანანაძე — როგორ ვითხრათ? აი, მაგალითად, ცნობილია, რომ ჩვენი სახელმწიფო მილიონებს ხარჯავს მასების იდეურ-ესთეტიკური აღზრდასთვის. რამდენი ლინისმიცია ტარდება, რათა ამაღლდეს საბჭოთა ადამიანის გემოვნება, აკულტურა, ესთეტიკა უნდა შეიჭრას ყველანა. მაგრამ ამის გვერდით ჩვენს ცერანებზე უფროებს აყობით უგემოვნო, მემზანურ სანტიმენტალურ ფილმებს, რომლებსაც მილიონობით მასურებელი ესწრება. თანაც ამ ფილმების დიდი ნაწილი სახელმწიფოა და მათი მიზანია შევაფასოთ ეს ორი ტენდენცია ერთმანეთთან? როცა ზოგიერთ მასურებელს უყურებ, ისეთი აზრი გებადება, თითქოს მას რაღაც საფუძველი აქვს გამოვლილი, ინტრიგით ცხოვრობს, დაკარგული აქვს ინიციატივის, აქტიური ცხოვრების უნარი. ასე ინდიფერენტული განწყობის მიღის თეატრში, ჩაესვენება რბილ სავარძელში და მხოლოდ იმას ითვისებს, რაც მხატვრული მოვლენის ზედაპირზე ჩანს. მისი გულგრილობა გადაეგება ხოლმე სცენას. სპექტაკლიც ვიცივდება. იკარგება კონტაქტი. უნებისყოფო, უინიციატივო საზოგადოება ტოლფასოვანია ობიექტულსა. დიად გულსტაქვინა, რომ წლებს მანძილზე სულ უფრო და უფრო გამარჯვდნენ ყველაფერზე ხელჩაქნული, შინაგან აქტიობას მოკლებული ადამიანები.

მ. ჩხიმიძე — არაფერი მაქვს დასამატებელი, სავსებით გეთანხმებით. ბევრი ახლა თეატრისაგან მხოლოდ გართობას მოითხოვს. ნერვების დასამშვიდებლად მიდის თეატრში.

მ. მანანაძე — ალბათ „მიუზიკლის“ მოძალეზაც ამით ახსენება. რატომაც არა, განა ნერვების დამშვიდებლად პატარა საქმე? მაგრამ, გააჩინა, რა ზეზებით ხდება ეს? ისე კი, ყოველ დროში იყო ამგვარი მოვლენები. ილიამ და აკაკიმ დიდი ბრძოლა გადაიხადა, რათა თეატრი მარტო მართობ, „საფუნდუკი“ (როგორც აკაკი ამბობდა) დაწესებულბდა არ გადაეცეყოლიყო. მათი აზრით, თეატრი დიდი საზოგადოებრივი ტრიბუნა, ეროვნული თვითშეგნების გამაღვიძებელი და აღმზრდელი უნდა ყოფილიყო.

მ. ჩხიმიძე — არც ახლა უნდა დაკარგოს ეს თვისებები. იგი ხომ ეროვნული კულტურის კერაა? მაგრამ, საწუწნაროდ, ჩვენი მასურებლებს დიდ უმარჯვლესობას მიუზიკლი მსუბუქი, გასართობი სპექტაკლი ჰქონია მხოლოდ. წესიერად ვერაზან გარკვეულ მიუზიკლის არსში და ინტელიგენციის გარკვეული წყებისათვის საღანძღავ ეპითეტად იქცა.

მიუზიკლი არ ნიშნავს მუსიკალურ კომედიას! მუსიკალური კომედია სულ სხვა! მიუზიკლისათვის დაწერილი პიესა

საქართველოში მხოლოდ რუსთავის თეატრში დაიდგა, იმყოფრობს („ლამანჩელი“). განა ამ სპექტაკლს მუსიკალური კომედიასთან რაიმე საერთო ჰქონდა? პირიქით, დიდი დასამატებით იყო დადგმული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დრამატული თეატრების სპექტაკლების უმრავლესობა მიუზიკლებია, მაგრამ იქ არავის აზრად არ მოუვას სპექტაკლები მუსიკალურ კომედიებს შეადაროს. მივლ მსოფლიოში განმარტებული „ვესტ საიდის ისტორია“ — ეს თანამედროვე „რომეო და ჯულიეტა“ — ამის ნათელი დადასტურებაა.

მ. მანანაძე — რა ჯანრშიც არ უნდა გადაწყდეს თემა — სულ ერთია, იგი უნდა იყოს ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული. ეროვნული თვითშეფასობა, მისი განზოგადება — ეს არის საფუძველი ყოველი დიდი ხელოვნებისა. თუ ეროვნული ფუნდამენტი ძლიერია, მერე ყველაფერი ლავდება თავის ადგილას. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ სწორედ თეატრის ისეთი ადგილი, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის ურთიერთობა. იგი აღინდნება მრავალ სპექტში. მაგალითად, თეატრში ყოველთვის იდგება სხვადასხვა ეროვნების მწერალთა ნაწარმოებები. ამ შემთხვევაში ქართულ თეატრს უმდიდრესი გამოცდილება აქვს. ასევე თეატრში ყოველწლიურად 20-30 ეროვნების მწერალთა პიესები რეპერტუარში. აქედან მნიშვნელოვანია რუსული და სხვა მომძებ სახლთა ნაწარმოებები. ამის გარდა, ქართული დრამატურთა პიესებშიც ხშირ მოქმედებენ მომძებ სახლთა შვილები. ჩვენი თეატრის სცენაზე ვხედავთ რუსსა და სომხებს, უკრაინელსა და აზერბაიჯანელს, ლიტველს, ინგლისელს, ფრანგს, ესპანელს და მრავალ სხვას. ასე ერთ ჭერქვეშ იყრიან თავს ისინი და თეატრი მართლაც მრავალეროვნული ცხოვრების სამყაროა.

ხელოვნების ენა უნივერსალური ენაა, იგი ყველასათვის გასაგები ენაა.

მ. ჩხიმიძე — რასაკვირველია, თქვენ გულისხმობთ ნამდვილ ხელოვნებას?

მ. მანანაძე — ცხადია, ცუდი ნაწარმოები არავის ეკუთვნის, გარდა ავტორისა.

ქართული თეატრის შეუძლია იამაყოს იმით, რომ მის სცენაზე არასოდეს არ დადგმულა სხვა ერის დამამკერებელი ნაწარმოებები, მას არასოდეს არ უსვობრია კარნაქტიკოდ არსებობა ფაქტი, როდესაც ერთ-ერთობა საგასტროლო დასაც გადა ანტიკონტრული ნაწარმოების ჩვენება — იგი ვამყებულე იქნა საქართველოდან. ეს იყო რეპოზიციონალი თეატრში.

მ. ჩხიმიძე — კარგი ფაქტია.

მ. მანანაძე — მეტაყ ვეტყვით, ჩვენ ხალხს იმდენად უყვარდა დიდი რუსი პოეტი პუშკინი, რომ ფული შეგაროვა და მას ძველი დაღუგა (1892 წ.). პუშკინის მალე გოგოლის ძველი (1903 წ.) შეგება, ისევ ხალხის დანახოვებით აგებული. არის ცნობები (მაგ. ი. გრიშინისა), რომ თბილისში პუშკინის სახელობის თეატრიც არსებობდა. ასე რომ, ქართველი ხალხი ოდიოზანე ესწრაფვოდა სხვა ხალხთთან მეგობრობას, იცოდა პოეზიის, ნამდვილი ხელოვნების ფასი და ეს ხდებოდა საკებით უზუნებრივად.

ეს არის ერის სიღამაზე, მისი ჰუმანიზმის წყარო, მისი სულის სინათლე, რომელიც საუკუნეებით მოდის და ჩვენ თანამედროვეებს არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეს ეს ტრადიცია,



რათა უკეთ ვაშენოთ ახალი ურთიერთობანი, უკეთ გვესმოდეს ჩვენი მოსურნების სიღაღღ ამჟამა თვატრის დიდი მისიაჲ.

მ. ჩხიშიძე — ჩემს რეპერტუარშიც არის მოძმე ხალხთა დრამატურგების ნაწარმოებებიც. მაგალითად. ვ. როსოვის „სიტუაცია“.

3. კიპნაძე — ხშირია შემთხვევები, როცა კომპეტეტური ხასიათის ფერისცვალება ხასხლის ილუზიას ქმნის. თვატრის ისტორიამ იცის ბევრი ასეთი მაგალითი. ამ თხუთმეტობედ წლის წინათ მიიღი კავშირის თვატრსა და დრამატურგიაში პირდაპირ მოდად იქცა ქორთ. გასსოფთ ალბათ „ირკატკისის ხორხორია“ და სხვა პიესები. ბერძნული ტრაგედიაღბად ნასესხები ფორმების მოდერნიზაცია გარკვეული რეაქციაც იყო უახსურთ, ჟანრულად გაურკვეველი პიესების წინააღმდეგ, მაგარამ მან მინც ფუბი ვერ მოიკიდა. ჩემს სცენაზე ბევრი სპექტაკლი დაიდგა, სადაც წაღმა-უკლმა ტრიალებდა ქორთ. მაგრამ მათ შორის ორიოდედ თუ იყო გამართლებული. სულ სხვა იყო 20-იან წლებში. ს. ახმეტელის სპექტაკლებში ქორთა ულიდესი მხატვრული ფუნქცია ჰქონდა. შ. დადიანის „თეთნ-ნის“ ნოვატორული სპექტაკლი უწოდეს მოსკოველმა და უსხობელმა კრიტიკოსებმა. განსაკუთრებით შეაქეს ქორთ. ს. ახმეტელის წარმოდგენებში ქორთი ეროვნულ თვატრალურ ჟანრების ეყრდნობა და იგი სპექტაკლის ბუნებრივი ელემენტები გახდა. ხალხისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი მიიქცა მასში და იგი გამოხატა ბრწყინვალედ. ეს იყო იმ-ჟამინდელი სინამდვილის გამომხატველი მოვლენა. ექსპერიმენტები, რომელსაც ახმეტელი აკეთებდა, ახლის ძიებით იყო გამოწვეული, მისი ახალი კი ეყრდნობოდა „შინაგან წყარო-მის“. ყველაფერი ეროვნულ საფუძვლებს ეყრდნობოდა, მაგრამ მას მარტო ადგილობრივი ინოვაციული რელიეჲქონია, არამედ საერთოც. იგი ამბობდა: ერთნულად კულტურის ხარისხობრივ განვითარებას ინტერნაციონალურისაკენ მივყავართ. ახე, „იენც არ გეტუთის საშობობის, ის არც კაცობობისას გეტუთისა“ (ბელნოსი).

მ. ჩხიშიძე — მე მგონი, სხვა აზრი არც შეიძლება იყოს. თქვენ ქართული დრამატურგის ზოგიერთი ნაკლოვანებანი და სინთეზებიც ასენეთ. გეთანხმებით, თუმცა ალბათ ნაკლი უფრო მეტია. მე არ ვიყავ თვატრს, მაგრამ თვატრში უფრო მეტია კარგი სპექტაკლი, ვიდრე კარგი ქართული პიესა ნაკლიყოი.

3. კიპნაძე — სრულიად არათანაბარი შედარებაა. თქვენ მსოფლიო დრამატურგის საფუძველზე შექმნილ ყველა სპექტაკლს უპირისპირებთ ქართულს.

მ. ჩხიშიძე — ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ორივე ქართული თვატრის პრობლეტია. მე მინდა ქართული დრამატურგის „პრობლეტია“ შევადარო თვატრის „პრობლეტისთან“, თვატრი ბევრად უფრო მაღლა დგას.

3. კიპნაძე — შეპირისპირება მაშინ იქნება სამართლიანი, თუ თქვენ დამტკიცებდით, რომ თვატრმა ქართული პიესების საფუძველზე უკეთესი სპექტაკლები დადგა, ვიდრე თვით პიესები.

მ. ჩხიშიძე — ამის დამტკიცებაც შეიძლება.

3. კიპნაძე — „გუმინდლის“ დადგმის დიდი ტრადიცია არსებობს. თქვენ ვი სულ სხვაგვარად გადაწყვიტობთ. პიესაზე მუშაობის დროს ხომ არ გაგახსენდათ კ. მარჯანიშვილის სიტყვა, სადაც ეს პიესა ზოგოვონ, რევიზორს“ შეადარა?

მ. ჩხიშიძე — სამწუხაროდ, არა. ეს პირველად თქვენგან გავიგე.

3. კიპნაძე — დიდი რევიზორის მიერ პიესის წაკითხვა და სპექტაკლის თქვენი გადაწყვეტა ძალზე ახლოს არის ერთმანეთთან.

მ. ჩხიშიძე — გასაკვირი არაფერია, „გუმინდლის“ ფაბულა მართლაც გვაგონებს „რევიზორს“.

3. კიპნაძე — გულახდლიად გეტყვით, როცა „გუმინდლინი“ ვნახე, მოუსვენრობამ შემოხმობი. ავწრაღდი, სული გადმომიტრიალდა, სევდა მომეხრია. ნუთუ ასეთები კარგა? — გეტკატებოდა ჩემს თავს. იქნებ სწორედ ამისა სპექტაკლის ძალაც, უნდა შევტარებ, გული გატკინოს, რომ მიხვდე — „ასე ცხოვრება არ შეიძლება“. ასეთი ტენდენციის სპექტაკლები დიდად საკაროა დღეს, მაგრამ მის გვერდით უნდა იყოს ასევე ძლიერი სხვა ხასიათის სპექტაკლებიც, რომლებიც გაახსენებენ მაყურებელს, მოაგონებენ თავის დიდებას, შემატებენ ძალას, ენერჯიას, რწმენას. კარგი იქნება, თუ იგი შეიქმნება სწორედ ქართული დრამატურგის საფუძველზე.

მ. ჩხიშიძე — სხვათა შორის, ჩემს მიერ დადგმულ ოცე პიესებში თითხმეტი ქართულია.

3. კიპნაძე — ასეც უნდა იყოს. რაიონის თვატრებიდან რომელს იცნობთ კარგად?

მ. ჩხიშიძე — ზუგდიდის თვატრს. ჩემი აზრით, ერთი რაიონული თვატრის ცნობრება ძალიან გაცე მეორისას. გამოდის, რომ ცუდად არ იცნობ რაიონულ თვატრებს.

3. კიპნაძე — როგორ ფიქრობთ, რატომ არ მაიდან (ან უხალისოდ მიდან) ახალგაზრდა სპეციალისტები რაიონის თვატრებში?

მ. ჩხიშიძე — მე ხომ ვავედი ზუგდიდში?! არაფერი არ წამიგია, პირიქით, ბევრი რამ ვისწავლე, პრაქტიკულად იქ ვავიდე, რომ არ კმარა მარტო შემოქმედი იყო. რეჟისორი კარგი ორგანიზატორიც უნდა იყოს. ორგანიზატორი არა სპექტაკლის მხატვრული ორგანიზაციისა (ეს თავისთავად), არამედ წმინდა ტექნიკურ-აღმინისტრაციული საქმიანობისაც. მას უნდა ჰქონდეს დიდი გამძლეობა, ნებისყოფა.

3. კიპნაძე — მე მჯერა თქვენი გულწრფელობისა. მაგრამ მეჩვენება, თითქმის ყველაფერი, რასაც ამბობთ, ეს მინც კარგ პირობებში მყოფი კაცის სიტყვებია, მოგონებაა რუსთაველის თვატრის რეჟისორისა. როცა ზუგდიდში წასვლა გადაწყვიტეთ, თქვენ გადაწყვეტილებაში იყო რაღაც რომანტიკა. დასაწყისისათვის ეს კმაროდა კიდევ. მაგრამ მალე დასტოვეთ ზუგდიდი და ისევე თბილისს დაუბრუნდით, რატომ?

3. კიპნაძე — თქვენ ძალიან კარგად იცით რაიონის თვატრების პირობები და ჩემი დაბრუნების მიზეზები.

3. კიპნაძე — პოდა, ის მიზეზები სანამ არაებობს, მანამდე წარმატებით ვერ გადაიჭრება რაიონის თვატრების პრობლემა. კერძოდ, ახალგაზრდა რეჟისორთა და მსახიობთა დიდებულად დამკვრების საკითხი. მე არ დამაყრვებდა ის დაბე, როცა სპექტაკლის („კვიკვი“) შემდეგ თქვენ მიიხარით: ასე მგონია, არაუცხ არ სჭირდება ჩვენი სპექტაკლები. გულწრფელად უნდა გითხრობ, რომ მაშინ მეწყინა კიდევ, ვიფიქრე, ჯერ არ დაუწყია მუშაობა და უკვე ვარბის-მეთქი. მაგრამ მართლაც შეუძლებელი იყო დიდხანს ვაჩერება. ასეც მოხდა. მოხდა იმიტომ, რომ არ გჭინდით ხელმეწიფობა, მხარში არ ახოციდებთ რაიონის ხელმძღვანელობა. იქ, სადაც რაიონის ხელმძღვანელობის მხარდებლობა არ არის, თვატრის საქმეც ცუდად მიდის. ზოგჯერ ხუმრობენ, რაიონში თვატრს რაიკობის მდივნები ქმნიანო. ამ „ხუმრობაში“ არის სიმართლის ნაწილი. ასე წარმო-

დღენით, თურმე ეს საკავშირო მისწრაზის „ხუმრობაა“. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ თეატრალური სამშრომლოებისა და განყოფილებათა უფროსების საკავშირო სემინარზეც, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიმართა ტალინში. ამ რამდენიმე წლისავე ერთ-ერთი რაიონის თეატრული ვიკივი ჩილინგერული. იქ ჩემი ყოფილი სტუდენტები ვინაჲ. მართალია, მათ ცუდი ეკონომიური პირობები ჰქონდათ, მაგრამ უფრო სხვა რამე აწუხებდათ. მორალურ მხარდაჭერას ვერ გძნობდნენ ქალაქის თავაყებელნი. უბრალოდ, თვეში ერთხელ შემოვიძვრნენ თეატრში, მეტს არაფერს არ მოვიხიზეთ — ამბობდნენ ისინი. მიხოვეს თავიანთი გულსტაციილი მეტყვა რაიონის ხელმძღვანელობისათვის. დავპირდი. ჩვენს საუბრის შემოესწრო უფროსი თაობის ერთი მსახიობი, ცალკე გახიზნა და მიხერა: ძალიან გიხივთ, არაფერი არ უხრათ ხელმძღვანელობას, ესენი ბავშვები არიან, მაგათ ცხოვრებისა რა იციან. უყვირება და საერთოდ თეატრისაკენ აღარ მიხედვას. ხომ იცი, მტერს გადავიკადა რაიონის ხელმძღვანელი. ისევე ტკბილი სიტყვა თუ ვასტრისო. შეხვდრდა მანც შედვა. რაიონის ხელმძღვანელს ვუთხარი, რომ ახალგაზრდაობას არა აქვს ნორმალური ვაშლის პირობები, თუ ასე გაგრძელდა, თბილისში წავლენ-მეთქი.

- წავლენ და წავიდნენ — მიპასუხა მან.
- როგორ, სპექტაკლს ვინ ითამაშებს?
- ვინც დარჩება.
- ლაპარაკია ახალგაზრდებზე, თეატრის მომავალზე.
- სხვას მოვიყვანთ. ავერ კოლმუერნებაში არ იქნება ვინმე? მოვიყვანთ და ითამაშებს.

როგორც იტყვიან, ქუდმოგლეჯილი გამოვყარდი მისი კაბინეტიდან.

ასეთ ადამიანს შეეძლო რაიონის კულტურაზე ვიჭირა? საბედნიეროდ, ბევრ ასეთ მუშაკს უკვე აყოფილია! ჭკვია. ქალაქის, რაიონის ხელმძღვანელი მაგალითის მიმეკმი უნდა იყოს. კულტურითაც ყველაზე მაღლა უნდა იდგეს. ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერ არ მხრივ ჩატარებული მუშაობა ბევრ საიმედო რამეს გვპირდებ. ეს არის საქმე და არა სიტყვიერი.

მ. ჩხიშიძე — მეც მგონია, რომ თანდათან გამოსწორდება რაიონის თეატრების მდგომარეობა. თეატრალურ ინსტიტუტს რა გვემეტი აქვს ამ მხრივ?

მ. პინანაძე — ინსტიტუტი კვლავ გააგრძელებს რაიონის თეატრებისათვის სპეციალური ჯგუფების მომზადების პრაქტიკას. მაგალითად, მომავალ წელს მივიღებთ „ქუთაისის ჯგუფს“, წელს მივიღებთ „სოხუმის ჯგუფს“, ადრე მომზადდა „ბათუმის ჯგუფი“ და ა. შ.

მ. ჩხიშიძე — მგონი, ახლა რამდენადმე გაუმჯობესდა რაიონის თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც.

მ. პინანაძე — რასაკვირვლია. ამის დაუნახობა არ შეიძლება. ამას უნდა მოჰყვეს დასების ახალი კადრებით შესვლა, თაობათა მონაცვლეობა, პროფესიული დონის ამაღლება. ხშირად ამბობენ, რომ მეტისმეტად დიდი განსხვავებაა თბილისის თეატრებსა და რაიონის თეატრების მხატვრულ დონეს შორის. ეს მართალია, მაგრამ ასეთივე დიდი განსხვავებაა იმ პირობებშიც, რომელშიც მათ უხდებათ მუშაობა. თბილისში მცხოვრები საშუალო ნიჭის მსახიობი მორალურადაც და ეკონომიურადაც ბევრად უკეთეს პირობებშია, ვიდრე იგივე მონაცემების მსახიობი რაიონში. თბილისისათვის არსებობს შე-

მოსავლის დამატებითი წყარო (კინოსტუდია, რადიო, ტელევიზია). რაიონში მცხოვრები კი მარტო ხელფასის მიხედვით თბილისში ცხოვრება ხომ თავისთავად გარკვეულ უპირატესობას ნიშნავს?! როცა სოფლად მიდის ექიმი, მასწავლებელი, მას ხომ აქვს შეღავათები? რატომ არ უნდა ჰქონდეს იგივე მსახიობს? იგივე ხომ მასწავლებელია, მოძღვარია, ადამიანის აღზრდას ემსახურება?

მე მგონია, ისინი, ვინც რაიონებში მიდიან საშუალო, მნიშვნელოვანი უპირატესობითაც უნდა სარგებლობდნენ. უნდა შეიქმნას სტუდენტების ისეთი პრინციპი, რომელიც ხელს შეუწყობს რაიონის კულტურული ცხოვრების ძირეულ გარდაქმნას. კარგი, ერთი წუთით დავანებოთ თავი რაიონის თეატრს. მოზარდ მაცურებელთა თეატრები ხომ თბილისშია, განა მათ საჭირო ყურადღებას ვაქცევთ?

მ. ჩხიშიძე — მე ყოველთვის სისხარულით ვიგონებ ამ თეატრში გატარებულ წლებს. იქ მქონდა არა ერთი ბედნიერი წუთი. ჩემი სურვილია, თეატრი ბავშვებისათვის ისეთივე საყვარელი იყოს, როგორც ბავშვებია ჩვენითვის საყვარელი.

მ. პინანაძე — როცა მოზარდ მაცურებელთა და თოჯინების თეატრების შესახებ ლაპარაკობენ ხოლმე, რატომაც ბავშვის დაზარების დიდ მაგონდება. ყველაზე მეტი თითქოს ბავშვისათვის უნდა კეთდებოდეს, თითქოს ბავშვები უნდა იყვნენ ყურადღების ცენტრში, მაგრამ ხდება პირიქით. ყველაფერი კეთდება დიდებისათვის. ბავშვებსაც მაღე ერეგებიან იზოლირებულ თაბახში. ლაპარაკი, იტყვხმე, კარგი ვიცი! საბავშვო თეატრებში იზრდება მომავალი მაცურებელი, აქ ხდება ჩვენი ბავშვების ესთეტიკური აღზრდა, სტანისლავესკი ასე ამბობდაო. არსებობს მრავალი დადგენილება. სადირექტივი წყობით, ერთი სიტყვიით, თითქოს გარემოისინი არიან ყოველმხრივი ყურადღებით, მაგრამ მანც ის არ არის, რაც უნდა იყოს. ყუახლებით ჩვენს პრესას. კვალფიციურ თეატრციოდნეს ათასში ერთხელ თუ წაბოსცდება ორიოდ სიტყვა ან თეატრების შემოქმედებზე. მოსწენებებშიც ბოლოს მოიხსენიებს ეს თეატრები. თეი სასწიშო სადამოებზეც ბოლოს უნდა გამოჩნდნენ მათი წარმომადგენლები. არსებობს რაღაც ფსიქოლოგიური ბერიერი, რომელსაც გადალახვა უნდა. საბავშვო თეატრი ბავშვი როდია, რომელსაც უფროსების გვერდით არ დაედგომება. მე ვიცი, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. კულტურის სამინისტრომ ბვერი იღონა ამ მხრივ. მაგრამ შესაბამისად არ გარდაქმნილია ის სასოგადოებრივი ატმოსფერო, რომელშიაც უნდა თეატრები ცხოვრობონ. ამ თეატრების შემოქმედებამც არ მომხდარა ძირეული გარდატეხა. ეს არის მისი ხვალისდელი დღის საზრუნავი! იქნებ ვაჭარბებ?

მ. ჩხიშიძე — არა, მეტის თქმაც შეიძლება.

მ. პინანაძე — საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ ხელოვნების ყოველ დარგს თავისი სპეციფია აქვს, თავისი ენა, რომლითაც არის იგი ძლიერი. მოკლედ, ყველა მათვის ენაზე უნდა ილაპარაკოს, თუ არსებობა უნდა. რაკი თეატრს აქვს თავისი სპეციფიკური ენა, რაკი ამ ენით ელაპარაკება ხალხს უკვე ამდენი ხანია, მე მგონია, არც მომავალში გაუჭირდება არსებობა.

მ. ჩხიშიძე — გაჭირდება მანც იქნება, არა?

მ. პინანაძე — დამშვიდებული და დალხინებული თეატრი — უკვე თეატრი აღარ არის..



თარი სულის ნაწილი. „დარდისას გეტყვი“... თუ
 თქოს მთელ სხეულში გამჯდარა გროვად ქცეული
 მუსიკა..

1973 წლის 18 დეკემბერს, შესრულა საქარ-
 თველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა
 ახალგაზრდა კომპოზიტორის თეიმურაზ ბაკურა-
 ძის „ფშაური ნატირილები“. ამ ნაწარმოების სა-
 კონცერტო ცხოვრება წარმატებით დაიწყო.

თ. ბაკურაძის პირველი ნაბიჯები კომპოზი-
 ციაში სადა და უპრეტენზიო იყო. თანდათან
 გამოიკვეთა ახალგაზრდა კომპოზიტორის ინდი-
 ვიდუალობა. მისი შემოქმედებითი ძლიერის თავი-
 სებურება განაპირობა კამერულობის თვისებათა
 განზოგადებამ.

თ. ბაკურაძის მუსიკის ინტონირების ბუნება
 ხალხურ მელიზმატიკაში პოულთბის საფუძველს,
 მოტივთა „საყრდენი“ ინტონაციების ვარიანტუ-
 ლი შემომდგრება-მოჩუნქურთმება ქართულ ოქრო-
 მჭედლობაში ფაქიზად ნაქსოვ ფაქტურას მოგვა-
 გონებს. მოტივთა ვარიაციული დაშვება პირიზო-
 ნტალურად და ვერტიკალურად მოძრავ მელი-
 დიურ ხაზებშია და შეთავსებულია ქართული
 ხალხური მრავალხმიანობისათვის დამახასიათე-
 ბელ იმპროვიზაციულობასთან. კუპლეტურ-ვარაა-
 ციულ ფორმებთან რებრაზული ალგატორიკის
 მიახლოება მუსიკალურ საშუალებათა თავისებურ
 დრამატურგიულ ჯაჭვის ქმნის.

თ. ბაკურაძე თავისი მელიოდის ფორმირებას
 ხალხურ მუსიკაში ახდენს. იქ ეძებს მელიოდის
 ემოციურ იმპულსებსა და პლასტიკს. მისი მე-
 ლოდიკა უპირატესად ივება ტრიქორდისა და ტე-
 ტრაქორდების გაფართოებულ სექუნდურ რაგებ-
 წე, სადაც ბგერათა ძირითადი თანმიმდევრობა
 რომელიმე ქართულ ხალხურ კილოს უახლოვდე-
 ბა. პარმონია კი უპირატესად ეყრდნობა კი-
 ლის დამახასიათებელ მელიოდიურ ინტონაცია-
 თა ვერტიკალის ვარიანტებს.

აღსანიშნავია, რომ მუსიკალურ ფაქტურათა
 ძირითადი მონახაზები ხშირად არ გამოირჩევა
 ინდივიდუალური სიახლით, საინტერესო მიწნებე-
 ბით და ძიებითაც კი. კომპოზიტორის ძიებაც და
 მიცნებაც სწორედ ამ „ცნობილ“ ფაქტურათა
 ფუნქციურ ინტერპრეტაციაშია, მათ დრამა-
 ტურგიაშია, სტრუქტურათა შეჯახებით მიღებულ
 სინთეზში ან თითოეულის დამოუკიდებელ მეტა-
 მორფოზაშია.

ახალგაზრდა კომპოზიტორი კარგად იცნობს
 თანამედროვე საშემსრულებლო სერებს და
 შტრახებს, საკომპოზიტორო ტექნიკის თანამე-
 დროვე საშუალებებს, რომლებთაგანაც უპირატე-
 სად იყენებს სონორულ ხმოვანებასა და ალგატო-
 რული „კვადრატების“ მასშტაბთა აჩქარება-შენე-
 ლების დინამიკას.

თ. ბაკურაძე ქართულ მუსიკაში იმდენად ბუ-
 ნებრივად და პარმონიულად შემოვიდა, რომ კომ-
 პოზიტორის პირველი წარმატებები ჩვენი მუსი-

„ფშაური ნატირილები“

მოდარ მამისაშვილი

„დარდისას გეტყვი... სიხარულს ვერ მიეკარო,
 სული სიმწრითა გტკიოდეს“.
 „დარდისას გეტყვი... დილა-საღამო სხეულში
 შავ სეკტად ჩამოდიოდეს“.
 „დარდისას გეტყვი...“ გოდებად ქცეული
 ოთხი ინსტრუმენტი, ოთხივე, როგორც განცდა
 დაუბრუნებელისა, როგორც ცრემლგამწრალი
 მწუხარება, როგორც ცრემლით დანაშული კვნესა
 გულისა, როცა შენს გარშემო ნუგეშისმცემლები
 არიან და შენ კი მაინც სულ მარტო ხარ; რა სა-
 ოცრად ამძივებს გულს ანგვარი სიმარტოვე, უსა-
 სრულობამდე გამოცარიელებული და უნუგეშო,
 ბგერებით მოსული შეგრძნება იმისა, რომ ღკ-
 რვე შენთვის ძვირფასი, ახლობელი, შენი საკუ-

კალური საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის რამდენადმე შეუმჩნეველიც კი დარჩა. კომკურსზე პრემირებულმა ნაწარმოებებმა (კანტატა „სამიჯნური სტროფები“ თ. რუსთაველის მიხედვით, ორატორია „ჯონ რიდი“ გ. ტაბიძის მიხედვით, პრელუდია პასტორალი ბავშვთა გუნდისთვის და სხვა) მას მხოლოდ ნიჭიერი, პერსპექტიული კომპოზიტორის სახელი მოუტანა. კვარტლის შესრულების შემდეგ მოხდა „ამლოჩენა“, რომ „ფშური ნატირილებს“ ავტორს საკუთარი ხედვა და მსატერული სახეების მიმართ საკუთარი პროფესიული მიდგომა გააჩინა. რასაკვირველია, ამ „ადმიოჩენაში“, „ბრალი“ ავტორსაც მიუძღვის. კვარტეტში მან უფრო სრულყოფილად გამოავლინა ინდივიდუალური თვისებები მეტი სიღრმით გამოკვეთა აზრობრივი დონე და ემოციის ხარისხი, ხოლო თვით გლოვას პრობლემის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება საინტერესოდ გადაწყვიტა.

ამაღლებულ მუსიკალ ქვეყლი გლოვა ნაირგაორგვანია. დათვლით ტირილის სოლო ხმოვანებიდან მძლავრ საკუნდი ზარანდე, სიმღერით დატრებიდან გლოვის საგმირო რიტუალამდე, სასოწარკვეთილი ვაგებიდან რეკვიემამდე. განცდათა ამ თავისებურ ვაშაში შეიძლება გავიხსენოთ ისეთი კონტრასტებიც, როგორცაა თუშ მამაკაცთა მიითქმე — „დალა“ და სტრავენსკის „საქოჩრილოში“ დედაკაცის დატირება, რიკოლტის თუ დონკოტის ქვითინი, იურილის, ოტეხის თუ ჯამბაზ კანიის ცრემლები... და ზინ მოსოვლის ქვეყნად კიდევ რამდენნაირი ცრემლი არსებობს. „ფშური ნატირილები“ განცდათა კიდევ ერთი ახალი ტონია.

ქართულ დატირებაში არსებობს რაღაც თავისებური და განუყოფელი. ქართველ კაცს არ უყვარს წუწნა და თითქოს საკუთარი ცრემლისაც კი ვრიდება, ამიტომ მის დატირებაში არის რაღაც უთქმელი, თავდაჭერილი და გმირულიც კი. ტირილში და გლოვაში საკუთარ მწუხარებას ამოფარებულ ქართველს მოგონებებზე, მსგავსების ასოციაციებზე ან გმირულ რიტუალზე გადაბქინდა განცდათა სიმძაფრე... „გაოჭრდა ცელი, საფარსხველი, თორბეტის მითბლის სასოფინი!“... გვეხმის ხმით ნატირალში... „შენ იარალთ ვინ მოუვლის, დელო, ან იარალთ რას უზამ, დედოცის ვჭირავ, ვის მიბაარებ, დედო... გვეხმის დათვისლა-ტირილიში... „დალა თქვით დალა მხედარებო... ლაშქარს გვიცხვენ სწორეთო“ — გუგუშების თუშური „დალა“... „უძღებ შეილო, უძღებ! — რას იზამ, დამწვარი, უნდა გაუძლო!“² გვეხმის დიალოგი კახურ ზარში და გვიკვირს საიდან მოდის ასეთი ძლიერება სულისა.

სვანური ზარი? ეს ხომ სვანეთის მთებიგაოა ზვიადა, ძლიერი. როგორ გულის სიღრმეში გვიწვდება ძახილით ტირილის უპირესად ემოციური რეჩიტატივი, რა თვითმყოფადი და თავშეკავე-

ბულია „მუსიკალ დაღვირილი“ ფშური ცრემლი სწორედ ფშური მელიორის პლასტიკურად დაპარმონიული კოლორიტი იქცა ახალგაზრდა კომპოზიტორის შთაგონების წყაროდ, საერთოდ, კი „ფშური ნატირილები“ კვარტეტში განზოგადებული სასიამოთაა და ქართული გლოვის მჭკრე სანტერესო, ავტორისეულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

ბაკურაძის კვარტეტში გამოყენებული სტერეოფონური ეფექტი საკონცერტო ესტრადის კუთხეებში შემოქმედებების ერთმანეთისაგან დაცილებულმა განლაგებამ ხმოვანება მოცულობით, თმცა რამდენადმე „გაბნეული“ გახადა. კვარტეტში, საკომპოზიციო ტექნიკის თვალსაზრისით, სტერეოფონია ბოლომდე არ არის მიყვანილი.

კერძოდ, საერთო დრამატურგის შიდა დინამიკა არ არის აგებული სიმეტრიულ, სარკისებრ, მებრუნებითი ფაქტურებისა და დინამიური ექოების პრინციპით. ასევე არ არის გამოყენებული „ბგერების ნოტიარობის“ აკუსტიკური ეფექტები და სხვა, მაგრამ მიღებული ხმოვანების „მოცულობითი“ ელვრადობა სრულიად საკამრისბია სახგლოვიარო რიტუალის კოლორიტის გასაღამავე მზად-გლოვის განწყობა ავტორის მიერ დიდი გულწრფელობით არის გადმოცემული. იგი მუსიკალური განვითარების პროცესის წარმმართველია.

ფორმის მხრივ კვარტეტს საინაწილიანია, ნაწილია მასშტაბები დისპროპორციულია — პირველი თითქმის ორჯერ აღმეტება მესამეს, ხოლო მეორე მეორედ აღმეტება პირველს. ამგვარ დისპროპორციას სადავო, მაგრამ კომპოზიციურად საინტერესო გააზრება გააჩნია. ჩვეულებრივად სამნაწილიან ფორმებში მუსაშე ნაწილი პირველის განმეორებას ან ნაირსახეობას წარმოადგენს. უფრო იშვიათად სრულიად განსხვავებულიც გვხვდება. აქ არც ერთი შემოხვევაა და არც მეორე.

პირველი და მესამე ნაწილი წარმოადგენილია როგორც ერთი მთლიანობა, რადგან მესამე პირველის უშუალო გაგრძელებაა. მასშტაბითაც ერთად აღებულ პირველი და მესამე ნაწილი უახლოვდება მეორეს. ფორმის თავისებურებას მდგრადობის იმაში, რომ ეს ერთი მთლიანი ნაწილი „გადაწყვეტილია“ მეორე დიდი ნაწილით, რის გამოც პირველი იქცა „შეწყვეტილ“ ექსპოზიციურ და „დარჩენილ“ დამამთავრებელ ნაწილებად, მეორე კი იქცა შუა ნაწილად და ამავ დროს საერთო დრამატურგის ცენტრად. პირველ ნაწილში სჭარბობს ფაქტურული მუსიკა. ბგერათა ერთგვაროვანი შეფარდება მრავალსმიან ბგერობებში ქმნის მონოტონურ ატაკტიკას, რომელსაც პერიოდულად არღვევს მელიოდური ორნამენტის, თუ მოტივური თემატიკის ემოციური აფეთქებები. ეს აფეთქებანი მცირე ძალისა და მოკლე დროისანი არიან, რის გამოც (დავიწყებამდე) ითქიფებიან ფაქტურათა ცვლად ნაკადში.



ამ ნაწილში კარგად არის მიხეტილი ქართული გლოვისთვის დამახასიათებელი თავდაჭერილობა... „გულს მამაწა ვარამი, რო ნაგუბარი წყალოი. გამაგრდი გული, გუნვაზე, როგორც მყინვარი სალიო!“¹ უთქმელი გლოვა და წიმიდარი ტირილი თავდაჭერილობასა და სულიერი სიმტიცივის სიღრმეშია ჩაკარგული. აღზნებული ემოციის პერიოდული აღძვრა ამ უაღრესად მკაცრ, თავდაჭერილ განწყობილებაში მხოლოდ და მხოლოდ განცდის სიძლიერეზე მეტყველებს. ექსპოზიციური ნაწილის ფაქტურათა აირისხა და სახეობა რამდენადმე ჭრელია, ამიტომ მუსიკის ემოციური დონეც მერყევია, ამავე მიზნით ფაქტურათა თანმიმდევრობის ჯაჭვი ზოგჯერ ცუხურათა „მოუსუნებობს“² დაძლევის მოითხოვს. საერთოდ მთელი I ნაწილი გახანგრძლივებულ შობაგქდილებას ტოვებს, თუმცა მისი სადავო მასტიბი ემოციურ კატეგორიას უფრო მიეკუთვნება ვიდრე კონსტრუქციულს. კიდევ უფრო სადავია მეორე ნაწილის მოცულობა და განსაკუთრებით კი მეორე ნაწილის შემადგენელ ნაგებობათა განმეორებები (da capo).

აქ მუსიკა მარტოოდენ ბგერებით გამოცემული ემოცია კი არაა, იგი „ბგერებით შედგენილი“ დამხმებელი აზრიცაა. განცდათა გამობატვა ინტონირების ისეთი მეტყველი ფორმი: ხდება და ტრაგიკულ მოტივთა ჯაჭვი ისე ჯიუტად მეორდება, რომ მსმენელში იწყებს სუბიექტურ ასოციაციათა შეგრძნებებს. შეგრძნებები ციხლდებიან... და ...გოდებად ქვეული თოხი ინსტრუმენტი აკვებს განცდას დაუბრუნებელისას ცრემლგამშალი მწუხარება... სიმარტოვე რაღაც უსასრულობამდე გამოცარელებული, უნუგეშო... და სამგლოვიარო პროცესის მონოტონობა გლოვის ფიზიკურ შეგრძნებადმეა მიყვანილი. მშრალ ფაქტურათა პარმინიულობა და პლასტიკური გადახველება, რბილი ცუხურები და პოლიფაქტურებში გატარებულ მელოდიურ მოტივთა რემინისცენციების ერთგვარონება „მისაწყენობის“ დაღს ასვას მეორე ნაწილის დამატურგიას. ახალგაზრდა კომპოზიტორის წინაშე ამ ნაწილის მიმართ რთული პრობლემა იდგა. ან ემოციური მუსიკა მელიდისმიითა და შეკრული ფორმით, ან გაზვიადებული ფორმა დათვლით ტირილთან მიახლოებული რეტიკატიული სიმშრალით, სიმკაცრითა და მონოტონობით. კომპოზიტორმა მეორე კადწყვეტილება მიიღო, თითქოს და განცდის სილაზაზეს აზრის სიმძიმე არჩია. ამის გამო მეორე ნაწილმა ფორმის სისხარტე დაჰკარგა, მაგრამ ტრაგიკულს რიტუალური თვისობრიობა შეიძინა უსასრულო და შემზარავი განსა მწუხარება. ცრემლი კი მწუხარებას ნუგემივით ჰყავს. უფრო მეტიც, ცრემლი ძალაგამოცილი მწუხარებაა. ალბათ ამიტომ კვარტეტის დასკენით, მესამე ნაწილში გულიდან ამონახტეტი სევდიანი ემოცია უწყვეტ მუსიკალურ ტალღებად მიედინება დასა-

სრულამდე: „მუშტით რას უქმ ურჯულოთა... გააბრუნე, ვეღარ დავაბრუნე, ვეგები ჩოხის ბოღმე შედა... არა ვარ შენი მოვალე, ნუ მიღალტის ჩემ წერამა (მა)“³. ფუნჯის მიოქმასავით ამძინებს გულს ბგერებად მოსული შეგრძნება იმი-სა, რომ დაჰკარგე შენი საკუთარი სულის ნაწილი-სვევით დამხმებულ ბოლო სიმები. ხმოვანება დუნდება, დაბლა იწვეს და ისინი უკანასკნელი მოთქმა. ჩელოს სოლო-მელოდია მამაკაცის დატირებასავით ჩუმი და გულში ჩამწვდობია. მელოდის იმპროვიზაციული კარგა აგებულებათა შემცირებით თანმიმდევრობაშია გადაწყვეტილი. ნელი ტემპისა და თავისუფალ ცუხურათა გამო ნაგებობათა შემცირებით თანმიმდევრობა ხმოვანების დაშორების ეფექტს ჰქმნის. წინა ნაწილთან შედარებით მესამე ნაწილი დამატურგეილად უფრო მარტივად არის გადაწყვეტილი, მიუხედავად ამისა, მისი ემოციური ღირსება იმდენად მაღალია, რომ იგი მათვე შობაგქდავი ხდება. ამას ხელს უწყობს შედარებითი დახვეწილობა ფორმის მხრივაც... გოდებად ქვეული თოხი ინსტრუმენტი, განცდა დაუბრუნებელისა—ეს ის სფეროა, რომელიც ექოდენ კარგად შეიგრძნო თ. ბაკურაძემ. „ფშური ნატურილები“ ავტორის შემოქმედებით გამარჯვება. მისი სახით ქართულ საკვარტეტო ხელოვნებას კიდევ ერთი სამსტერესო ნაწარმოები შეემატა.

შ ე ნ ა წ ე ნ ა ბ ა :

- 1 „ხალხური სიბრძნე“, ტ. IV, ხალხური პოეზია შემდ. ქ. სიხარულიძე, გამომც. „ნაკადული“ 1965 წ.
- 2 გრ. ჩხიკაძე, „ქართული ხალხური სიმღერა“, ტ. 1. 1965 წ.
- 3 „ხალხური სიბრძნე“ ტ. IV, ხალხური პოეზია, შემდ. ქ. სიხარულიძე, გამომც. „ნაკადული“ 1965 წ.
- 4 პრუფესორ გრეგორ ჩხიკაძის მიერ შეკრებილი ხალხური სიმღერების პირადი ჩანაწერებიდან.



დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

ნანა
კიკნაძე

ჩვეულებრივ, სურათების გალერეის შუა დარბაზი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს დაეთმობა. გამოყენებაზე შესვლისთანავე დამთავლებული ენობა მასალაში განხორციელებულ ნაწარმოებებს. ეს არის ქეჩა, მინა, გობელენი, კერამიკა, ბატკი, მინანქარი, ჭედურობა. თუმცა ექსპოზიცია ნამუშევრების სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ მათი მრავალდარგოვნება, მრავალხმიანობა, თვით მასალების ნაირგვარობა ქმნის ერთიან ხალისიან ტონს, რომელიც, იქნებ მთელ ამ საშემოდგომო გამოფენის საერთო განწყობასაც კი განაპირობებს.

საგამოფენო დარბაზების ფართობის სიმცირის გამო ჩვენთან ჯერ ვერ მოხერხდა გამოყენებითი ხელოვნების ერთიანი აკადემიური ხასიათის გამოფენის მოწყობა. ფართო საზოგადოებრიობა ჯერონად არც იცნობს ამ დარგის მონაპოვრებს, არ გაუდევნებია თვლი მისი განვითარების ეტაპებისთვის. საშემოდგომო გამოფენაზეც იგი ერთგვარი ჩართული ფრაგმენტია, დეკორატიული ელემენტი. ამიტომ, ხშირად, მხახვლიც სწორედ ამგვარი პოზიციიდან აფასებს მას. ასეთ ვითარებაში კი გამოყენებითი ხელოვნების ქმნილებანი კარგავენ ბევრ თავის მხატვრულ ღირსებას და მათი დანიშნულება მხოლოდ მორთულობით განისაზღვრება. ეს უთუოდ სინანულის გრძობას ბადებს, რამდენადაც გამოყენებითი ხელოვნება ისეთივე განუყოფელი ნაწილია ერის კულტურისა, ეპოქისა და მას ისევე აკისრია დიდი მხატვრული ამოცანები, როგორც ხელოვნების სხვა დარგს.

გამოყენებითი ხელოვნების ენა და ხერხები განსხვავებულია. იგი მეტყველებს აბსტრაქტიზებული, სტილიზებული სახეებით. ემოციური გამოხატულებლობა, პროპორცია, მასალის სპეციფიკურობა, ნითვის პრაქტიკული მოხმარების შესაძლებლობა — ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს მხატვარმა.

დღევანდლობის მოთხოვნებმა განსაკუთრებით ფართო შემოქმედებითი ასპარეზი გადაუშალა ამ დარგის მხატვრებს. გამოყენებითი ხელოვნებასთან კონტაქტში არტიტექტურა უფრო მ:თელ ეროვნულ იერს იძენს, შენობათა ინტერიერები — და-

სრულბულ და მყუდრო ხასიათს. გავიხსენოთ ა. გორგაძის მიერ შესრულებული ჭედური კარა სასტუმრო „ივერიაში“; ამავე „ივერის“ შიდა ეზოს კერამიკული პანო, რესტორან „გრემის“ თიხის ფარდავები, რესტორან „არაგვის“ ჭედური თევშები, მაღაზია „ციცინათელას“ კერამიკული პანოები და ბევრი სხვა. მემკვიდრეობა, ტრადიცია არსად ისე არ ვლინდება, როგორც გამოყენებით ხელოვნებაში. მაგრამ ეს განმეორება, ან ბრმა მიბაძვა როდია. ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული დღევანდელი ქართული დეკორატიული ხელოვნება, ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე თანადროული, პროგრესული ხელოვნებაა, რომელიც ცოცხლად და ასახული ეპოქა. ამიტომაც გაითქვა ასე შორს სახელი და სწორედ ამიტომ მის მიზაპოვარს ახლა უკვე ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა კუთხეში შესვლებით. ქართული კერამიკა, გობელენი მაღალ ხელოვნებადაა აღიარებული.

მართალია, საშემოდგომო გამოფენამ ამჯერადაც სათანადოდ ვერ წარმოადგინა გამოყენებითი ხელოვნება, მაგრამ ექსპოზიცია მაინც დიდ ინტერესს იწვევდა. გამოფენილი იყო ნამუშევრები ახალ დარგებში, როგორცაა მხატვრული მინა, მინანქარი, ბატკი და სხვა, და, რაც მთავარია, გამოვლინდნენ ახალგაზრდა შემოქმედი ძალები. ვარდა ორა-სამი მხატვრისა, უმრავლესობა სრულიად ახალგაზრდაა და ისინი პირველად წარსდგნენ საზოგადოებრივი მასშტაბის წინაშე (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღირსეულადაც წარსდგნენ). დღეობულები არიან, მაგალითად, მინის დარგის მხატვრები — მ.პ.ლიქიძეძევი, გ. ჩიღნაძე, ნ. სკრინიკოვა, რ. ფერაძე, ჯ. კარეკი, დ. ჭეიშვილი, რომლებიც უკვე საკუთარ მხატვრულ თვალთახედვას ავლენენ.

მ. მელიქიძეძევის მასიური, მომწვანო-მოლურჯო გამაში შესრულებული ბოთლები გვიხიდავს პლასტიკურობით, მასალის ცოდნით, მინის მხატვრული შესაძლებლობების ძიებით.

ე. ჩიღნაძის მიერ ნარინჯისფერ მინაში შესრულებული სერვიზი ხასიათდება სუფთა, დახვეწილი ფორმებით, სისადავით. მათში მხატვრული აქცენტები გადატანილია მინის თვისებაზე — მის გამჭვირვალობაზე. თვითმყოფადია რ. ფერა-



ძის სერვიზიც. თანამედროვე სადა ფორმაში მხატვარი ავლენს მასალის სიღამაზეს. დოქა და ჭიქეზე ირგვლივ ფაქიზად შემოვლებული რელიეფური „დაკეპნილი“ ზოლი ნაკეთობით ერთადერთ დეკორს წარმოადგენს. ეს კარგად მოძებნილი დეტალი ასოციაციას იწვევს თიხის ხალხურ ჭურჭელთან, სადაც ვსდებ ხშირია ნაკეთობის შემორკალვა „დაკეპნილი“ ზოლით.

ჯ. კარეციც ძუნწად იყენებს მხატვრულ ხერხებს. მისი ძიებანიც მინის გამჭვირვალობასა და ფორმის მხატვრული ფუქტების შექმნაზე გამახვილებული. დ. ჭეიშვილის ბროლის სადა, სფერული ფორმის ლანკის ზედაპირი გაცოცხლებულია ღრმა დარბეით შემქნილი ორნამენტის ელვარებით. ახალგაზრდა მხატვარი ნ. სკრინიკოვა პრიფესიულ მრავალმხრივობას ამჟღავნებს. მისი მინის მასიური დეკორატიული ლანკები დანამაკური სილუეტით დეკორატიულ ქანდაკებას ჩამოგავს. იგივე სკრინიკოვა ქმნის ნატურმორტს ბატყის ტექნიკით, ხოლო მხატვარ ც. მამუაშვილიან ერთად — ქქქსა.

გამოფენაზე გამოტანილი მინის ექსპონატები ყველა თვითმყოფადია, როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე მასალისა და ტექნოლოგიური ხერხების გამოყენების მხრივაც. ეს კი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები.

დღეი ხანი არ არის, რაც მხატვრული მინის დარგში ოსტატთა მომზადება დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (და უკვე რამდენიმე გამოფენა განხორციელდა). მართალია, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები მასალაში შესრულებულია ჩვენი რესპუბლიკის გარეთ (ჯერჯერობით არ გავაჩინა საამისოდ აღჭურვილი ბაზა), ისინი ნათელ ეროვნულ ხასიათს ატარებენ. იგრძნობა თავისებური ესტაფეტა — გამოყენებითი ხელოვნების სხვა, უფრო „ხანდაზმული“ დარგების მიერ შემუშავებული და ჩამოყალიბებული ეროვნული პრინციპების, სტილის, რეპერტუარის გაჩიარება. მინის მხატვრული ნაწარმის სახის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა კერამიკამ, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილმა და მხატვრულად ჩამოყალიბებულმა დარგმა. ეს გავლენა ჩანს როგორც ფორმების ხასიათში, ისე ორნამენტში და თემატიკაშიც. დღევანდელ ეტაპზე ამგვარი მსგავსება უთუოდ გამართლებულია, ხოლო რაც შეეხება შემდგომ განვითარებას, იგი, რასაკვირველია, უფრო დამოუკიდებელი გზით უნდა წარიმართოს. საამისოდ ჩვენი არსებობს მდიდარი ისტორიული ნიადაგი, მაღალმხატვრული არქეოლოგიური მასალა (საქართველო ხოც ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა მინის წარმოებაში) და ფართო მოთხოვნობაც მონუმენტური ხელოვნების სხვადასხვა სახეობებზე, როგორცაა მოხაიკა, ვიტრაჟი. მაგრამ, სამწუხაროდ, მინის დარგის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენში არ

არის პირობები, არ გავაჩინა არც ერთი ისეთი ბაზა, საწარმო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა რესპუბლიკის მხატვრული მომუშაველნი მუშაობა. ეს შესაძლებლობა დღეს მხოლოდ აკადემიის სტუდენტებს აქვთ (ისიც, ქარხნებთან დადებული ხელშეკრულებების სახით). ასე რომ, ერთი მხრივ, მოწმენი ვართ მინის ახალი მაღალმხატვრული ხელოვნების დაბადებისა, მეორე მხრივ, მისი განვითარების შეფერხებისა და იქნებ ჩაქრობისაც კი.

გამოფენაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი მხატვრული ქსოვილიც. ეს უკვე შეტყვევებს თანამედროვე მოთხოვნებზე. ხალიჩამ, ქქქამ, ბატყკმა და განსაკუთრებით ზოლივინამ დღეს ყველაგან მტყიცედ მოიკიდა ფეხი, ახლა გობელენი არა მარტო კედლის ინსაგულია, მან სივრცეშიც გადანიაცვლა და ინტერიერის ორგანიზატორად იქცა: კლასიკურ, სიმბოლურივით გობელენთან, ფარდავანთან, ხალიჩასა და ქქქასთან ერთად უზუგდებით სრულიად სხვაგვარ — სივრცობრივ, მოცულობით გობელენებს, რაიდებთან, კარკასთან, ინტერსტრუქტურულ ნაკეთობას. მინის ოსტატებთან შედარებით, ამ დარგის მხატვრები თითქმის უფრო ნაკლებ სიძნელეებს უნდა განიცდიდნენ (მათ არ ესაჭიროებათ წარმოება, დუნელები), მაგრამ აქვე დაახლოებით იგივე არასახარბიელო მდგომარეობაა: არც სახელოვნობა, არც ნედლეული (მასლის ძაფი, მუცკლი, საღებავები). ისტორიული მასალა კი უღელსა შემოქმედებითი შიაკონებისათვის. ასეთ ვითარებაში ამ დარგს, რომელმაც სახელი გაითქვა მიუღის კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც, გაუნელებლბა მაღალი მხატვრული ღონის შენარუნება, გაუჭირდება ღირსეულად განავითაროს „გობელენის ქართული სკოლა“, როგორც მას უკვე სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან კომპოზიციური სიხალით სანტერესოა მ. ამირჯიბის ქქქა „შემოდგომა“. ფერი, ფორმა, გამოსასულებები, მასალა ყველგობრივ ამართლებს ამ სახელწოდებას. განსაკუთრებით ორიგინალურია ქქქის ფორმა. იგი გაშლილ ხუფიანს ჩამოგავს და ორი ფრაგმენტისგან — მზისა და სიუხვის სიმბოლურად ამასხელი ნაწილისაგან შესდგება. მათ ერთმანეთთან აკავშირებს ყაისნადით ნაქსოვი ფერად ზოლები. ფაქტურის, ფორმის, ფერის, მასალის ურთიერთდაპირისპირება წარმოქმნის მათ აქცენტრირებს და მეტ გამოშატველობას ანიჭებს ქქქსა.

ერთ მთლიან ჟღერად ლაქად იკითხება გ. თეფსაძის ქქქა. ღია ყოყული ფერის წონზე დინამიკური, კლასიკული მუქი ზოლი ცოცხალ, ხალისიან შეგრძენებას ბადებს.

გობელენის ხელოვნება ამჯერად ორი ავტორითაა წარმოდგენილი — თ. კლდიაშვილის და მ. გიორგაძის ნამუშევრებით. ისინი ყვრდნობიან ტრადიციული გობელენის პრინციპებს. მიუხე-



რ. ჯავრიშვილი.
გ. კულიაშვილი.
ა. კაკაბაძე.
დ. დუნდუა.

ძველი თბილისი.
ზახუხელი.
სეკანეთი.
მთათუშეთი.

დავად ვრთი აკოლისა, თითოეულ მხატვარს საკუთარი ხელწერა გააჩნია. თ. კლიაშვილს იტაცებს ფერთა რბილი გადასვლები, საერთო რბილი ტონი, არა მკაფიო, მაგრამ პლასტიკურობით სახეს მოქნილი ხაზი (გობელენი „სამი ქალი“); მ. გიორგაძეს კი პირიქით, იზიდავს მკვეთრი, სუფთა ფერი, ნათელი გამოსახულება. გობელენ „წითელ ხარში“ საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება მუქ ფონზე (ასეთი პუქი ფონი სახა-აიათაა დიდა ფრანგი მხატვრის ლუსას გობელენებისათვის), რომელშიც ჩართულია მკვეთრი ღია მწვანე, ყვიყვილი, წითელი, ოქროსფერი და თეთრი. ყოველივე ეს მკაფიო დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს მას.

უფრო მრავალრიცხოვანა ბატიკის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები. ასეთია ა. იმერლიშვილის „მწვემი“. თბილ მწვანე ფონზე ადამიანისა და ცხენის ყვიყვირი ფიგურა ერთიანდება ხშირი, შავი, ტესტილი ხაზების ქსელით. გამოსახულების ხასიათში აშკარად იგრძნობა მსგავსება ძველ ქართულ ფრესკულ მხატვრობასთან.


ც. მამუჩაშვილს, გარდა ქერისა, ბატიკშიც უკ-დაა ბუდი. მისი „დეკორატიულა სოტივი“ კარგად ემთხვევა თვით მასალის შესაძლებლობებს ნივარისა და წრეების რთული, დინამიკური ხლართი ერთიან ექსპრესიულ სურათს ქმნის, წინააღმდეგ მისივე ქერისა, სადაც დეკორის ორგა-

ნიზაცია, პირიქით, ფარდავის გეომეტრიულ ორნამენტს გვაფიქნებს.

სულ სხვა ხასიათისა ნ. მონცილიძის ბატიკი ორივე ნამუშევარში („ნატურმორტი“ და „შვიდეკაცა“) წამყვან ხერხად გვევლინება გამოსახულებათა ფორმების გეომეტრიზმი, კონტურის ხაზის გამოკვეთა, რიტმი, რაც ერთგვარ მონუმენტურ იერს აძლევს ნამუშევარს. ეს განსაკუთრებით ეხება „შვიდეკაცას“.

ქართული მინანქრის ხელოვნება, შეიძლება ითქვას, ახალ კვალს ჭრის. ამ დარგის ოსტატების წინაშე რთული და საპატიო ამოცანა დგას. ძველი ქართული მინანქრის უბაღლო ნიმუშები ხომ საყოველთაოდაა აღიარებული! რა გზით უნდა წარიმართოს ახალი ქართული მინანქრის ხელოვნება? თავის დროზე ასეთივე ამოცანის წინაშე იდგა ქართული ჭედური ხელოვნებაც. დღეს უკვე ნათელია, რომ იგი ისწორი გზით წავიდა. ქართული და თანამედროვე თავისი შინაარსით, სულისკვეთებით, სახეებით იგი ყველასათვის გასაგები გახდა. გამოფენაზე წარმოდგენილი ორი ნამუშევარი გვაფიქრებინებს, რომ თანამედროვე ქართული მინანქრის განვითარება, ამ თვალსაზრისით, ჭედური ხელოვნების გზით წარიმართება.

ნ. თითილაშვილს ეკუთვნის მცირე ზომის მინანქარი „დედობა“. მხატვარი სულ სამიოდ წელია, რაც ამ დარგში მუშაობს, მაგრამ მისი სა-



ხით ქართულმა გამოყენებითმა ხელოვნებამ ნამდვილად კვალიფიციური, ფაქიზი ხელის და გემოვნების მქონე ოსტატი შეიძინა. „დედობა“ გამსჭვალულია სინაზით, ფერთა სიმშვიდით, აღსავსეა იმ განუმეორებელი მომხიბვლელობით, რაც ნიჭისა და ტრადიციის შემოქმედებითი გამოყენების შედეგია ხოლმე. კომპოზიცია, რომელშიც ტიხარაინი მინანქრის რთული ტექნიკაა გამოყენებული, შეიცავს ორ ნაწილს: საკუთრივ გამოსახულებას და ჩარჩოს, რითაც ასოციაციას იწვევს ისტორიულ მასალასთან. ხოლო რაც შეეხება თვით გამოსახულებას, იგი თავისუფლად, ცოცხლად, თანამედროვე მიდგომითაა შესრულებული.

განსხვავებულია მ. ავსაჯანიშვილის შემოქმედება. ისიც ახალგაზრდა მხატვარია და თავისი ხელოვნებით იმ გზას კვლავს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მინანქრით ფერწერა. მისი „ქალის ტორსი“ თამამი ცდაა როგორც მხატვრული, იე ტექნოლოგიური თვალსაზრისით. აქ ტრადიციული ტიხრული მინანქრით შეცვლილია ლითონზე თავისუფალი ფერწერით. ფერები ერთმანეთში იღვრება, ჩნდება გადასვლათა ნიუანსები. ესკიზურობა, უშუალობა კიდევ უფრო თბილს და ჩრმობილვებს ხდის მინანქარს. გ. ავსაჯანიშვილის ამ ნაწარმოებში ჩანს შედეგი მინანქრის ოსტატებთან საერთაშორისო შემოქმედებაზე შეხვედრისა,

რომელიც პირველად საბჭოთა კავშირში ქ. თბილისში მოეწყო 1973 წლის შემოდგომაზე (გამოყენებითი ხელოვნების სექციის ინიციატივით). მხატვარი ამ შეხვედრის მონაწილე იყო და საშუალება მიეცა გაცნობოდა მინანქრის ოსტატთა — უნგრელი მხატვრების — მიხაი კატაის და დიულა ფაბოკის შემოქმედებით პრინციპებს სწორედ მათ სახელთანაა დაკავშირებული მინანქრით ფერწერა.

სამწუხაროდ, ჩვენში არ ჩანს პერსპექტივები ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ლითონის მხატვრული დამუშავება გამოყენაზე წარმოდგენილი იყო ჯ. ხუსუნაშვილის მოზრდილი პანთი „მთვარეანი ღამე“ და რ. გოცირიძის მიერ ზომის სურათით „რიტმი“. ჯ. ხუსუნაშვილის კომპოზიციაში ჩანს გამოსახულების ერთგვარი არქაიზაცია, კონტურის პლასტიკური დინების გამოკვეთა. აქ განათებაც გათვალისწინებულია: მაღალი რელიეფით და ღრმა ჩრდილით მხატვარი ხაზს უსვამს სპილენძის ელვარებას, მკაფიოდ გამოკვეთს ნახატს.

რ. გოცირიძის ჭედურ ფურცელზე გამოსახულებები ამოყვანილია მცირე ბურთულების საშუალებით. ყურადღებას იქცევს თვით ჭედვის მანერა (ასეთი ტექნიკა გვგვრებს მოქნდაკე ა. გორგაძის სახასიათო ჭედვას). პანო მოითხოვს ხანგრძლივ და ყურადღებან შეზრას, ჯ. ხუსუნაშვი-



ნ. მონცელიძე. შვილკაცა (ბატაკი).
რ. ფერაძე, გ. ჩილუნაძე. მინის ჭურჭელი.



ლის ფართო, კრიალა ლაქებით გადაწყვეტილი გამოსახულებების საპირისპიროდ.

სამემოდგომო გამოფენაზე მეტი ადგილი დეთითი ახალ დარგებს, რის გამოც კერამიკა აღრინდელ ექსპოზიციებთან შედარებით მცირერიცხოვანადაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ექსპონატების შერჩევის პრინციპი შესაძლებელს ხდის წარმოდგენა ვიქონიით ამ დარგის ძანრებზე და დღევანდელ სახეზე.

დეკორატიული ქანდაკებაში აქვს ნამუშევარი გ. მირზოევის („მამალი“). ფორმების უტრირება, სტილიზაცია საფუძვლად უდევს გამოსახულების მხატვრული სახის შექმნას. ქანდაკება ყოველი მხრიდან საინტერესოდ აღიქმება.

შავად შებოლილი კერამიკის ტექნიკითაა შესრულებული მ. აბაშიძის და ლ. ყიფიანის დეკორატიული ლარნაკები. მხატვართა ყურადღება ძირითადად ფორმის ძიებაზეა გადატანილი. შავი ფერი ხაზს უსვანს როგორც ნაკეთობის სილუეტს, ასევე გამოკვეთს ფერადი ჭიქურით შექმნილ მოხატულობას.

ქართული კერამიკოსები უკვე კარგა ხანია (1966 წლიდან) ინტერესს იჩენენ სიუჟეტურ-ტიპაჟური ხასიათის ნაკეთობებისადმი. გავისხენით ამ ჯანრის პირველი ნამუშევრები — კომპლექტი „ქორწილი“, რომელშიც ანთროპომორფული კათხები შარეულად ასახიერებენ ნეფედელიფოსს და მიომღერლებს; მარანი „კინტო“, დოქი „დარეჯანი“, დეკორატიული ქანდაკებები — „მეზურნეები“, „კინტო“ და სხვ. ახალგაზრდა კერამიკოსი ნ. ალადაშვილი სწორედ ასეთი პრინციპით ქმნის თავის „მარანს“. ტრადიციული ტინჯილები აქ შეცვლილია ქალ-ვაჟის თავებით, რომლებიც სიმბოლურად უხვ მოსავალს წარმოსახავს. თეთრი და ფირუზისფერი ჭიქურები ხალისიან განწყობას ქმნის.

უფრო მრავალადაა თიხაში შესრულებული ნამუშევრები. შესაძლოა უფრო ამიტომაც ყურადღებას იქცევს ფაიფურის ერთადერთი ნაკეთობა. ეს არის ი. მამულაშვილის რელიეფი — „XIX საუკუნის ქალები“. ავტორი გატაცებულია ძველი თავისებური სამოსით, გრაციით, რის გადმოცემაც შეძლო ნაზი ფერებისა და ფაქიზი ძერწვის საშუალებით.

კერამიკაში ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა დეკორატიული თევზები. ეს ამ გამოფენაზე საგრძნობია. ელვარე, ხალისიანი ფერები, სტილიზებული ნახატი, სიუჟეტური გამოსახულებები დამახასიათებელია მათთვის. მ. ჯალალნიას „ჩრტი“ და „ფანტასტიკური ცხოველი“ ყურადღებას იზიდავს, პირველ ყოვლისა, ცოცხალი ფერების შეხამებით (ღია მწვანე ფონი, ფრინველის წითელი და ცხოველის იასამნისფერი გამოსახულებით), კომპოზიციური ტრადიციული დმანისური კერამიკისა და ბრინჯაოს ბალთების ახლებური ინტერპრეტაციით. რამდენიმე თევზში ნატურ-მორტიტაა მოხატული. ასეთია ვ. უსტახვილის

„თევზები“, ა. კინაძის „წითელი ბროწეული“, ო. ბენდელიანის „სტილიზებული ბროწეულები“ და სხვ. ო. ბენდელიანს საინტერესოდ აქვს გამოყენებული ჩამოღვენიანი ჭიკურების მხატვრული ეფექტი. ნაკეთობის ზედაპირზე წარმოიქმნება ფერთა ნიუანსების სიმდიდრე.

ამგვარივე ხერხით აღწევს გ. ტატულოვი თევზის დეკორირებას. ნატურმორტი, შესრულების მანერის და ტექნიკის მიუხედავად, თევზის ორგანული ნაწილია, სადაც თვით ფორმა და მოხაზულობა მონაწილეობს კომპოზიციის აგებაში.

კიდევ ერთი დარგი იცვება ყურადღებას გამოიყენებს. ეს არის მიქანდაკე გ. მიქაძის მცირე ზომის რელიეფი — მედალიონები. დიდი გულისყურითაა შესრულებული კომპოზიციები „შრომა“, „რთველი“, „დეკორატიული მოტივი“. თითოეულს მოძებნილი აქვს შესატყვისი ფერი. „რთველისადვის“ შერჩეულია ხალისიანი, ღია წითელი ტონი, „შრომისათვის“ მშვიდი, მუქი, რუხი ტონალობა.

ამ დარგის მდგომარეობა და მისი განვითარების შემდგომი პერსპექტივების შესახებ მსჯელო-

ბა კვლავ სამწუხაროდ დასკვნამდე მიგვიყვანს. საქმე იმაშია, რომ გამოიყენაზე ნამუშევრების მხოლოდ მთავრების მცირე ნაწილია და ყველა ეს ნამუშევარი (შებოლილი ტექნიკით შესრულებული გარდა) შექმნილია ჩვენს რესპუბლიკის გარეთ — რუსეთის, უკრაინის და ბალტიისპირეთის ბაზეზე. ეს ფაქტი უკვე თავისთავად მეტყველებს მხატვარ-კერამიკოსთა მიმზე მდგომარეობაზე. მათ არ აქვთ ექსპერიმენტის, ძიების, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და, რაც საერთოდ ძნელი წარმოსადგენია, საკუთარი ჩანაფიქრის მასალაში განხორციელების შესაძლებლობა. აქ უკვე აღარაფერს ვაზნობ კერამიკის ისეთ, დღეისათვის გაფრცხვლებულ დარგზე, როგორცაა კერამიკული პანო, მოზაიკა, დეკორატიული ქანდაკება და სხვა.

ქართულმა გამოყენებითმა ხელოვნებამ გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა საბჭოთა ხელოვნებაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ქედურობაზე, კერამიკაზე და გიბოტენის ხელოვნებაზე. ასეთი წარმატება განაპირობა მხატვრული მხედრობის სწორმა გაგებამ, ტრადიციის გონივრულმა გამოყენებამ, ცხოვრების მოთხოვნილებებმა. ეს მოთხოვნები, პრობლემები დღითიდღე იზრდება, იცვლება, რთულდება. მათ დროული გადაწყვეტა ჭირდებათ. დღეს კი ჩვენს ხელოვნებას დასწავლების ნიშნები დადიტყო და ეს შემოფოთების გრძნობის ბადება.

ქართული გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ოსტატთა მაღალი შესაძლებლობანი უფრო ეფექტურად და სრულყოფილად უნდა გამოიყენოს რესპუბლიკამ, არქიტექტურაში იქნება ეს თუ საბაღო-საპარკო ხელოვნებაში, ქარხნებსა და წარმოებებში.

დაბოლოს, აუცილებელია შემოქმედებისათვის საქართველოს პირობების შექმნა, ისეთი პირობებისა, როგორც სხვა რესპუბლიკებშია შექმნილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ჩვენი გამოყენებით ხელოვნება წინსვლას და იმ სახელის შენარჩუნებას, რაც აქამდე შემოქმედებითი შრომით მოიპოვა.

თ. კლდიაშვილი.

სამი ქალი (გობელენი).





გვიანეოლალური ხანის

ქართული

ოქრომჭედლოგის ქარა

(ლეილა ხუსკივიამი, „ლევან დადიანის საოქრომჭედლო სხემლონსო“, გამოცემოვა „მცნიერბა“, 1974, რამაბ-ბორი გიორგი ჩუხინაშვილი.

კიტი მარაბელი

შსა საუკუნეების ქართულმა ჭედლობამ ქარა ხანია ღრსეული ადგილი დაიმკვიღრა მსუფლოელო ხელოვნების ისტორიაში. მისი საყოველოღო მნიშვნელობა არება მაღალი მხატვრული ღირსებებითაა გაპირობებული. დღემდე მემონახული ჭედლური ხელოვნების ძეგლები წარმოგვიდგენენ ამ დარგის განვითარების რთულსა და მეტად თავისებურ გზას. ძეგლთა მხატვრული ღირსეობა ყოველთვის ერთნაირი არ არის, მაგრამ ერთი რამ მუდამ უცვლელია—ქართული ჭედლობა მისი არსებობის მთელ მანძილზე ვითარდება საკუთარ ერთნულ ნიადაგზე, საზრდობს ადგილობრივი ტრადიციებით: ამდენად, ყოველი ეტაპი ერთნაირად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული ხელოვნების ზოგადი ისტორიისათვის. XVII საუკუნე შედარებით ნაკლებ შესწავლილი ეპოქაა ქართულ ხელოვნებაში და, ამდენად, ნაშრომის გამოქვეყნება ამ პერიოდის ქართული ოქრომჭედლობის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანდ მიგვანჩნია. ლეილა ხუსკივიამის ნაშრომმა „ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო“ გადაგვიშალა გვიანფეოდალური ხანის ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი დარგის—ოქრომჭედლობის განვითარების სრული სურათი.

შრომა მოიცავს საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთს—XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოთხ ათეულ წელმდე. ამ პერიოდის ოქრომჭედლობის ძეგლები საზღვრელოს მთავრის ლევან დადიანის სახელთანაა დაკავშირებული, ძეგლთა კვლევაც ამ მსუფოთავრე ეპოქის ისტორიულ ვითარებათა ფონზე წარმოებს. წარმოდგენილია თვით ლევან დადიანის თავისებური, ძალზე კოლორიტული პიროვნება. დღეისათვის არსებულ ძეგლებთან ერთად, წიგნში თავმოყრილი და შესწავლილია ისეთი ნიმუშებიც, რომელთაც ჩვენამდე მხოლოდ ფოტოებისა ან აღწერათა სახით მოაღწიეს.

კარგადაა გააზრებული წიგნის კომპოზიცია. პირველ თავში მოცემულია ლევან II დადიანის მოღვაწეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, ეპოქის უმოაგრეს მრულენათა დახასიათება და ოდიშის მთავრის მოღვაწეობა კულტურის სფეროში. აქვე საგანგებოდაა მოტანილი ის ცნობები, რომელიც არსებობს ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოს შესახებ.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ოქრომჭედლური ძეგლების (30-მდე ხატი, ხატების ბუდეები) გულმოდგინე მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დადიანისეული ხატების პერიოდიზაცია: გამოყოფილია ხატების ის წრე, რომელიც ლევან II დადიანის მმართველობის დასაწყისს უკავშირდება, სავარაუდოდ მოსაზრულია ხატების ამ ადრეული ჯგუფის ქრონოლოგიური ჩარიები (1619-1624 წლები).

საგანგებოდაა გამოყოფილი 1640 წლით და-



თარიღებული ხატები, რომელიც შესრულების შედარებით მაღალი დონით გამოირჩევა. ეს ჯგუფი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქრონოლოგიური გამოსახულებებით. დიდი ყურადღება ეთმობა ამ ხატების იკონოგრაფიული მხარის შესწავლას, გამოვლენილია თითოეული მათგანის სპეციფიკური ნიშნები. საინტერესოაა შენიშვნული ის გარემოება, რომ ჭედური ხელოვნების მხატვრული ფორმის ნაცვალად წინა პლანზეა წამოწეული ნაწარმოების შინაარსობრივი მხარე (გვ. 30).

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ XVII საუკუნის ქართული ხელოვნების სხვა დარგებში საგრძნობი სპარსული გავლენები სრულებით არ იჩენს თავს სულენ ადინის სახელოსნოს ხატებში. ეს გავლენა აქ ისახება მხოლოდ კოსტიუმებსა და ყოფით დეტალებში.

ცალკე თავშია განხილული დადიანისეული ხატების მხატვრულ-ისტორიული თავისებურებანი, კომპოზიციის აგებისა და დეკორის ძირითადი პრინციპები, ორნამენტის დამუშავების სასიათაო-დადიანისეული ხატების მხატვრულ-სტილისტური ანალიზი საშუალებას აძლევს ავტორს განაზოგადოს თავისი დასკვნები. გრაფიკულ-სიმბოლური მიდგომა ფორმებისა და მიწვეობებისადმი, რაც განხილული ჯგუფის ძეგლებში ჩანს, დამახასიათებელია XVII საუკუნის ფიგურული გამოსახულებებისათვის საერთოდ.

ხატების ორნამენტული სამკაულის კვლევაში ავტორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ იგი „მჭიდროდაა დაკავშირებული ერთნაირ ტრადიციებთან, სულ ერთია, ძველ, ტრადიციულ ორნამენტთან გვაქვს საქმე, თუ სრულიად ახალ მოტივებთან. ამ მხრივ დადიანის ოსტატები წინა ეპოქის — XVI საუკუნის ხაზს გამგრძელებლები არიან“ (გვ. 65).

ავტორი დაწვრილებით ჩერდება დადიანისეული ხატების იკონოგრაფიაზე, გამოიყოფს იწიეთა იკონოგრაფიულ დეტალებს, იწვევს მათი წარმოშობის საწყისებს, აზუსტებს იმ მხატვრულ წრეს, საიდანაა წარმოდგება იკონოგრაფიის ესა თუ ის თავისებურება. მაგალითად, საინტერესოა დასმული საკითხი ზოგიერთ იკონოგრაფიული ნიშნის დასავლეთ ევროპული წარმომავლობის შესახებ და ახსნილია სამეგრელოში დასავლური ხელოვნების გავლენის მოხვედრის გზები. ხუსკივაძეს გულმოდგინებით აქვს განხილული ის ხატები, რომელნიც ქრონოლოგიურად ლევან დადიანის, მისი მეუღლის, ნესტან დარეჯანისა და შთაგრის ოჯახის სხვა წევრების პორტრეტები უადრესად მნიშვნელოვანი მასალაა ქართული საერო პორტრეტის განვითარების ისტორიისათვის. ავტორი გამოიქვემსოფსოა ფრესკულ გამოსახულებებთან ამ პორტრეტების კავშირის შესახებ. ამის საფუძველს მას აძლევს ამავე

პერიოდის მონუმენტურ მხატვრობაში საერო პორტრეტების სიმრავლე (წალენჯიხა, ხობი, კვიციხე, ჯვრის მონასტერი იერუსალიმში). თუმცა საერო ელემენტის ზრდა საგრძნობია ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ადამიანის ფიგურის პლასტიკური გადმოსახედილი ინტერესი ამ დროს უკვე საკმაოდ შესუსტებულია. ხელოვნების დაქვეითების გარკვეული ნიშნები უკვე თავს იჩენს ამ ძეგლებში.

დადიანის სახელოსნოს ხატები იწითაც იქვეყნ ყურადღებას, რომ თითქმის ყველა მათგანზე ვრცელი წარწერებია მოთავსებული. დიდ ინტერესს იწვევს ავტორის მიერ ამ წარწერების ინტერპრეტაცია, მით უმეტეს, რომ ამ წარწერებში დიდალი ისეთი ცნობა მოცემულია, რომელიც იმ ეპოქის საქართველოს რთულ პოლიტიკურ ვითარებაში სხვადასხვა ისტორიული ფაქტების დასტუტების საშუალებას იძლევა და, რაც ისე მნიშვნელოვანია, რომ ავტორის მიერ აღნიშნულია ათარიღებს ხატებს.

სწორედ ამ წარწერების საშუალებით მოხერხდა დადიანის ხელოსნობაში მუშაობის ორგანიზაციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის გარკვევა: მაგალითად, ახლა ჩვენ ვიცით, რომ ოქრომჭედლო ოსტატთა გვერდით აქ მუშაობდნენ მწერლებიც — ე. წ. წარწერების შემსრულებლები (ალბათ ტექსტის შემდგენელი საგანგებო პირნი). როგორც სამართლიანად შეინიშნავს ავტორი, „ლევან დადიანის მიმდრეული კოლექციის თითქმის ყოველი ნაწარმოები ხომ დადიანისეული ლიტერატურული ძეგლია“ (გვ. 53).

ამ წარწერებით გაკვირვებით ლევან დადიანის სახელოსნოს ოსტატები: „მაკობი ხატისა ელვავიცი ფარემუზ“, ოსტატი სუნხია ვირვილია, „ხატისა გამოიყვანელი ოქრომჭედლი ტყავიცილიძე ბეჯია“.

ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო გამოველინა რამდენიმე ახალი წარწერა (ქიანის მთავარანგელოზთა ხატის, ილიორის „ხარის მოყვანის სახის“ ხატის). გარდა ამისა, გამოაქვეყნა ახალი, დღემდე უცნობი ძეგლი (გვ. 25), რომელიც მიაკუთვნა დადიანისეულ სახელოსნოს. ამით შეივსო XVII საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის საინტერესო კოლექცია და ისტორიულმა მცენიერებამ დაამატებოთ ცნობები მიიღო ამ ეპოქის კულტურისა და ისტორიის შესახებ.

XVII საუკუნის საოქრომჭედლო სახელოსნოს გამოვლენა, მისი მხატვრულ-ისტორიული დახასიათება ღელა ხუსკივაძის ნაშრომის დიდი დარსებაა. აქ, ფაქტურად წარმოდგენილია XVII საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის სრული სურათი, ოქრომჭედლობის, რომელიც ჯერ კიდევ იხარჩუნებს საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ და დამკვიდრებულ ტრადიციებს.

XVII საუკუნეში, საქართველის მიმდრეული პოლ-



საუბროდგომო

გამოფენები

პარიზში

გიორგი ხუციშვილი

პარიზში ვერავის გააკვირვებ გამოფენებით, მაგრამ წლევანდელი შემოდგომის სამხატვრო ცხოვრების უმთავრესი მოვლენა მაინც იმპრესიონიზმის ასი წლისთავის აღსანიშნავი გამოფენაა. იგი გახსნილია ელისეს მიწდგრების მახლობლად მდებარე „გრან პალეში“.

გამოფენის პირველ დარბაზში წარმოდგენილია ანრი ფანტენ-ლატურის დიდი ტილოები „დეკარუს მოგონება“, „ბატინიოლის სახელოსნო“, „მაგიდის კუთხე“ და „პიანინოს ირ-

გელო“. სურათები აკადემიურ სტილშია შესრულებული და დღეს მათ წმინდა ისტორიული მნიშვნელობა გააჩნიათ. აქვეა გამოფენილი რენუარის რამდენიმე სკულპტურული ნამუშევარი, რომლებიც მოცულობითი სისასებით ხასიათდებიან. ეს, ჩანს, უნდა აიხსნას რენუარის თანამშრომლობით მაიოლის მოწაფესთან — რიზარ გუინოსთან. დარბაზის ერთ კედელს ამკობს იმპრესიონისტი ოსტატების ფერწერული პორტრეტები.

ექსპოზიციამა თორმეტი ავტორის ორმოცდაორი ნამუშევარი, მათ შორის კლოდ მონეს, ედუარდ მანეს, ედგარ დეგას, პოლ სეზანის, ალფრედ სისლეის, კამილ პისაროს შემოქმედება ყველაზე კარგადაა წარმოდგენილი. საგამოფენო შენობის პირველი სართულის ერთი დარბაზი ეთმობა იმპრესიონიზმის სათავეებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს: ფოტოგრაფ ნადარის ატელიეს ფოტოებს, 1874 წლის პირველი იმპრესიონისტული გამოფენის კატალოგს, იმპრესიონიზმის პირველი კოლექციონერების პორტრეტებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საფრანგეთის მუზეუმების კვლევითი ლაბორატორიის მიერ გამოფენილი მასალები, რომელსაც რამდენიმე დარბაზი უკავია. ამ განყოფილებაში წარმოდგენილია იმპრესიონისტი ოსტატების ნამუშევართა რადიოგრაფიული, ფერწერის მიკროსკოპიული და დეტალების მიკროგრაფიული ფერადი პანოები. ეს მასალები მზახველს საშუალებას აძლევს თვალს გაადევნოს სურათების ფერადოვან წყობას, მონათმშენის ინტენსიობას და, რაც მთავარია, იგი ხედავს ტილოს ეტაპობრივ განვითარებას, მხატვრის მიერ ჩატარებულ თითქმის მთელ „მოსამზადებელ“ სამუშაოს. მის თვალწინ თვალნათლივ იმლება ფერწერული ტილოს

ტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში, ლევან დადიანი ხელოვნების მფარველად და ხელშემწყობად გვევლინება. მის კარზე საოქრომჭედლო სახელოსნოს შექმნა ქართული კულტურის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.

წიგნის დასკვნით ნაწილში ავტორი აჯამებს თავისი კვლევისა და დაკვირვებების შედეგს და სამართლიანად ასკვნის, რომ „დადიანისეული ხატების მაგალითზე ჩვენ ვერ კიდევ სრული უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ქართული ქედურა ხელოვნების შესახებ, ზოგ შემთხვევაში მის ცალკე მიღწევებსა და გამარჯვებებს.“

წიგნის დართული აქვს დადიანისეული ხატების ანოტირებული ნუსხა, ავტორის მიერ გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით, ყოველი ძეგლს ასლავს შესაბამისი ბიბლიოგრაფიული ცნობები. აქვეა ოქრომჭედელთა და „მწერალთა“ სია, ლევან დადიანის ავტოგრაფების დამწვევი ხატებისა და წარწერების საშუალებით დაზუსტებული დადიანისეული სახატოების სია.

მალა პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, გემოვნებით გაფორმებული (მხატვარი ირ. ყიფშიძე) ეს წიგნი კარგი შენამუშაოა ქართული ხელოვნებათმცოდნეობისათვის. ვიმედოვნებ, რომ იგი საინტერესო იქნება არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვისაც, რომელიც დაინტერესებულია ერთგვარი კულტურისა და მისი ისტორიის საკითხებით.





თანდათანობით ცვლილება-განვითარება, ნამუშევრის დამთავრებამდე.

გამოფენის მეორე სართული უკავია ოთხ კინოდარბაზს, სადაც შესაბამის ტექსტსა და მუსიკის თანხლებით მაყურებელი ენობა ცალკეულ ოსტატთა ბიოგრაფიას და შემოქმედებით მიიბნება.

მთლიანობაში გამოფენა საკმაოდ დასრულებულ, ნათელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მით უფრო, რომ მაყურებელს საშუალება ეძლევა იმპრეზიონიზმის შედარებისა XIX საუკუნის ბოლო ხანების ფრანგული ოფიციალური ხელოვნების ნიმუშებთან.

„გრან პალეს“ შენობის კლემანსოს მოედნისაკენ მიმართულ ფრთაში გამართული გამოფენა „ლუქსემბურჯის მუზეუმი 1874 წელს“. საფრანგეთის ეროვნული მუზეუმების გაერთიანების სპეციალურ გამოცემაში „დიდი გამოფენების მცირე კურსნაილი“ (1974 წლის — 1 თვისში — 1 ნოემბერი) აღნიშნულია, რომ ორგანიზატორებმა საგანგებო კონტრასტისათვის მოაწყვეს ეს ორი საპირისპირო გამოფენა ერთ შენობაში.

რას წარმოადგენდა 1874 წლის ლუქსემბურჯის მუზეუმის გამოფენა? ამ გამოფენას, სხვა მუზეუმებისაგან განსხვავებით, თავისი მიზანდასახულება ჰქონდა. აქ წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ იმ დროისათვის ცოცხალი ოსტატები. ახლანდელი გამოფენა იმპრეზებს 1874 წლის შემოდგომის ექსპოზიციას და ქანობრივად რამდენიმე გუგუფად იყოფა.

აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა უმრავლესობა დღეისათვის სრულიად მივიწყებულია. ესენი არიან კლასიციستي ოსტატები, რომლებიც თავის დროზე დიდი პატივით აღარებდნენ „რომაული პრემიის ლაურეატის“ მოედნას. ლუქსემბურჯის მუზეუმის ექსპოზიციამ მოხვედრილი 240 მხატვრიდან დღეისათვის მხოლოდ რამდენიმეს შერჩა სახელი. ესენია: დობინი, მისინიე, დელაროში, კაბანელი, ბუგერო, ჟერომი, გუსტავ მორო და სხვები. ეს ის ოსტატებია, რომელთა წინააღმდეგაც აღდგნენ იმპრესიონისტები. ლუქსემბურჯის კოლექციამი კორო, დორე, დელაკრუა და ენერი მხოლოდ 1874 წლის ბოლოსათვის მოხვედნენ, კაზიმულ ხელოვნებათა სკოლის დირექტორის ფილიპ დე შენევიერის თაოსნობით.

ამრიგად, „გრან პალეს“ ის ორი გამოფენა რამდენიმე წინმეტყლოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. იმპრესიონისტების გამოფენაზე უკვე საკმაოდ გრძელი რიგი დგას, კვირაობითაც კი, თუმცა პარიზულად, ტრადიციულად, ან სახლში, ან ქალაქარეთ ამოზინებენ დასვენებას. ლუქსემბურჯის მუზეუმის დარბაზებში კი დამთავალიერებლები კანტი-კუნტად დადიან.

პარიზში რამდენიმე ათასი კერძო სამხატვრო გალერეაა. აქ გამოფენილი ნამუშევრები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ძალზე გაურცლებულია

ე. წ. „პიკერელოზიმი“. ეს მიმდინარეობა ზოგჯერ სინამდვილის ფოტოგრაფიულბამდე მისულასახვას გულისხმობს, ზოგჯერ სხვადსხვა ნიჟაბების თაგმოყრას, გარკვეული ან ზოგჯერ გაურკვეველი სახელწოდებით. მოხდა ის, რასაც ამ ოცდაათიოდ წლის წინ წინაწარმეტყველებდა პიკასო — შემობრუნება სინამდვილისაკენ. მაგრამ რაოდენ პარადოქსალურია ეს შემობრუნება! ეს არის არა რეალისტური ასახვა, არამედ გამოფენაზე გამოტანული ნივთი. ამ ფონზე იმპრესიონისტების ღირსებები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს. ცხადია, ესეც განსაზღვრავს იმპრესიონიზმის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის დიდ უპირატესობას.

„გრან პალეში“ დაიხურა თანამედროვე ესპანელი მხატვრის ხუან მიროს (დაიბადა 1893 წელს ქ. ბარსელონაში) ნამუშევრთა დიდი გამოფენა, რომლის ინიციატორი იყო კირილე ზდანევიჩის ძმა ილია ზდანევიჩი (მას ფრანგები ილიაზღს ეძახიან). იგი სახელოვნო წიგნების ერთ-ერთი დიდი გამოცემელია. ამ გამოფენაზე, მიროს ნამუშევრებთან ერთად, გამოტანილი იყო ილიაზღის მიერ გამოცემული წიგნები.

ქართველ მკითხველს უთუოდ დაინტერესებს ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნი კირილე ზდანევიჩისა ნიკო ფიროსმანის შესახებ. წიგნის ტირაჟია ათას ხუთასი ცალი და ეგზემპლარი შვიდი ათასი ფრანკი ღირს. წიგნების სიძვირეს შეწყვეტილი პარიზულებისთვისაც კი ეს კოლოსალური ფასია. გამოცემა მაღალი პოლიგრაფიული ღირსებებით ხასიათდება, ტექსტს ამკობს პაპოლ პიკასოს მიერ სპეციალურად ამ გამოცემისათვის შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები, ყოველი ილუსტრაციას დიდი ოსტატის ხელმოწერა ახლავს. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნებისათვის შეკრულებულ ნამუშევრებს პიკასო, მველდორი, ძალზე იზვიათად აწერდა ხელს და ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია. ნახატები პიკასოს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრეა შესრულებული და ამრიგად ისინი ოსტატის ერთ-ერთ უკანასკნელ ნამუშევარს წარმოადგენენ. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ აფასებდა პიკასო ნიკო ფიროსმანს.

რიგოლის ქუჩაზე მდებარე დეკორატიულ ხელოვნებათა მუზეუმში კი გახსნილია საბჭოთა პლაკატის და აფიშების ექსპოზიცია. ფრანგული პრესა ამ გამოფენას ერთსულოვნად მაღალ შეფასებას აძლევს.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის საყოველთაო კეთილგანწყობილება და ინტერესი, რასაც საფრანგეთში იწვევს ყველაფერი საბჭოური. ეს კი უთუოდ საბჭოთა ქვეყნის შვილობილ-მთყვარული საგარეო პოლიტიკის ნაყოფს წარმოადგენს.



ბასული წლის აპრილს, თბილისში, მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო შემოქმედებით თათბირზე ვიტალი ოზეროვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების გმირები იმთავითვე იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები და მხოლოდ საერთო საქმისათვის ბრძოლამ აქცია ისინი არაჩვეულებრივ ადამიანებად, მაგალითად, ყოფილი მწვემის ჩაპაევი, რიგითი მუშა დავიდოვი (შოლოხოვის გმირი) და სხვები.

სწორედ ასეთ გმირთა რიცხვს მიეკუთვნება ყოფილი პედაგოგი, შემდეგში კი ცნობილი რევოლუციონერი და მგზნებარე ინტერნაციონალისტი ნესტორ კალანდარიშვილი, რომლის დაბადების 100 წლისთავი ღირსეული პატივისცემით აღინიშნა ჩვენმა ხალხმა. ამ თარიღს მივძღვნა არა მარტო ცალკეული სტატიები და სატელევიზიო გადაცემები, არამედ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან ასსებუელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა.

მეცნიერულ ლიტერატურასა და მსატრეულ შემოქმედებაში კალანდარიშვილის თემას თავისი ისტორია აქვს. აქ პირველი სიტყვა თქვეს უშუალოდ მისმა თანამებრძოლებმა და იმ მხარის წარმომადგენლებმა, სადაც ლეგენდარულად იბრძოდა და გმირულად დაეცა ნესტორ კალანდარიშვილი. რუსეთში, კერძოდ ციმბირში, მრავალი შრომა დაიბეჭდა „ციმბირელი პაპის“ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, საკამო მასალა არსებობს ქართულ ენაზედაც — გ. ბარამიძის, ს. ციციშვილის, ა. ახალაძე-მიჭანის, მ. შერეთიასა და სხვათა პუბლიკაციები, რომლებმაც ჩვენს თამბას გააცნეს ნესტორ კალანდარიშვილის გმირული ცხოვრება.

ნესტორ კალანდარიშვილის უკვდავსაყოფად შეიქმნა რამდენიმე სუკლუბტურული ნამუშევარი, რომლებიც დღეს ამშვენებენ გმირის მშობლიურ რაიონს და ირკუტსკის ღირსშესანიშნავ ადგილებს, არსებობს აგრეთვე ცნობილი ტილო მსატვარე შერბილოვას „ციმბირელი პარტიზანები“ სტუმრად ვლადიმერ პოტას ძე ლენინთან; პოეზიაში გმირის სახე გააცოცხლა პოეტმა მურმან ლებანიძემ, რომლის პოემა „ციმბირელი პაპა“ ჟერ კიდევ 1967 წელს ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევ რუსულად (თარგმანი ვლადიმერ კორნილოვას).

რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტელევიზიამ შექმნა დოკუმენტური ფილმი „ციმბირელი პაპა“ (სცენარის ავტორები რეზო ურუშაძე, თეიმურაზ ნაცვლიშვილი, რეჟისორი გივი ვიფხვაძე). წელს კი ნესტორ კალანდარიშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ უძღვნა სრულმეტრაჟიანი ფერადი მსატრეული ფილმი ტრადიციული სათარუთ „ციმბირელი პაპა“ (სცენარის ავტორია სულიკო ჟღერტი, დამდგმელი რეჟისორი გიორგი კალატოზიშვილი, ოპერატორი დავით სხარტლაძე, კომპოზიტორი გაიკანჩელი, მსატვარი მიხეილ მელნიკოვი). როგორც ჩანს, თვით ხალხის მიერ შერქმეული სახელოვანი ახსნა რადეკანონზომიერებაა, განსაკუთრებული მადვირი ძალა იმ დიდი სიყვარულისა, რასაც აუღენდა ხალხი ჩვენს სახელოვანი თანამემამულის მიმართ.

ფილმი „ციმბირელი პაპა“ განეკუთვნება ისტორიულ-რევოლუციურ ჟანრს, რომელმაც სამაშულო კინემატოგრაფიაში იმთავითვე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა და მაღალ-მოქალაქობრივი იდეებითა და ნათელი მსატრეული სახეებით

გამამიდრდა იგი ქართული საბჭოთა კინოს პირველ „არსენა ჯორჯიაშვილი“ ამ მხრივ პირველი მნიშვნელოვანი ნიმუში იყო არა მხოლოდ ქართული ან საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კინოხელოვნებისათვის. შემდეგ „წითელი ეშმაკურები“, „გაფიცვა“, „პოტიომკინი“, „დღდა“, „ჩაპაევი“, ტროლვია მაქსიმუზე, კინოლენინიანას ბრწყინვალე ფილმები და ა. შ. აქ ერთი, ამ მხრივ, საბჭოთა კინოს უდადესი გამოცდილებაა პაპა, რაც, ბუნებრივია, გაითვალისწინებ ფილმის ავტორებმა.

„ციმბირელი პაპა“ უმთავრესად საინტერესოა ისტორიული სიმაართით, რაც ს. ეიხენშტეინის ასეთი ჟანრის ფილმის აუცილებელ წინაპრობად მიიჩნდა. მაგრამ ისტორიული სიმაართეულ არ უნდა აფერიოდ ნატურალიზმში, რომელიც ფაქტების უბრალო ნატურალისტურ აღწერას გულისხმობს და არა წარსულის რეალისტურ ინტერპრეტაციას. ამასთან, იგი არც უტყუარ დოკუმენტალობად უნდა გავიფიქრო. მართალია, ფილმში, როგორც მოსალოდნელი იყო, ისტორიული პირობები მოქმედებენ განსაზღვრულ დროსა და გარემოში, მაგრამ, უმთავრესი აქ მსატრეული სიმაართეა.

„რამე მდგომარეობს განსხვავება ისტორიის სახელმძღვანელოსა და ისტორიულ ფილმს შორის? — კითხვობდა ეიხენშტეინი და თავადვე უპასუხებდა — ისტორიულ სახელმძღვანელოში გარკვეული ეპოქის აღწერის შემდეგ მოცემულია პერიოდის რეზიუმე და განხილვა. მსატრეულ ფილმში კი მთავარია, რომ ეს რეზიუმეობრივი განხილვა ადგილს დასუფილდ თვით მყურებლის წინაშე მიმდინარე მოქმედების განვითარებისა და ვენების ცოცხალი თამაში“.

ამ მიზნის მისაღწევად ბევრი კინემატოგრაფისტი სავანებო ტიტრებს მიმართავდა, ახლა კი ბოლო ერთი ათეული წლის მანძილზე ყველაზე იოლ საშუალებად იქცა სპეციალური დიალოგები, რომელთა მეშვეობით ნებისმიერი ამბავი შეიძლება განხილვადებულად იქნას გამოცემული.

ს. ეიხენშტეინი წერს, რომ როცა ფრწუხს შესახებ მასალებს გავყვანი, გამოვალო სამოქალაქო ომის მასშტაბმა.



ზაერება. ჩატარდა რამდენიმე მძიმე ოპერაცია, მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი გამარჯვება. და აი, ნესტორი კვლავ უმჯობესდება, ბარგს კრავს, მაგრამ იღება კარი და... ალბათ, მიზეზადი. ისევ ატყობინებენ ნესტორს ახალ ამბავს, რაც აუცილებლად გადაადგილებს მას საქართველოში გამგზავრებას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამჯერად პოსტშივე რეკვოში კი არ იბარებს მას, თავად ეახლება და აუწყებს, ირკუტსკში აჯანყება და თქვენ ხართ ჩვენი ჯარების მთავარსარდალად დანიშნული...

გიორგი დოლიძე

მემდეგ კი აღიარებს, სამოქალაქო ომს ჩვენ სწორედ ისეთი სახეებითა და მასშტაბებით შევქრეთ. როგორ წარმოდგენასაც ჩვენნი ფილმები გვაძლევენ, რომ ჩვენ გვაყავს მშვენიერი ჩაპაევი თუ შირაზი, მაგრამ გვაკლავს სამოქალაქო ომის ეპოქის კოლოსალური ჯღერადობა.

„კომბირულ პაპანი“ გრძელდება საბჭოთა კინოს დამახასიათებელი ტენდენცია, როცა გმირი შედარებით უფრო სრულყოფილად იხატება, ვიდრე ის მასა, ის გარემო და სოციალური ატმოსფერო, რომელიც მას წარმოშობს. მართალია, ფილმში გვაქვს ცალკეული დამაჯერებელი და კოლანდარიული ხასიათები, მაგრამ ხალხი და, საერთოდ, თვით მთავარი გმირიც მოწყვეტილია გარესამყაროს, ყველაფერი მათ მიღმა ხდება. სიუჟეტურად ეს შემდეგში გამოისატება — კალანდარიშვილის ყოველთვის რა და ცაის შედეგს ატყობინებენ, ეს რა და ცაი ხან აჯანყება, ხან კოლჩაკის შემოჭრა და ა. შ. ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ თვით კალანდარიშვილი იბარებს თავის ყოფილ თანამებრძოლებს, ყოფილ იმიტომ, რომ ფილმის ექსპოზიცია გვაცნობს კალანდარიშვილს, რომელსაც თავისი ბარგი-ბარხანა უკვე შეკრული აქვს საქართველოში გამოსამგზავრებლად, მეგობართა მცირე ჯგუფიც დაუპატიჟებია გამოსამგზავრებლად. ამ დროს მოდის მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი უნგრელი კირია (მსახიობი ო. ყიფიანი) და ატყობინებს, ქალაქში აჯანყება, ოფიცრებმა ტელეგრაფი და ბანკი ხელში ჩაიგდეს, ესერებეც მათთან არიან. ანუ რომ, ნესტორი გადადებს სამშობლოში გამგზავრებას, ნიკოლორეს (მსახიობი ბ. წულაძე) გაავაზნის თავის ყოფილ ადოუტანტ კურა მუხამედთან (მსახიობი ა. ქაღვიშვილი) და შეუთვალის, — ისევ შეკრებე მიტეხოთ.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ (ეს უკვე მესამე ნაწილის დასაწყისია) ნესტორი კალანდარიშვილი კვლავ ჰკრავს თავის ბარგს. მაგრამ ამჯერად კურა მუხამედი მოდის და ატყობინებს, რომ რეკვოში გიბარებს პოსტშივე — ისევ შემოგვიტყის თეთრგვარდილები.

კალანდარიშვილმა კვლავ გადადო საქართველოში გამგ-

გასაგებია ავტორების სურვილი, მათ სურთ გვიჩვენონ, რომ ნესტორს, ასე ვთქვათ, ერთი სული ჰქონდა საქართველოში გამოსამგზავრებლად. მაგრამ ერთია სურვილი, რამე მიზანი, რამისკენ მისწრაფება, ლტოლვა და მეორეა მისი გამოსახვის ფორმა, რა საშუალებით, რა ხერხით ხსნი მას. მხოლოდ ტაქტოლოგია არ მინდა დავარქვა ყოველივე ამას. აქ დაირღვა ის ტაქტიკა და ზომიერების გრძობა, რაც საერთოდ ახასიათებთ ფილმის ავტორებს გამომსახველობის საშუალებათა ძიებისა თუ ცალკეული მიზანსაყენის გადაწყვეტილებას. სიუჟეტის ძირითადი კონტურის მოხაზვის დროს საჭირო იყო მეტი ფიქრი მის შინაგან არქიტექტონიკაზე, უფრო სწორად, ინტერიერზე, რომ მეტი სივრცე და დატვირთვა მისცემოდა იმ დეტრფენებს, რომლებიც მთავარ გმირს გარესამყაროსთან, ქვეყანაში დატრიალებულ დიდ სოციალურ ძვრებთან და ვნებებთან სისხლხორცულად დააკავშირებდა.

ამდენად, ფილმის ძირითად ნაკლად სწორედ ეს მიმართა — სამოქალაქო ომის არამასშტაბური ასახვა და ინტორიული პირობების მოწყვეტა იმ დიდი რეჟოლუციური სინანდლისაგან, რამაც ჩვეულებრივი ინტელიგენტი კაცი სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირად აქცია.

ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისითაც ფილმი უთუოდ მოიგება, დამდგმულ რეჟისორს — ვიოროც კალანდარიშვილს მეტი ერთგულება რომ გამოეჩინა სკენარისა და გადაღებული კადრების მიმართ.

აქ მხედველობაში მათქვს რამდენიმე საინტერესო სცენა, რომელიც არ შევიდა ფილმის საბოლოო ვარიანტში. ცხადია, მონტაჟის დროს რეჟისორის უღმობოდ მაკრატელს ვერაფერი აღუდგება წინ და არც კრიტიკოსს აქვს მორალური უფლება მკითხველს წინაშე გამოიტანოს რეჟისორის უფლებამოსილებების და სამართლიანობის საკითხი ამ მხრივ, მაგრამ უკვე გამოქვეყნებული კადრის შესახებ ხომ შეიძლება მსჯელობა. ამდენად, სინანული უნდა გამოითქვას თუნდაც იმის გამო, რომ ფილმი არ შევიდა ჟურნალ „საბუნტი კინოთეატრალაში“ გამოქვეყნებული შესანიშნავი კადრ-პანიორამა აწიოკებულ და ცეცხლსამციმული სოფლისა. მარტო ეს ერთი ფოტოგრაფიული კადრიც კი ქმნის იმ დიდი ტრავმების სახეს, რომეც უთირგვარდილებმა სოფელში დაატრიალეს.

სინანული უნდა გამოითქვას ისეთ საინტერესო სცენებზეც, როგორიც იყო (უკვე გადაღებული) ნ. კალანდარიშვილის გამოძახება კრემლში, მისი, როგორც პიანისტის დახასიათება ან რით შეიძლება აქსნათ უარის თქმა ლიტერატურული სცენარის მიხედვით ბრწყინვალე ჩაფიქრებულ შემდეგ ეპილოგზე: 1920 წლის გაზაფხულზე, სადგურ გონგოთასთან ნესტორი კალანდარიშვილის შედარებით მეტიერცხოვანმა — ორბან-თასიანმა მარტოზანულმა რაზმმა სასტიკად გაანადგურა იპო-ნელთა პარკლათასიანი სამხედრო ნაწილი. ამის გამო ნესტორი, როგორც მისი თანამებრძოლი მიხეილ წერეთელი იპონებს,

მოსკოვში გამოიძახეს ვ. ი. ლენინთან. ამ უთანასწორო ბრძოლის მოგება ნესტორმა, უპირველეს ყოვლისა, მეტად ჰკვიანური ჩანაფიქრით შესძლო. ბრძოლის დაწყების წინ იაპონელები დაატყვევეს მოულოდნელმა სანახაობამ — მათ ბანაკს უხელოვდებოდა თავაწყვეტილი და ფაფარაყრილი ცხენების რემა. კალანდარიშვილის მეომრებს ცხენები გამოქცევით — ჩაიხითხითეს იაპონელებმა და გულხელდაკარგვილი უსქერდნენ ამ, თავისთავად დიდებულ სანახაობას. მაგრამ აი, რემა მიუახლოვდა თუ არა იაპონელთა ბანაკს, მოსდა საოცრება, რამაც რეტი დასახსა იაპონელებს — კალანდარიშვილის მეომრები თურმე ცხენებს ქვემოდან ამოპკროდნენ, მხოლოდ მტერთან პირისპირ მივარდნისას წამოიმართნენ და დაურიგნენ ამ მოულოდნელობით თავებრუდახვეულ იაპონელებს...

კინემატოგრაფიულად ეს მართლაც შესანიშნავი კადრი



კადრი ფილმიდან „ციმბირელი პაპა“.

იქნებოდა, მაგრამ, თბილისის კინოს სახლში ფილმის განხილვისას დამდგმელმა რეჟისორმა გ. კალატოზიშვილმა განაცხადა, ეს კადრი იმიტომ ვერ გადავიღეთ, რომ მხოლოდ ექვსთი-დე კაცი თუ შესძლებდა ამ ცხენოსნური ილითის ჩატარებას... როგორც ცნობილია, მყურებელი ულმოებლია — მისთვის არ არსებობს რაიმე შეღავათი იმ სიძინელებთან დაკავშირებით, რასაც ვაწყდებით ხოლმე ფილმის გადაღებისას, სპექტაკლის დადგმისას, საციკო ნომრის მომზადებისას და ა. შ.

სხვადასხვა ხასიათის კუბიურების დროს, ბუნებრივია, მოხდა ისეთი კურიოზი, როგორც ერთ ანექდოტშია — უხეირო ქირურგმა რომ ოპერაციის შემდეგ აეადამყოფს მცუელი

ამოუკერა, მაგრამ დანა შიგ ჩაუტოვა. მყურებელს ახსულს ფილმის დასაწყისში ორი მოთამაშე კაცი თავს დაესხმის ქუჩაში მშვიდად მიმავალ ნესტორს, რომელსაც ძვირფასი ქურქი აცვია, ნესტორი კი იქით გახდის მათ ტანსაცმელს. ერთ-ერთი მათგანი გატაყვია, რომელიც თავს იმართლებს იმით, რომ ყაჩაღები კი არა, იდეური მებრძოლები — ანარქისტები ვართო. ნესტორი უკან მიუყრის მათ ტანსაცმელს და მიაძახებს, მეორეჯერ არ შემხედეთ, თორემ ვეღარ გადამირჩებითო — ეს არის და ეს, ფილმში შემდეგ გატაყვია, ასე ვიქვით, როგორ ანარქისტი, აღარ ჩანს. მაგრამ მყურებელი ადვილად ამჩნევს, რომ ახმახი, რომელიც შევექსე ნაწილში (ბაზრის სცენა) ბაზარში „გამოიჭერს“ ცხატკეს და ნესტორს მიპგვრის, სწორედ ჩვენი ძველი ნაცნობი გატაყვია, მაგრამ მყურებლისათვის სწონ

გაუგებარი რჩება გატაყვის ასეთი ევოლუცია (მისი მისვლა ნესტორის რაზმში).

ასევე მეტი დახვეწა და აშკარა კუბიურები სჭირდებოდა ტინომიროვის სახს. ერთერთი იანი ფილმისათვის: ერთბაშე გატაყვურებულა მისი თემა.

გარკვეული პროპორციების დაცვა გაცილებით მეტ არსებით შტრისს შემატებდა გმირის პორტრეტს. ამ შტრიხების ძებნისას კი ეგებ უფრო მეტად ნესტორის ბიოგრაფიის ქრონიკისთვის მიგვემართა და არა შემოქმედებითი ფანტაზიისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ციმბირელი პაპა“ მაინც ბიოგრაფიული ფილმია. ამასთან, არც ასეთი აშკარა ისტორიული შეუსაბამობა გაიპარებოდა: ფილმის დასაწყისში ნესტორს,

რომელიც საქართველოში აპირებს გამოშვებებს, მეგობრები ეკითხებიან, კი, მაგრამ საქართველოში ხომ მენშევიკები არიან, შენ როგორ შეგეუბნე ჟორდანაას მთავრობას... ასეთი რამ არ შეიძლება ეთქვას ნესტორ კალანდარიშვილისათვის 1917 წლის დეკემბერში, როგორც ფილმის ტიტრი ვეაწვიებს. საქართველოში ნ. ჟორდანაას მენშევიკურ მთავრობაზე საუბარი შეიძლებოდა მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან, როცა ე. წ. „საქართველოს ეროვნულმა საბჭომ“ საქართველო „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადა და მენშევიკები ხელისუფლების მინთოპლური მფლობელები გახდნენ, როგორც მთავრობაში, ისე პარლამენტში (იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნაწყვეტები“, თბილისი, 1971, გვ. 428).

ზოგ შემთხვევაში კი თავდაპირველი ჩანაფიქრისაგან გადახვევამ და ახლის ძიებამ საკმაოდ საინტერესო შედეგი გამოიღო. აქ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ფინალს, რომელიც ფილმის საბოლოო ვარიანტში სრულიად ახლებურად გადაწყდა და ამით ფილმმა მხოლოდ მოიგო. ლიტერატურულ სცენარში ფინალს უფრო რეპორტაჟური სახე ჰქონდა, რადიონარკვევს რომ ახლავს ხოლმე. ავტორებმა სწორად წარმართეს ძიება ფილმის შესაფერისი ფინალის მისაგნებად და სასურველი შედეგიც მიიღეს.

...დაჭრილი კალანდარიშვილი ერთხელ კიდევ შეეცდებოდა წამოიწიოს, მაგრამ ამაოდ, ჭრილობა საბედისწერო გამოიღვა, სისხლმა შეღება გაყინული მდინარე.

მაყურებელი გაირინდა. მიჟყდა თოვის სროლის ხმა. ეკრანზე ერთბაშად მიუყრდა ყველაფერი. უცებ ისევ გაისმა რიტმული ხმა, მაგრამ ეს არ არის ტყვიამფრქვევი, არა, ტელეგრაფი გადასცემს სასწრაფო დებუშას, რომ 1922 წლის ნ მარტს გაყინულ მდინარე ლენაზე სოფელ ტაბაგის მახლობლად საფარში მოკვდა იაკუტისა და ჩრდილოეთის მხარის ჯარების მხედართმთავრის ნ. ა. კალანდარიშვილის შტაბი და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ თვით ნ. კალანდარიშვილი, მისი მოადგილე ა. კისელიოვი, მეორე რაზმის უფროსი მ. ასათიანი, ექიმი ორჟანოვიჩი, ტელეგრაფისტი ბულიჩევი, წითელარმიელი ალ. ივანოვი...

ეკრანზე ერთი მეორეს მიყოლებით ჩნდება იმათი გვარები, ვინც ამ ბრძოლაში დაეცა. ავტორები სულაც არ ცდილობენ ორიოდვე კაცის შემდეგ შეწყვიტონ მათი ჩამოთვლა. პირიქით, საფიქრებელია, რომ ისინი გარკვეულ დრამატურგიულ დატვირთვას აძლევენ სიის ასეთ შეგნებულ გაგრძელებას, და მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ემოციურად ერთობ აღგზნებული მაყურებელი ახალ ფსიქოლოგიურ ფაზაში შედის და თანდათანობით განიმუხტება, მშვიდდება. შესაძლოა, ეს მხოლოდ სუბიექტური შეგრძნება იყოს, მაგრამ, ცხადია, ფილმს საკმაოდ კარგი ფინალი მოეძებნა, რომელიც მეტ ცხოვრებისეულ იერს, უფრო სწორად, მეტ დოკუმენტურობასა და დამაჯერებლობას ანიჭებს მოთხრობილ ამბავს.

ფილმის ასეთი მხატვრული სიმაბრტლე ბევრად განაპირობა თვით ნესტორ კალანდარიშვილის როლის შემსრულებელმა, თანამედროვე ქართული კინოს ერთ-ერთმა წამყვანმა მსახიობმა დლო აბაშიძემ. მის მიერ განსახიერებული კალანდარიშვილი საინტერესო და შთამბეჭდავი სახეა, რომელიც კარგად მისადაგა ჩვენს წარმოდგენას ნესტორ კალანდარიშვილზე.

ფილმის თემატიკური თავისებურების გამო არსებობდა საშიშროება, რომ მასში ეესტერნის კანონობრივი მანერულობა

შეჭრილიყო. ამის მაგალითები ბოლო წლების ქართული ფილმიდანაც შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ დამატებით რეჟისორის სასახელად უნდა ითქვას, რომ იგი იაფფასიან ეფექტს არ გაუტაცინა. ეს იგრძნობა როგორც მთელი ფილმის მანძილზე, ისე მთავარი გმირის მაგალითზე კალანდარიშვილი-აბაშიძე საოცრად თავდაჭერილი მანერით გამოირჩევა. ფილმისა და როლის ავტორები არ ცდილობენ მაყურებლის გაკვირვებას გმირის პირადი ფიზიკური დირსებებით, მათი მიზანია (რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა ერთხელ იანია ფილმი) საცო გაუკვან გმირის მდიდარ სულიერ სამყაროს, მის საოცარ ეროვნულ რევოლუციისადმი, მის უაღრესად ინტენსივობას და გმირულ სულს. ყოველფე ამის გამოსახატავად კი ალბათ სრულიად შეგნებულად იქნა არჩეული ე. წ. ძუნწი შტრიხები, ლაკონიურობა მიძრა-

ნესტორ კალანდარიშვილი — დლო აბაშიძე („ციმიბირელ აბა“).



ობსა და მეტყველებაში. კალანდარიშვილი-ამაშიძე ურიდებია ისეთ მანერებს, რომელთაც ხშირად მიმართავენ მოჩვენებითი ტემპერამენტის გადმოსაცემად, და მთელ თავის მდიდარ აქტიურულ შესაძლებლობებს ტაქტიკითა და ზომიერების გრძობით წარმართავს გმირის სულიერად ამაღლებული სამყაროს გასასწავლად. ხანდახან ეს თავდაჭერილობა როგორღაც გა-
ლოზიაშვილს კიდევ, მაყურებელს სურს, რომ გმირი ფიზიკურადაც უფრო მეტად მოქმედებდეს, რაინდულ თავაწყვეტილობასა და რისხვას ამჟღავნებდეს, მაგრამ მსახიობი არ დალატობს სახის მთლიანობას და ბოლომდე ერთგული რჩება ჩანაფიქრისას.

სამოქმედო ასპარეზის უქონლობა ფილმის სხვა გმირებსაც დაეტყო და ყველაზე მეტად აქ დაიჩაგრნენ ნ. კალანდარი-
შვილის მეუღლე ქრისტინა (მსახიობი ნ. პირველი) და განსაკუთრებით მისი უახლოესი თანამებრძოლი მიხეილ ასათიანი (მსახიობი გ. ფირცხალავა), რომელიც, საერთოდ, შეიძლება ითქვას, არც ჩანს ფილმში.

როგორც ცნობილია, ქრისტინა ლლონტი ნესტორის მსო-
ლოდ მეუღლე კი არ იყო, რომელიც სუფრას გაუშლიდა სტუმრებს, ან ტანსაცმელს შეუკერავდა ბავშვებს, არამედ უშიშარი იდეური თანამებრძოლი. სოლო, რაც შეეხება შესანიშნავ რევოლუციონერსა და თვალსაჩინო მხედართუფროს მიხეილ ასათიანს, რომელიც უშუალოდ ატარებდა ურთულეს სამხედრო ოპერაციებს, მისი გათანაბრება ნესტორის რაზმის თუ ამაღლის სხვა წევრებთან, ისტორიულად ყოველად გაუპართლებელია. ასევე სინანული უნდა გამოითქვას იმასთან დაკავშირებით, რომ მაყურებელთან ვერ მივიყვანეთ ნესტორ კალანდარიშვილის რაზმის უარესი ინტერნაციონალური შე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა, ის, რომ მის მებრძოლებს შორის აყენენ არა მხოლოდ ქართველები და რუსები, არამედ იგერივე — უნგრელი, ლატვიელი, კორეელი, ჩინელი, თათარი, უკრაინელი, ჩერქეზი, მონღოლი, ბურიატი და სხვა.

ამგვარი შენიშვნების გამოთქმა თითქმის დაუსრულებლად შეიძლება ამ ფილმის მიმართ ნესტორ კალანდარიშვილის პიროვნებისა და მისი საოცრად მდიდარი ბიოგრაფიის გამო, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

ავტორებს თავიდანვე უნდა დაეყენებინათ ფილმის მრავალსერიანობის საკითხი, ან უფრო მეტად შეემთხვარებოდათ მოქმედების არე, დაეკონკრეტებინათ პერიოდი და აედოთ რომელიმე ეპიზოდს, ან მომენტი გმირის ცხოვრებიდან, რისი ვეროვანი სიღრმით განალოზებდა და განზოგადებდა სამოქალაქო ომის გმირის გაცოცხლებით სრულფასოვან კინემატოგრაფიულ სახეს მოგვემდგა.

როგორც ვხვდებით, ისევ და ისევ დგება ამ თემაზე მრავალსერიანი ფილმის შექმნის საკითხი. ამ მხრივ ნამდვილ მეგობარულ-კოლეგურ დახმარებას გავგიწევს სომხეთის კინოს განმაცემებს. სომეხმა კინემატოგრაფისტებმა ვერ კიდევ 1953 წელს გადაიღეს ფილმი „პირადად ცნობილია“, რომელიც მიუძღვნა გამორჩეული რევოლუციონერის კამოს ცხოვრებას (სცენარის ავტორი შ. მაქსიმოვი, რეჟისორები ს. კეგორიანი და ე. კარამიანი, მთავარ როლში — გურგენ ტრუნცი); გავიდა 7 წელი და იმავე რეჟისორებმა, იმავე მსახიობის მონაწილეობით ახალი ფილმი შექმნეს კამოს შესახებ, წელს კი მათ კვლავ (მესამეჯერ) გადაიღეს ახალი ფილმი იმავე თემაზე სათაურით „კამოს უკანასკნელი გმირობა“.

დისკუსია*

თეატრი და მასუბრავალი

ქართული დრამატული თეატრის მაყურებელი, სანამ ამ თეატრში მოვიდოდეს, სასცენო ხელოვნებას შემდეგი გზებით ეზიარება: თოჯინების თეატრი (მოსამზადებელი კლასიდან — მესამე კლასის ჩათვლით), შემდეგ — მოზარდ მაყურებელთა თეატრი (მეთხვე კლასიდან — მეთეს ჩათვლით). ამავე დროს, შესაძლოა არასისტემატურად, მაგრამ პერიოდულად მაინც ეწერებოდა დილის წარმოდგენებს უფროსთა თეატრში.

თოჯინების თეატრი სასცენო ხელოვნების განსაკუთრებული ნაირსახეობაა, ამიტომ საგანგებო მსჯელობის მოითხოვს. მაგრამ, რადგან მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში ბავშვი თოჯინების ქართული თეატრიდან მიღის, მთავარ ვართ იქვე შევიხედოთ.

ამას წინათ ამ თეატრში „მხიარული ზღაპრები“ ენახე. კვირა დღე არ იყო, მაგრამ მაყურებელი ისეთი რაოდენობით მოაწყდა, რომ თეატრს ყველას მიღების საშუალება არ ჰქონდა. გარეთ დარჩენილი ბავშვები ტიროდნენ. მშობლები სანერვიო ემუქრებოდნენ დირექციასა და აღმინისტრაციას... შეიძლება მხოლოდ გისაროდეს — თეატრი სჭირდება მის მაყურებელს!

დარბაზი სასეკა მოსამზადებელი და პირველი კლასის მოსწავლეებით. მათ სთავაზოვნენ ორ ზღაპარს: ე. სპერანსკის „წიგნულ შეჯიბრს“ (იმის შესახებ, თუ როგორ ასწავლეს ბუსა ზღაპრებმა ტრამბას კურდღელს) და ს. მიხალკოვის „სამ გოგოს“, რომელიც ცნობილია ყველა ბავშვისათვის (დადგმა რესპ. დამს. არტ. შ. ცუცქერიძისა, მსატყარი — რ. კიკნაძე, კომპოზიტორი — ჯ. ადამაშვილი).

ე. სპერანსკის ზღაპრის კონფლიქტი ზედმიწევნით ნათელია — ვინ მიადწევს დაიქმნულ ადგილამდე პირველი, ზღარბი თუ ბავა? სცენაზე ეს შეჯიბრი თვალსაჩინოდაა წარწე-

* ვაკოტელბა. დამაწყობი იბ. „საბჭოთა ხელოვნება“ №№ 2-12, 1974 წ.

ვინ არის უნი მყურაველი?

ნათელა ურუშაძე

ბი: კურდღელი ადგილზე მოძრაობს, ყველაფერი დანარჩენი კი — მის გასწვრივ. მაყურებელს ეს ძალიან მოსწონს, მოსწონს თოჯინებიც — კურდღელი, რომელიც პატარა ბიჭს ჰგავს (ელ. კალაძე), დედა ზღარბი (შ. ცუცქერიძე) და მამა ზღარბი (ე. ქეტიციანი). როდესაც კურდღელი მირბის, ბავშვები ღელავენ — ისინი ხომ მხოლოდ ბოლოს შეიტყობენ, რა ეშმაკობით მოახერხეს ზღარბებმა ტრაბახსა კურდღლის მოტყუება.

როდესაც სცენაზე სამი გოჭი გამოჩნდა, ბავშვები სიხარულისაგან ამზურდნენ — ისინი ძველსა და კეთილ წყნობებს შეხედნენ, კონფლიქტი აქაც ნათელია, ბრძოლა — აშკარაა. ბავშვები ჩართული არიან მის მსვლელობაში.

ვფიქრობთ, ამ სპექტაკლის წარმატების მთავარი პირობა მიმდინარე ამბის სიყბადე, კონფლიქტურობა და დინამიკაა. მოვლენები უწყვეტლევ ვითარდებათ. ეს ითრევს მაყურებელს. მხარეთა ბრძოლა სახიერადაა გამოვლენილი თოჯინების თეატრისთვის ბუნებრივი მეტყველი საშუალებებით. ბოლო წლებში თეატრის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ამას, რის გამოც თოჯინების თეატრის წარმოდგენების მხატვრული დონე საგრძობლად ამაღლდა (მთავარი რეჟისორი — გ. სარჩიმიელიძე).

მეტად საინტერესოა, რომ მოსამზადებელი და პირველი კლასის მოსწავლეები სულ ადვილად იღებენ ამ სპექტაკლში გამოყენებულ სათეატრო გამომსახველობის ისეთ ფორმებს, როგორცაა ეგრანი, ხმა კადრს მიღმა, მბრუნავი სახლი, მოძრავი ხეები და ა. შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, IV-V კლასის მოსწავლეები, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადიან. ამ ასაკის სირთულე ცნობილია.

მიმდინარე სეზონში მეოთხე კლასის მოსწავლეებს მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა უჩვენა გ. ნახური-შვილის ორი ზღაპარი — „ჭიჭნარქა“ და „ნაცარქექია“.

კვირა დღეა. მიდის დილის წარმოდგენა „ნაცარქექია“.

ზემო ლოვიდან, სადაც მე ვზივარ, ჩანს მთელი დარბაზი — გოგონების თეთრი ბავშვები და ბიჭუნების მოკლედ შეკრებილი თავები. ჯერჯერობით მათ უფროსები აცმევენ და ვარცხნიან. ყველა კობტადაა მორთული. ამ მაყურებლისთვის თეატრი ზეიმია, დღესასწაული.

იციან გულით, განსაკუთრებით იმ მომენტებში, სადაც კონფლიქტი ნათელია, ქმედება კი — აქტიური (მოჩვენებითიც რომ იყოს ეს ქმედება, ოღონდ კი იყოს).

სიტყვაზე ნორჩი მაყურებელი რეაგირებს უკვე არა ერთობლივ, არამედ დანაწევრებით — ხან ერთი ჯგუფი, ხან მეორე. უკვე იგრძნობა თავისებური დიფერენციაცია, ცნობილი საბჭოთა რეჟისორის ა. პოპოვის თქმით — მაყურებელთა დარბაზის „არითმეტიკა“.

მოზარდი მაყურებელიც ძალზე უზარალოდ იღებს პირობას იმის შესახებ, რომ მოქმედების ერთი და იგივე ადგილი, საჭიროების მიხედვით, შეიძლება ხან ქუჩად გადაიქცეს, ხან კი უსოდ.

ყველა ხედავს, რომ მცირე ზომის ფერწერული საქუსარის უკან მომსახურე პერსონალი მომდევნო სურათისთვის საჭირო ნივთებს განკუთვნილ ადგილებზე ალაგებს, ბავშვები ატყობინებენ კიდევ ამას ერთმანეთს, მაგრამ ეს არავის უშლის ხელს სცენის სიმართლის დაჯერებაში.

როდესაც ნაცარქექია (გ. მაზმიშვილი) სცენიდან მაყურებელთა დარბაზში ჩამოდის და პარტურის რიგებს შორის გაიკოს, ბავშვები ფეხზე დგებიან, ზოგიერთი ხელთ ეხება მსახიობს. იგრძნობა, რომ მათ უყვართ ეს გმირი, საამოფებთ მისი ასე ახლის ხილვა.

ვინც პირვლად არაა ამ წარმოდგენაზე, მეზობელს ატყობინებს, რა მოხდება მომდევნო ეპიზოდში, ზოგჯერ აფრთხილებს კიდევ.

პედაგოგებს ამ წარმოდგენაზე საქმე არა აქვთ — ბავშვები მთელი არსებით სცენის ტყვეობაში არიან. აქ პედაგოგები, ჩემი ფიქრით, მხოლოდ ხელს უშლიან პატარებს, რადგან



ცილობენ ჩაახსნი ხმარაობის რეაქცია. მათ უნდათ, რომ პატარები მაყურებელთა დარბაზში იხე ექვედნენ, როგორც გაკვეთილზე. ეს დაუშვებელია, ყველა პედაგოგს უნდა ესმო- დეს, რომ დისციპლინა კლასში, მიზარდ მაყურებელთა თე- არსა და უფროსთა თეატრში არ შეიძლება ერთნაირი იყოს. ანტრატებიში ეს მაყურებელი — დარბის, ცეკვობის, ტანს, სუამს... თეატრში წარმოდგენილი ხმარია — ერთმანეთს ეძახიან, ახტებიან პარტერის რიგებს, ლოვიან ლოვაში გა- დადიან... მაგრამ როგორც კი გაიგონებენ შემდგომი აქტის დაწყების მიმინიშნებულ სიგნალს, სირუშე მყარდება წამიერ, ჩართვა ელვისებურია.

მოქმედების მსვლელობისას ხმარობენ მხოლოდ იმ შემ- თხვევაში, თუ სიტყვა არ ისმის, ან გაუგებარია, რა ხდება სცენაზე.

ამ მაყურებელს შეუძლია ხმამაღლა გაიკვიროს, რომ მე- ფე ტანმოხილია — „რა პატარა მეფეა?!“ ზეუძლია აღ- შფოთილ მსოფლიოს ქვეით და უფროს: „შენ აქ მოსახმენად მოხვედი, თუ სალაპარაკოდ, დაჯექი ახლავე!“.

მართალია, ეს წარმოდგენა მეოთხე კლასის მოსწავლე- ებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ მაყურებელთა შორის სულ პატარებიც არიან. მათ დამატებითი ცნობები ესაჭიროებათ. ამ ცნობებს თანსწლები უფროსები ყურში უჩურჩულებენ. ერთი ასეთი პატარა გოგონა დავის ხნის გაგონებაზე, ეტყობა, ძალიან შეშინდა და წამოიხატა: „გაი, როგორი ხმა აქვს...“ გვერდით მჯდომმა მეოთხეკლასელმა დაამოწმა: „ნუ გეშინ- ნია, ვე ხომ მიკროფონია“. „ახ, მიკროფონი?“ — გაიკვირ- ვა ოთხი წლის გოგონამ და მყისვე დაშვილდა. აი — დღევან- დელი ბავშვი!

მეოთხეკლასელი მაყურებელი ჯერ არ კითხულობს ვინ დადგა წარმოდგენა, ვინ გააფორმა მხატვრულად და მუსიკა- ლურად, ვინ თამაშობს. ჯერჯერობით ის სიყვევითაა გატაცე- ბული, მას მოსწონს დადებითი გმირი, რომელიც ყველაზე ჭკვიანი, ნიჭიერი, კეთილია. ასეთ გმირს თანაუგრძობს იგი. საიმეფებო იღებს თეატრის მოქვევას — ჩაერთოს ამ გმი- რის ცხოვრებაში სცენიდან დარბაზში მისი გადმოტანის გზით, რადან სამქეტალოს ამგვარი პირობა შეესატყვისება ის მითხონილებას აქტიურად გამოხატოს საკუთარი გრძობები.

თეატრში პირველად მოსული ბავშვები ადვილად იმ ვერ თავისი დროის სასცენო ხელოვნების ენას, რადგან მათ ვერ მოასწრეს მემკვიდრებობა მძლიოთ ადრინდელი შეხედულებე- ბი თეატრზე. დაწყებითი კლასების მაყურებელი თავისუფა- ლა თეატრული შთაბეჭდილებებისა და გავლენებისაგან — ის ჯერ არ ყოფილა უფროსთა თეატრში (იშვიათად გამონაკ- ლისი არაფერს ცვლის). მაგრამ დღევანდელი მეოთხეკლასე- ლი, რომელიც მიზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში თო- რანების ქართული თეატრიდან მოვიდა (იქ თანადროული დადგომის ხერხები გამოყენებული), ამ მხრივ უფრო „განათ- ლებული“ და „მკოდნე“ მაყურებელია.

თოჯინების თეატრის ვარდა, ეს მაყურებელი სისტემატუ- რად იკვებება მისთვის განკუთვნილი სპეციალური ტელეგადა- ცემებით. მან იცის რა არის მულტაბლიკაია, უნახავს მულ- ტაბლიკაიური კინოხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები. ეს მაყურებელი იმითაც იკვებება, რაც მისთვის არაა გან- კუთვნილი. და თუ ხილვის უფლებას არ აძლევენ, მეზობელ თათხში მდგარ თავის საწოლში ისმენს როგორ მივირან... „დი- დი თეატრის“, „ლა სკალას“, „გრანდ თეატრს“ მსახიობები, როგორ უკრავს რისტერი, ნეიპაუსი... რასაკვირველია, ამის

გამო დღევანდელი ბავშვი უფროსად არ იქვევა, მაგრამ რა/ მინივ სხვა მაგეფია.

ეს უნდა გვახსოვდეს. თუ დავიფიწყებთ, თვითონ შეგვახსე- ნებს. მეზუთე-მეექვსე კლასელთათვის განკუთვნილ სპექტაკ- ლებზე ეს უკვე იგრძნობა. მაგალითი — ერ. აბულაძის „ბაბუა და მიგონილი“ (დადგმა ხელ. დამს. მოღვაწის თ. მაღალაშვილისა, მხატვარი — მ. მაღალაშვილი; კომპოზიტო- რი — თ. ბაკურაძე).

თოვის საქმელათი ცოდან მიწაზე ჩამოდის ბაბუა და რგავს სიკეთის ხეს. იმავე წუთს იშვა ბორბტებაც — განდა- ეშმაკი. მაყურებელმა გაიგო — სიკეთესთან ერთად იხადება ბორბტებაც.

პირდაპირობა და ილუსტრაციულობა — სპექტაკლის პრინციპია. ასეა დაწერილი პეესა. დრამატურების ნებით, მოქ- მედი პირები ხშირად უშუალოდ მაყურებელს მიმართავენ და წარმოთქვამენ, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: „...ვისაც პატიოსანი გზით უვლია, მისთვის სიკეთის გზა ტკიბია“.

„შეშაკმა ბუერი ხერი იცის თავის გზაზე გადაბირების ფრთხილი“.

...ხოლო ადამიანს ჰქონდეს რაიმე და დაკარგოს, ვიდრე არ ჰქონდეს და არ დაკარგოს“ და სხვ. ამგვარი ლიტერატუ- რული მასლის გამო ამ სპექტაკლის მაყურებელი ძალიან ხში- რად მსმენლად გადაიქცევა ხოლმე.

საილუსტრაციო ხასიათის ტექსტუალურ მასალას შეესატ- ყვისება ასეთივე ხასიათის პლასტიკა. მაგალითად, თუ საჭი- რთა იმის ჩვენება, რომ ბორბტება სიკეთის ნაკვალევის წაშ- ლას ცდილობს, — ეშმაკი ფეხით შლის ამ ნაკვალევს.

ილუსტრაციულად სწორხაზობრივია ფერთა ფუნქციაც: სიკეთე — ცისფრად მისილი ხე — ქალწულია, ბორბტება — მითითური ეშმაკი.

ამგვარად, დღემის პრინციპი შეესატყვისება ლიტერა- ტურულ პირველწყაროს და დაცულია სპექტაკლის ყველა უბანზე. მაგრამ იგი შთაბეჭდილებას არ ახდენს. აქ ყველაფე- რი გასაგებია. ზედმეტადვე კი. მაგრამ იმის გამო, რომ წარ- მოდგენის პირდაპირი სიმბოლიკა ერთმნიშვნელოვანია, ის ყველაფერს აგებინებს თავის მაყურებელს, მაგრამ არ ადელ- ვებს, თანაგაცდებს არ იწვევს.

თანაგანცად ამ სპექტაკლში იხადება მხოლოდ იქ, სადაც ზოგიერთი მსახიობის მიერ დარღვეულია ილუსტრაციულობის პრინციპი და იხადება სასიურება. მაგალითად, მსახიობი ზ. ხაფავა — თხა აღიქმება ასეთად არა იმიტომ, რომ მას თმის ნიღბი აქვს (პროგრამაში მოქმედ პირობა შორის ის სწორედ ასეა მოხსენებული — თმის ნიღბისანი). არავითარი ნიღბი — ეს არის სოფლის გოგონა, თხა — მისი ხასიათის „მარ- ცვალია“, რაც განსაცვიფრებელი ზომიერებით კვირდება ყველაფერში — მოძრაობაში, სიარულში, ლაპარაკში და აზ- რონების თავისებურებაში. თმისა და ეშმაკის მუსიკალური გავლაც სახიერია და არა ილუსტრაციული. მაყურებელი ტაშს უკრავს, რადან V-VI კლასელზე უკვე შთაბეჭდილებას ახდენს: არა მხოლოდ ეთიური, არამედ ესთეტიკურიც. ამი- ტომაც ისინი ტაშს უკრავენ ეშმაკს, როცა იგი ისტატურად კითხულობს ვირისადმი მიწერილ თა- ვის წერილს. აქ ეშმაკი, ყოველგვარი საგნის გარეშე, მხო- ლედ ხელების მოძრაობით გაშლის ვირისადმი მიწერილ დიდ ეტრატს, წაიკითხავს მას, შემდეგ კი კვლავ დივინილად აქ- ცევს. იფეთქებს ტაშის ვირს უკრავენ ტაშს ბავშვები, ეშმაკს?



არა. ისინი ტაშს უკრავენ მსახობს რ. თავართქილაძეს იმის გამო, რომ მან მართლაც შესანიშნავად გაითამაშა ეს ეპიზოდი. ისინი ხელოვებდას უკრავენ ტაშს. იგივე მოხდა, როცა ემშვამა გადაწყვიტა ბორცტკა სიკეთის ნიღბით დაეთქვა ახალციხე ცისფერი კაბა და აცქვდა. ეს ცქვა პლასტიკური თვალმართის ისე შეწერილადაა შესრულებული, რომ მაყურებელი ისევე ტაშს უკრავს. რასაკვირველია, არა ემაგის ვერავინ — ის ტაშს უკრავს მსახობის ხელოვებდას. ამიტომ ვერ დავთანხმებ რეჟისორ თ. მალაშვილს, რომელმაც ახავე ტურნალის ფურცლებზე („სახობის ხელოვნება, 1974, № 3) თავის სადისკუსიო წერილში გამოთქვა აზრი, თითქოს ბავშვებს ესთეტიკურის შეფასების უნარი არა აქვთ: „...ისინი სპექტაკლის მსვლელობის დროს ხან იციან, ხან ტირიან, წარმოიგინებთ, ტაშსაც გვიკრავენ და შემდეგ ალბათ სახლში, დასაძინებლად გამაზადებულნი, წარმოსახვაში ავტომატურად სპექტაკლის გიმრებს. მაგრამ ბავშვებს არა აქვთ შეფასებების უნარი, არც შეასაძლებლობა.“ (ხაზი ჩემია, ნ. უ.)

თუ ეს ასეა, თუ ბავშვს ან მოზარდს მსატერული მოვლენის შეგრძნებისა და შეფასების უნარი არა აქვს, მაშინ საერთოდ გაუცხადებია და გაუმართლებელია მათთვის განკუთვნილი თეატრის არსებობა. უკვე საკმაა, რომ გარკვეულ ასაკში, სხვაე მოზარდი მაყურებელი, ისევე მხეხუთ და მეექვსე კლასის მოსწავლე ადვილად აღარ „წამოგება“ ანკესხე. ის აშკარად გულგრილია სქემებისა და სენტენციებისადმი, სწორსაზორობივი სიმბოლიკისადმი. მას არ სურს თეატრში დარჩელების მოსმენა. თეატრში ის მოიღის იმისათვის, რომ დატკბეს სანახაობით, ხელოვნებით, რომელიც კი არ დასრიგებს, — აადლებს, რომელიც მასში შინაგან, სულიერ ძალებს გაავლიძებს. სენტენცია კი არც ქმედითა და არც დინამიკური. მხოლოდ გონებით განჭვრტეობი ქემმარტება არ აღელებს, არ იზიდავს მოზარდს.

ამ საკითხთან დაკავშირებით თუოოდ უნდა გავისხნოთ მოზარდ მაყურებელთა თეატრის კავშირი პედაგოგიკასთან.

ყველამ იცის, რომ ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი თეატრი ზოგადსახელმწიფოებრივი აღზრდის სისტემის ერთი რგოლია. იგი სკოლის მეგობარი და დამხმარეა. მოზარდ მაყურებელი, თავისი ასაკის გამო, ყველაზე მეტად მოითხოვს მუდმივ, აქტიურსა და მაკარად გააზრებულ აღმზრდლობით ზემოქმედებას. მაგრამ ისიც უნდა გავსავსებდეთ, რომ მოზარდათა თეატრი სახელმძღვანელოს დახმარება არაა. მოზარდ მაყურებელთა თეატრის პედაგოგიური ამოცანების სცენიდან განკეთილის ჩატარების არ მდგომარეობს. თეატრით აღზრდა ეკავსეურბული პირობებია — პირობებმა თეატრული და არა სასკოლო. ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ თეატრისა და სკოლის შინაგანი დახლოებისაკენ, უნდა ვებრძოდეთ მათ შხავებებსა და გათიგებას. თუ ამ საკითხში კარგად არ გავერკვევით, მაშინ პედაგოგიური „ცნესურა“ ხელს შეუშლის თეატრს, თეატრი კი — სკოლას.

უნდა შეთანხმდეთ — თეატრის რამდენიმე (ბავშვებიცა და დიდებიც) მიიდან იმისათვის, რომ მიიღონ მსატერული ო შთაბეჭდილება და არა მოისმინონ კავკეთობა. მაყურებელი მსატერულ სამყაროს უნდა შესვდეს. მსატერული სახე კი გამოირჩება ერთმნიშვნელოვნებას. სწორედ ეს იწვევს ზოგიერთს პედაგოგის შემოერთებას — მათ სურთ, რომ პარტი და ცუდი ყველა შემთხვევაში გარკვეულ და უცუთომლად იყოს ერთმანიებისგან გამოცალკავებული. აქ აღმოცენ-

დება პირობებმა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ დაფიქრებას და მსჯელობას — როგორ იცნობენ პედაგოგები თეატრი ხელოვნებას, როგორ ერკვევიან მასში და რამდენად უყვართ იგი? ვეთანხმები თ. მალაშვილს იმაში, რომ „...დიდი დღე იშვიათად ვხვდებით მასწავლებლებს, რომლებსაც ესმით და უყვართ თეატრი, რომელთაც შესწავლენ უნარი ბავშვის ასწავლონ რაიმე თეატრის შესახებ“.

სცენის ხელოვნებით ბავშვის აღზრდა ნიშნავს მასში ცხოვრებისადმი ინტერესის გაღვივებას. გარკვეული ზნეობის იღრელებისადმი სწრაფის გაღვივებას. თეატრი უნდა მოეხმაროს მას საკუთარი დამოკიდებულების გამოთქვებაში იმის მიმართ, რაც აღელებს და აინტერესებს ახალგაზრდობას და არა მათ პედაგოგებსა და მშობლებს. უფრო ვიკავს ამისათვის საკუთარი თეატრი აქვთ.

აუცილებელია გავსავსედეს, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრი თავის მაყურებელს ესთეტიკურადაც უნდა ზრდიდეს. ყოველი ახალი დღემა თავისი მსატერული სირთულით წინა დღემათა გაგრძელება უნდა იყოს.

როგორ ზეგავლენას მოახდენს სპექტაკლი ბავშვის შეგნებაზე, ამის გამოარკვევა მხოლოდ დროთა მინიმალზე შეიძლება. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს დრო განსხვავებულია, აგრეთვე გამოვლინებას. მაგრამ ახლა, როცა სპექტაკლი მის ათვალწინ მიმდინარეობს, ბავშვი ემოციურად უნდა იყოს ჩართული ყველაფერში, რაც სცენაზე ხდება. ის უნდა დღეავდეს, იცინოდეს, ტირიოდეს... ამ მღელვარებაში, ცრემლსა და სიცილში გამოუმუშავდება მას იდეალური და კრიტიკიული, რომლებიც მოეხმარებთან ცხოვრების წარმართვაში, სოციალური და ზნეობრივი პიზოციების განმტკიცებაში, მსატერული გემოვნების დახვეწებაში.

ამისათვის საჭიროა, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრი მაღალი ხელოვნების, დახვეწილი სისტემების თეატრი იყოს. უფროსკლასეული განსაკუთრებული დაქირებით მოითხოვს ამას. ვისაც სურს ამაში დარწმუნდეს, უნდა დაესწროს დ. კლიდიშვილის „ქამუშაძის გატარებას“ (ინსცენირება გ. სანადრატისა, დადგმა შ. გაწურელიანი, მსატერები — მ. ჭავჭავაძე, პ. იმერლიშვილი, კომპოზიტორი — გ. ხისარულიძე).

შეიძინევა, რომ ამ სპექტაკლია მაყურებელი ცოცხლად რეაგირებს სიტყვაზე. ეს სიტყვა კლასიკოსის სიტყვაა, მსატერული სიტყვაა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მაყურებელი რეაგირებს სიტყვის სატრეკანებაზე, და კლდიშვილის განსაკვირებულ სიტყვიერ ქსივილზე.

მაყურებელს მოსწონს, როდესაც ერთი ფერის ღია დეკორატიულ ფონზე, გრაფიკული სიხუსტით იკვეთება მთავარი და მცირეხარისისოვან პერსონაჟთა ან ცალკეული საკათა ნახატო (ქოლგა, ნარიდი, არღანი, გრამაფონი), ზოგჯერ კი ისეთი დიდი ჯგუფური კომპოზიციები, როგორცაა სცენა სოფლის კანცელარისათვის.

ამ სპექტაკლის მაყურებელს სთავაზობენ თამაშის გაბედულ პირობებს (მაგალითად, წარმოსახულ ღილატზე თითის დაჭრა და ზარის ხმა კულისებში). ამით თეატრი აგრძნობინებს მოზარდ მაყურებელს, რომ იგი სასეპებით მოწიფულად მიიჩნეეს მას და ამსოლუტურად ენდობა.

თავის მხრივ, მაყურებელი ყოველ ნაიჯზე დასტურებს, რომ თეატრი არ შემცდარა. დასტურებს იმით, რომ ზუსტად რეაგირებს იქ, სადაც სცენაზე იბადება მსატერული სახე. მაგალითად, როცა ორი ახალგაზრდა არსება (სონია და ოტია)



სამუდამოდ ერთდებიან სხვათა ხელის კვრთ. მიზანსცენაში ჩაქსოვილ ფარულ აზრს მაყურებელი გამოიჭინებს. ყოველ სპექტაკლზე უთუოდ ტარს უკრავენ ქორწილის სცენას. ის ძალიან უბრალო საშუალებებითაა განხორციელებული: არაგეთიარი მგავიდა. სცენის სიღრმეში, მაყურებლისკენ ზურგიან ვენურის სამკამბია ჩამწვრილებული. ამ სამკამბზე სტუმრები სხედან. წარმოსახული მაგიდის იქით, სახით მაყურებლისაკენ, დგანან ნეფე და პატარაძალი.

მეორე მოქმედებაში ზუსტად ასეთსავე მიზანსცენაში წარმოდგენილი ქვეყნის სუფრა, მაყურებლის წარმოსახვა „ამონტაჟებს“ ამ ორ ეპიზოდს და ამოიცინებს არა მარტო ყოველი მათგანის არსს, არამედ ორივე ეპიზოდისა ერთად!

მაყურებელი ტარს უკრავს, რადგან მის წინაშე არა ფაქტურად ქორწილისა და ქველბისა, არამედ ერთი და იგივე მხატვრული სახე, შუთხული რეჟისორ შ. გაყურელის მიერ. ეს მხატვრული სახე ურეველია, „სელა“ — მიულოდინელი, მაყურებლის წარმოსახვის ამგზავნი. სწორედ ამის გამოა ეს მაყურებელი თეატრის მაღლონელი — მან განიცადა სცენური თხზულებით გამოწვეული მხატვრული ტკბობა.

თუ შევხედო რომელიმე მათგანი გაისხენებს დ. კლიდიაშვილის მიოხრობას, წერის ავტორისეულ თავისებურებას, — მიხედვით, რომ ამ ეპიზოდებში თავი იჩინა თეატრის სასწაულოა — ავტორის ჩანაფიქრი, მისი მწერლური ინდივიდუალობა: განხორციელებულია სასცენო ხელოვნების საშუალებებით. ფიქრითა, „ქამუზადის გაბურვება“ არ არის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის უბრალოდ კარგი დადგმა. ამ სპექტაკლს პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ პრობლემის გადაწყვეტისათვის, რომელსაც თეატრი და დღევანდელი მოზარდი მაყურებელი უწოდებდა. „ქამუზადის გაბურვება“ გვიასრდის ამ პრობლემის გადაწყვეტის თვალსაჩინო ნიმუშებს. გაზოხს ამ პრობლემის გადაწყვეტის თვალსაჩინო ნიმუშებს. უფროსკლასკელთათვის სპექტაკლი უნდა დაიდგას ისე, როგორც უფროსებისათვის. არაგეთიარი შედგავით.

ცნობილია, რომ სცენასა და დარბაზს შორის კონტაქტურ-ორხორივი მოვლენაა. მხოლოდ მსახიობი არ მოქმედებს მაყურებელზე — მაყურებელიც ახდენს გავლენას მსახიობზე. მიუხედავად ამისა, ინიციატივა მაინც თეატრს ეკუთვნის, რადგან მაყურებელს თეატრი იწყებს. რისთვის? იმისთვის, რომ თავისი ხელოვნებით ჩაითრის შემოქმედებით პროცესებში, გაიტაცოს საკუთარი ჩანაფიქრით, დარწმუნოს დასმული პრობლემის საკუთრებაში, გადადოს მას ცხოვრებისადმი საკუთარი დამოკიდებულება... ამავე სცენის მოღვაწენი ფიქრით არა მარტო წარმოდგენის მსგელობის დროს, არამედ ამ წარმოდგენის მოზარდების პროცესებშიც. მაშასადამე, თუ ატრს, პირველ ყოვლისა, გარკვეული უნდა ჰქონდეს რა აქვს სათქმელი თავისი ადრესტისთვის და როგორ უნდა უთხრას იგი.

სცენა ხომ მუდამ ერთი გზით არ იკურბის მაყურებელთა დარბაზს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს გზა თავისებურია, ახლებურია. ამიტომ მაყურებელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულად თანაუგრძნობს წარმოდგენას.

ნუ ვიფიქრებთ, რომ თანაგრძნობის მოპოვება ადვილია. ზოგჯერ სპექტაკლი ებრძვის დარბაზს, რათა მისი ყურადღება დაიკავოს. მაგრამ იმისთვის, რომ ბრძოლას გამარჯვება მოაყვას შედეგად, შესატყვისად უნდა იყოს შეიარაღებული. უნდა იცოდეს რა მოქმედებს მასზე.

ჩემი დაკვირვებით, ყველაზე „უცლი“ მაყურებელიც კი ჩართულია მოქმედებით, ყველაზე „უცლი“ მაყურებელიც კი ჩართულია მოქმედებით, თუ ისინი ნამდვირად

ლადად მოქმედნი არიან, მაშასადამე, ასე თუ ისე უცლიან და არ წარმოთქვამენ მხოლოდ სიტყვებს, მხოლოდ ერთი დიგლონიან მეორეზე არ გადადიან, თუ მასობრივად ნაზუ პარტნიორისთვის არსებობს, თუ მას ესმის არა მარტო მისი, რასაც პარტნიორი ეუბნება, არამედ შეუძლია ჩასწვდეს იმასაც, რასაც პარტნიორი ფარავს მისგან, თუ პარტნიორები ერთმანეთის ყურადღებას ეუფლებიან და ერთმანეთის საქციელზე განაპრობებენ. მუდამ მიზანი მიღწეულია.

თუ პარტნიორის ყურადღება დაპყრობილია და სპექტაკლის განმავლობაში განსხვავებულად, მაგრამ გაზუსტებულ სწარმოდებს ამ ყურადღების ხელახალი დაპყრობა, — მაშინ ჩვენს წინაშე ბრძოლა, აზარტია, ვინაიდან მოქმედი ან რაღაცას გასცემენ, ან რაღაცას ღებულობენ. ამგვარი პროცესი მღელვარეა და სახილველადც საინტერესო.

ეს ტუმარტიუბა დიდი ხანია ცნობილია. ყველამ იცის, რომ ოთხბრძოლა სახილველად საინტერესოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთმანეთს ძლიერი და ჭკვიანი ოსტატები ებრძვიან. ასეთ შემთხვევაში მაყურებელი მუდმივად იმის მილოდინშია, თუ რა მიხედვება. აქ ისახება კონტაქტი სცენასა და დარბაზს შორის.

თუ სპექტაკლი ამგვარი „ბრძოლებისაგან“ არ შედგება, ლაპარაკი მაყურებელთან თანაშემოქმედებაზე, იდეებზე, აზრებზეა და გრძნობებზე „უთიაროდსხივებაზე“ შეუძლებელია. გარკვეულად, სიგნალებში მაყურებელი მუდამ გვიანმინებს სცენასა და დარბაზს შორის კავშირი აღმოცენდა თუ არა.

ყველაზე კარგად ეს „სიგნალები“ მსახიობისთვისაა ცნობილი. მათ იცინა — თუ დარბაზიდან სცენისაკენ მაყურებლის რეაქცია არ მიედინება, ან ეს რეაქცია ჩანაფიქრის შესატყვისი არაა, მისეზი უნდა გაიჩვენოს: იქნებ თქმა არაა საინტერესო და ატკუალური? იქნებ ეპიზოდს არაა ამოსხილი? იქნებ არაა მხოლოდ აზრი, და არა სცენის ხელოვნება — თხზულება? იქნებ თამაშის პირობა, რომელსაც თეატრი ამგზავდა სთავაზობს მაყურებელს, ამ მაყურებლის აღქმის უნარს არ შეესატყვისებ? და ა. შ.

როგორც არ უნდა იყოს, თუ მაყურებლის რეაქცია არ დაინიბა, თეატრს დაუკარგავს მისი ნიბა, ყურადღება და თანაგრძნობა. მაშასადამე, აღარც სპექტაკლია სცენაზე, რადგან „თეატრი არ ეკუთვნის იწყებს მისი მომენტიდან, როდესაც მაყურებელთა და რ ბ ა ზ ი გ ა მ ო ე ს ბ ა უ რ ე ბ ა იმას, რაც რამის იქით ხდება“ (მეიერჰოლდი. სახი ჩემია, ნ. უ.).

გულბრული დარბაზი მსახიობში ბაღებს იმის საწინავედ შეგრძნებას, რომ მისი ხელოვნება არ სჭირდება ადრესატს. ამის თავიდან ასაცილებლად ყოველი თეატრი, განსაკუთრებით კი მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ძალიან კარგად უნდა იცნოდეს საკუთარ მამაყურებელს, განუდგებილი უნდა აკვირდებოდეს მას ცხოვრებაში, ნიდავც უნდა აწარმოებდეს მის შესწავლას.

მოზარდ მაყურებელთა თეატრს უნდა ახსოვდეს, რომ მისი მაყურებელი უნდავეს კინოთეატრში (ჩვენი და უცხოური), ტელევიზიებით. უნდავეს ტელევიზიის გადაცემათა დღის პროგრამა — დღისით ხომ შეიძლება ნახოს ბავშვმა გადაცემა, რომელიც მისთვის არაა განკუთვნილი (მსგავსად დღის სპექტაკლებისა უფროსთა თეატრში). ეს შეიძლება იყოს გადაცემა ისეთი შესანიშნავი მსახიობების შესახებ, როგორც ალიონსა ფრინდლინი ან მიხეილ ულიანოვია, სატრის თეატრის 50 წლის აღსანიშნავი საზეიმო საღამო, გადაცემა მთავარი სესკვიას შესახებ და სხვა ამგვარი. დღევანდელი მოზარდთა



შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც დედანში უნაბავთ ჯოკონდა და დრუნდნის გაღერებაში დაცული უდიდეს მხატვართა ნაწარმოებები.

ტელევიზორი, ჩვენი დროის ეს სასწაული, დღევანდელი ბავშვისათვის ყოველდღიური ცხოვრების ელემენტია. მას არ უკვირს ტელევიზორის არსებობა. ის უბრალოდ ჩართავს მახან ერთ არხზე, ხან მეორეზე და ცუსვც არაა გაოგნებულე იმის გამო, რომ საკუთარ სახლში ისეთფერ ეგრანზე თავისი თვლით ხედავს, როგორ დადიან მთვარეზე კოსმონავტები. განა ასეთ ბავშვში შეიძლება ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს ზღაპარმა მფრინავი ხალხის შესახებ, როდესაც სანამ ამ ზღაპარს უამბობდნენ, ის უკვე მჯდარა თვითმფრინავში და კავკასიონს თავზე გადავლებია?!

ახლა პრობრტული გადაცემები. შეიძლება წინ აღუდგე იმას, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა უყურონ ამ გადაცემებს? საჭიროა წინაღმდეგობა თუ არა? პლენ, ეუსებით, ბელოუსოვა და პროტოპოპოვი, გალინა შუბუროვა, ოლდა კორბუტი, ელენა პეტეუსოვა და სხვანი აშალაშინებენ მათი მაყურებლის გემოვნებას, ამაფრებენ მათი აღქმის უნარს, შესაძლოა ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც ზრდიან მის მომთხოვნელობას.

დღევანდელ ადამიანს, ბავშვსაც და უფროსსაც, სულიერ საკვებს მხოლოდ ხელოვნების პროდუქცია აწოდებს და არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ხელოვნება და თეატრი. ეს მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

აი, ასეთი არსება, რომელიც სკოლაში მეტად გართულებული პროგრამით სწავლობს, რომელიც იღებს ათასნაირ ინფორმაციას გლობალური მასშტაბით, — მოდის თეატრში. რადა თქმა უნდა, მისი დანიტერესება, გატაცება, ჩათრევა, აღუკვება დღეს შეუდარებლად უფრო ძნელია, ვიდრე ეს იყო იმავე ქართულ მოზარდში ჩვენი თაობის ბავშვობისას რამდენიმე ათეული წლის წინ. რთულია, ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. ამის საბუთია ის შემთხვევები, როდესაც მოზარდი მაყურებელი საიმოვნებით უყურებს წარმოდგენას.

განსაკუთრებულ ინტერესს, რასაკვირველია, იწვევს ისეთი ნაწარმოები, რომელიც თეატრიკულად და მაყურებლისთვის საინტერესო. როგორაა ეს გათვალისწინებული მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის რეპერტუარის შედგენის დროს? როგორია პროპორცია იმას შორის, რაზედაც უნდა ფიქრი და ლაპარაკი მოზარდს და რაზედაც უფროსებს სურთ, რომ ამ მოზარდებს ელაპარაკონ. ბავშვებისა და მოზარდებისათვის ხომ თვითონ ბავშვები და მოზარდები არ ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს, ამ ნაწარმოებებს უფროსები ქმნიან. აი, რას წერს ამის შესახებ მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თ. მალალაშვილი:

„...შეუძლებელია სამაგვრო თეატრის არსებობა თანამედროვე პრობლემატური დრამატურგიის გარეშე, მაგრამ ჩვენ ვარსებობთ, იძულებული ვართ ვიარსებოთ. 10 წელია მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვემუშაბ და უნდა გამოვტყდე, რომ თანამედროვე თემაზე დაწერილი არც ერთი პრობლემატური პიესა არ მოსულა თეატრში. მე ვგულისხმობ ღრმა, სერიოზულ, ელემენტარულად „კარგ“ პიესას. ბავშვები იზრდებიან და კატეგორიულად, ახლავდ მოითხოვენ პასუხს ბევრ მათთვის საჭირობოროტო საკითხზე. რას ეწოდება დღეს გმირობა, რა არის ნამდვილი და ყალბი მორალი, როგორ უნდა ავირჩიოთ პროფესია, ვინ არის ნამდვილი მეგობარი, რატომ არ ემთხვევა ზშირად ერთმანეთს ჩვენი და უფროსების მიერ მოე-

ლენების შეფასება, რას წარმოადგენს სინამდვილეში მტყუპი ლეობის გრძობა, რა არის სიყვარული“.

რამაა საქმე? რატომ არ იწერება პიესები დღევანდელ ქართულ გაოვნება და ჭაბუკუნზე? იმას, რაც მათ აწუხებთ და აშფოთებთ, რაშიც მათ თვითონ სურთ გარკვევა? ჩვენი უმთავრესად, ვლაპარაკობთ იმაზე, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა რთულია. ახალგაზრდა მუდამ რთულია იმისთვის, ვინც თვითონ აღდარა ახალგაზრდა.

ყველაფერზე ადვილი ახალგაზრდებზე გაჯავრებაა. იმის გამო, რომ ბიჭებმა თმა დაიგრძელეს, გოგონებმა კაპები მეტისმეტად დაიმოკლეს და შარვლებით დადიან... განა ესაა მთავარი?!

ცუდის დანახვა ძნელი არ არის, მით უფრო, რომ ახალგაზრდამ მისი დამალვა ჯერ არ იცის. მაგრამ წსოვრდ ეს ახალგაზრდები ათევენ ღამეებს საამქროებში, ლაბორატორიებს და სარეპეტიციო დარბაზებში, ეძებენ ახალს — განა ამის შესახებ ვინმემ დაწერა პიესა? დადაც სპექტაკლი? უჩვენა ეს კარგი ახალგაზრდობა, თუნდაც, მათ ცულ თანატოლებს? არა. მამსადაც, ჩვენი არ ვყოფილავთ საქმარისად დაინტერესებულნი იმაში, რომ მოზარდი მაყურებელი გაზიაროთ თანამედროვეობის უწინმწინელოვანეს საკითხებს. ჩვენითვის საკმარისია, თუ დარბაზი საესკა.

ჩემი აზრით, არსებობს მხოლოდ ერთი გზა — გზა ჩადრნავეებისა იმ პრობლემებში, რომლებიც დღევანდელი მოზარდებისთვის საინტერესო და საჭიროა, ამ პრობლემების სისტემატურსა ახ ახ ე რ ი ქ მ ე დ ე ბ ი თ გამოვლენება სცენაზე. მაყურებელი რომ წლების მანძილზე ასე იზრდებოდეს, ეს მოგვეხმარება იმ რთული საკითხის შესწავლაში, რომელსაც ეწოდება თეატრი და მაყურებელი.

შეუნებელიც, განუწყვეტლო გგმართებს ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ დავუახლოვდეთ ჩვენს პატარებსა და მოზარდებს, როგორ მოვიპოვოთ მათი ნდობა, მეგობრობა, პატივისცემა, სიყვარული, ბოლოს და ბოლოს... იმისთვის, რომ მათი სულის კარები გაისინას ჩვენითვის, ისინი ხომ ჩვენი მომავალია...



მსოფლიო დრამატურგიის საგანძური

ოცდამეშვიდი საუკუნეა მსოფლიო თეატრის სცენას არ შორდება არისტოფანეს ფინტასტიკურ ხილვითა ნაყოფი, ნიღბების თეალისმომჭრელი კარნავალი. მისი კომედიებიდან, ორმოცს რომ აღემატებოდა, დაკარგვასა და განადგურებას მხოლოდ თერთმეტი გადურჩა. დიდი მემკვიდრეობის გადარჩენილი ნაწილიც საკმარისია იმის წარმოსადგენად თუ რა დამანგრეველი ძალა ჰქონდა არისტოფანეს სიცილს. არ დარჩენილა აღამიანური მანკიერების არც ერთი მხარე, მისი მომაკვინებელი ისრები რომ არ მოხვედროდეს. „კომედიის მამას“ თავისი თანადროული ამბები და მოვლენები, რეალურად არსებული პიროვნებანი ჰყავდა მიზანში ამოღებული და, ამდენად, დაუნდობელმა სატირამ რამდენიმე დაკარგა სიმძლავრე, კონკრეტულ ყოფასა და გარემოსთან დაშორებამ მის ცხოველყოფილობას ბევრი რამ დააკლო. სწორედ ამის გამო წერდა ერთი თანამედროვე მწერალი: „ამჟამად ჩვენ არისტოფანეს კომედიებს დაგვიანებული სტუმრები ვართ, უმდიდრესი ფეკიოიდან ორსამ სცენას შევესწავლო და მათი სიმშვენიერის მხოლოდ შეგვიძლია შევივრძობოთ, რაოდენ ფერადოვანი და წარმტაცი იყო მთელ სანახაობა“.

საუკუნეთა განმავლობაში, არისტოფანეს ღვთაებრივ ნიჭს არაერთი მოძულე და თავყანისმცემელი გამოსჩენია; გულჯარილი იშვითად თუ ვინმე დარჩენილა. მთავარ ბრალდებელ მაინც, სოკრატესა და მისი მოძღვრების მიმდევართა გამისხარაყუება დარჩა. თითქმის ჩვენს დრომდე ფიქრობდნენ, რომ სოკრატეს გასამართლება და სიკვდილით დასჯა არისტოფანეს „ღრუბლების“ ზეგავლენითაც მოხდა. ამჟამად ეს თეალსაზრისი ნაკლებ სარწმუნოდ მიიჩნათ თუნდაც იმიტომ, რომ კომედიის დადგმიდან სასამართლო პროცესამდე 25-მა წელმა გაწვლო. ამბობენ — თითქოს სოკრატე თავად დასწრებია წარმოდგენას და პაერში გამოკიდებული, ჰამაკსა თუ კალათაში მოქაინავა თათვის გაშარკებული ორეულის დანახვაზე გულიანად უცინია.

